



პ. შატავაძე

ბ ე ს ე ბ ი

ყვარყვარე თუთაბერი
კოლმეურის ქოჩინება
შეხვედრა მშენებლობაზე

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

...თბილისი

ს ა რ ჩ ი ვ ი

ყვარყვარე თუთაბერი	3
კოლმეურნის ქორწინება	81
შეხვედრა მშენებლობაზე	155



რედაქტორი: გ. ნატროშვილი

გამომშები: ს. იორაშვილი

გადაეცა წარმოებას 15/IV—48 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად
15/VI—48 წ., ანაწილობის ზომა 5¹/₂×9, ქალაქის ზომა 60×84,
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 14.

სტამბის შეკვეთა № 653. ტირაჟი 5.000 უე 01955

იას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი,
ლენინის ქ. № 28.

ყვარყვარა თუთაბერი

კომედია 4 მოქმედებად

მოკმეღნი პირნი:

ყვარყვარე თუთაბერი—მეტსახელად ნაცარქექია

კაკუტა }
ქუჩარა } გლეხები

მეწისქვილე

გულთამზე—მეწისქვილეს ასული

ხევასტე—რევოლუციონერი

1-ლი ოფიცერი

2-რე ოფიცერი

ადიუტანტე— 16 არმიის შტაბის საიდუმლო მაგიდის გამგე

მწერალი—მისი თანამშრომელი

გენერალი

პოლკოვნიკი

ხამხედრო გამომძიებელი—პოდპოლკოვნიკი

ჯარისკაცი—შიკრიკი

რწმუნებული დროებითი მთავრობისა ამიერკავკასიაში

მდივანი

შეკრიკი

ტიტე ნატუტარი,—მაზრის კონისარი

რევკომის თ-რე

ქალი

გლეხები, აბრაგები, რახმელეები, ტუსადები და წითელარმიელები

მოქმედება პირველი

რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისკვილი. შუა ცეცხლ-
თან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტ სახელად ნაცარქექია და ქექავს
ნაცარს. მეწისქვილე ფქვილს მინდავს და ნელ-ნელა ღიღინებს.

ნაცარქექია—კმარა, მუდამ-ხომ არ უნდა იღიღინო?!
მეწისქვილე—შენ რას გიშლი!

ნაცარქექია—(თავაუღებლად) ფიქრს ნუ მაწყვეტინებ.
(დუმილია)

მეწისქვილე—(ხელის მოსათბობად დაიხრება კერასთან და აკ-
ვირდება ნაცარს) ეს რა მოგიქარგავს ნაცარში?!

ნაცარქექია—გეგმაა, ხომ გესმის, ბებერო. დახედე აქ, რა
ამბავია... ეს არის რკინიგზა, აი, აქ იწყება, ასე მიდის...
ა... ასე უხვევს და მიადგება ამ მაღალ მთას, ახლა აქედან
გზა სად წავა, შენ ძველო, აბა, თუ მიხვდები.

მეწისქვილე—(აკვირდება) რა ვიცი.

ნაცარქექია—აქ გვირაბია საჭირო.

მეწისქვილე—გვირაბი რა საჭიროა?

ნაცარქექია—მაშ, ხომ არ გადაახტება მატარებელი ამო-
დენა მთას!

მეწისქვილე—მერე, შე კაცო, მთას. რად უხვედრებ წინ,
ველზე გაუშვი, შენი ნება არაა!

ნაცარქექია—მოდო და ასეთ კაცს ელაპარაკე! გესმის რა
არის გეგმა? არ გესმის.

მეწისქვილე—რა ვიცი.

ნაცარქექია—მთავრობას ამ მთის გარშემო გაჰყავს გზა და იმ უხეირო ინჟინრებს ფიქრად არ მოსვლიათ, რომ გვირაბი აქ გზას შეამოკლებს. (აჰყავდ) აი, მე რომ ჩემს გეგმას უფროსს წარუდგენ და მერე ლარივით რომ გავიყვან მთაში იმოდენა გვირაბს, შენ ის უნდა ნახო.

მეწისქვილე—ნელა ილაპარაკე.

ნაცარქექია—რატონ?

მეწისქვილე—მანამდე ბაყაყს კბილები ამოუვა.

ნაცარქექია—დიდი მოიჯარადრე შევიქნები, დიდისაგან დიდი. კი ნახავ. ქრთამს სულ ქვრივით დავაბნევე და დეკაცობაში. თვალი დაგიბრმავდება, რომ გაგივლი და არ შეგხვდება.

მეწისქვილე—(წყენით) ჰმ!

ნაცარქექია—გეწყინა? მაშ, როგორ გგონია, მე, ყვარყვარე თუთაბერს, ენით შენ შემომიარ?

მეწისქვილე—რა ვეცი, პატარა ხილის გაკეთება. აილე იჯარით და ისეთი ბუქი დააყენე, თითქოს, მთა და ბარი გქონდა გასასწორებელი და ის ხილი მაინც ვერ გააკეთე.

ნაცარქექია—კი გავაკეთებდი, მარა დამეზარა ის ოხერი, ტვინი წაილო. იმისმა ანგარიშებმა, თავი მომაძულა!!!

მეწისქვილე—ხო-და, აი, აგერ შენი პირით გამოტყდი.

ნაცარქექია—შე უტვინო, ამას თავს ვერ გავართმევ? დახედე?

მეწისქვილე—(ღიმილით) ნაცარში გვარიანად ქარგავ.

ნაცარქექია— მითომ იცინი, არა? დამალე მაგ ჩაქონკილი კბილები, თორემ!..

მეწისქვილე—(წყენით) ჰმ! (მიდის და ფქვილში ხელს ურევს გულმოსული) ასე რომ იწილები, ამ წისქვილის პატრონი მე ვარ, თუ შენა ხარ?!

ნაცარქექია—(არ უპასუხებს. განაგრძობს ნაცრის ქექას. წისქვილი იწყებს ხრიალს)

მეწისქვილე—ეჰე, საფქვავეი შემომელია. (ნაცარქექიას) შენთან ლიტინს მირჩენია წყალი გადაუშევა და წისქვილი შევასვენო. (მიდის)

ნაცარქექია—ეე, ცეცხლი იფშუტება, სადაა შეშა?! ამ ჯირკს მაინც მოვაგორებ კერასთან. (მოეკიდება ჯირკს და ვერ დაანძრევს) მძიმეა. რა ზარმაცი მოხუცია, სულ იმას უყურებს, რომ მე დაეუბო შეშა და შემოვუტანო. მანამ ნუ გაითბობს გვერდებს, სანამ მე მას შეშა არ დაეუჩებო! (შემოდის მეწისქვილე. აკანკალებულია, ეთობა კერას)

მეწისქვილე—თათრების მხარეზე რომ გავიხედე, გული გადამიტრიალდა.

ნაცარქექია—რა მოხდა?

მეწისქვილე—თოფის სროლა აქეთ მოიწვეს. ეტყობა, საქმე ცუდათაა.

ნაცარქექია—მაშ, შენი სიტყვით დღეს აქ თათრები შემოცვივიან და დაგვეკლავენ.

მეწისქვილე—თუ ჯარმა უკან დაიხია,—ვინ იცის.

ნაცარქექია—(აღშფოთებული) ჩერჩეტობ!

მეწისქვილე—განა ცოტა სასწაული მომხდარა?!. (იხვევს წელზე ძველ შალს) ამისთანა დროს წელში ქარი გამიდგა და ვერც გავიქცევი.

ნაცარქექია—რას ამბობ?!. ტყუილა გული არ დამიშინო, თორემ... ამ წისქვილს სულ რია-რიად წავიღებ.

მეწისქვილე—მოერევი?

ნაცარქექია—რას ვერა,—გინდა ახლავე შიგ გამოგქექკო?!

მეწისქვილე—ეს რა გადავიკიდე. მე ისე ვატყობ, აქედან გადენასაც მიპირებ.

ნაცარქექია—(მოლბება) არა, რატომ!.. (შეაჯრეოლებს სიცივით) სად უნდა გავაგდო ახლა ამისთანა ამინდში.

მეწისქვილე—როგორ, ვინ უნდა გავიდეს აქედან, მე თუ შენ? ვისია ეს წისქვილი?

ნაცარქექია—ქარგი, გქონდეს.

მეწისქვილე—როგორ, შენი ნაჭექარია?

ნაცარქექია—აწი ეს ზამთარიც ილგევა და, რომ გამოხაფხულდება, მერე მე ვიცი შენი სამაგიერო პატივისცემა. ისეთ განიერ მუხის ჩრდილს გიშოვნის, რომ მეფესავით წა-

მოწვე. (ამბობარებს) ზაფხულში ჩრდილს რა სჯობია, ოჰ, რა მადანზე მოხვალ! მაშინ ნახე ჩემი მასპინძლობა,—ჩიტის რძე რაა, იმას არ მოგაკლებ.

მეწისქვილე—(შეფიქრდება) რა ვიცი, ახლა შენ არ იყავი... ისე ავარდი, რომ...

ნაცარქექია—რა ვუყოთ, კაცი ხან ავარდები, ხან დავარდები... და... ბოლოს... ეჰ, ადამიანის ბოლო უბედურია, სიკვდილი რომ გამახსენდება, სულ ქინკარივით გამბურძღლავს ტანში. ერთი ეს მითხარი, რაა კაცის სიცოცხლე?!

მეწისქვილე—არაფერი არაა, ქირის დღეზეა კაცი გაჩენილი.

ნაცარქექია—ჰო და, აბა, სიამტებილად მოვეუქციოთ ერთმანეთს ღრანქი. მეტი რაა ქართველი კაცის სიცოცხლე.

მეწისქვილე—ამას არ ამბობ უქკუოდ. (ხელს უფათურებს კერას) ოჰ, ცეცხლიც გვეფუშუტება.

ნაცარქექია—მაშ, ერთი, შენს გახარებას, წადი და შეშა შემოიტანე.

მეწისქვილე—ხომ იცი, წელი რომ მტკივა, შენ მოიტანე.

ნაცარქექია—ნელა ილაპარაკე. მეყინვაში გავალ? აქედან ახლა თოფითაც ვერ ამაგდებ. ხომ ხედავ, არ მცალია.

მეწისქვილე—რას აკეთებ? შეშის დაჩეხა გიჭირს და, ვითომ, მთების გათხრაზე ფიქრობ?

ნაცარქექია—სად შეშის დაჩეხა, შენ უტვინო, და სად მთების გათხრა, რას მელაპარაკები. ზე ხიდის იჯარასაც იმიტომ გავუშვი ხელი, რომ პატარა საქმე ქირივით მეზარება (აღშფოთებული) და ახლა შენ ისე ამიგდე, რომ შეშის-მჩეხელად მხდი?

მეწისქვილე—ეს რა გადავიკიდე, საში ნაცოლები კაცი ვარ და ამისთანა გაჭირვება არ დამდგომია. ქუჩიდან კაცი შემოვიხიზნე, ვიფიქრე, კედელ-ყურეს გამიცოცხლებს-მეთქი, ეს კი სულ მომხდურივით არის (აღშფოთებული) მორჩა და გათავდა, აწი შენი შემხიზნენელი არა ვარ.

ნაცარქექია—ქკუაზე მოდი, ეს კერა არ გამიცვივო, თორემ... (მუშტს მიუღვრს)

მეწიქვილე—რას მემუქრები?

ნაცარქექია—სულს ამოგაცი, თუთაბერი ვარ, სულძაღლი.

მეწიქვილე—ბიკო, ხელი დასწიე!

ნაცარქექია—ყვარყვარე ვარ, ყვარყვარე! ძველებური ვაჟკაცის სახელი მქვია. ასე გავადენ ბღღვირს აქაურობას. (სცემს ჯონს ნაცარში)

მეწიქვილე—(აღშფოთებული). ეს რა ბული დამიყენე! (მიდის კარებისკენ) ჩემს წიქვილში მე არ მეცხოვრება. (გააღებს კარებს და ნახევრად გარქდან აწვდის ხმას) მართალი მითხრა გულთამზემ, ვინმე მაწანწალა არ შეიხიზნო წიქვილშიო. ნამდვილად გულთმისანია ის ჩემი გოგო. დღეს უნდა მოვიდეს და ვეტყვი, რაც შენგან შავ ღღეში ვარ.

ნაცარქექია—რაო, დღეს მოვა შენი ქალიშვილი? (მღელვარედ) მერე, მაგ კარებში, კაცო, თავს რად იციეებ? შემოდი, არ გრცხვენია, ავად რომ გახდე?!

მეწიქვილე—არა, უნდა წავიდე. გაიგოს რა ცეცხლში ვარ.

ნაცარქექია—(თავისთვის) ოჰ, რა ბებერი ძაღლია. (მივა კარებთან და ეძახის) მასპინძელო, მოდი, იმ წმინდა კვირიკეს ხატს გაფიცებ, გუშინ რომ ამბობდი, სასწაულმომქმედიო...

მეწიქვილე—(ყოყმანით მობრუნდება) ჩვენი შერიგება რაც უნდა ხატზე დამაფიცო, არ მოხერხდება.

ნაცარქექია—შენ პირდაპირ ნაწილად დასარიგებელი კაცი ხარ... ჩამოჯექი ერთი, იმ ქალის ამბავი მომიყევი.

მეწიქვილე—აბა, უპატრონო გგონივარ?

ნაცარქექია—დღეს უნდა მოვიდეს?

მეწიქვილე—როცა ბარზედ მუშაობამ გამტეხა, იჯარით ეს დოლაბი ამაღებინა.

ნაცარქექია—მან გაშოვნინა ეს წიქვილი?

მეწიქვილე—კჟუიანი ქალია ჩემი გულთამზე. სახიერიც კარგი დადგა. მოწყალე დებში იმისთანა მეორე ვერ მოგართვეს.

ნაცარქექია—ეს სიტყვები შენი ენიდან პირდაპირ თაფლივით მეწვეთება გულში.

მეწისქვილე—ყველა მაღლიერი ჰყავს სიკეთისთვის.

ნაცარქექია—ალბათ, სახეც ნახატივით ექნება, ა?

მეწისქვილე—არ ვიცი, შენ და ის როგორ მორიდდებით. მე, ერთხელაც შენი ამბავი რომ მოვუყევი, ასე მითხრა: წისქვილიდან გააგდო, იქ რომ მოვალ, არ დამხვდესო.

ნაცარქექია—არ დამხვდესო? (გაახხლდება) ის შენი გულ-თამაზე, როგორც ვატყობ, ხრონჩებიანია, ცხვირი იმას წეროსავით ექნება.

მეწისქვილე—ბოლოს კი, ღვთის წინაშე, როდესაც ავუხსენი, არსად ბინა არა აქვს-მეთქი, კიდევ შეებრალე,—იყო-სო.

ნაცარქექია—შევებრალე? იცის კაცის შებრალება?!!

მეწისქვილე—მაშ რა იქნება? როცა ქალი ომში და ტყვიაში მიდის დაქრილების მოსაველელად, ალბათ, გულმოწყალეა.

ნაცარქექია—(სასობით) ძალიან გულმოწყალეა! იმ ლამაზ სახეზე კბილები მარგალიტივით ექნება ჩაჩხრიალებული. (შემოდიან კაკუტა და ქუჩარა—სანგრის მთხრელი მუშები)

ქუჩარა—ბიჭო, კაკუტა! აქ რა სიტბოა, ა? ხომ ხედავ, ჩვენი ნაცარქექია სულ კარგ ყოფაშია.

კაკუტა—(მოიკუთვება) ეგება აქ, ჩემო ქუჩარა, სადმე პურის ნატეხი ვიშოვოთ სულის ჩასაბრუნებლად.

მეწისქვილე—რა ქარმა გადმოგაგდოთ, გამარჯობა მაინც გვითხარით!!!

კაკუტა—თავიც რო დაგვავეიწყდა?!

ნაცარქექია—რა დაგემართათ, თქვე გლახაკებო? ასე უნდა იწანწალოთ, უთაურებო? თქვენი კაცად გახდომა ვერასლოდეს რომ ვერ მოვახერხე!! აფსუს, თქვენ ჩემი მეზობლები იყოთ, სწორედ მერცხვინება.

ქუჩარა—იმ შეჩვენებულმა მოიჯარადრემ ჯარისთვის სანგრები გვათხრეინა, ასე თქვა, ფულს აიღებთო... და სოფელში სახლს დაიდგამთო... მაგრამ თათრის ყუმბარები სულ ხეს და მიწას რომ გლეჯენ, სამუშაოზე რა გაგაჩერებს!!!

კაკუტა—ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია და მე და ქუჩარამ ნიჩ-

ბები მივაგდეთ თხრილში და რო ვიბრუნეთ პირი, სულ დათვებივით მოვძუნძულობდით. რას ვიზამთ, კაცნი ვართ. ქუჩარა — ყურებთან რო ტყეები აზუზუნდა, ვიფიქრე: ნაცარქექიამ...

ნაცარქექია — (გააწყვეტინებს) ვინ არის ნაცარქექია? მაგ სახელის შემთქმელი თუ მოვიგდე ხელში!..

ქუჩარა — არა, ყვარყვარე თუთაბერმა-მეთქი. ჰო, ასე ვიფიქრე, ჰკუა მოიხმარა და იჯარაზე ხელი აიღო-მეთქი. (შარვალზე ანახებს ღიმილით) აგერ ტყვიამ ხორციც გამიწვა, (თითის თავს ახმანებს) ამოდენაა ის ოხერი და სულს კი ამოგაცლის.

ნაცარქექია — მე ჰკუით ვცხოვრობ.

კაკუტა — ისეთ უბედურ სამუშაოზედ მიგვაყენა მოიჯარადრემ, რომე მე და ქუჩარას ხელისგული აბედივით გავვიხდა, ფული კი სადაა!... რამდენია ჩვენი ფული, ქუჩარა, საგზლად გვეყოფა?

ქუჩარა — ერთი კიდევ დავთვალათ. (კაკუტა და ქუჩარა დაყუჩდებიან და ფულს ითვლიან)

კაკუტა — კიდევ დავთვალათ.

ქუჩარა — თუ გინდა, დავთვალათ, მაგრამ... (შეჩერდება) ეს არის რა... ათასჯერ რომ დავთვალათ, ეს არის. კიდევ კარგი, ბედი გვეწვია, თორემ... ეს რომ არ გვეშოვა... (მიუთითებს შეხვეულზე)

კაკუტა — ჰო, ეს რომ არ გვეშოვა, ჩვენი უცოდვესი ძალლი არ იქნებოდა.

ქუჩარა — მაინც გაქრა ჩვენმა ილბალმა.

კაკუტა — გაქრა, პირდაპირ გაქრა.

ნაცარქექია — რა იშოვეთ?

ქუჩარა — (კაკუტას) ნუ ეტყვი, დამალე. (კაკუტა მაღავს შეხვეულს. ნაცარქექიას) არაფერია, აგერ, სადაცა, ერთ მკვდარს წავაწყდით.

ნაცარქექია — მკვდარს წააწყდით? მკვდრები კიდე მკვდარს წააწყდით?!

ქუჩარა — საქმეც ეს არის, მკვდარი იყო და მიტომ გავცარ-

- ცვეთ, თორემ, ცოცხალი რას გაგატანს. (კაკუტას) არ ანახო, მოიტა, მე დაეიქერ. (გამოართმევს შეხვეულს).
- მეწი სქვილე — ეჰ, მკვდარი გაცარცვეთ? ღმერთო, შენ შემეწიე! როგორ გაფუქდა ხალხი, მარტო ამის გოგონება წაწყმენდს ქრისტიან კაცს.
- კაკუტა — ჩვენი რჯულის არ იყო და...
- ქუჩარა — (კაკუტას) ო, არ წამოგცდეს. (კაკუტა დადუმდება) თათარი გავცარცვეთ.
- ნაცარქექია — მკვდარი თათარი სად ნახეთ, თქვე ბრმებო?
- ქუჩარა — იმ სანგრებიდან რომ გამოვიქეციოთ, აურზაურში, მხარი გვეცვალა და სხვა ხევში შევსულვართ. მერე, ვხედავთ, აგერ, ჩვენ წინ, თათარი გაშოტილა, ერთ გულზე კიდევ შევშინდით, მაგრამ ვხედავთ, მკვდარია და ძვირფასად აცვია... მერე კაკუტამ ვერ მოითმინა და...
- კაკუტა — ქუჩარამაც ვერ მოითმინა.
- ქუჩარა — ცოცხალი კაცის მოკვლისთვის ჯვარს აძლევენ, და ჩვენ...
- მეწი სქვილე — წაწყდებით, თქვე საწყლებო.
- ნაცარქექია — მანახეთ ერთი, რა აგიღლეტიათ.
- ქუჩარა — (გაშლის თურქულ ძვირფას სამოსელს) ო, რა თვალსანახავია!
- კაკუტა — ო, რა ჩასირმულია!
- ქუჩარა — ხომ ფასად გაიყიდება.
- ნაცარქექია — (სინჯავს ხელში) ვისაც ვაქრობის შნო აქვს, კი გაყიდის. — ამას მე გაეყიდი. (მხარზე გადაიდებს) თქვენ ხომ მაინც ტყვილად დაკარგავთ.
- ქუჩარა — (ხელს სტაცებს სამოსელს) ხელი გაუშვი.
- ნაცარქექია — (არ უშვებს ხელს) დამანებეთ, თორემ, თუ სისხლი ამიფარდა თავში, ხომ იცით, რას გიზამთ.
- ქუჩარა და კაკუტა — (გაუშვებენ ხელს) შენით მოგვეცი, ჩქარა მოგვეცი.
- ქუჩარა — სულერთია, არ მოგეშვებით.
- ნაცარქექია — (მუჟარით) ჩვენს სოფელში ერთხელ ხელით რომ ხე მოვთხარე, არ გახსოვთ?

ქუჩარა — არ ვიცი.

ნაცარქექია — გზაში რომ დიდი ლოდრი მოვხეტქე და მთიდან გრიალ-გრიალით დავაგორე, ის ხომ თქვენი თვალით ნახეთ!

კაკუტა — როდის ვნახეთ?

ქუჩარა — (ნაცარქექიას) ამ ნასისხლარს თუ მოგვცემ, ყველას ისე ვეტყვი, რომ მართალია-თქვა.

კაკუტა — სულ ბატონო ყვარყვარეს დავიძახებო. სხვამ რომ გაგინოს, ჩვენ არ გავერევი.

მეწისქვილე — დაუბრუნე, კაცო, მათი ნაცოდვილევი, მთელს ქვეყანაში გაგლანძღავენ, რად გინდა?!

ნაცარქექია — (დაშოშმინდება) მე, რასაკვირველია, ფულს სახელი მირჩენია.

კაკუტა — (ქუჩარას) დაშოშმინდა.

ნაცარქექია — გული არ მომაყვანიოთ, იცოდეთ, არ გამაბრაზოთ... თორემ, ფეხებში რომ მოგკიდებთ ხელს, თავებით მიგაწყვეტთ იმ წისქვილის ქვებზე.

ქუჩარა — ცხრა მთას იქით მეზობელს შეგეყარეთ და აქ გაწყენინებთ?

ნაცარქექია — მე იმნაირი ხასიათის ვარ, ხანდახან კაცო თუ არ მოვკალი ავად ვხდები.

ქუჩარა — კი... ასეა...

კაკუტა — ახლა, მოგვეცი ბარემ.

ნაცარქექია — მაშ, თუ გინდათ ეს მიიღოთ, შეშა დამიჩეხეთ.

კაკუტა — დავჩეხოთ.

ნაცარქექია — აი, იქ, შემოსავალში, რომ ბოძია, დაჭერით და შემოიტანეთ. ამ საწყალი მოხუცის ხათრით გეუბნებით.

ქუჩარა — იმოდენა ძელი? (კაკუტას) დავაპოთ.

კაკუტა — სულ მარილივით დავფშენით... (აპირებენ წასვლას).

ნაცარქექია — დაიცათ, ჯერ ეს ჯირკი მოაგორეთ ამ კერიასთან.

კაკუტა — (შუბად აიღებს და დაადებს დიდ ჯირკს კერიასთან) კი... დევ ათი რო იყოს, რა არის..

ქუჩარა —ახლა—იქ. (აპირებენ წასვლას)

ნაცარქექია —ეს რა გიქნიათ! (ჯირკზე უთითებს კაკუტას) შევირო, ა, დასალუპავად დაგასაქმეთ?

კაკუტა —(დაბნეულად უხურებს ჯირკს) ის ვქენი, რომ მითხარი. ნაცარქექია —(ანჩხლად) რა გიქნია, მკვდარო, ა? შეიძლება ჯირკის ასე შემოდება კერიაზე?

კაკუტა —შევაბრუნო? (ასწორებს ჯირკს) ასე?

ნაცარქექია —ახლა—გარეთ (კაკუტა და ქუჩარა ხელებს წაიკაპიწებენ და მიდიან) მაგათ ჰგონიათ, ერთი ბოძის დაჩეხისათვის დაეუბრუნებ ამ ტანისამოსს.

მეწისქვილე —როგორ, კიდევი პირს უტებ?

ნაცარქექია —სულ ვამუშავებ და მომეშვებიან, აბა რას იზამენ.

მეწისქვილე —(წყენით) იმე!...

ნაცარქექია —თვალო სულ კარებისაკენ მაქვს, რად არ გამოჩნდა, აღარ მოდის?

მეწისქვილე —ვინ?

ნაცარქექია —შენი სანაქებო ქალი, ის... გულმოწყალე.

მეწისქვილე —გულთამზე?

ნაცარქექია —(გმყოფილად) ეჰ, რა დაგირქმევია—ქალისათვის პირველი საქმე სახელია.

მეწისქვილე —ცუდად დამირქმევია, რას იტყვი?

ნაცარქექია —თამარ მეფეს ეკადრება—ისეთი სახელია (დუმილია, ქეპავს ნაცარს)

მეწისქვილე —რომ თქვას კაცმა, კარგი მუშებია, ეს კაკუტა და ქუჩარა, ხომ გესმის, როგორ მარჯვედ ქრიან.

ნაცარქექია —(ქეპავს ნაცარს, თავს არ იღებს) დამაცადე.

მეწისქვილე —(დუმილის შემდეგ) სწორედ საქები მუშებია, ოღონდ ბევრს თუ არ ანაფოტებენ იმ ნაჯახით.

ნაცარქექია —(თავს არ იღებს) ნუ მიშლი ...

მეწისქვილე —რას უნდა გიშლიდე...(აკვირდება ნაცარში) ეს რა მოგიქარგავს?!

ნაცარქექია —(დუმილის შემდეგ) სასახლე, გალავანი, ბალები... ვერ ხედავ?! აი, აქ შეხედე, აქ სულ კიბებია.

მეწიისქვილე — სად?
 ნაცარქექია — ეს არის მარმარილოს კიბე. აქედან შემობრ-
 ძანდება შენი ქალიშვილი. აქ, ამ განიერ დარბაზში, გვრი-
 ტივით მოგოგმანდება და მერე აქ ნესვივით გაგორდება.
 მეწიისქვილე — სად, ამ ნაცარში?
 ნაცარქექია — ნაცარი კი არა, ეს ჩემი სასახლეა.
 მეწიისქვილე — ეს?
 ნაცარქექია — რომ ვერ გაეგებე ამ კაცს, რა არის გეგ-
 მა?! იცი, რა არის გეგმა?
 მეწიისქვილე — მე, რაც გლებკაცს შეეფერება, ვიცი.
 ნაცარქექია — იცი, რა არის კაპიტალისტი?
 მეწიისქვილე — რა უნდა იყოს, ვთქვათ...
 ნაცარქექია — კაპიტალისტი — ფულია. იცი, რა არის სო-
 ციალისტი?
 მეწიისქვილე — ჰო...
 ნაცარქექია — ბებერო, შენ აწი ხომ მალე დაგელევა სი-
 ცოცხლე, აბა რა, — წელსაც ვერ აბრუნებ.
 მეწიისქვილე — ეს ასეა, რას იზამ?
 ნაცარქექია — სოციალისტი ამბობს, რომ საიქიოს ვერ ნა-
 ხავო.
 მეწიისქვილე — რატომ ვერ ვნახავ?
 ნაცარქექია — რატომ! შენ იცი, ღმერთი რომ არ არის ა?
 მეწიისქვილე — (აღშფოთებულად) იმე! (თოფის ხმა)
 ნაცარქექია — (შემკრთალი) რა ამბავია?
 მეწიისქვილე — რისხვა არ იყოს, პირჯვარი მაინც დაიწერე
 შე წაწყმენდილო! (კაპუტა და ქუჩარა კარებში შემოყოფენ თავს)
 კაპუტა — ქუჩარა — (ერთად) გესმით?
 მეწიისქვილე — (უბად წამოდგება) რა ამბავია, ბიჭებო?
 ქუჩარა — ვითომ, თათრის ჯარი შემოიქრა, ისეთი ბრძოლაა.
 კაპუტა — აგერ ქალი და კაცი მორბის.
 მეწიისქვილე — სწორედ უბედურდება.
 კაპუტა — ხედავთ ქალი და კაცი აქეთ რომ მოძუნძუნობს?!.
 ქუჩარა — (კაპუტას) ჩვენც მოეუსვებათ, რალას ვუცდიდით.
 მეწიისქვილე — (კარებთან) თავს უშველეთ! (მეწიისქვილე, კაპუტა
 და ქუჩარა გარბიან)

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — (აპირებს გაქცევას. ჩაიკეცება და წამოდგება. მიიღბენს კარებთან) გარეთ ტყვია რომ მომხედეს?! (შიშით დააყურებს) ფეხის ხმა მესმის (შუბალ დააკვირდება თავის მხარზე გადაკიდებულ თურქულ სამოსელს და ხელს ჩააფლებს) ჰა, ეს ხომ მიშველის ახლა! (იცვამს ტანისამოსს და თან უკან დაიხვეს) ახლა თათარი თათარს ხომ არ მოკლავს... მათი ენა რომ არ ვიცე?! აა, მუნჯი ვარ, ვითომ მუნჯი ვარ... მუნჯური ხომ ყველა ენაზე ერთნაირია (მოისმის ფეხის ხმა) მოდიან, მოდიან...და ახლა რომ არ მომკლან, სწორედ ძაღლის იღბალია საჭირო!.. (ნაცარქექია იმალება. წისქვილში შემოდინა გულთამზე და სევასტი)

ს ე ვ ა ს ტ ი — (უზგრეტს კარებში). ჩაიარეს, სხვა კვალმა გაიტყუა!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — დაჭრილი არა ხარ?

ს ე ვ ა ს ტ ი — არა.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — პროკლამაციები ცეცხლში ჩაყარე, აგერ ცეცხლი.

ს ე ვ ა ს ტ ი — არ დამარჩა.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — (მიმოიხედავს) ნეტა, სად გაქრა მამაჩემი, რა მოუვიდა?.. (ჩამოიღებს კედლიდან მეწისქვილის ტანისამოსს) აი, გადასაცმელი.

ს ე ვ ა ს ტ ი — (ათვალიერებს და იცვამს) ისეთია, ჩემს გაჭირვებას რომ მოუხდება!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ბედს ვუმაღლოდეთ, თუ გადავურჩით... სამხედრო ფორმის მითვისება და ჯარში პროპაგანდა. — რომ მოგვწეოდნენ, ხომ დავიღუპებოდით!

ს ე ვ ა ს ტ ი — ხანდახან გმირობაც მარტო ესაა — არ ფიქრობ, რა მოგელის.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — აწი მაინც ვერ გაიქაქანებ ამ არემარეზე.

ს ე ვ ა ს ტ ი — ფრონტი დიდია. სადაც წავალ, ყველგან ვიპოვი თანაგრძნობას.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — მე რომ აქ ვარ სამსახურით დაბმული?

ს ე ვ ა ს ტ ი — მერე რა მოხდა, მაგ დაბრკოლებას განა ვერ გადავლახავთ!

გ უ ლ თ ა მ ზ ე — როგორ არა, მე ისე ვამბობ, თორემ... ჩვენ ერთმანეთს ისე შევეთვისეთ, სიკვდილის მეტი, არ ვიცე, რა გაგვთიშავს.

სევასტი—ჩვენ ისეთი გზა ავირჩიეთ, ყოველ ნაბიჯზე გველოდება რამე ხიფათი, ამიტომ უნდა შევერვიოთ განსაცდელს და მუდამ გულგრილად უნდა შევხედეთ (უპკრეტს კარებში) ეჭვ, გამოჩნდნენ!

გულთამზე—ისევ აქ ტრიალებენ?

სევასტი—ეს წისქვილი საიმედო არაა.

გულთამზე—მაშ?

სევასტი—სადმე ბუჩქებში შევძვრები და მერე, როდესაც დაღამდება, გავიპარები.

გულთამზე—(აძლევს ხელს ხელში) მერე—მე?.. მე სად შეგეყარო?

სევასტი—შეგატყობინებ... ახლა უნდა დაგემშვიდობო... როგორ მიყურებ? ნუ გეშინია. შენ გგონია, უკანასკნელად ვხვდებით ერთი მეორეს?.. რად კანკალებ?!

გულთამზე—სიცოცხლე! (შემოვხვევიან ერთმანეთს საკონცხლად).

ნაცარქექია—(თავა წამოაყუ) რა ხვევნა-აღერსია, ეე, რას შერებთ! (სევასტი და გულთამზე მოიხედავენ).

სევასტი—(გულთამზეს) აქ ოსმალო საიდან გაჩნდა?!

გულთამზე—(გაკვირვებული) არ ვიცი.

ნაცარქექია—აქეთკენ თათრები არ გადმოჰკრილან?

სევასტი—არა.

ნაცარქექია—(გამოდის) მაშ, რა იყო, ასე გულისგანსახეთქად რომ შემოვარდით? (გულთამზეს დააკვირდება) ოჰო, ოფოფი-ვით ქალია.

სევასტი—უკაცრავად, ბატონო.

ნაცარქექია—უკაცრავადო!

სევასტი—თუ შეგაწუხეთ, ბოდიშს ვიხდი.

ნაცარქექია—მესმის. (თავისთვის) ცხოვრების წესი მე ასე გამიგია, კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყევა, მოთხარე; მაგრამ, თუ მაგრადაა—გაქცევა მოასწარი, რომ არ გაგქილოს... (სევასტის) ბოდიშს იხდი?

სევასტი—მე მგონია, გითხარი.

ნაცარქექია—მერე, აქ სააღერსოდ რომ შემოხიზნულხარ, რა წესია? თქვენც კუთხე მოგინახავთ, რაღა! წყალი კი არა

- მაქვს ამ ძარღვებში, მეც ვაქცაციის სისხლი მაქვს. სულ არ
- მერიდები მამაკაცს?!
- სევეასტი—დამშვიდდი. (ამოიღებს უბიდან საპიროსს) თქვენ, პა-
პიროსს ხომ არ ინებებთ, მიირთვით?
- ნაცარქექია—კი... (გამოართმევს. თავისთვის) ეტყობა, ძალიან
მშიშარაა.
- სევეასტი—აჰ, თურმე, შესანიშნავი სანადირო ადგილებია.
- ნაცარქექია—ოო, მონადირეს ნანადირევი მე ძალიან მი-
ყვარს (გადახედავს გულთამზეს). ეს ოფოფი ვინ არის?
- სევეასტი—ეს გახლავთ ამ მეწისქვილის ქალი.
- ნაცარქექია—გულთამზე?
- გულთამზე—დიახ. (გაკვირვებით) თქვენ ვინ ბრძანდებით?
- ნაცარქექია—(უბბად) შენ ამის ცოლი ხომ არა ხარ?
- გულთამზე—არა.
- ნაცარქექია—(მღელვარედ) მაშ, რა იყო, ამან რომ გულში
ჩაგიხუტა?
- სევეასტი—ეს რა თქვენი საქმეა?
- ნაცარქექია—უჰ, რა ქალს აფუჭებს!
- გულთამზე—ძალიან როშავ, ვილაცა ხარ!
- ნაცარქექია—(გულთამზეს) შენ გაჩერდი შენთვის, (სევეასტის)
შენ ახლა ჩემთან გაქვს საქმე და, თუ ვაქცაცი ხარ, გამი-
მაგრდი.
- სევეასტი—(მოემზადება თავის დასაცავად) არ გაბედო, თორემ
ცუდ პასუხს გაგცემ.
- ნაცარქექია—(ძრწოლით) ეს კაცი ახლა შემომაკვდება, არ
გავუშევბ...
- გულთამზე—(შეშინებული გააღებს კარს) წავიდეთ.
- სევეასტი—ჰო, კარგი, გავშორდეთ ამ თავხედს.
- ნაცარქექია—(გულთამზეს) შენ აქ დარჩი (მოიგდებს მკლავით
გულთამზეს) იმას კი ნამდვილად დავგლეჯ... დავ... დავ...
მაგრამ თუ ბედი აქვს და გამასწროო რა...
- გულთამზე—რა აშეებული ნადირია!
- სევეასტი—(სასოწარკვეთილებით გაიწევეს ნაცარქექიაზე ნაცარქექია
მოულოდნელად გარბის და ეფარება ტომრებს).

გულთამზე—(იციან) როგორ უცბად მოიკურთა
ნაცარქექია—(კანკალებს) თუ ისეთი რამე მოვახერხე, რომ
 არ დამახრჩო, სწორედ მოსალოცი ვიქნები. (სევასტის) შე კა-
 ცო, ხელმწიფეები შერიგებულან და ჩვენ რა...
სევასტი—სულ მთლად უსუსურია.
ნაცარქექია—(სევასტის) ღონე კი მაქვს, მარა შენისთანა პა-
 ტიოსან კაცს თითი როგორ დავაკარო, კაცს ხელს როგორ
 შემოვარტყამ, სვინდისი გობქვეშ კი არ შემინახავს.
სევასტი—უტიფარია, ვილაცაა.
გულთამზე—ოო, ეს კაცი, ალბათ, ის არის, მამამ რომ
 მითხრა, (იციან) ნაცარქექია!..
სევასტი—რას ამბობ! (ნაცარქექიას) შენ ვინა ხარ?
ნაცარქექია—ყვარყვარე თუთაბერი..
გულთამზე—დიახ!
სევასტი და გულთამზე—(ერთად) ყვარყვარე თუთაბე-
 რი! (იციან. მთისძის თოფის შორეული ხმა. დააყურებენ).
გულთამზე—სიცილის დროც არა გიქაყს.
სევასტი—(იციან) ჰიტანოში წავალ, თორემ... მაგვიანდება.
გულთამზე—ჯერ გავიხედოთ, უცბებდად არავის შეეფე-
 თო. (სევასტი და გულთამზე მიდიან)
ნაცარქექია—ეე, რას იზამ! კიდევ არა უშავს, რა უშავს!—
 ვნის მასალით ქალთან კაცი პირს ყოველთვის მოიბან. ეს ვერ
 გამიგია, ხოგიერთი კაცი სირცხვილით მიწაში რომ ჩაძვრება,
 სირცხვილს რომ სკამ კაცი, თუ ვარჯხარ, მაშინ თავი უფრო
 მ-ლლა უნდა ასწიო. ასეა... (ქექავს ნაცარს) ახლა ისეთი რა-
 მე უნდა მოვიგონო, რომ მისი თეთრი პერანგი ხელში დავა-
 ჟურიალო... უჰ, რა ქალია! ცეცხლივით არ შემომენტო! რა
 დროს ნაცრის ქექვაა! (კრავს ფხვს ნაცარს) გათავდა, ყვარყვარე,
 შენთვის თბილი ნაცრის ქექვა. (წამოდგება) ერთხელ დავბა-
 დებულვარ და ერთხელ უნდა მოვკვდე! (ბრაზით მიდის კარებისა-
 კენ. შეჩერდება) კკუით, ყვარყვარე თუთაბერი, მართალია, ერთ-
 ხელ დაიბადე, მაგრამ... მეორეჯერ კი არ დაიბადები... მოით-
 შინე, დეხის ერთი გაკვრით ბურთი ლელოზე ეს გაუტა-

ნია. ოო, ასეა... (წელა გაჰყოფს თავს კარებში) ესენი კიდევ აჭარიან?! (დაღონებული შემოდინ სევასტი და გულთამზე).

გულთამზე—ხომ ხედავ, როგორ დაგეძებენ!

ნაცარქექია—შგონია, ვილაცას ემალებიან, ერთი გავიხედოო?! (კარს გააღებს)

სევასტი—(უკან გამოსწევს ხელით ნაცარქექიას) აქეთ!..

ნაცარქექია—(თავისთვის) აა, მთავრობას ემალება! ნეტა რის მომქმედია? რა გამეხარდება, თუ გააკოქეს. (სევასტის ხმამალა) ნუ გეშინია, მე ქურდს და ყაჩაღს არ გავწირავ.

სევასტი—მაგაზე ვერ გეტყვი მადლობას, მე არც ერთი არავარ.

ნაცარქექია—(თავისთვის) მაშ, ვინაა? სოციალისტი ხომ არ არის. (სევასტის) მე სოციალისტები უფრო მიყვარს, ისინი რომ ქადაგობენ, სწორედ ჩემი საქმეა. რომელ სახლშიც გინდა, შედი და მოირთხე მაკრად ფეხი, სმა-ჰამა სულ მუჭით იქნება. მე რომ მკითხონ, სოციალისტების სურათებს ეკლესიაში დაგვიდებდი, სულ წმინდანებივით წვალობენ ხალხისათვის, მეც ხალხისათვის ვწვალობ ამ ქვეყანაზე და, ჩემი არ იყოს, შენც სოციალისტი ხარ?

გულთამზე—(რომელიც მღელვარედ იცქირებოდა კიტანოში) უი, აქეთ მოდ-ან, რა ექნათ, კარს მოადგენ.

სევასტი—მაშ, როგორც ვხედავ, ვერ გავძვრები. (ურტყამენ გარედან კარებს)

ნაცარქექია—(ნეტარებით) გაება.

გულთამზე—ვინ ხართ?

ხმა გარედან—კარი გააღეთ!

გულთამზე—რა გნებაეთ?

ხმა გარედან—კანონის სახელით მოვითხოვთ, გაღეთ კარი!.. (გულთამზე კედელს მიეყუდება, გარედან ურტყამენ ხელს. კარი ჩამოვარდება, შემოდის ორი ოფიცერი. ჯარისკაცები დგანან კარებთან)

1-ლი ოფიცერი—(აღშფოთებით უთითებს ნაცარქექიაზე) ხედავ?

2-რე ოფიცერი (რევოლვერს უმიზნებს ნაცარქექიას) თქვენ დატუსაღებული ხართ.

ნაცარქექია—მევე?

გულთამზე—ვერ გავიგე, ვის ეძებთ?

1-ლი ოფიცერი—განა, ეს ოსმალოა?

გულთამაზე—არა, ეს ერთი საწყალი ნაცარქექიაა, მხოლოდ გადაცმულია, ბატონებო.

2-რე ოფიცერი—(1-ლ ოფიცერს) ოო, ეს ქალიც ადასტურებს, რომ გადაცმულია. (ოფიცრები იცინიან)

1-ლი ოფიცერი—ეს არის ფარულად მომუშავე რევოლუციონერი. ოთხი თვეა, რაც შტაბის საიდუმლო განყოფილება ეძებს, მაგრამ ისე სცოდნია გადაცმა, რომ ეშმაკს თვალს დაუყენებს.

სევასტი—(გულთამაზეს ჩუმად) თუ ნაცარქექიამ არ გამცა, გადავრჩები (ოფიცრებს) რას ლაპარაკობთ? ღმერთმა დასწყევლოს, თუ ეს ავი კაცია, სეინდისის მაინც არ რცხვენია?!

2-რე ოფიცერი—უჰ, რამდენი ხანია ამას ვეძებთ!

1-ლი ოფიცერი—ბოლოს მივაგენით, მაგრამ დილას აქეთ კი ვღევთ.

2-რე ოფიცერი—ოო, რაც ჩვენ გავსავათლით!

ნაცარქექია—(გაბრუებული) ეს რა შავი დღის გადარეულები მომადგნენ! (სასოწარკვეთილებით მოიხედავს, უეცრად შეაჩერებს თვალს სევასტის). ააა, მივხვდი...

2-რე ოფიცერი—(ცეცხლისკენ) ქარყინვამ ლამის სახე სულ დამითუთქა.

1-ლი ოფიცერი—არაყმაც ვერ გვიპატივა, იმ პირსაცეცხლემ. (ოფიცრები ცეცხლს ეთობიან)

ნაცარქექია—ძლივს არ მივხვდი! ბატონო ოფიცრებო, თქვენ რომ ეძებთ, ის კაცი...

ოფიცრები—(რევოლვერებით ემუქრებიან) ხმა გაკმინდე!

გულთამაზე—(დაადებს ტუჩზე ხელს) არ წამოგცდეს.

ნაცარქექია (იშორებს გულთამაზეს) თუ მომკლავენ?

გულთამაზე—(ეჩურჩულება აღერსით) ხვალვე გაიგებენ ვინცა ხარ და გაგიშვებენ (ხელით ვალერსება). გემუდარები, არ დავგლუპო!

ნაცარქექია—(აღვლევებული გულთამაზეს აღერსით) რას მთხოვ, შე გვრიტო, ცეცხლმოკიდებულო. (ხევეს ხელეხს)

გულთამაზე—გაჰყევი, ხმა არ ამოიღო!

ნაცარქექია—სად წავიდე? (ჰოცნის).

გულთამზე—(ზიზლით) ნუ იმტლუშნები. (ოფიცრებმა განკარგულ-
ლება გასცეს კარებთან და პირი მოიბრუნეს)

ოფიცრები—(ნაცარქექიას) აიბარგე.

ნაცარქექია—ჰე კა არა, ის კაცი, ეგერ...

გულთამზე—(მუდარიტ) წადი (ელერსება) წადი...

ნაცარქექია—(ოფიცრებს) არა, ვისაც თქვენ ეძებთ...

გულთამზე—(ტუჩზე ხელს დაადებს, ნაცარქექია ჰოცნის).

1-ლი ოფიცერი—აკოცე?

2-რე ოფიცერი—ეს რა გულჩვილობაა! (კულთანხეს) თქვენ
თანაუგრძნობთ?

გულთამზე—(ტუჩზე ხელს დაადებს ნაცარქექიას და თან უპასუზებ-
ოფიცრებს). არა, მე ვემუდარები ყუმბარა არ გაისროლოს...
დაგნებდეთ. ხომ ხედავთ, როგორ ვკანკალებ. მე მშინშარა
ქალი ვარ...

ოფიცრები—(უა დაიხვეწენ) რაო, ყუმბარაო!—ისეთი ალყაა,
ჩიტი ვერ გაფრინდება. (მიდიან კარებში და იძახიან) მარჯვედ
ბიჭებო, ყუმბარები ჰქონია, მოემზადეთ, ეცადეთ კი მაინც
ცოცხლად წამოიკვანოთ! (მიდიან)

ნაცარქექია—გამიგონეთ, ბატონო ოფიცრებო. (სევასტის)
ჩქარა გაჰყვი, შე პირუტყვო, შენი გულისთვის არ დაგვ-
წყვიტონ. (გულთამზე) მოდი, ერთი აქ ჩამოჯექი. (ცდილობს
შუბლზე დაიჯიხოს გულთამზე)

სევასტი—კმარა! ამ დამცარებას სიკვდილი მირჩვენია!
(გადაწყვეტილად). წადი, ვერაგო, და გამაცხადე.

გულთამზე—(სევასტის) გიჟო, შენ ხომ იცი, რომ საღრჩობუ-
ლა არ აგშორდება. (მიუჯდება ნაცარქექიას და ელაპარაკება თანა-
გრძნობის კილოთი) იცი, შენ რა მოგელის ეს რომ გასცე?

ნაცარქექია—კი, ხახვს გადამაქრიან.

გულთამზე—რევოლუციონერები მოგკლავენ, ეს არ იცი?

ნაცარქექია—(აწრიალდება) ეჰე, ვაი უბედურებას.

გულთამზე—შპიონს დაგარქმევენ და იმდღესვე ტყვიით
გაგაცივებენ.

ნაცარქექია—მართლა მომკლავენ ის წყეულები. (წამოადგება)
აშას რა კირს გადავეკიდე.

გულთამზე—ახლა გაჰყევი, ხმა არ დასძრა. იქ კი თქვი შენი ვინაობა და გაგიშვებენ. რა გიჭირს—უდანაშაულო კაცი ხარ.

ნაცარქექია—ჰოდა, იცოდე, კარგი ბუმბული დამახვედრე. მე მაგის ტყავის გადასარჩენად რა თავს ვიტკენ!.. ფეხს ტყუილად არ დავისველებ, გაიხედე ერთი რა თოვლ-ქყაპია.

გულთამზე—ყელამდე პატივში იქნები, როცა მოხვალ.

ნაცარქექია—კიდევაც შევიშნობ. თქვენი ამბავი ხომ გავიგე, (მოკუმშავს მუკს) აწი ასე მეყოლებით გამოქერილი და ერთმანეთს არ მიგაკარებთ. (ჯარისკაცები მოღერებულნი ხიშტებით შემოდინან. აკეთებენ წრეს ნაცარქექიას გარშემო)

ოფიცრები—ცოცხლად წამოიყვანეთ, თუ დაგნებდათ.

ნაცარქექია—ჰო, არ მომკლათ, მართალი კაცი ვარ, არ დამლუპოთ.

ოფიცრები—მარჯვედ, ბიჭებო, მარჯვედ... (მიჰყავთ ნაცარქექია ჯარისკაცებს, ოფიცრებიც მიჰყვებიან)

გულთამზე—(ცხვირსახოცით იწმენდს ტუჩებს) ტფუ, რა ბილწად დამტლოშნა..

სევასტი—შენ ნამდვილი გმირი ხარ მოთმინებით.

გულთამზე—შენ ამ წუთში მღევრები არ გყავს, შორს წავიდეთ.

სევასტი—შენც?

გულთამზე—მეც მოვდივარ.

მოქმედება მეორე

არმიის შტაბის საიდუმლო განყოფილება. საწერ მაგიდასთან ხის ადიუტანტი. ცოტა მოშორებით, მეორე მაგიდასთან, ხის დაბალი ჩინის მწერალი.

მწერალი—(წერს. რამდენჯერმე გაუბედავად წამოდგება, ბოლოს სასოწარკვეთილებით მიდის ადიუტანტთან) თქვენო... კე... კე... კეთილშობილებაჲ, პოლკოვნიკის წარწერა... და ეს... ვერ ამოვიკითხე.

ადიუტანტი—მერე მე ახლა შენთვის მცალია? (დაკეცავს ქალღს და ჯიბეში ჩაიწყობს ხელეზს) ხომ გაიგონე, არ მცალია (მწერალი დაბრუნდება თავის მაგიდასთან და ცდილობს ამოვიკითხოს) და ასეთ წერა-კითხვის უკოდინარს გზავნიან შტაბის საიდუმლო განყოფილებაში მწერლად. (აფურთხებს) ტფუ, შენ უნდა ეგდო პირველი ხაზის სანგრებში და არა კანკელარიაში.

მწერალი—(ტუჩები ზჳანკალებს) ფრიად გაურკვეველია.

ადიუტანტი—შენთვის ყველაფერი გაურკვეველია, შე უტვინო. ხატზე დავიფიცებ, რომ შენ სტუდენტი არა ხარ. აკი მითხრა პახომამ, ყალბი დოკუმენტით შევიდა უნივერსიტეტშიო.

მწერალი—პახომამ, თქვენი ერთგული რომ ვარ, იმისთვის ამითვალისწუნა, თქვენო კეთილშობილებაჲ. (ფლიქვინით) რა ვქნა, რად მიწყრებით?!

ადიუტანტი—უყურე ამ კატის ჯიშს, როგორ შემაბრალა თავი. მოდი, პო, მოდი!..

მწერალი — (უბად წამოვარდება და მიდის ქალაღდით. ჩურჩულებს)
ადიუტანტი — ეს რა ოქმია, წისქვილში რომ რევოლუციონერი დაატუსაღეს? რა ვერ ამოიკითხე?

მწერალი — (უთითებს) აი, ეს წარწერა, თქვენო კე... კეთილშობილებავ.

ადიუტანტი — (კითხულობს, ეტყობა ვერ ამოიკითხა) რა გაქანებულია, რა... ეშმაკიც ვერ გაარჩევს. (მიუღდებს უკანვე. ხურავს თავის ქალაღდებს, თითქოს მალავს) შე ძაღლის გაჩენილო, ამ ფრიად საიდუმლო ქალაღდებში ნუ იყურები. ხანდახან რევოლუციონერიც კი მგონიხარ, — რა ვიცი.

მწერალი — (დაჩაგრულად) მე — რევოლუციონერი?

ადიუტანტი — (აღშფოთებით) სტუდენტი ხომ ხარ?!

მწერალი — კეთილსაიმედოდ მიცნობენ. წმინდა მიხეილის ჯგუფში ვითვლები, თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი — ვირი ხარ. მორიდება არა გაქვს, ყველაფერს მიკითხები.

მწერალი — სადაცაა პოდპოლკოვნიკი შეპოვა, თქვენო კე... კეთშობავ, თუ ასლი არ დახვდა, მერე...

ადიუტანტი — მერე, ამისათვის მეც ხომ მიმაცოლებს. ამ საქმის გამოძიება მას მიანდვის?

მწერალი — დიახ, ეგრე, თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი — მაშ, რიგიანად გადასწერე.

მწერალი — (ფლიქვინით) რა ვქნა, თუ გაბრაზდა, სანგრებში მიკრავს თავს.

ადიუტანტი — ნუ ფლიქვინებ. (ფეხებს დაურტყამს) ყველაფერი შენი ბრალია! (შემოდის გენერალი და პოლკოვნიკი).

გენერალი — ის დიდი ამბები ვის არ ახსოვს. ჩვენს შტაბში ბრძოლა ყველას წაგებული ეგონა... და, ასეთ დაბნეულობაში, ძე მოულოდნელად მოვიპოვე ბრწყინვალე გამარჯვება.

პოლკოვნიკი — თქვენო მაღალღმადმობულებავ, სამხედრო ისტორიკოსები მრავალ ფურცლებზე გადაშლიან თქვენს საგმირო მოღვაწეობას და, ალბათ, იტყვიან, რომ ეს მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ.

გენერალი — ჩემი მტრები გამარჯვების შემდეგაც არ ცხრებიან, ახლა გაიძახიან, თითქო, მე დაუზოგავად ვეპყრობი. ცოცხალ ძალებს... თითქო, ძვირად მიჯდება გამარჯვება... მაგრამ იმათ პატრიოტიზმი ხომ არასოდეს არ ჰქონიათ — მხოლოდ შური ალაპარაკებთ.

პოლკოვნიკი — რასა ბრძანებთ?! თქვენი წყალობით არმიამ დიდი სახელი მოიხვეჭა, ცოცხალ ძალების დანაკლისიც უცბად შევავსეთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ!.. მხოლოდ ერთი გარემოება მაბრაზებს, როგორც ჩანს, ჩვენს არმიაში მაინე სოციალისტები დაძვრებიან.

გენერალი — ოჰო, მაშ თვალი ფხიზლად უნდა გვექიროს.

პოლკოვნიკი — ერთი ქვემძრომი დავატუსაღეთ.

გენერალი — რა დანაშაული აქვს?

პოლკოვნიკი — ომის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელება.

გენერალი — სად, ჯარში?

პოლკოვნიკი — დიახ, აქ, ფრონტზე.

გენერალი — ჩამოახჩვეთ.

პოლკოვნიკი — დიახ, რისაკვირველია. (ადიუტანტს) პოდპოლკოვნიკი იყო აქ? აწარმოებს გამოძიებას იმ სოციალისტზე. რომელიც წისქვილში დაიჭირეს?

ადიუტანტი — სწორედ ასე, ბატონო პოლკოვნიკო, გამოძიებას აწარმოებს.

გენერალი — (პოლკოვნიკს) ამ საღამოსვე შესდგეს საველე სასამართლო თქვენი თავმჯდომარეობით. ასეთმა დამნაშავეებმა სასჯელისაგან გამოძრომა იციან, მაგრამ ახლა მარჯვედ დახედით, თოკი არ ააცილოთ.

პოლკოვნიკი — ისეთი მამხილებელი საბუთებია, თქვენო მაღალაღმატებულებავ, რომ დამნაშავე, ალბად, ხმასაც ვერ აპოილებს. (ადიუტანტს) ტუსალს დაჰკითხა გამოძიებელმა? (ადიუტანტი და მწერალი ცახცახებენ)

ადიუტანტი — ჯერ არ დაუკითხავს, ბატონო პოლკოვნიკო (ტელეფონი რეკავს. ადიუტანტი აიღებს მილს და დააყურებს)

ადიუტანტი — (გენერალს) თქვენო მაღალაღმატებულებავ, პირადად გთხოვენ ტელეფონთან.

გენერალი—(ტელეფონში) ოო, წამოიყვანეთ? მოგლოცავთ, მოგილოცავთ... როდის წამოიყვანეთ? დაკრილი არ არის? ცბიერი ფაშა იყო. აცნობეთ თბილისს. (პოლკოვნიკს) ისრაფილ ფაშა დაუტყვევებიათ.

პოლკოვნიკი—(აღტაცებით) მოულოდნელი სიხარულია.

გენერალი—ჩემი კბილის მატლი ის იყო.

პოლკოვნიკი—უმალლესი ორდენი გერგებათ თქვენო მალალ-აღმატებულებავ.

გენერალი—არც თქვენ დარჩებით უნაწილოთ, ბატონო პოლკოვნიკო. სამწუხაროა, რომ გერმანიის ფრონტზე ასე არ მიდის ჩვენი საქმე. (გენერალი და პოლკოვნიკი მიდიან. ადიუტანტი და მწერალი თავისუფლად ამოისუნთქავენ)

ადიუტანტი—ეს დიდი კაცები რომ დამადგებიან თავზე, ისე ვიკარგები, ისე ვკანკალებ, თითქო, ეს არის ფეხი უნდა წამკრან და გამსრისონ.

მწერალი—მეც—რომ გადმომხედავენ, ვნატრობ მიწა გამისკდეს.

ადიუტანტი—შენ მასე შეგფერის. (მუქარით წამოდგება) ისევ რომ მელაპარაკება! მე შენი უფროსი ვარ, პირდაპირი უფროსი.

მწერალი—(აწურვით) სწორედ ასე, თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი—(აჯავრებს) თქვენო კეთილშობილებავ. ასე ხომ არ დამაბერებენ, წარმატებას ველი. შეიძლება ორი ჩინიერთად მივიღო, მაშინ როგორ მომმართავ? კეთილშობილებას მეტყვი?

მწერალი—მალაკეთილშობილებავ.

ადიუტანტი—ახლა?

მწერალი—თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი—მაშინ, აი, მაშინ? როცა ორ ჩინს მივიღებ?

მწერალი—თქვენო მალალკეთილშობილებავ.

ადიუტანტი—(ბრაზით) ახლა?

მწერალი—თქვენო კეთილშობილებავ.

ადიუტანტი—(აღშფოთებით) რატომ, ა? სადა გაქვს უფროსის დაფასება.

- მწერალი — (ფლიქვინით) რა წყალში გადაევარდე! (შემოდის ჯარისკაცი ხელში ქალაღდით. შეჩერდება და ღრმად ითქვამს სულს. ჯარისკაცი მიდის ადიუტანტის მაგიდასთან)
- ჯარისკაცი — (მღელვარედ) პეტროგრაღიდან აპარატზე დეპეშა მივიღეთ. (ღრმად სუნთქავს) ჩვენ გვეგონია, ფრიაღ საიღუმლოა... თუმცა, იქიდან ასეთი წარწერა ახლავს... ყველას, ყველას, ყველას!..
- ადიუტანტი — ჩამაბარე (უტყერის ჯარისკაცს)
- მწერალი — (ჯარისკაცს) შენ ქეშმარიტ რუსთა კავშირიდან მახსოვხარ. აი, თქვენო კეთილშობილებავ, ამანაც იცის როგორი კეთილსაიმედო ვარ.
- ჯარისკაცი — იცოდეთ, ქვეყანა სულ გადაბრუნებას აპირებს. ჰო, ჰო რა ამბავია!
- ადიუტანტი — რაო, რას მიედ-მოედები! შენ ჩვენი კავშირის წევრი ხარ?
- ჯარისკაცი — არა, რა ვიცი, მე ჩემთვისა ვარ...
- ადიუტანტი — მაშ, აპარატზე ვინ მიგიღო, თუ იქაც ებრავლი დაგვისვს!
- ჯარისკაცი — ახლა რა ვთქვა... ისეთი ამბავია რომ...
- ადიუტანტი — (აღშფოთებით) რაო, ეს რა პასუხებს მაძღვეს?!
ჯარისკაცი — (აძღვეს დეპეშას) წაიკითხე და ნახავ, რუ შენც ენა არ დაგებმება. (ჯარისკაცი სწრაფად გაბრუნდება. კარებში შეეფეთება გამომძიებელს, გვერდს აუვლის და მიდის. შემოდის გამომძიებელი — პოდპოლკოვნიკი. ადიუტანტს გადაუკითხავი დეპეშა ხელში შერჩება და წამოდგება საღამით. მწერალი ფეხზე გაშეშდება)
- გამომძიებელი — გამოიყვანეთ ტუსაღი. (მობღღეებს) მომეცით მასაღები. (ადიუტანტი და მწერალი უხერხულად გადახედავენ ერთმანეთს) ხომ გაამზადდეთ?
- მწერალი — (ცახცახით) მოგართმევთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.
- გამომძიებელი — ცქვიტად, ნუ გეძინებათ.
- მწერალი — (მიაკვს გამომძიებელთან საქმე) გამზადებულღია... მხოლოდ ერთი წინადაღდება...
- გამომძიებელი — (შღის ქაღაღდებს) რა წინადაღდება?

მწერალი—(ცახვებს) თქვენა მალა... კეთილ... შობ...
ლებავ...

გამომძიებელი—გაცივებს?

მწერალი—დიახ.

გამომძიებელი—(გაიცინებს) აი, შენ ძალის შვილო,
(მოხლეები პარტიისცემით ილიმებიან) აგერ ჩექმამ ფეხი დამ-
ქექკა, მაგრამ პანტურს ისე მოგცხებ ამ ფეხით, რომ ერთ-
საც არ დავიკენესებ (მოხლენი ისევ ილიმებიან)

ადიუტანტი—(ოთქო ალტაცებით) რა კარგ ხასიათზეა.

გამომძიებელი—(კარებში ეძახის) შენოიყვანეთ ტუსალი-
(ადიუტანტი იხედება დეპეშაში, სახეზე ეხატება გაკვირვება. შემოჰყავთ-
ნაცარქექია. გამომძიებელის ყურადღება უცბად ნაცარქექიაზე გადადის)

გამომძიებელი—(ნაცარქექიას აკვირდება) თავს ძალიან
ისაწყლებ, მაგრამ შენს სახეზე მაინც ვკითხულობ, რომ
სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა შეგიძლიან.

ნაცარქექია—ბატონო, რას ბრძანებთ, სულ ტყუილად
ამაგდეს კერიადან.

გამომძიებელი—როდის დაიწყეთ მუშაობა არსებულ წეს-
წყობილების წინააღმდეგ?

ნაცარქექია—მეე?! ვინ გგონივართ, ბატონო, დამაკვირდით-
ხელმწიფის ერთგულ კიცს მაგას მეუბნებით?

გამომძიებელი—კმარა. მოჰყევი აღსარება. იცოდე, რამ-
დენ მეტს დანაშაულს აღიარებ, იმდენად შეგიმსუბუქდება
სასჯელი. ჩამოღრჩობა დახვრეტად შეგეცვლება, ესეც საქმეა-

ნაცარქექია—ვაი, ამ შავ დღეს!..

ადიუტანტი—(დეპეშას კითხულობს და ხმამაღლა ამოიგმინებს)
ეს რა ამბავია დეპეშაში?!

გამომძიებელი—(აღშფოთებული მოხლეებისკენ) ხმა გაკმინ-
დეთ (ნაცარქექიას) აბა, ჯერ დამისახელეთ თქვენი თანამო-
საქმენი? დაიწყეთ, სულერთია, სიმართლე არ დაიმალება.

ნაცარქექია—აქ, ფანჯრიდან ორ მეზობელ გლეხს მოგკარო-
თვალი, გეტყვიან, ვინა ვარ, ტყუილად არ დამლუბოთ. ისე
მიყურებ, ბატონო, რომ... სულ მაკანკალებს, ეს რა მღუ-
ლარეში ვტყუე ფეხი.

ადიუტანტი—(მღელვარედ) ამ განყოფილების მოხელეები
მაინც შუა ცეცხლში ვართ.

გამომძიებელი—(ფეხებს აბაკუნებს) როგორ ბედავ?

ადიუტანტი—ჯერ ეს წაიკითხე და მაგ ფეხი შერე და-
მირტყი.

გამომძიებელი—რაო? კიდევ ენას მიბრუნებ? (მუქარით
მიუახლოვდება)

ადიუტანტი—(აცქერდება დეპეშას) ასეა... რევოლუციაა... დე-
პეშაა... მოდით.

გამომძიებელი—რევოლუციაა სად?

ადიუტანტი—არის, არის. (მწერალს რბილად) შენც მოიწი
აქეთ.

გამომძიებელი—(გაკვირვებული) ხომ არ გაგიკებულა?!
(გამოართმევს დეპეშას. კითხულობს) ნიკოლოზ მეორე გადადგა...
(ჩივიანად)

ადიუტანტი—(რბილად მწერალს) შენც წაიკითხე, მეგობარო.

გამომძიებელი—(გარკვეულად იშვრებს) უმადლესი ძალა-
უფლება... სახელმწიფო სათათბირო... აღმასრულებელი კო-
მიტეტი... (მღელვარედ მოხელეებს) თქვენ ხომ გესმით, რას
ვკითხულობ.

მწერალი—(გაბედა მისვლა და კიდევ კითხულობს) შედგა პეტრო-
გრადში მუშათა დეპუტატების საბჭო.

ადიუტანტი—ახლა ვრწმუნდები, რომ არაფერი არ მომ-
ჩვენებია.

გამომძიებელი—(განაგრძობს კითხვას) შედგა დროებითი
მთავრობა.

ადიუტანტი—(განაგრძობს კითხვას) ამიერ-კავკასიაში შეფის
შოადგილის ნაცვლად დაინიშნება რწმუნებული-ემისარი...

გამომძიებელი—რევოლუციაა.

მწერალი—მე, როგორც სტუდენტმა, თქვენ უნდა გითხრათ...

ადიუტანტი—(პატივისცემით) ჰო, ჰო, შენ იცი.—აღბათ.

მწერალი—ეს როვოლუციაა.

გამომძიებელი—რევოლუციაა.

ადიუტანტი—რევოლუციაა,

!

მწერალი—და, როგორც სტუდენტი, გეტყვით, რომ... ჩემი მატერიალისტური თვალსაზრისით რევოლუცია შლის ისტორიაში ახალ ფურცლებს.

ადიუტანტი—ჰო, ჰო, კიდევ, კიდევ რა იცი?

მწერალი—რევოლუცია სპობს მის მოწინააღმდეგე ატომებს.

ნაცარქექია—შიშით ისე ვარ გაბრუებული, რომ ყურთა სმენა დამეკარგა, ისინი ჩემ ჩამოხრჩობას ხომ არ ამზადებენ. განა არ მომხდარა ასეთი მაგალითი, რომ მართალი კაცი ეშმაკის კლანკში ჩაფარდნილა?!

გამომძიებელი—(ნაცარქექიასკენ მიბრუნდება და უკვე ნაცარქექიას წინაშე დგას, როგორც დამნაშავე. ადიუტანტი და მწერალი განაგრძობენ თავისთვის დევეშის კითხვას, ინტიმურად ეჩურჩულებიან ერთმანეთს)

გამომძიებელი—ბატონო რევოლუციონერო, თქვენ, ალბათ, დიდიხანია მუშაობდით ხალხის საკეთილდღეოდ შეფის მთავრობის წინააღმდეგ.

ნაცარქექია—ბატონო, არ დამლუპო.

გამომძიებელი—არა, ნუ გეფიქრება.

ნაცარქექია—სხვისი ცოდვა არ წამცხო.

გამომძიებელი—თქვენ სპეტაკი რევოლუციონერი ხართ, კარგად ვიცი.

ნაცარქექია—რას ბრძანებთ, ჩემისთანა მართალი ხეც არ არის. ტყუილად დადარში არ გამხვიო.

გამომძიებელი—ნუ, ნუ ლელავთ, დაბრძანდით. (ჯარისკაცებს) გადით აქედან, რა საჭიროა თოფიანი ყარაული, ადამიანია, მხეცი ხომ არ არის?! (ჯარისკაცები მიდიან)

ადიუტანტი—(ამოიღებს ყუთიდან ქალაღდება. მწერალს) ეს საბუთები თუ არ მოვსპეტ სულ, სულ, სულ დავილუპებით.

მწერალი—გუშინ რომ ცნობები შევადგინეთ?

ადიუტანტი—ოო, ის უსათუოდ მოგნახოთ. მაგრამ ჯერ ეს მოვსპოთ. (ადიუტანტი და მწერალი მიდიან ქალაღდებით)

გამომძიებელი—(ლაქუცით) თქვენი ყარაული მოვხსენით.

ნაცარქექია—ჯერ, ბატონო, გამიკითხეთ.

გამომძიებელი—შიილეთ ჩემგან აღსარება, რომ მე სული-სა და გულის სიღრმეში მუდამ დემოკრატი ვიყავი. და რო-

დესაც მეფე უმოწყალოდ სჯიდა რევოლუციონერებს, მწარე გულით ვტიროდი... მაგრამ ისეთი დრო იყო, რომ ცრემლს ვერ გამოაჩენდი.

ნაცარქექია—მეფის მოლაღატეები, ბატონო, მე ყოველთვის მძულდა, ტყუილად რატომ მცდით.

გამომძიებელი—არა, მუდამ თავგანწირული ყოფილხართ ხალხისათვის.

ნაცარქექია—ბატონო, რატომ მქრი ამ ყელს!

გამომძიებელი—თქვენი მოღვაწეობა ამ არმიის კარგად ვიცით.

ნაცარქექია—მე არა ვარ ის კაცი, გაიგონეთ.

გამომძიებელი—ის არა ხართ?

ნაცარქექია—ოო, მადლობა ღმერთს, გაგაგონეთ, ის კაცი მე არა ვარ.

გამომძიებელი—აა, მივხვდი. თქვენ ამ ხერხით გინდოდათ სასჯელი აგეცდინათ, რათა მეორედ შეგეწირათ თავი ქვეყნისთვის. ო, რა კეთილშობილებაა.

ნაცარქექია—მაშ, არაფერს არ დამიჯერებ?! (ძრწოლით) მახრჩობ მართალ კაცს?

გამომძიებელი—როგორ გეკადრებათ.— კაცს ჩამოვახრჩობ? ადამიანი ხომ ბუნების გვირგვინია.

ნაცარქექია—მერე მე კაცად მთვლი?!!

გამომძიებელი—ო, თქვენ ვერ ხედავთ თქვენს სიმაღლეს, თქვენ არ იცით სად მიგიყვანათ თქვენმა წმინდა ცხოვრებამ, სად, სად...

ნაცარქექია—სად?!

გამომძიებელი—მე მოვსულვარ თქვენთან იმ მტრედის მსგავსად, რომელმაც ნოეს კილობანში მშვიდობის ამბავი მიუტანა... ოლონდ, დაიმახსოვრეთ ჩემი მტრედობა და კალთა მაფარეთ თქვენს სასუფეველში.

ნაცარქექია—სასუფეველშიო, უსათუოდ მახრჩობენ.

გამომძიებელი—მე თქვენ გახარებთ ისეთ ამბავს, ისეთ ბედნიერებას, რომელზედაც თქვენ ოცნებობდით, რომლისთვისაც სულს ლევდით! მოემზადეთ დიდი სიხარული-სათვის.

- ნაცარქექია—რაო, რას ბრძანებ?
- გამომძიებელი—რევოლუცია მოხდა, მეფე ტახტიდან გადადგა და ღღეს ახალი მთავრობაა.
- ნაცარქექია—რევოლუცია მოხდა? (თავისთვის) რას ლაპარაკობს ეს კაცი?! (გამომძიებელს) მერე?
- გამომძიებელი—თქვენ იმდენი ღვაწლი მიგიძღვით, საფლავშიაც არ დაგივიწყებდნენ, თორემ, ცოცხალს, ხალხი თქვენზე მეტად ვის დაათასებს.
- ნაცარქექია—ეჰე! (თავს ასწევს) რევოლუცია მოხდა?
- გამომძიებელი—დიახ.
- ნაცარქექია—(ამაყად) მერე?
- გამომძიებელი—ქვეყანა გადაეცა თავგანწირულ რევოლუციონერებს.
- ნაცარქექია—მერე ჩემი თავგანწირვა?!
- გამომძიებელი—სულ დაგიფასდება.
- ნაცარქექია—(ღმერთებით) ამ ამბავს მიმალავდი?
- გამომძიებელი—აკი ვთქვი.
- ნაცარქექია—ენა იმდენი ათოხარიკე, სული კინალამ გამძვრა.
- გამომძიებელი—არა, მე მხოლოდ თქვენი ამაგი და თავისდადება მოვიგონე.
- ნაცარქექია—ჩემი ამოდენა თავის დადება და ამაგი ახლა წყალში გადაიყრება თუ, როგორ გგონია!
- გამომძიებელი—რას ბრძანებთ, თქვენ დიდი მოღვაწე ხართ. (ქალღმერთებს მიუთითებს) აქ, ამის შესახებ, საბუთებია.
- ნაცარქექია—აქ კიდევ რაა! (გადაუყრის საბუთებს) შენ გგონია ახლა მთელი ჩემი ცხოვრება ხელისგულზე გიწერია!
- გამომძიებელი—არა, მე რა ვიცი... ამ არმიაში რაც ჩაგიდენია, კიდევ ცოტაა... სხვაგანაა თქვენი მთავარი გმირობა.
- ნაცარქექია—ჰო და, ასე ილაპარაკე.
- გამომძიებელი—თქვენ შუბლზე მე ვკითხულობ ღრმა ფიქრების ნიშანს, თქვენა ხართ უუდიდესი რევოლუციონერი.
- ნაცარქექია—ტყუილია თუ?

გამომძიებელი — მე. როგორც შეგნებული დემოკრატი, დაბლა ვიხრები თქვენს წინაშე.

ნაცარქექია — მერე, ახლა მე ტუსალი კი არა ვარ!.. არა ვარ... არა ვარ...

გამომძიებელი — არა, თუმცა ფორმალურად ითვლებით, სანამ ჩვენი უფროსი ოფიციალურად არ გამოგიცხადებთ ამ ბედნიერებას, რაც მე გაცნობეთ... მანამდე კი, თავი ტუსალად რომ არ იგრძნოთ, აი შებრძანდით კაბინეტში, წამოჯექით სავარძელში და...

ნაცარქექია — ენა დაამოკლე. ბედნიერება, თორემ, შენი მოცემულია. ჩამოხრჩობას რომ მიპირებდით, რას ფიქრობდით? გეკონათ ასე შეგრჩებოდით?!

გამომძიებელი — მე? (ხმის კანკალით) ჩემს შესახებ ცულ რამეს ხომ არ ფიქრობთ. აგინხნით, ბატონო, მე ერთი პატარა კაცი ვარ.

ნაცარქექია — არა, სად მცალია მე ახლა შენთვის, შე ჩიჩია, შე გლახა.

გამომძიებელი — დიახ, ხალხისთვის უნდა იფიქროთ და იზრუნოთ.

ნაცარქექია — რა მაქვს მე საფიქრალი?! მოტყუილდება რამეში ყვარყვარე თუთაბერი თუ რა გგონია?! (შედის კაბინეტში, შემოდის ადიუტანტი და მწერალი)

ადიუტანტი — როგორ არის საქმე: ამ რევოლუციონერს ყველაფერი უთხარი?

გამომძიებელი — არა.

მწერალი — სულ არ იცის?

გამომძიებელი — მე არ მითქვამს, მაგრამ იცის.

ადიუტანტი და მწერალი — საიდან, საიდან გაიგო? /

გამომძიებელი — გამჭირახი კაცია.

ადიუტანტი — (მწერალს) დავილუბეთ. მე და შენ ყალბი საბუთები რომ შევადგინეთ სოციალისტებზე, ის თუ...

მწერალი — (სიტყვას წაართმევს) ოო, ის თუ არ გავანადგურეთ, ვილუბებით. ნერე სად არის?

ადიუტანტი — ეგებ პოლკოვნიკი ანაა. (აპირებენ წასვლას. შემოდის გენერალი ცივად შეხვდებიან. გენერალი გაჩუმდებიან მიმოიხედავს, შეხვედრა იუცხოვა)

გენერალი—(მრისხანე ტონით) გამიმზადეთ ცნობა?

ადიუტანტი—რომელი ცნობა?

გენერალი—(გაკვირვებულნი) ააა, არმიაში დეზერტირობის შესახებ.

მწერალი—ეს როდის მოითხოვეთ?

გენერალი—(მწერალზე) ეს ვინაა?

ადიუტანტი—(აწოდებს დეპეშას) პეტროგრადიდან დეპეშაა.

ტენი გადაგვიბრუნდა, ღმერთო ჩემო, აი, აი, დახედეთ.

გენერალი—(მრისხანე გამომეტყველებით უპასუხებს) ეს რას ჰგავს?!

ადიუტანტი—თქვენო მალ...ალ... კიდევ მოგაკონებთ: დეპეშას დააკვირდით.

გენერალი—რაო, ა? ეს რა წესრიგია!..

ადიუტანტი—მე მგონია წესიერება არ დამირღვევია.

გამომძიებელი—რასაკვირველია.

გენერალი—(გამომძიებელს) თქვენც (დაბნეული იხედება) აააა, ყველას ავიწყდება მოვალეობა. გასწორდი!

ადიუტანტი—(მშვიდად მიიტანს დეპეშას და თვალწინ დაუდებს) პეტროგრადიდან გახლავთ.

გენერალი—(თანდათან მეტის ინტერესით კითხულობს, დრო და დრო ამოიყივლებს) სახელმწიფოს... სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი... დროებითი მთავრობა... (გარკვეულად კითხულობს) პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების... საბჭო... (ჩაჯდება სავარძელში, დუმილის შემდეგ) მეკობრეობ!

გამომძიებელი—დიახ...

გენერალი—(შუბად) სად არის პოლკოვნიკი?

ადიუტანტი—ეს დეპეშა პოლკოვნიკს არ უნახავს.

მწერალი—(ვაჟაკური ხმით) ეს მნიშვნელოვანი ცნობებია; ჩემი აზრით, ეს დიდი აზბავია.

გენერალი—განაგრძეთ თქვენი, მოვალეობის ასრულება. (აპირებს წასვლას. გამომძიებელს) თქვენ კიდევ ჩემთან წამობრძანდით. (გენერალი და გამომძიებელი მიდიან. ადიუტანტი და მწერალი შეხედავენ ერთმანეთს)

ადიუტანტი—ხომ დავილუპეთ!

მწერალი—შენი ბრალია. შენ შეადგინე სოციალისტებზე ის ყალბი საბუთები. მე მხოლოდ გადავწერე.

ადიუტანტი—იცოდეს ღმერთმა, რომ ბოროტი განზრახვით არ მიქნია.

მწერალი—ეს, რა ეშმაკმა შემომავლო პატიოსანი სტუდენტი საიდუმლო განყოფილებაში და, ისიც, შენისთანა უწმინდურთან, ტფუ...

ადიუტანტი—რა ვქნა!!

მწერალი—(ფხვებს დაუბაჟუნებს) გასასრესი ხარ.

ადიუტანტი—რა ვქნა, უნდა მოვძებნოთ, თორემ თუ ნახეს!..

მწერალი—ოო, თუ ნახეს მეც ხომ მომეცხება... ჰოო, კარგი, წამოდი, წამოდი... (ადიუტანტი და მწერალი მიდიან. კაბინტიდან გამოდის ნაცარქექია და ხელს უქნევს ფანჯარაში)

ნაცარქექია—ბიკებო, აქეთ, ბიკებო! (კაკუტა და ქუჩარა მოადგებიან ფანჯარას).

კაკუტა—ხომ მოვნახეთ?!

ქუჩარა—(კაკუტას) ახლა მე მაცალე. (ნაცარქექიას) რა უყავი ის ჩვენი ნასისხლარი, ა? მიწაში რომ ჩახვიდე, არ მოგეშვები, ხომ იცი.

ნაცარქექია—რა ცხვირში მეცით. ჯერ რა მოგივიდა ამ სატუსალოში, არ იკითხავთ?

ქუჩარა—სატუსალოშიო?

კაკუტა—(ქუჩარას) ახლა ხო ხედავ, რო გვითხრეს, გაკოქილი მიყავდათო.

ქუჩარა—რა დაგემართა?

ნაცარქექია—ახალთაობის კაცად მიცნეს, ხელმწიფის მტრად გამომაცხადეს.

კაკუტა—(ქუჩარას) ეე, ხომ გესმის?

ქუჩარა—(ნაცარქექიას) მერე მაგისთვის თავზე ხელს დაგისობენ?

ნაცარქექია—თავზე ხელს დამისობენ კი არა, კიდევ ჩამომემახრჩობენ. დავილუპე კაცი, ჩემს საფლავს პატრონი ვერც

კი მონახავს და ცოლდვით გიბარებთ, მამაჩემს, წყვიწყვის, ასე უთხარით: იმისთანა ვაჟაკი შეიღს ნაცარქექია რომ შეათქვი-თქვა, ცოლი არ ათხოვიე და კეტით გააგდე საშოვარში, ეს მოეწია-თქვა... ასე გადაეცით, სახრჩობელაზე რომ გაყავდათ, იქიდან შემოგიჟვალა, ძალი ჩაგაკვდა მაგ სულში-თქვა.

კაკუტა—უჰ, საწყალი, დაღუპულა!

ქუჩარა—(მღელვარედ) შესაწყალო ა? ახლა... რისთვის შეგხვდა ეს შენ?

ნაცარქექია—(ამაყად) ახალთაობის საქმისათვის.

კაკუტა—რო არ იყავი შენ მაგისთანა კაცი?!!

ნაცარქექია—(თოფაკრავივით) როგორ არ ვიყავი! მაშ, პოლიციას ვემალეზოდი და თქვენისთანა ენაყრანტალებს ვეტყოდი! ქვეყანას რომ ეძინა, მე მაშინ ვმუშაობდი.

ქუჩარა—სულ დაგიქცევია ოჯახი აბა, ხელმწიფის ღალატი რა...

ნაცარქექია—ასეა, თქვენისთანა შეუგნებლებიდან, მართლა რომ დავღუპულიყავი კაცი, გაკილვის მეტს რას მივიღებდი... მაგრამ გამიცინა ბედმა, თქვენი ყბიდან ამოვედი, იღბალმა გამიჭრა, რევოლუცია მოხდა და ხელმწიფე ტახტიდან გადააგდეს.

კაკუტა და ქუჩარა—(ერთად) ხელმწიფე გადააგდეს?

ნაცარქექია—კი.

ქუჩარა—ეს რა ამბავი დატრიალებულა?!

ნაცარქექია—თქვენ ის უნდა ნახოთ აწი, ხალხი რომ ხელისგულზე დამიჯენს ხვითოსავით.

კაკუტა—(სიხარულით იმანკება) ეე, რა...

ქუჩარა—მთლად ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

ნაცარქექია—მარა რა... რა გემოს ვნახავ, ქვეყანას უნდა ვუქადაგო.

კაკუტა და ქუჩარა—(ერთად) რა უნდა უქადაგო?

ნაცარქექია—სიმართლე.

ქუჩარა—(კაკუტას) ასეა, ხომ გესმის, სოციალისტები მარტო იმას თვლიან სიმართლეთ, რასაც თვითონ ამბობენ.

კაკუტა—ვიცი. კიდევ ამბობენ, რომეო, ციხესო რკინის კარები არ უნდაო, სულ შეშაბანდები იყოსო.

ქუჩარა—(ნაცარქექიას) სიმართლეს რა ჯობია. მაგისტვის ხალხი, მართლაც, ხვითოსავით მოგეფერება.

ნაცარქექია—მაშ, ტყულა ვეწვალე! ხომ ხედავდით დღე და ღამე, რომ პოლიცია მსდევდა.

კაკუტა—როდის ვხედავდით?!

ნაცარქექია—(აჯავრებს) როდის ვხედავდით!

კაკუტა—რა ვიცი...

ნაცარქექია—ხომ იცი, ჩვენ, სოციალისტები, ტყუილს რომ არ ვიტყვით.

ქუჩარა—კი.

კაკუტა—კი.

ნაცარქექია—მე ხომ გითხარით, პოლიცია, რომ მეძებდა.

კაკუტა—კი.

ნაცარქექია—ჰო და, ხომ კარგად იცით, რაც მე ხალხისთვის წვალება გადამხდა?!

კაკუტა—(ყოყმანით) კი.

ქუჩარა—კი, კაკუტა, ასე ყოფილა და...

კაკუტა—რას იზამ...

ნაცარქექია—ჰო, მართლა, თქვენ წისქვილში გამოივლიდით და იქ გულთამზე არ გინახავთ? (მოისმის ყვირილი)

ქუჩარა—დარაჯი გაგვირისხდა, გავეკალოთ აქედან.

(კაკუტა და ქუჩარა მიდიან)

ნაცარქექია—რა ყვირილია მანდ, ვინ ბედავს? (ათვალიერებს ნივთებს. გააღებს კაბინეტის კარს ამ სავარძლისთანა ძვირფასი მაინც ვერაფერი ვერ ვნახე, რა რბილი ჩასაწოლია, არცაა აქ დასატოვებელი. (შედის კაბინეტში. ხმაურობაა. შემოდიან, გენერალი, გამომძიებელი, პოლკოვნიკი, ადიუტანტი და მწერალი)

პოლკოვნიკი—როგორმე, ძალაუფლება ხელიდან არ გავუშვავათ... სხვა არმიების ოპიცრობაც ასე შეკავშირდება და რევოლუციის ნაპერწკლებს სუყველგან ჩააქრობენ.

გენერალი—ზოგადი სიტყვები მე არ მინდა. თქვენ მითხარით; პირველ ღონისძიებად რა ვინხმართ ახლა, რა გავაკეთოთ?!

პოლკოვნიკი—უპირველეს ყოვლისა, აქ რომ რევოლუციონერი ზის, ახლავე ჩამოვახრჩოთ...

გენერალი—ეს ადვილია.

პოლკოვნიკი—მერე, რევოლუციაზე კრინტი არავენ დაძრას!

გენერალი—ფოსტა-რადიოები რომ დაიწყებენ ღრიალს?

პოლკოვნიკი—ჯარში დავატრიალოთ ქეშმარიტ რუსთა
კავშირის აგენტები. (ადიუტანტს და მწერალს) აქ თქვენც უნდა
გაანძროთ კუდი, ბიჭებო.

გამომძიებელი—მართალია, საქმე სულ ამათზეა, სიცოცხ-
ლე არ დაზოგოთ, თავი უნდა გასწიროთ.

ადიუტანტი და მწერალი—(ერთად) რაო?.. ჩვენ დაე-
დვათ თავი სასიკვდილოთ?

გამომძიებელი—რასაკვირველია.

პოლკოვნიკი—დიახ, თქვენც, ჩვენც და ყველამ, ყველამ,
სულ ყველამ...

გენერალი—რასაკვირველია (შემოდის ნაცარქეჩია. ყველანი მიიხე-
დავენ).

გენერალი—ეს ვინაა?

ადიუტანტი—(გადაუჭურჩულებს შიშით მოხლეგებს. ყველანი შე-
წრიალდებიან).

ნაცარქეჩია—(მათი აწრიალების მიხედვით თამამად წამოიჭიმება)
რას აწრიალდით? ის თქვენი უფროსი რატომ არ მოვიდა
ჩემთან, ა? რას იხვეთ უკან. თქვენ, როგორც გატყობთ, ჩემი
არც გეშინიათ.

ადიუტანტი—რას ბრძანებთ, როგორ არ გეშინია.

ნაცარქეჩია—ო, თავს მალლა წევთ, მაგრამ... ისეთ ღლეს
დაგაყენებთ, თვალგებს დაგათხრევენებთ.

ადიუტანტი—(მიუთითებს მწერალზე) მე და ეს კაცი არაფერ
შუაში ვართ, ტყუილად კრინტიც არ დაგვიძრავს.

ნაცარქეჩია—ამას კი გავიგებ, ვის რა უთქვამს. ფაჩუნიც
არ გამომეპარება, მაგრამ მაინც კარგად გამაგებინეთ: ვინაა
ჩემი მტერი?!

მწერალი—(უთითებს გენერალზე და პოლკოვნიკზე) აი, ისინი.

ნაცარქეჩია—(შიშით) ვითომ რას მიპირებენ.

გენერალი—(პოლკოვნიკს) უნაძუსოდ გაგვწირავს.

მწერალი—ბატონო რევოლუციონერო! მიიღეთ ჩემგან ეს

სასიამოვნო ცნობა (მიაქვს მაგიდიდან დეპეშა. ადიუტანტი თან მის-
დევს) პეტროგრაღში მოხდა...

პოლკოვნიკი—(გამოვლევს ქალაღს) ხმა ჩაიწყვიტე.

გენერალი—(პოლკოვნიკს) ფრთხილად, ნუ გააბრაზებ, ბატონო პოლკოვნიკო. ხელმწიფე თუ გადადგა, ჩვენ აქ არაფერი არ შეგვიძლია.

ნაცარქექია—(შეშინებული) ეს რა გამიბედეს, ქკუით, ყვარ ყვარე თუთაბერო, მგონი რალაცას გიპირებენ.

გენერალი—(პოლკოვნიკს) ჩვენ ფონი ვეძიოთ, ბატონო პოლკოვნიკო.

პოლკოვნიკი—(მოტეხილად) მაშ, თქვენ თვითონ წაუკითხეთ. (აძღვებს ქალაღს გენერალს)

გენერალი—(ნაცარქექიას მღელვარედ) მე მოგახსენებთ, ბატონო, იმას, რაც თქვენ არაოფიციალურად გაგიგიათ... ბატონო, ჩვენ დიდ პატივს გცემთ, როგორც...

ნაცარქექია—რა პატივს მცემთ, მაშ, რა იყო წუხელის რომ ქაში ჩამადგეთ. (ადიუტანტს და მწერალს მიაქვთ სკამი ნაცარქექიასთან)

გენერალი—(სკამს ხელს მიახმარს) დაბრძანდით. (პოლკოვნიკს) მართლაც ბნელია ის სარდაფი.

პოლკოვნიკი—დიახ, დიახ, ურიგო იყო.

მწერალი—ბატონო რეგოლუციონერი...

გენერალი—(გააწყვეტინებს მწერალს) შენ ნუ შეგვეჩხირე. (ნაცარქექიას) იმპერატორი ნიკოლოზ მეორე გადადგა.

ნაცარქექია—ჰო-და, ასე მითხარი.

ადიუტანტი—შედგა სახელმწიფო სათათბიროს...

მწერალი—(სიტყვას წაართმევს) აღმასრულებელი კომიტეტი.

გენერალი—მე დამაცადეთ.

ნაცარქექია—ყველა ნუ მელაპარაკებთ. ნუ სხრილობთ.

გენერალი—(აძღვებს დეპეშას) აქ ყველაფერი სწერია, აი, იწებეთ.

ნაცარქექია—(დახედავს დეპეშას) ვიცი... (დაკეცავს)

გენერალი—ესეც წაკითხული გაქვთ?

ნაცარქექია—მიწაში რაა, ეს ვიცი.

პოლკოვნიკი—(ჩამოიღებს კედლიდან ნიკოლოზის პორტრეტს) ეს

მართლაც, არ შეეფერებოდა რუსეთის ტახტს. (რეაჟს ტელეფონი. ადიუტანტი მიდის ტელეფონთან, მაგრამ მწერალი ტლანქად გააგდებს)

მწერალი—(ტელეფონში) ა? საყვედურს მივიღებთ დროებითი მთავრობისაგან?

გენერალი და პოლკოვნიკი—(ერთად) რაო? რაო?

ნაცარქექია—(ამაყად იხედება დეჰეშაში)

მწერალი—დავიღუპეთ, ყველა კორპუსებს უცვნიათ რევოლუცია. ჩვენ კი დავაგვიანეთ.

ადიუტანტი—(გენერალს და პოლკოვნიკს) ეს სულ თქვენი ბრალია.

მწერალი—(ტელეფონში) ჩვენც ვზეიმობთ, ააა, არის, როგორ არა. (ნაცარქექიას) ჯარისათვის ორატორი იკითხეს, მე ვუპასუხე, აქაა ცნობილი რევოლუციონერი მეთქი.

ნაცარქექია—ჩემისთანა ორატორობა ვის შეუძლია, ხეს ავატირებ.

მწერალი—(ტელეფონში ვძახის) დღეს ჩვენ შოვისმენტ უუწამებულეს კაცის მხურვალე სიტყვას.

ადიუტანტი—ოო, რა იქნება თქვენი სიტყვა, ბატონო რევოლუციონერო, სწორედ თვალებს აგვიხელს.

ნაცარქექია—ისეთ უბედურებას დავატრიალებ მე ახლა აქ, რომ. კექას და ქუხილს შოგანატრებთ.

ადიუტანტი—დამშვიდდით, ბატონო.

მწერალი—ერთი სიტყვა გვითხარით.

ნაცარქექია—სიტყვა გინდათ? რა ღირსი ხართ, თორემ სულ წყალივით ვილაპარაკებ. (ორატორულად) ვინც შრომობდა, მდიდარი ატყავებდა. იყვნენ ბრძეები, მაგრამ გათენდა. (მიმოიხედავს მრისხანედ) გადასახადებს აწესებდით ჩემი სახრჩობელის წინ ღიპით ძირმომპალ ტახტზე. მაგრამ გაიმარჯვებს სიმართლე და ხალხი შურისძიებით და ხელებით, და ფრჩხილებით, და კბილებით, და... ტა... ტა... ტა...

ყველანი—(კანკალით) გული დაიმშვიდე, ავლელდით.

ნაცარქექია—უსარძიკვლო ჯალათებო, ციხის კედლები სულ

დაიშხვრა. ახლა რას მიპასუხებთ, მტარვალეზო! (კარების იქით მოისმის ხმაურობა)

ნაცარქექია—(შეშინებული) რა ამბავია?!

მწერალი—რევოლუცია გაიგეს, დეპეშის წაკითხვას მოითხოვენ.

ნაცარქექია—წაუკითხეთ!

ადიუტანტი—(სწრაფად აწოდებს მწერალს დეპეშას)

მწერალი—(გადასცემს კარებში) კედელზე გააკარით.

ნაცარქექია—(გენერალს და პოლკოვნიკს) შემომხედეთ, მოპასუხენო! (გარედან მოისმის მარსელიეზის ხმა)

გენერალი და პოლკოვნიკი—(ხელს აიღებენ) გემორჩილებით. (შემოდინ კაკუტა და ქუჩარა)

ნაცარქექია—(მოხლეებს) თქვენ გინდოდათ ჩემი ჩამოხრჩობა!

კაკუტა—რა ჩამოხრჩობაო, ხეთოსავით გეძებენ.

ქუჩარა—ვის უნდოდა შენი ჩამოხრჩობა? ქვეყანა კარში შენს ქირს ნატრობს.

ნაცარქექია—ამ ღეთის გლახებს ვერ ხედავ, რას ბედავდნენ? (შემოდინ ჯარისკაცები)

1-ლი ჯარისკაცი—მოგვეცით რევოლუციონერი.

ნაცარქექია—(შეშინებული) რატომ? რას მემართლებით?!

1-ლი ჯარისკაცი—სიტყვა გვითხრას.

ნაცარქექია—(ღიმილით) კი, გეტყვით.

2-რე ჯარისკაცი—(მესამეს) განა ეს არის ჩვენ რომ პროკლამაციები გადმოგვცა? ეს არის!

3-მე ჯარისკაცი—სად არის ის რევოლუციონერი, აქ რომ პატიმრად გყოლიათ? ეს სხვაა, ის კაცი რა უყავით?

მწერალი—(ჯარისკაცებს) პატიმარი სხვა არა გვეყავს.

ადიუტანტი—(ჯარისკაცებს) წისქვილში ეს დაიჭირეს.

ნაცარქექია—მე ვარ დაპატიმრებული, ვერ მხედავთ?

2-რე ჯარისკაცი—ეს არის, ალბათ, ეს მისი ნამდვილი სახეა, მაშინ კი გრიმი ჰქონდა.

3-მე ჯარისკაცი—ოო, მეც იმიტომ გამიკვირდა. რა დიდი გონიერი მოღვაწე ყოფილა.

1-ლი ჯარისკაცი—(მიღის კარებში და იძახის) მე გავათავისუფლდე სატუსალოდან რევოლუციონერი.

2-რე ჯარისკაცი—(კარებში/იძახის) რევოლუციონერი მოდის. (გარედან მოისმის აპლოდისმენტები. შემორბის რამდენიმე ჯარისკაცი)

5-თე ჯარისკაცი—ხალხი მოუთმენლად გელის. (კაკუტა, ქუჩარა და შემოსული ჯარისკაცები აიტაცებენ ნაცარქეკიას ჰაერში).

ადიუტანტი—(მწერალს) რაკი მოვიმადლიერეთ, ნუ მოეშორდებით.

ნაცარქეკია—(კაცების მხრებზე ამაყად ზის. ათითებს მოხელებზე) ეს დამნაშავენი არ გაუშვათ.

ყველანი—არ გაუშვათ! (კარებში მხრებზე მჯდარ ნაცარქეკიას გამოჩენა იწვევს ალტაცებას. გარედან მოისმის ტაშის ცემა და მარსელიეზი)

ნაცარქეკია—ხომ გესმით, კაკუტა და ქუჩარა, ყურები კარგად გამოიფხიკეთ.

მოქმედება მისამე

დროებითი მთავრობის ამიერ-კავკასიის რწმუნებულის კაბინეტი. რწმუნებული ზის მაგიდასთან. შემოდის შიკრიკი.

შიკრიკი — მაზრიდან გახლავთ ერთი კაცი.

რწმუნებული — არ მცალია.

შიკრიკი — კი, ბატონო, მაგრამ ხალხი ამბობს, როგორ არ სცალიაო. მეფის მთავრობა ხომ არ არისო... მეც მლანდღავენ, ვისი ტიკის ტომარა ხარ მაგ კარებზეო. რევოლუცია მოხდაო.

რწმუნებული — ჰო და, შენაც ნუ აჭყვები იმათ ლაპარაკს.

შიკრიკი — არ იცი, ბატონო, რა დღეში ვარ? გუშინ ერთმა ბლენძიანმა მუქარა წამოიწყო: მართლაც უნდა შემოვიდნენ ის ბოლშევიკები და ერთი კარგად გაგატყაონო. მე ვუთხარი: ბოლშევიკები მე თუ ტყავს გამაძრობენ, ძვალის მეტი რა შერჩებათ, შენ კი ხუთი ტკაველი ქონი გაქვს და უფროთხილდი-მეთქი.

რწმუნებული — დამასვენე, გული ნუ გააწყალე.

შიკრიკი — კი, ბატონო, მაგრამ ის რომ არ მომეშვება!

რწმუნებული — ვინ არის?

შიკრიკი — რა ვიცი მაზრის კომისარია — გვარად ნატუტარი ვარო.

რწმუნებული — აა, ტიტე ნატუტარი იქნება, ძველი მეგობარია, შემოვიდეს (შიკრიკი მიდის — შემოდის მაზრის კომისარი ტიტე ნატუტარი).

ტიტე —სალამი ბატონო, მაღლობა ღმერთს, რომ მოვალწიე.
რწმუნებულ ი -- დაბრძანდით.

ტიტე — არა... (იხედება უკან).

რწმუნებულ ი — მოგყავთ ვინმე? უკან რად იხედებით?!

ტიტე — აქ რომ შემოვდიოდი, სასახლის წინ ბოლშევიკები
იკრიბებოდნენ.

რწმუნებულ ი — არა უშავს, თქვენი მაზრის ამბავი მომი-
ყევით.

ტიტე — ჯერ აქაური ამბავი გამაგებინეთ.

რწმუნებულ ი — მე მოხსენებას ვუკეთებ დროებით მთავრო-
ბას და არა მაზრის კომისრებს.

ტიტე — (ნერვიულად) აქაც ცუდად გქონიათ საცმე, ისე ვატ-
ყობ.

რწმუნებულ ი — ეს მე ვიცი.

ტიტე — მაშ, ლაპარაკიც არ ღირს. (ამოიღებს უბიდან ქალღს)
ჩაიბარეთ მანდატი და გამიშვით.

რწმუნებულ ი — რას მაძლევ?

ტიტე — თქვენი მოცემული მანდატია.

რწმუნებულ ი — ეს ქალღსის ნაფლეთია, მე კი თქვენ მაზ-
რა ჩავაბარეთ.

ტიტე — იმ მაზრას ბოლშევიკები დაეუფლნენ.

რწმუნებულ ი — ოო, მაშ, ასე კარვად უპატრონეთ?!

ტიტე — რაო, მე ვერ მიპატრონებია!

რწმუნებულ ი — მაშ!

ტიტე — როგორ, ა, ვინ არის ამ მხარეში ჩემოდენა თეორე-
ტიკოსი, ვინც გინდა მეკამათოს!

რწმუნებულ ი — ცოდნას მოხმარა უნდა.

ტიტე — განა, მე არ შევეცადე გამომეყენებინა ჩემი ცოდნა...
ზაგრამ არ მოხერხდა; ხალხი არ გამომადგა. ეჰ, წინათ სიტ-
ყვა, ხალხი, ჩემთვის წმინდათა-წმინდა იყო, ახლა კი,
ვფიქრობ, როგორც პოეტების დახატული ქალი არ იპო-
ვება ბუნებაში, ისე არ არსებობს ხალხი იმ სახით, როგორც
ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეები გვასწავლიდნენ... დიახ, ასეა,
მეგობარო. მე ხალხისათვის რა არ ჩავიღინე, იმდენი ვუქა-

დაგე, რომ ტვინი ამიღულდა, მაგრამ ეს ათასთავიანი დევი მაინც გაბოლშევიკდა და, ბოლოს, ფარული ბილიკები რომ არ მეპოვა, მაზრიდან ტყავს ვერ შოვიტანდი... დიახ, თქვენი გულისთვის მე იმდენი ცეცხლი გამოვიარე. თქვენ კი რა მომეცით, ეს მანდატი, რომელსაც თვითონვე ქალაღლის ნაფლეთს უწოდებთ.

რწმუნებული — როდესაც მე თქვენ მაზრაში გაგაზახენეთ, იქ ბოლშევიკების ქაქანიც არ ყოფილა.

ტიტე — მერე კი, როცა გაჩნდნენ, ამ ქალაღლის ამარა მიმატოვეთ. აი, აი, ჩაიბარეთ, ჩაიბარეთ მანდატი.

რწმუნებული — მოითმინეთ, ბატონო ტიტე ნატუტარო. ჩვენი მდგომარეობა გაქოკეთდა და ახლა გარბიხართ?

ტიტე — არა, არა, მდგომარეობას ძალა უნდა.

რწმუნებული — ძალა გვაქვს.

ტიტე — საიდან?

რწმუნებული — დაბრძანდით, ბატონო ტიტე ნატუტატარო, მოგახსენებთ, დაბრძანდით.

ტიტე — (ვერ ბედავს დაჯდეს) არა, ისედაც დიდხანს შევრჩი.

რწმუნებული — შენ ხომ იცი, რომ ოსმალეთის ფრონტიდან ჩვენი ჯარი გამორბის.

ტიტე — უბედურებაც მაგაშია — გაბოლშევიკდნენ.

რწმუნებული — გუშინ ქალაქს ფრონტიდან დიდი ჯარი მოადგა. ხალხი შეშინდა და განაპირა უბნებში დუქნის დარაბები დახურეს. ჩვენა ოფიცრებმა არსენალიდან შიშით ზარბაზანი გაისროლეს... მაგრამ ეს ფრონტელები ქალაქგარეთ მშვიდობიანად დაბანაკდნენ და ბოლოს აღმოჩნდა, რომ სასტიკი დისციპლინა ჰქონიათ.

ტიტე — ღმერთო ჩემო, მასეთი ჯარი დღეს სად არის!

რწმუნებული — იმათ ჰყოლიათ ყვარყვარე თუთაბერი, რასაც ის იტყვის — კანონია. მთელი ჯარი მის პრძანებას ემორჩილება.

ტიტე — მერე, მერე... ის ყვარყვარე თუთაბერი რა ქკუაზეა?

რწმუნებული — დროებითი მთავრობა იცნო.

ტიტე — (ჯდება) როგორ?!

რწმუნებული — პირველად ჩვენ მას დავემუქრეთ, დელეგაცია გაუუზახნეთ... მაგრამ აღმოჩნდა, რომ დროებითი ზთავრობის ერთგულია.

ტიტე — არა, ასეთ პირობებში მეც თქვენთანა ვარ.

რწმუნებული — მას ჰყავს ათი ათასი ჯარისკაცი.

ტიტე — ათი ათასი?!

რწმუნებული — სულ შეიარაღებულია თავით ფეხებამდე.

ტიტე — ოო, ეს სულ სხვა საქმეა! (კარები გაიღება, გამოჩნდება ორი ჯარისკაცი — ყარაულები)

1-ლი ჯარისკაცი — დავიღალეთ, ბატონო.

2-რე ჯარისკაცი — ფეხზე ჩამოვწყდით!

რწმუნებული — მოითმინეთ და გამოგცვლიან. წელანაც დავურეკე, დამაცალეთ.

1-ლი ჯარისკაცი — (მეორეს) ეს არის, ბიჭო, თავისუფლება?

2-რე ჯარისკაცი — ვირები გენახა, რაღა!

რწმუნებული — გასწორდით, ნუ იქეჭებით. თქვენ მანდ ძალაუფლების სიმბოლო ხართ.

1-ლი ჯარისკაცი — (გალახიანებული) რა ვართ?

2-რე ჯარისკაცი — ჩვენც შენსავით სისხლი და ხორცი გვაქვს, რა გგონია? თუ თავისუფლებამ მარტო შენთვის დაარტყა ბარი...

1-ლი ჯარისკაცი — მანდ ოფოფივით რომ წამომჯდარხარ. რწმუნებული — კარგი, მოწყდით, აქედან გამეცალეთ! (ჯარისკაცები ყოჩაღად მიდიან)

ტიტე — (ავარდება, ამოიღებს მანდატს) არა, არა, ჩაიბარეთ ეს მანდატი, — გამიშვით!

რწმუნებული — ეჰე, გარბიხარ?

ტიტე — მე ჩემი გზა მაქვს.

რწმუნებული — საკვირველი კაცი ბრძანდები, ნატუტარო, დღეს ბალინჯოც კი სხვაგან არ იქყლეთს თავს, თუ არა ისტორიის ფურცლებზე. და ამ დროს შენ სულ უსახელოდ იღუპები.

ტიტე — მე ვიღუპები?!

რწმუნებულნი — მაშ, როგორ ფაქრობ. აბა, ერთი მე დამაკვირდი. ხომ ხედავ, წელეზე ფეხს ვიდგამ და სახელმწიფო საქესმინე ხელადან არ ვუშვებ. რატომ? შენა გგონია ქვეყანას თავსა ვწირავ? არა, როდესაც წარღვნა მოდის და სოროები წყლით იესება, კვიანი ვირთხა მაშინ მაღალ მწვერვლებს ეძებს... (ქუჩიდან მოისმის თოფის სროლა. ხმაურობა)

ტიტე — ეჰ, მგონია, ახლა კი აგვიღეს.

რწმუნებულნი — (ფრთხილად იცქარება ფანჯარაში. სიზარულით) ბოლშევიკების მიტინგი დაიშალა.

ტიტე — (გაკვირვებული) აა? (იხედება ფანჯარაში)

რწმუნებულნი — გულაანად დაურთეს ბოლშევიკებს, ხედავ, ხედავ, გარეკეს.

ტიტე — ეს ვინა ქნა!

რწმუნებულნი — აკი ვთქვი, რომ ახალი ჯარი შემოვიდა.

ტიტე — მაშ, მთლად უძლური არ ვყოფილვართ.

მდივანის ხმა — ეს დედაკაცი არ გაუშვა!

რწმუნებულნი — ჩემი მდივნის ხმაა. — ვილაცას ემუქრება ალბათ, კარგი ამბავი მოაქვს. (შეზღუხს მდივანი)

მდივანი — (კარებიდან) ჩვენს ახალ გმირს, ბატონო რწმუნებულო, ერთი სისუსტე აქვს.

რწმუნებულნი — ვის?

მდივანი — ყვარყვარე თუთაბერს.

რწმუნებულნი — რა მოხდა, გვიღალატა?

მდივანი — არა, ბოლშევიკი ქალი უყვარს და თუ იმის მხარეზე გადავიდა, კორანტელი ამ ქალაქში მაშინ დატრიალდება.

რწმუნებულნი — ბატონებო, ჩვენ ხელისუფლება ვართ, მაგრამ არც ფრონტი გვემორჩილება და არც ადგილობრივი რაზმები გვცნობს... მაგრამ ბედმა გამოგვიკზავნა გმირი ათი ათასი კაცი და ვეცადოთ, ხელიდან არ გავუშვათ. (მდივანს) ჩვენზეა რაც უნარს გამოვიჩინოთ, წადი, მონახე და შეატყობინე, რომ ის დაინიშნება მთელი ჩვენი შეირაღებული ძალების უფროსად, მას უფლება ქალზე უფრო მოხიბლავს.

მდივანი — არა, ეს საქმე მე უკეთესად გავაკეთე.

რწმუნებულნი — როგორ?!

მდივანი — თქვენ აქედან ბოლშევიკების მიტინგი დაინახეთ?
რწმუნებულა — კი! ვინ დაშალა ის მიტინგი?!

მდივანი — ადგილობრივი სოციალისტების რაზმებმა.

რწმუნებულა — ყველაფერს ისინი აკეთებენ. მაშ, მე რავარ,
ერთი გამაგებინეთ.

მდივანი — მიტინგის გარეკის დროს მენშევიკებმა იარაღი
იხმარეს და ბოლშევიკები ამაზე პროტესტს გვიცხადებენ.

აი, აქ დავტრიალდი და ვთქვი, თითქო, დროებითი მთავრობის
რწმუნებულნი მზადაა მიიღოს ბოლშევიკების დელეგატი.
ბოლოს ის ქალი დავარწმუნე, თითქო, მოეუსმენდით და რამ-
დენიმე ამხანაგს გავუთავისუფლებდით. ის დაპირებამ გაა-
ბრუა და ამ კარებთან მომყვა.

რწმუნებულა — მერე სად არის? დამანახვე, შემოიყვანე.

მდივანი — ხომ იცით, რა უნდა ქნათ?!

რწმუნებულა — დიახ, ციხეში გადავგზავნოთ.

მდივანი — ოღონდ საიდუმლოდ დარჩეს ეს საქმე. (მდივანი
მიდის)

ტიტე — ამ თქვენს მდივანს თავში ჭკუა ჰქონია.

რწმუნებულა — ოო, ძალიან მოხერხებული არის.

ტიტე — ახლა მითხარით, იმ ჯარების უფროსი აქ წესრიგს
მართლა დაამყარებს?!

რწმუნებულა — რასაკვირველია.

ტიტე — მაშ, მერწმუნეთ, იმ კაცის სახით მოდის ჩვენი დრო-
ის ნაპოლეონი. (შემოდის მდივანი და შემოჰყავს გულთამზე)

მდივანი — ეს ის ქალია, ვისზედაც გესაუბრეთ.

გულთამზე — აქ უზენაესი ძალაუფლების წარმომადგენელი
ვინ ბრძანდება?

რწმუნებულა — უზენაესი ძალაუფლება ეკუთვნის მომავალ-
დამფუძნებელ კრებას, ხოლო მის შეკრებამდე ქვეყანას
განაგებს დროებითი მთავრობა, რომლის რწმუნებულნიც ჩე
გახლავარ.

გულთამზე — მერე თქვენ მომავალმა კრებამ რა მოგანდოთ,
ბატონო რწმუნებულო, რევოლუციის გაღრმავება და სისხ-

ლით მოპოვებულ თავისუფლების დაცვა თუ მშვიდობიანი კრების დახვედრა?!

რწმუნებულ ი—ძალიან თავხედად ლაპარაკობთ!

გულთამზე—არა, მე მინდა გავიგო, მენშევიკებმა დროებითი მთავრობის ნება აღასრულეს თუ თვითნებურად ჩაიდინეს ბოროტმოქმედება?!

რწმუნებულ ი—ჩვენ მენშევიკებისთვის ნება არ მიგვიცია, რომ კრება დაეხვრიტათ, მაგრამ არც პასუხს მოვთხოვთ.

გულთამზე—მაშ, გაძოაცხადეთ, რომ მთავრობა არ არსებობს და მშრომელი ხალხი, რომელმაც ეს რევოლუცია მოახდინა, შესძლებს მთავრობა შეადგინოს.

ტიტე—ეს რა ალქაჯი ყოფილა! მე საზოგადოდ სიკვდილით დასჯის მომხრე არ ვარ... მაგრამ ეს ქალი რომ დახვრიტოთ, უარს არ გეტყვით. (შემოდის შიკრიკი)

შიკრიკი—ვიღაცაა, ბატონო, დიდის რისხვით მოითხოვს თქვენს ნახვას.

რწმუნებულ ი—(გულთამზეს) წამობრძანდით იმ ოთახში, ლაპარაკი იქ დავასრულოთ.

გულთამზე—არა, აქ, კარებთან მიცდიან სხვა ამხანაგები. (მდივანი და რწმუნებული გულთამზეს ხელს სტაცებენ)

ეს უხეში ძალადობაა. (მდივანს) თქვენ შემპირდით, რომ შეგობრებს გამინთავისუფლებდით... იცოდეთ, პასუხს აცემთ...

მდივანი—ვისთან?

გულთამზე—მასთან, ვისი უფლებაც მოდის! ხელი გამიშვით, ვერაგებო! არამზადებო! (გულთამზე მიჰყავთ, სცენაზე რჩება შიკრიკი, აპირებს წასვლას და გააღებს კარებს, მაგრამ მორიდებით შეჩერდება: გამოჩნდება ნაცარქექია)

ნაცარქექია—(შიკრიკს) კარები ფართედ გააღე, ხომ ხედავ, ხალხი მომყვება! (შემოდის, იძახის კარებისაკენ) კაკუტა და ქუჩარა, ნუ გწყდებათ ფეხები, თორემ თქვენი მოთურგენა მაინც კი შემიძლია. (შემოდის ყოყმანით კაკუტა და ქუჩარა თოფ-ფარაჯაში)

ნაცარქექია—(შიკრიკს) სადაა ის ხალხი?

შიკრიკი—გასულა, მოვახსენებ, ბატონო, (მიდის კაბინეტში)

ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — (კაკუტას და ქუჩარას) რატომ ჩამოვიშვიათ ეს ცნებები? ცოტა სარგებლობა, გაქვთ ჩემგან!

კ ა კ უ ტ ა — რა სარგებლობა, აქ მთავრობის ხელში კი გვეყრი და...

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — მაშ, სულ იალაღზე უნდა იართო, ვირისთავებო. კმარა, რაც გზა და გზა ხალხი ძარცვეთ. აქ ქალაქია, მთავრობაა. ხომ ხედავთ, რამოდენა ყელეები აქვთ ზარბაზნებს გადმოწეული. წუხელის რომ იმ ზარბაზანმა იგრიალა, მაშინ ხომ ყველამ მუცელში ჩაიგდეთ ენა. იმის შერე გახდით ასეთი ვაჟკაცები?!

ქ უ ჩ ა რ ა — რა ვიცი, ის ზარბაზანი, ამბობენ, პროვოკაცია იყო.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — რას მეუბნები, შე სულგლო, რა იყო პროვოკაცია?!

ქ უ ჩ ა რ ა — ასე ამბობენ, თორემ, მე არც კი ვიცი, რაა პროვოკაცია.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ჰოდა, რაც არ ვიცი, იმას არ ვიტყვი.

ქ უ ჩ ა რ ა — აქ აგვეწერავენ, დაგვწერავენ და სულ ძმარს გამოგვადენენ.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — მოლაპარაკება მაქვს, ყვარყვარე თუთაბერი ბრმად არავის ჩაუვარდება.

კ ა კ უ ტ ა — მთავრობას ღონე სულ არ აქვსო.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ვინ ამბობს?!

ქ უ ჩ ა რ ა — ჩემი მარჯვენი ცხონდა, არ აგეტება აყალმაყალი იმ ჩვენს ჯარში ის სჯობდა.

კ ა კ უ ტ ა — ოო, კარგი კედელი იყო.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — რა ამეტება, ჩემი პატივისცემა იქეთ დღეში დაკარგეს.

ქ უ ჩ ა რ ა — ღმერთობა მოინდომე და!..

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — მაშ, სულ თავით ნიორს ვუნაყავდი? როდესაც ფრონტზე მტერი თოფ-ზარბაზნით მოგვადგა, და ჯარს შევძახე: აბა, ბიჭებო, აქედან გავიქცეთ, თათრებს თავი არ მოვაკვლევიანოთ-მეთქი, მაშინ ხომ მოსწონდათ ჩემი მოხერხება. მეტე გზაში რომ წვრილ წვრილი ყაჩაღე-

ბი დაგვხვდა და იარაღის წართმევა დაგვიპირეს, ხომ არ დავანებე და ჩემს ჯარს გავამარჯვებინე. საყვები რომ შემოგველია, სულ განკარგულებას ვაძლევდი გზა და გზა, სოფლიდან ჯოგი გამოერეკათ და მაგ ვირებს ღმერთივით ჩავუდგი სული. იმოდენა ჯარს სულ თვალში შევსცქეროდი და რასაც მოისურვებდა, სულ იმას ვასრულებდინებდი, მაშინ ხომ დიდ რევოლუციონერად მთვლიდნენ.

კ ა კ უ ტ ა — ო, და გაფასებდნენ.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — აქ კი, ამაგი სულ წყალში გადამიყარეს.

ქ უ ჩ ა ო ა — აქ ბოლშევიკებმა იქადაგეს, რომ ეს მთავრობა ღარიბს ნებას არ აძლევს, მდიდარი გაძარცვოსო. მთავრობა აგინეს, შენ კი მთავრობის შეგეშინდა. რატომ შეგეშინდა, აი, სულ ამაზე გაიცივეს გული.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ვის? მე შეგეშინდა?

ქ უ ჩ ა ო ა — სულ თავი რომ დიდად მოგაქვს, აქ ენის მასალით სხვამ გაჯობა. იმათ ენა გასარსალებული აქვთ, სულ ლექსივით ლაპარაკობენ.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ვინ? ეგება თქვენ მართლა გკონიათ; რომ მე ვინმემ მაჯობა!.. არა უშავს, ერთი აქედან კარგად გადავუქირო. (მღელვარედ) რომ ამოვდებ ყველას ლაგამის პირში და დავაჩოქებ, მაშინ იცნობენ ყვარყვარე თუთაბერს, ამ მუხლებზე აკოცებენ: (შემოდიან რწმუნებული, მდივანი, კომისარი — ტიტე ნატურარი. ყველანი გაფაციცებით დახურავენ კარს, სადაც გულთამხეს ამწყვდევენ. მდივანი თვალს მოჰკრავს ნაცარქექიას)

მ დ ი ვ ა ნ ი — (რწმუნებულს ნაცარქექიაზე) მოსულა. (ყველანი შეხედვენ ნაცარქექიას, მდივანი ჩამოართმევს ხელს ნაცარქექიას) მაქვს ბედნიერება გაცნობო, ბატონო რწმუნებულო, რომ დღეს ამ კაცთან ერთად, ჩვენ შივიღეთ დიდი ლაშქარი.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი — (ჩამოართმევს ხელს ნაცარქექიას) ძალიან სასიამოვნოა. თქვენ დროზედ მოეშველეთ მთავრობას.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ქვეყანამ იცის, ბატონო, ჩემი ვაჟკაცობა, რამდენჯერ სახარჩობელას გადავუჩინე. რევოლუციამ სწორედ ყელზე მომხსნა თოკი, მარა უარესში კი ჩაშაბა. ჯერ ფრონტზე იმდენ ჯარს ბატრონობა გავუწიე, რევოლუცია და ჩემი

თავი გავაცანი, მერე იქიდან აქამდე ვატარე გზაზე უგზურზე და ხალხი უკლებლად მოვიყვანე. ეს ყველაფერი ერთმა კაცმა ვქენი... მაგრამ, რისთვის გადავიტანე ამდენი შრომა და გაქირავება? სულ იმისათვის, რომ თქვენ, როგორც ბედნიერ მთავრობას, სამსახური გაგიწიოთ, თუ კი დამიმადლებთ. (კაკუტას და ქუჩარას) თქვენ ენა გააქვავეთ.

რწმუნებულნი—(თავისიანებს) მორჩილებით სავსე სიტყვა წარმოთქვა (ნაცარქექიას) თქვენი თანა გმირს საკადრისად ისტორია დააფასებს. თუმცა არც ჩვენ გაკლებთ პატივცემას, თუ ერთგულებას გამოიჩენთ.

ნაცარქექია—პატივცემაც არის და პატივცემაც. მე უნდა მოვახსენოთ, რომ პატარა მოწყალებისათვის კაცს თავს ვერ დავუკრავ.

რწმუნებულნი—თქვენ დანიშნული ხართ მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალების უფროსად.

კაკუტა და ქუჩარა—ოოო!!!

რწმუნებულნი—და თქვენს განკარგულებაშია ის ათი ათასი კაცი, რომელიც ფრონტიდან მოიყვანეთ. ეს ძალა ჩვენთვის ჯერჯერობით საკმაოა, ოღონდ, საქმე ისაა, მუხრუჭი მაგრად მოუჭირეთ, შიგ ბოლშევიკი არ შეუშვათ.

ნაცარქექია—ოო, ეს იყო ჩემი ნატვრა. (კაკუტა და ქუჩარას) ხომ გესმით?

რწმუნებულნი—ნატვრა? განა ის ჯარი არ გყავთ ხელში გამოჭერილი?!

ნაცარქექია—(სიხარულით) ეს რა კარგი მითხარით, ზარბაზნის ტყვიები ხომ ბლომად გაქვთ!

რწმუნებულნი—რამდენიც გინდათ, ჩვენ გვაკლია მბოლოდ ერთგული ხალხი.

ნაცარქექია—იმ თქვენს ზარბაზნებს ყელებს სულ არ გავუციებ... სულ დღე და ღამე ვაგრიალეებ, სანამდე ბოლშევიკებს არ მოესპობ და მთელ ხალხს არ დავაჩოქებ... მანამდე ჩემი მოსვენება არ იქნება. ხომ გესმით! ოღონდ ხელი უნდა შემიწყოთ და მაცალოთ. (საერთო აღტაცება)

ტიტე—(მღელვარეა) მე ახლა სხვა კაცი ვარ ამის გვერდით.

რწმუნებული—დღეს რწმუნებულთა არაჩვეულებრივ სხდომაზე მიმდინარე საკითხებს განვიხილავთ და რამდენიმე დავალებას მოგცემთ. (შემოდის შიკრიკი პაკეტით)

შიკრიკი—გარეთ ჯარისკაცები აყაყანდნენ, ბატონო. იმ ჩვენ დელეგატ ქალს ვუცდით, ხომ არ დაგიტუსაღებიათო. რწმუნებული—იმ ქალს... სატუსალოში გავგზავნი... გადაეცით რომ აწი დელეგატობია გათავდა.

შიკრიკი—კი, ბატონო, ეს პაკეტიც მიიღეთ.

რწმუნებული—(გამოართმევს პაკეტს და ხსნის) დიახ, ასე გადაეცო.

შიკრიკი—კი, ბატონო, ოლონც, ოლონც... ჯარისკაცები კარებს არ შორდებიან. (შიკრიკი მიდის, რწმუნებული ქსნის პაკეტს და კითხულობს)

რწმუნებული—ამიერ-კავკასიის ყველა სოციალისტური პარტიების შეერთებული სხდომაა. (მიიღებს თავზე ხელს) ახლა იქ ისეთი რთული საკითხებია... (გადაწყვეტილად ნაცარქეჩიას) ჩემს მოსვლამდის მდგომარეობას გაგაცნობთ ჩემი მდივანი და აგრეთვე (ტიტე ნატუტარზე) ეს მეგობარი. (გაიხმობს კუთხეში მდივანს და ჩუმად ეუბნება) რაც შეიძლება კარგის მხრით გააცანი ჩვენი მდგომარეობა, ორივე ფეხით ჩავითრიოთ (კარებზე ურტყამს გულთამზე)

ტიტე—ის ქალი რომ ურტყამს კარებზე?

რწმუნებული—ნუ გეშინიათ. (ნაცარქეჩიას) დიდხანს არ გალოდინებთ, ნახვამდის. (მიდის)

ტიტე—(ნაცარქეჩიას) მე მოგახსენებთ რა დიდი მომავალი აქვს თქვენს ფარ-ხმალს ქვეყანაზე.

მდივანი—მე ამ მასალებით დაგიმტკიცებთ, რამდენად მტკიცეა დროებითი მთავრობის მდგომარეობა... თქვენ რა უფრო გაინტერესებთ, სწავარეო პოლიტიკა თუ შინაური. ნაცარქეჩია—საგარეოც ვიცი და შინაურიც.

მდივანი—(შლის და აწყობს ქალაღებს) ჩვენ გაზეთებში ყველაფერს არ ვაქვეყნებთ.

ნაცარქექია—(მტკიცედ) ვიცი.

მდივანი—(მოაქვს ქალღმებრი) კარგადაა ჩვენი საქმე ადგი-
ლებზე და ცენტრშიც... არც ფრონტზეა ცუდი ამბავი.
(დაუდებს წინ ქალღმებრს) აი, წაიკითხეთ. (ფანჯარაზე დაეცემა ქვა)

მდივანი—(აღშფოთებული) ხედავ, ამ ღებერტირებს, რას ბედა-
ვენ.

ნაცარქექია—(წაუკითხავად, რიხიანად ფურცლავს ქალღმებრს)

მდივანი—წაიკითხე.

ნაცარქექია—რაო?

მდივანი—ჩაუკვირდი.

ნაცარქექია—(გაღიზიანებული) ამდენ ქალღმებრს რა წამა-
კითხებს?

ტიტე—(მდივანს) ნუ აწუხებ.

მდივანი—მე ყოველ ცნობაზე მოგცემთ ახსნა-განმარტებას.

ნაცარქექია—რად მინდა შენი ახსნა, მე ქურში კი არ
ვზივარ. კარგად ვხედავ რაც ხდება ქვეყანაზე.

მდივანი—(ტიტეს ჩუმად) ძალიან გამჭკრიახია, ტყუილების
სათქმელად პირი არც კი დამალბინა. (კიდევ დაეცემა ქვა
ფანჯარაზე)

ნაცარქექია—ეს რა ამბავია?

მდივანი—ჯარისკაცებია, არ იციან თუ თქვენ აქ ზიხართ.

ნაცარქექია—ისეთ საქმეს ვუზაზ დღეს იმათ, რომ სორო-
ში ჩაძვრებიან. (კიდევ დაეცემა ქვა. ნაცარქექია შეკრთება) კაკუტა
და ქუჩარა, გადით კარში და კარგად მიიხედ მოიხედეთ.
(კაკუტა და ქუჩარა მიდიან)

ტიტე—(აღტაცებით) ოო, ასე, კარგია ძალა. (ნაცარქექიას მდივან-
ზედ) მას თქვენისთანა პიროვნებასთან მუსაიფის შნო არა აქვს,
მე კი, მე ბუნებით თვითონაც სარდალი ვარ. მხოლოდ,
ტყუილად სხვებს ავყევი და შეუჩერებლად შევიკერი ფი-
ლოსოფიაში.

ნაცარქექია—შერე რა ქენი რომ შეიკერი.

ტიტე—რა უნდა ქნას ჩოჩილიან წიგნებში იმან, ვინც სარ-
დლად გაჩენილა... თუმცა დღეს ყველა გმირი სოროშია
ჩამძვრალი, მარტო თქვენა გყავთ ჯარი... თქვენ, ერთად-
ერთი სარდლი იქნებით და მე თქენს დაპყრობილ ქვე-
ყანაში წესიერებას დავამყარებ.

ნაცარქეჩია—(ამყად მიმოიხედავს) არავის გესმის? (ტიტეს)

“ აი, მართლაც სასიამოვნო ლაპარაკი გცოდნია.

ტიტე—ღიახ, ღიახ, მაქვს თქვენთან საერთო... ახლა, იცით, მე თქვენ დიდი საიღუმლო უნდა აგიხსნათ.

ნაცარქეჩია—აბა, ჩქარა, მითხარი.

ტიტე—რა არის ადამიანი?! ეს არის უდიდესი გამოცანა. ჩემსავით ეს ვის გაუგია ან ვინ ჩამწვდარა ცხოვრების შინაარსში?

ნაცარქეჩია—გითხრა სიმართლე, მომწონს შენისთანა მეცნიერი კაცი.

ტიტე—მაგალითად, ჩვენ წარმოვიდგინოთ თავშეყრილი ათი ათასი კაცი; ყოველ მათგანს თითო კაცის ღონე აქვს და, თუ ჩვენ მათ ღონეს შევავრთებთ, ვღებულობთ უზარმაზარ ძალას... მაგრამ ათი ათასი კაცის ჭკუას თუ შევავრთებთ, ეს იქნება ვირის ჭკუაზე ნაკლები. და, ამიტომაც, ასე ხდება, —გამოდის საუკეთესო ვინმე და თავის ერთი ჭკუით სულ ყველას იმორჩილებს. ეს ადამიანი არის სარდალი და ეს სარდალი თქვენ ბრძანდებით.

ნაცარქეჩია—მშვენიერი სიტყვაა. ასე მგონია, მე თვითონ ვლაპარაკობ.

მდივანი—(ქალადი გამოხაზა) აი, ბატონო, ამ ცნობას უსათუოდ უნდა გავეცნოთ.

ნაცარქეჩია—არა, შენ გაჩერდი.

ტიტე—რა არის სახელმწიფო? ამის შესახებ მე მაქვს საკუთარი შეხედულება და შემდეგ გაგაცნობთ. ახლა კი მხოლოდ ამას გეტყვით, სახელმწიფოს დამორჩილების დროს თქვენ გაამზადებთ ლაშქარს და ძლივამოსილი ჯარით მიადგებით შორეულ საზღვრებს, მაგრამ მე აქ გეტყვით: შესდექ, ნუ გავიმეორებთ ნაპოლეონ დიდის შეცდომას, სჯობს დავისვენოთ და გავიმაგროთ ფესვები, ღიახ, ყველაფერია ფესვები, ძირი და საფუძველი.

ნაცარქეჩია—რა აზრიანი სიტყვაა! ეს საქმე, რომ მართლა გაკეთდეს, კარგი საქმე იქნება. იცოდე, ოქროს სარაიას აგიშენებ, ჩემს საკუთარს რომ მოვათავებ იმის მერე.

ტიტე—ეს ასე იქნება, მე წინასწარმეტყველივით ვხედავ შენს სახეში უდრეკ ძალას, რომელიც დაეუფლება დიდ სახელმწიფოს... თქვენ იქნებით სახელმწიფოს უფალი, მაგრამ დაგპირდებით გვერდით პოლიტიკოსი, მეცნობი. ასეთი მე ვიქნები. თქვენ მაგრად დაიქვრთ ხელში მოთურგენილ ქვეყანას, მე კი მას სამოთხედ გადავაქცევ. მე ახლავე შემოძლია დავჯდე და დახუჭული თვალით დავწერო ბედნიერ სახელმწიფოს სრული კონსტიტუცია.

ნაცარქექია—სუფთად დაწერე და მაჩვენე.

ტიტე—და როდესაც ეს იდიალისტური სამეფო აშენდება, ადამიანებს იმდენი სიხარული ექნებათ, რომ სიკვდილით სასჯელს მხოლოდ ტირილის წინააღმდეგ შემოვიღებთ. ყველა ჯვარს ეცმება ხალხისთვის და ჩვენს სურათებს ოთახებში ჩამოაკიდებენ იმის ნიშნად, რომ ჩვენ მათი მიწიერი ცხოვრება გავაზვიანობებთ.

ნაცარქექია—თუ ეს ჭკუა არ გაგექცა თავიდან, შენისთანა მეცნიერი ქვეყანაზე მეორე არ იქნება. ასე მგონია, რაც ცეცხლის პირად ნაცარში გეგმები მომიქექია, ვითომ ესაა, ახლა მომყავს ცხოვრებაში.

ტიტე—ო, რა საამურიია, ზამთარში, შუა ცეცხლთან ნაცრის ქექვა და ფიქრები კაცობრიობაზე, ქვეყნის დასაბამზე და დასასრულზე, და ტირილი და ოცნება...

ნაცარქექია—შენც გიყვარს? (გარედან მოისმის ყვირილი)

ტიტე—მიყვარს. (შემოდის შიკრიკი)

შიკრიკი—ჯარისკაცები მოგროვდნენ, ბატონებო, კარებს ასკვდიან, ქალის განთავისუფლებას მოითხოვენ.

მდივანი—გესმის, სანამდე მიდის მათი უტიფრობა?!!

ნაცარქექია—(შიკრიკს) ასე გადაეცი, რომ თუ ახლავე არ დაფანტულან, ამათი ზარბაზნებით სულყველას გავსრეს. ჯარისკაცებს თავს ვერ აეგადებინებ. (შიკრიკი მდაბალი სალამით მიდის. ტიტე და მდივანი აღტაცებულნი არიან)

მდივანი—(ტიტეს) როდესაც ეს კაცი ათი ათასი თოფით მოადგა ქალაქს, მე შევეგებე, ახლა კი ენა პირში ჩამაგდებინეთ.

ტიტე—რასაკვირველია.

მდივანი—რაც შენ მაგას უთხარი, (გადაუშლის ქალღს) სულ აქა მაქვს ჩაწერილი. ნაპოლეონ დიდი, სახელმწიფოს დაპყრობა, ხალხის მოთურგენა და სხვა... მე, როგორც დემოკრატი, აღშფოთებული ვარ შენი ლაპარაკით.

ტიტე—ღიახ, მე და ეს კაცი დემოკრატიზმის-ნაქუქში ვერ მოვთავსდებით. მართალია, გატეხილად უნდა ვთქვა, რომ სულ სხვა გაქანება გვაქვს. (კარს გააღებს შიკრიკი. მოისმის ჯარისკაცების ხმა).

შიკრიკი—მუქარა რომ გადაეცი, მთლად შექმა დამიპირეს. მე ვის რა დაუშეავე, ბატონებო, ერთი მითხარით, რას მერჩიან. (შიკრიკი მიდის და მიიხურავს კარებს)

მდივანი—(გადაიხედავს ფანჯარაში) გესმით, ქვევით კარებს ამტვრევენ, დიდი ბრბოა. (გულთამზე ურტყამს კარებს) უკვე აღარ ხუმრობენ (ნაცარქეპიას) ხელი გამოიღე, ბატონო, გადაგვარჩინე.

ტიტე—ვიღუპებით, გვიშველე!

ნაცარქეპია—(დატრიალებს ოთახში) მეტი გიშველით, მაგრამ მე ახლა ვინ მიშველის. (თავს შემოპყოფენ კაკუტა და ქუჩარა)

კაკუტა—ქვეყანა რო იქცევა, რა ვქნათ?

ნაცარქეპია—რალაცა ქენით.

ქუჩარა—თავს ტყუილად ხომ არ შევაკლავთ.

ნაცარქეპია—შეაკალით, ბიჭებო, მაშ... სულ ყოველთვის მე შევაკლავ თავს?!

ქუჩარა—(კაკუტას) დავიღუპეთ.

კაკუტა—რო შემოცვივდნენ სულ მატყლივით დაგვწეწენ.

ქუჩარა—კარგად გავიხედოთ.

კაკუტა—რო მოგვკლან? გავიხედოთ, რას იზამ!.. (კაკუტა და ქუჩარა მიდიან. გულთამზე ურტყამს კარებზე)

ნაცარქეპია—რა უნდათ იმ უღმერთოებს.

ტიტე—აი, აქ რომ ტუსაღია იმის განთავისუფლებას ითხოვენ.

ნაცარქეპია—იმისთვისაა ეს ამბები? გაუშვით და გადამარჩინეთ.

ტიტე—(მდივანს) გაულოთ კარი.

მდივანი—(ჩუმად ტიტეს) მერე აქ ამას შეხვდება და ხომ სულ დავიღუპებით?!

ტიტე—(ნაცარქექიას) იმ შენი ლაშქრიდან ახლა ერთ ასეულს ვერ გააჩენ? (ისმის გარედან მტვრევა)

ნაცარქექია—(მდივანს) კაცო, უთენიაში რომ დაქეცი თავზე, ამ ქვეყნის მთავრობა ვარო, ახლა ერთი ასეულიც არა გყავთ?!

ტიტე—(შეფრება მაგიდის ქვეშ) შემოდი.

ნაცარქექია—კაცს ქვეყანას მპირდებოდი და ახლა მაქ. მაძვრენ! ეს რბ ცხრა ქუის ყოფილა.

მდივანი—გვიშველეთ ვინმემ!

ნაცარქექია—(ამოიღებს რევოლვერს) თქვენ მაინც მოგკლავთ და იქნება ამან ღამისხნას. (მდივანი აღებს კაბინეტის კარებს და მირბის. ტიტე და ნაცარქექია შეშინებული მირბიან იმავე კარებით. შემორბიან კაჟუტა და ქუჩარა. კაჟუტას ზურგზე ებლაუქება ქუჩარა).

ქუჩარა—ბოლოს ხომ მაინც დაგველუპა ნაცარქექიამ.

კაკუტა—რო მოგვეკლავენ, ახლა კი ვხედავ, ომე, ალალია ჩვენზე, ჩემო ქუჩარა.

ქუჩარა—მწყენია ეს სიკვდილი,

კაკუტა—რას იზამ! (კაჟუტა და ქუჩარა ორიენი ცალ-ცალკე იხედებიან ფანჯარაში, ჩამოვარდება სრული სიჩუმე)

ქუჩარა—ბიკო!

კაკუტა—ბიკო!

ქუჩარა—ჩვენ რომ გასრესას გვიპირებდნენ იმ ხალხს ეგერ მისდევენ და მიაბენინებენ.

კაკუტა—აქეთაც მათი ბაიბური რო არ ისმის?!

ქუჩარა—მგონია გადავრჩით.

კაკუტა—ვინაა რო გვიშველა!

ქუჩარა—რა ვიცი. ამ ქალაქში ათასი პარტიააო და ერთმანეთი არცერთს არ უყვარსო.

კაკუტა—(კმაყოფილად) გადავრჩით.

ქუჩარა—თუ ახლა კი გადავრჩით, მერე ნაცარქექიას სათოფზე არ მივეკაროფ.

კაკუტა—რო ვიბრუნებ პირს, ნაცარქექია ჩემ ბუნდლოსაც ვერ ნახავს. (კაჟუტა და ქუჩარა მიდიან. კაბინეტის კარებით გამოდის

გულთამზე, გამოჰყვება ნაცარქექია. კომისარი და მდივანი იმავე კარ-
ბიდან ფრთხილად თავს გამოჰყოფენ.)

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა—წადი. ის ხალხი ჭკუაზედ მოიყვანე, თუ ქაღალ-
ხარ, ასე უთხარი, ყვარყვარე თუთაბერი ჩემი ძველია-თქვა,
ხომ გესმის? არ დამაფეთონ, თორემ რალაცას ვიზამ.

გ უ ლ თ ა მ ზ ე—მე თუ დამიჯერეს, ამ ფანჯრიდან გაგაბრძა-
ნებენ.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა—რას ამბობ? აქედან რომ გადამაგდონ, მიწაზე
სული არ დამყვება.

გ უ ლ თ ა მ ზ ე—ო, განა ასე გეშინია?

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა—უყურე ამას! მე შენთვის ოქროს ლოგინს ვამ-
ზადებდი და შენ უფსკრულში მაწვენი?

გ უ ლ თ ა მ ზ ე—(ტიტეს და მდივანს) მოდით, ნუ თუ ეს თქვენი
ბელადია?

მ დ ი ვ ა ნ ი—ეს დიდი ლაშქრის მპყრობელია, ჯარიც ისე მორ-
ჩილი ჰყავს, რომ დროებითი მთავრობა იცნო.

ტ ი ტ ე—ასეა... ოლონც, ქალბატონო, ჯერ ის ხალხი დააშოშ-
მინე, უბედურებას გვიპირებენ.

გ უ ლ თ ა მ ზ ე—მერე, რატომ აგვიან ბენ, თუ რამეს გიპირებენ,
(იძახის კარებში) ეე, ამხანაგო! (დუმილია, ტელეფონი რეკავს)

მ დ ი ვ ა ნ ი—(ისმენს ტელეფონში. ტიტეს და ნაცარქექიას) ეჭვ კიდევ
ახალი ამბავია. (შემოდის შიკრიკი)

გ უ ლ თ ა მ ზ ე—(შიკრიკს) ხალხი სად არის, ამხანაგო?

შ ი კ რ ი კ ი—ახლა მე თვითონ არ გაგიშვებ. ხომ ხედავ შენი
გულისათვის როგორ მცემეს, ისინი კი ეროვნულმა რაზმებმა
გადარეკეს.

გ უ ლ თ ა მ ზ ე—მაშ, ისევ ხაფანგში დავრჩი. (უცხად მდივანს)
ბატონო, მე ხომ ტყვე არა ვარ, უბრძანეთ, რომ კარი
გააღონ.

მ დ ი ვ ა ნ ი—(ტელეფონში) მაშ, სასახლეს ვინ ჩაიბარებს? მერე,
რა უწყობ იმ ათი ათას კაცს, ყვარყვარე თუთაბერმა რომ
ფიცით დაგვიმორჩილა.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა—მე მაქ რატომ მახსენებ!

მ დ ი ვ ა ნ ი—ბოლშევიკებს პეტროგრადი აულიათ. დროებითი
მთავრობა გაპარულა.

ტიტე—(დახვეს მანდატს) მერე, შე ხომ მტყუანი არავისთან არა ვარ.

მდივანი—რწმუნებული ამბობს ჩემი მოვალეობა მოხსნილიაო.

გულთამზე—(ნეტარებს) მაშ, ახლა ჩემთან მოდიო, მოდიო, რა, გეშინიათ? ახლა მივხვდი, ასე უცბად, რად წავიდნენ ჩემი ამხანაგები, ალბათ, ქუჩაში ჩვენი ძალები ირაზმება ხელისუფლების შესადგენად. (ნაცარქეჩიას) შენ კი ვისი ჯარების უფროსი ხარ?

ნაცარქეჩია—დამნიშნეს... და... არ უშველათ.

გულთამზე—სხვა რა იციო, სთქვიო, გაბედეთ.

მდივანი—აქაური სოციალისტური პარტიები ამიერკავკასიის მთავრობას ადგენენ.

გულთამზე—(შეკრთება) მიჰქარავ!

მდივანი—ქალაქი დაიკავეს.

გულთამზე—მაშ არ თავდება ჯამბაზობა?!

მდივანი—(ნაცარქეჩიას) შე მგონია ქალაქი ისევ შენს ხელშია, შენოდენა ლაშქარი არავის ჰყავს.

ტიტე—რასაკვირველია.

მდივანი—ამ სოციალისტების ამბავი შე მკითხე. კულს ეშმაკსაც გადაუსკვნიან.

ნაცარქეჩია—რომ ატრიანებოთ მაგ ენას, ახლა, არ იციო, რომ მასე იქნება?

გულთამზე—განა ამასთან შეთანხმება იმათ უშველის?

ტიტე—(ნაცარქეჩიას) ეს დრო მაინც შენია და მოიხმარე, გეგმას შე მოგეცე.

ნაცარქეჩია—შენი გეგმა რად მინდა. როგორც არ უნდა შეიცვალოს მთავრობა, სულერთია, ვინც იქნება, თავი შე უნდა დამიკრას.

მდივანი—მართალია, ბოლოს მაინც შენ გადაწყვეტ ამ ქალაქის ბედს.

გულთამზე—(თაფისთვის) განა მართლა ქალაქის ბედს ეს ათამაშებს?.. (რბილად) ყვარყვარე! თქვენ არ შეგიძლიათ გამაცნოთ თქვენი გეგმა, შე, ძველ მეგობარს.

- ნაცარქექია—(ღელავს და მაგრად ჯჳერს ხელს) არ შემოდლიან რომ დაგიმალო... არაფერს არ დაგიმაღავ... არა...
- გულთამზე—(ხელს წართმევს) დაიცა, ხელი მომაშორე.
- ნაცარქექია—ბლერი კი არ მჭირს.
- გულთამზე—არა, რა საჭიროა, ისეც კი უნდა დამიჯეროთ, რომ მე თქვენთან მაკავშირებს ძველის-ძველი გრძნობები.
- ნაცარქექია—გახსოვს, შენ ცეცხლმოკიდებულო?!
- გულთამზე—როგორ არა, მას აქეუ სულ გეძებდი.
- ნაცარქექია—მერე, ვერ მნახე, შე დაკარგულო?!
- გულთამზე—აკი აგერ მოულოდნელად გნახე.
- ნაცარქექია—ერთია ზღაპარში შენისთანა ქალი, მეორეა სიზმარში, და ცხადში მარტო შენა ხარ და შენ.
- ტიტე—(ნაცარქექიას) შენ ამ ეშმაკს რომ აჰყევე, ქალაქს მოგასპობინებს.
- ნაცარქექია—იქით, თორემ თავს სკვინჩასავით წაგწყვეტ! (მდივანი და ტიტე ერთმანეთს ეჩურჩულებიან)
- გულთამზე—ახლა, ჩვენი სიყვარული რომ კარგად დაგვირგვინდეს...
- ნაცარქექია—ოჰო, ჰო, ჰო... შენს მკლავზედ მატუსელასავით უნდა დავებრდე, იმდენ ხანს უნდა ვიკოტრიოლო.
- გულთამზე—რა ბედნიერებაა, მხოლოდ ჯერ ჩვენი ფიქრები შევაერთოთ.
- ნაცარქექია—ფიქრებს მე სულ კოლოფივით მოგარგებ. ოღონდ ცოცხალი თავი მომე.
- გულთამზე—ახლა მითხარი: შენ ჯარი გყავს?
- ნაცარქექია—ჩემოდენა ჯარი ქიანქველასაც არ ჰყოლია. ფრონტიდან რომ მომყავდა, რამ თოვა და წვიმოა იძახოდნენ...
- გულთამზე—ყველაფერი გამიმხილე, მე ქალი ვარ, მართალია, მაგრამ კაცებზე უფრო მიყვარს დიდ ამბებში ჩარევა.
- ნაცარქექია—ეს კი, მარა, იცოდე, კაცებთან რომ დაგინახო გავლილი, ისე ჩავაუღებ მაგ თმაში ხელს და ისე გაგწეწავ, შენი კივილი ცას ესმოდეს.

გულთამზე—არა, მამაკაცებიდან მხოლოდ ორ-სამ ბოლშე-
ვიკს ვიცნობ, სხვას არავის.

ნაცარქექია—რაო? რაც მე იმგენმა გუშინ საქმე მიყვეს,
ბოლშევიკს რომ დაელაპარაკო ძველი ბალიშივით გაგშლი.

გულთამზე—(უკან დაიხვეს) მაშ, აღარ მომეკარო.

მდივანი—(ტიტეს) ეს ქალაქი გადარჩა.

ტიტე—ოო, ჩენი საუკუნე ჰკუიანია, ახლანდელ გმირს ქა-
ლის აღერსი ვერ ატყუებს.

ნაცარქექია—(უხლოვდება გულთამზეს) თუნთულა!

გულთამზე—აწი შენთვის ეკალი ვარ.

ნაცარქექია—ჩემო სულის კვარაკუნჩხა.

გულთამზე—ამდენმა ბრმამ თავი როგორ მოიყარა შენს
ხელში.

ნაცარქექია—ჩემო ბოლო გაშლილო გვრიტო!

გულთამზე—რა დაპირებით მოატყუე, ნეტავ ვიცოდე.

ნაცარქექია—ხატივით ნუ შეძირისხდი.

გულთამზე—ენახავ. ის ჯარი შენვე გეძებდეს! გასაწეწად.

ნაცარქექია—ასე რაბ გაგამწარა. ჩემი საქმე შენთვის ყო-
ფილა მოწყობილი. ის ლაშქარი გუშინს აქეთ ბოლშევიკურ
გუნებაზეა.

გულთამზე—როგორ, ხომ არ გაგაძევეს იქიდან!

ნაცარქექია—არა, ახლა ბოლშევიკურად რომ გამოვიწყო
პირი და იქ დავბრუნდე, გუშინდლამდე რაც იყვნენ, ორჯერ
მეტ პატივს აწი მცემენ.

გულთამზე—მაშ, ლაშქარი არ გყოლია.

ნაცარქექია—საქმე, ჩემო მოპოებულო, ასეა: აქ ისინი ქუ-
ჩების ქორმა გადარია და ბოლშევიკური პროგრამა მომთ-
ხოვე, მაგრამ მე ვერ დაუფქვი და დღეს პანდური მომაცო-
ლეს... ახლა, ცოტა ბოლშევიკურ ლაპარაკში ძინდა გაწათ-
ვა. შენ ვერ მასწაველი?

გულთამზე—როგორ არა.

ტიტე—(მდივანს) ერიჰა, გესმის?!

მდივანი—(ნაცარქექიას) მაშ, აქ ტყუილებით დაჯექ სარდლის
ადგილზე?

ნაცარქექია—რაო?

ტიტე—ათი ათასი მყავსო, რომ ამბობდი...

მდივანი—თუ გიპანღურჯს ახლა ამხელ?

ნაცარქექია—ასი წყალობა რომ შემპირდით? ჩემ პურ-მარილზე მპატიუბდით, ვირის თავებო? ორი ერთგული კაცი რომ მომყვა, ამირანის გოშიებივით, სად დამიღუბეთ?

გულთამზე—როგორ არის დაწყობილი ლაშქარი?

ნაცარქექია—წესიერად.

გულთამზე—ძალა აქვთ?

ნაცარქექია—ამ ქალაქს სულ მიასწორ-მოასწორებენ.

გულთამზე—საით დგანან?

ნაცარქექია—ქალაქის აღმოსავლით.

ტიტე—(მდივანს) რა ვქნათ?!

მდივანი—(ტიტეს ჩუბად) ვაცნობოთ ახალ მთავრობას, ესენი გზაზე დააკავეონ, საქმეს ვიშოვი.

გულთამზე—(დაადებს მხარზე ხელს ნაცარქექიას) შენ შეგიძლია იქ მალე მიმიყვანო?

ნაცარქექია—ასე მხარგადახვეული თუ წავალთ, გზას ვერც კი გავიგებთ, ისე მივალთ. (მიდიან)

მოქმედება მეოთხე

მაზრის რევეკომის შენობა, ბალკონიდან კიბე ვშეება მოედანზე.
პირველი და მეორე გლეხი მოედანზე შეხედებიან მესამე
და მეოთხე გლეხს.

- 1-ლი გლეხი—რევეკომი აქ სად არის?
- 3-მე გლეხი—ჩვენც ის გვინდოდა. აქ არის და შიგ ვერავინ ვერ ვნახეთ.
- 2-რე გლეხი—ეჰ, გლეხიკაცის საშველი არ ყოფილა.
- 3-მე გლეხი—თქვენ სადაურები ხართ?
- 1-ლი გლეხი—ქარიატადან ამოვედით.
- 4-ე გლეხი—რა მოგივიდათ?
- 1-ლი გლეხი—ტყეში დარჩენილ ბრბოებს მენშევიკებიდან ხარალი შერჩათ და ახლა გვაწიოკებენ.
- 2-რე გლეხი—სწორედ გითხრათ, უსაშველო გვჭირს.
- 3-მე გლეხი—რა ვიცი, მე ასე გამიგია, რაზმი წამოვიდა თქვენსკენ ყაჩაღების ასალაგმავადო.
- 1-ლი გლეხი—ყვარყვარე თუთაბერმა ჩამოიარა, მარა რად გინდა, ვინც საწყალი ნახა ზურგზე ბოლი აღინა და ყაჩაღებს კი თავზე ხელი დაუსვა.
- 3-მე და 4-ე გლეხი—როგორ?!!
- 2-რე გლეხი—ყველა თავის რაზმში მიიღო.
- 4-ე გლეხი—ეს რა საქციელია?
- 1-ლი გლეხი—თუ ძმა ხარ, არ გამაცხადო, ასე ამბობენ: ყაჩაღების თვითონ შეეშინდაო.

3-მე გლეხი—რა ვიცი, აქ რომ ძალიან ვაქეცობს?!

1-ლი გლეხი—მაშ, ერთს გეტყვით.

3-მე და 4-ე გლეხი—ჰო, სთქვით, ნუ გეშინიათ.

1-ლი გლეხი—იმ ყვარყვარეზე საჩივლელად მოვედით სოფ-
ლელეები.

3-მე გლეხი—კარგი საქმეა, მაგრამ თავმჯდომარე ავად არის,
ვისთან უჩივლებ! (ხმაურობაა. შემოდინ მებუთე და შეეჭვსე გლეხი)

4-ე გლეხი—მაქეთ რა ჩოჩქოლია?

5-ე გლეხი—ყვარყვარე მოდის, ხალხი დაუქერია.

3-მე გლეხი—ეჰ, შეარცხვინა ღმერთმა, მაზრა ააწიოკაო,
ამბობენ.

4-ე გლეხი—მაგის წამალი რეეკომიდან გამოვა.

2-რე გლეხი—ეს როდის იქნება?!

6-ე გლეხი—სულერთია, ყვარყვარეს ვერაფერს დააქრის ყუ-
რებზე ხაზს.

2-რე გლეხი—რატომ?!

6-ე გლეხი—ხელმწიფე მაგას გადაუგდიაო.

5-ე გლეხი—კი, ასე ამბობენ, დიდი ბადეები გაუგლეჯიაო.

2-რე გლეხი—აბა, გავეცალოთ ამ მოედნიდან. (გლეხები აჩქა-
რებული გადიან. შემოდის ნაცარქექია თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული)

ნაცარქექია—(ეძახის) დაურთეთ თოფის კონდახები, ისე
მოსცხეთ, რომ დაწყნარდნენ. (ისმის ჩოჩქოლი) ეს რა ღრიან-
ცელია, კიდევ ატყდნენ! შენ, ჰეი, მაგას თავი გაუხეთქე და
მაშინ შეუშვებს შიგ ახალ-ახალ ცხოვრების აზრს. ოო, შე-
დენეთ იმ სარდაფში, კარი გამოუხურეთ. მორჩა. (თავისუფლად
ამოისუნთქავს) რა გლახაა ხალხის სიბნელე, რამდენიც არ უნ-
და უჩაჩქუნო თავში ვერაფერს ვერ შეავნებინებ. (შემოდის პირ-
ველი რაზმელი)

1-ლი რაზმელი—ერთი ბებერი კაცია შეპყრობილი, მეწის-
ქვილე ყოფილა. ასე იძახის: ყვარყვარე თუთაბერის ძველი
მასპინძელი ვარ და ნუ მომკლავს, ღმერთი იწამოსო.

ნაცარქექია—იმ მეწისქვილეს უთხარი: აქ მალე მოგა-
კითხავს ქალიშვილი და შენს საქმეზე ჩემთან მოგოგმანდე-

ბა-თქვა. (პირველი რაზმელი მიდის. შემოდის ორი რაზმელი ზურგზე ბარგით)

მებარგე — ეს რეეკომში შევიტანოთ?

ნაცარქექია — ეს ხომ ჩემი ამორჩეულია, სადაა სხვა საქონელი.

მებარგე — იქაა მთელი ურემი.

ნაცარქექია — ჰო და, ის შეიტანეთ რეეკომში, ეს მე მაჩუქეს მუშათა კლასს. რომ ვემსახურები, იმისთვის... (ანახლად) და ჩემი საქონელი მიგაქვთ რეეკომში, თქვე თვალდაფსებულებო?

მებარგეები — აბა, სად წავილოთ?!

ნაცარქექია — თავ-აბრაგებს მიაბარეთ. მხოლოდ წვრილმა აბრაგებმა არ დაინახონ. (მებარგე აპირებს წასვლას) დაიცადე, წადი ის ქურქი მოიტანე, თავადი შეიღმა რომ მაჩუქა.

მებარგე — იმ ქურქს თავ-აბრაგები ერთმანეთში იყოფენ. —

ნაცარქექია — რაო, ჩემს ქონებას იყოფენ ის პირძაღლები?! წადით, უთხარით, თავი თხლეზედ არ დამაქვინონ, თორემ ერთმანეთს ვერ გაასწრებენ, ჩქარა ორივე აქ მომგვარეთ.

მებარგეები — კი, მარა, ეს სად წავილოთ?!

ნაცარქექია — კარგი, მე თვითონ გაჩვენებთ მაგის ადგილს. (ყველანი მიდინან. შემოდის გულთამზე და რეეკომის თავმჯდომარე)

გულთამზე — მამის დაპატიმრება მაცნობეს და გამოვეშურე. მაშინვე კი ვიგრძენი, რომ სრული გაუგებრობის მსხვერპლია ის საწყალი... რა უნდა შემთხვეოდა მოხუცს და, მართლაც, ვხედავ, მთელი მაზრა არეულია.

რეეკ. თავმჯდომარე — მე ცენტრში დამიძახეს, ამხანაგო გულთამზე, და გზაზე, აქეთობისას, ავად გავხდი, არაფერი არ ვიცი.

გულთამზე — ერთი ამხანაგი მოდის ამ ამბების გამოსარკვევად — ძველი მეგობარია, ფრონტზე ერთად ვეწეოდით ფარულ მუშაობას.

რეეკ. თავმჯდომარე — ეჰ, ყველაფერი ჩემი. მოადგილის ბრალია. რაზმში ყაჩაღები მიუღია და ჩანს თვითონაც მათი გავლენის ქვეშ მოექცა.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — ეტყობა ეს თქვენი მოადგილე მათრახს უსამართ-
ლოდ ატრიალებს, ბევრ პარტიულ ამხანაგსა აქვს ზურგი
აქრელებული.

რ ე ვ კ . თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე — ვნახოთ, ვნახოთ, ყველაფერი გა-
მოირკვევა. (მიდის რეკომში. შემოდის ნაცარქეჩია)

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყესე, უკ-
კუო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შნო გაქვს,
ჯოხს თვითონ მოქცემს, ოღონდ ძალიან ჭკვიანად უნდა და-
არტყა. (შემოდის პირველი რაზმელი)

1-ლი რ ა ზ მ ე ლ ი — იმდენი ხალხი ერთ სარდაფში არ ეტევა!..
ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — კარი ხომ მიუხურე!..

1-ლი რ ა ზ მ ე ლ ი — როგორ არა!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — მაშ, თუ კარი მიუხურე, დაეტევა აწი, აპა
რას იზამს?!

1-ლი რ ა ზ მ ე ლ ი — სასუნთქავ ფანჯარას მაინც გაუღებ, თო-
რემ სულს ვერ ითქვამენ.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — მერე, იქიდან რომ გადმოცოცდნენ? არა,
მიხურე!

1-ლი რ ა ზ მ ე ლ ი — ვინც სუსტი გულისაა, იმ სარდაფში
მოკვდება.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — სუსტი გულის პატრონი პროლეტარიატს
რად უნდა?! მეტ ტვირთად დააწვება. ახლა, ეს მითხარი:
გინდა პროლეტარიატი რომ შეწუხდეს?

1-ლი რ ა ზ მ ე ლ ი — არ მინდა.

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — აბა, დადექი შენს ადგილზე.

1-ლი რ ა ზ მ ე ლ ი — კარგი, დავდგები. (მიდის. მებარგეს შემოკ-
ყავს პირველი და მეორე აბრაგი)

მ ე ბ ა რ გ ე — აი, ბატონო, ის აბრაგები მოვიყვანე!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — (აბრაგებს) აქეთ დადექით, ჩვენება უნდა ჩა-
მოგართვათ.

ა ბ რ ა გ ე ბ ი — ბრძანეთ. (მებარგე მიდის)

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ამ სოფელ-ქალაქს რომ მიდგომიხართ და
ბუდეში კვერცხს არ უშვებთ, რას მიპასუხებთ?!

1-ლი ა ბ რ ა გ ი — შენი წყალობაა, რასაც ვკამთ.

2-რე აბრაგი — მართალია, ცხრა კეუს ხალხი ტყიდან დაგვაბრუნე... ზოგი საწყალი მენშევიკი გლახა ნწყერივით ჩამორჩა გაქცეულ მთავრობას და ჩვენთან ამოიძუა კული. ყველას კარი გაგვიღე, რაც აბრაგები გვნახე.

ნაცარქექია — ჰო და ახლ კოკებს მისინჯავთ, მაგრამ მე თქვენი სულ არ მეშინია, არ მეშინია...

1-ლი აბრაგი — რას გისინჯავთ. შენ რომ შენი თავგადასავალი გვითხარი? იმაზე ყველამ დაუმატა რაც იცოდა და ერთ დღეს თავიდან ბოლომდე რომ მოყყევით შენი საქმენი, ვილაცამ თქვა სხვას რომ მაგის ნახევარი ექნა ძეგლს დაუდგამდნო.

ნაცარქექია — ძეგლს მიღგამენ?!

აბრაგები — კი, ასე თქვა ვილაცამ.

ნაცარქექია — მაშ, თუ ღირსი არ ვიყო ძეგლს რატომ მიღგამენ.

1-ლი აბრაგი — ახლა იმის სათქმელადაც მოვედით, თურმე, წითელი ჯარი მოდის და, იმისთანა დიდი ბოლშევიკები მოუძღვებიან... ქვეყანა რომ შეუძრავთ და მექორეები ჩმახვენ, ყვარყვარე თუთაბერს გაკოქავენო.

ნაცარქექია — მერე?

1-ლი აბრაგი — ჩვენ შენი იმედი გვაქვს.

2-რე აბრაგი — მთელი ჩვენი ბიკები საფარ-კედლად შენ გიყურებენ.

ნაცარქექია — მაშ, წადით და რაზმელებს უთხარით, მოედანზე ხალხს ათქმევენონ, რომ (უთითებს) იმ დიდი ლოდისაგან ჩემთვის ძეგლის გამოთლა უნდათ.

აბრაგები — რატომ?!

ნაცარქექია — როცა გაიგონებენ, თვალში ნაცარს ვერ მომაყრიან. ასეა... ხომ გესმით?!

აბრაგები — კი გვესმის.

ნაცარქექია — მაშ, წადით.

1-ლი აბრაგი — ბოლშევიკებისაგან ხომ დაგვიფარავ?!

ნაცარქექია — წყნარად იყავით რწყილებივით.

აბრაგები — ვიქნებით.

ნაცარქექია — ქვეყანას არ ათქმევინოთ, ყვარყვარე თუთა-
ბერს ვირები ვერ მოუთურგენიაო. (აბრაგები მიდიან)

ნაცარქექია — (აპირებდა რევეკომში შესვლას, მობრუნდება) ეს
ვინ არის?! ქალი კი არა მზის უნახავია. (შემოდის ქალი) შენ
ვინ ხარ?

ქალი — მე რევეკომში მაქვს საქმე.

ნაცარქექია — ჰო და, თუ რევეკომში მიხვალ, აგერ ვარ.

ქალი — მე გთხოვთ გაანთავისუფლოთ ერთი უსამართლოდ
შეპყრობილი ადამიანი.

ნაცარქექია — შეიძლება.

ქალი — ოჰ, როგორ მადლობელი ვარ, სულ უდანაშაულოა.

ნაცარქექია — ვინ არის, ბრძანეთ და ამ წუთში გავანთავი-
სუფლებ. ის კი არა, სული რომ მთხოვო, ამ ყელიდან
ამოვიღებ და მოგცემ. (უახლოვდება ქალს)

ქალი — (უკან დაიხვეს) ის ჩემი ქმარია.

ნაცარქექია — ქმარიო!! ეს სხვა საქმეა. ის დიდი დამნაშა-
ვეა. მე ახლა კანონს ფეხს ვერ გადავადგამ იმისთანა კონტრ-
რეგოლაციონერის გულისთვის.

ქალი — რას ბრძანებთ, სულ მთლად მართალია.

ნაცარქექია — (უახლოვდება) ის ვითომ არ გყოლიათ, ისე
უნდა დავიწყოთ.

ქალი — ვინ დავივიწყო, შე მხეცო, ა, ეს რა პასუხია, ჩემი
ქმარი დავივიწყო, შე არამზადავ?!!

ნაცარქექია — შენ ვის უბედავ ასეთ სიტყვას, თუ შენ
გგონია ისე მომწონხარ, რომ ჩემს თავს და მთავრობას გავა-
ლანძღვინებ?! მე რომ ქალი მიყვარს და ვუყვარვარ, იმის
გვერდით რომ გაჩერდე ჯოჯოხეთის მაშხალად გამოჩნდები.

ქალი — ა, მე ვხედავ, რომ თქვენ დასცინით ჩემს თხოვნას...
მაგრამ, როგორც გავიგე, მე მარტო არა ვარ ამ ყოფაში.
დღესვე მოვადგებით ყველანი რევეკომს და ხმამაღლა მოვით-
ხოვთ საპარტალს. ვნახოთ. (მიდის)

ნაცარქექია — (დუმილის შემდეგ) ქალს როდესაც ვექორქო-
შები კჭუა მებნევა, თორემ იმ ქალმა ახლა იმისთანა სიტყ-
ვები მკადრა, უსათუოდ უნდა დამეტუსაღებია. (გაივლის)

ეჭ, ეს მაზრა ხომ კარგად მივასწორ-მოვასწორე. აწი შევალ ჩემს რევკომში და, იცოცხლმე, ყვარყვარე თუთაბერო, ერთი ათად გამოაჩინო შენი ნამოქმედარი. (მიდის რევკომში. შემოდის კაკუტა, ქუჩარა და ლირსა)

ქუჩარა — ე, კაკუტა, ხედავ, კაცო, სად მიდის ჩვენი ნაცარ-ქექია?

კაკუტა — მისაკარებელი პირი რო არა გვაქვს?!

ქუჩარა — რა ვიცოდი, მაგის ბარი თუ ამდენს იმუშავებდა.

კაკუტა — ო, რას იზამ. კაცნი ვართ. ვუთხრათ ჩვენი ნაბატონარის ნამოსახლი რო მოგვცეს.

ლირსა — ჰო, უთხარით, კაცებო, გაჭირვებულებისათვის ახლა თენდებო და ჩვენზე გაჭირვებული ვინ არის, რაღაცა თითო ხელისდადება ადგილი გაქვთ, იმაში თესლის ჩაგდებაც არ ღირს. (კაკუტას) თუ მეტი მოხერხება არ გქონდა, შე საწყალო, რას იკიდებდი ჩემს ცოდვას?!.

კაკუტა — ასეა, ჭემო ლირსა.

ლირსა — უბედურებად მე ჩემი სიობლე მეყოფოდა.

კაკუტა — ო, რას იზამ.

ლირსა — როგორ რას იზამ, მგელივით კაცი ხარ. თუ ხელს გამოიღებ, შენისთანა ჩვენს სოფელში ორიც არაა.

კაკუტა — ქალი შენა ხარ და ყველაფერი კი იცი...

ქუჩარა — (ხარბად უყურებდა მათ) რა ექნა, ჩემთვის არ მოინხა ასეთი უპატრონო და ობოლი... ქალის ქირისუფალმა, თუ შეგატყო რომ მქადი გიქირს, მაქანკალს კეტით გამოგიგდებს... არა და, მეც მინდა ერთი გულის გამთბობი.

კაკუტა — რას იზამ, კაცნი ვართ...

ქუჩარა — (იხედება რევკომისაკენ) თუ კარგი თვალით გადმოგვხედა ნაცარქექიამ ჩემი კერიაც დაინთება.

ლირსა — რატომ არა, მიდით და თხოვეთ, კაცებო, ხომ იყო თქვენი ამხანაგი!

ქუჩარა — არა, იმას ჩვენზე დიდად თავი სულ კი მოქონდა. კი, კი მოქონდა.

ლირსა — (კაკუტას) აბა რას გამომიქედე, ჩემო კაცო, ყური, ამხანაგი იყოვო.

კაკუტა — არა, ღონით მე ყოველთვის ვაჯობებდი, მარა, რას იზამ!

ქუჩარა — ხერხი რომ არ ჰქონოდა ვაჯობებდით, მარა რაც ზევითაა ორი იმდენი მიწაშია და მიწაში ეძიე შენ, რას მონახავ.

კაკუტა — კი, ძირს გამოგიტხრის.

ქუჩარა — მე ახლა აქ სულ შენი იმედითა ვარ, ცოლიან კაცს რომ გნახავს, პატივს დაგდებს.

კაკუტა — კი, პირდაპირ ჩვენს იღბალზე დაწვა და დაანაცარტუტა ი ჩვენი ნაბატონარის მიტოვებული ოდა სახლი.

ქუჩარა — იქ ერთი კუთხე რომ მოგვიგდოს, მეტი რად გვინდა.

კაკუტა — მართალია, უნდა მოგვიგდოს, ჩვენც კაცნი ვართ.

ქუჩარა — ჰო და, რასაც მოგვეცემს, იცოდე, ორივეს უნდა გვერგოს.

კაკუტა — კი, გერგება. (ნაცარქექია გამოდის ტრეპოშიდან და ნელ-ნელა ეშვება კიბეზე)

ნაცარქექია — გულთამზე მოსულა და ხოხობივით ზის თავმჯდომარის ოთახში. მეც ეშმაკი ვარ, იქ აღარ შევეფეთე. ასეა, მე რომ მკითხონ, სიყვარული მახეებში ძრომაა. თუ გააბი ქალი, ბულბულს შეარცხვენს ისე ტკბილ გალობას დაგიბერავს, მაგრამ თუ გაგაბა ქარცეცხლს შემოგიკიდებს. (თვალს მოკრავს კაკუტას და ქუჩარას) ესენი, ახლა, აქ სად გამორჩნენ ძველი მთვარესავით.

კაკუტა და ქუჩარა — ბატონო ყვარყვარე.

ნაცარქექია — ვინა ხართ? როდის გაჩნდით ქვეყანაზე.

(ხურგს შეაქცევს)

კაკუტა და ქუჩარა — ბატონო, ბატონო ყვარყვარე!

ნაცარქექია — ვინ მიბედავს ბატონის დაძახებას. რევოლუციონურ ბრძოლაში კაცი ჩამტოვეთ, უნამუსოდ გაიპარეთ და ახლა აქ მობედეთ მოსვლა?

ქუჩარა — შევცდით რომ გავიპარეთ, მაგრამ ახლა ძალიან გაგვიქირდა და ისევ შენ დაგიკარით თავი.

ნაცარქექია — გაგიქირდათ?!

ქუჩარა—აა, ეს საცოდავი კაკუტა უღელში გაება. ქალი ითხოვა და ჩვენი ნაბატონარის ნამოსახლი გვინდა რომ გთხოვოთ. ხომ იცი, რა ძნელია, როცა კაცს უღელი აქვს: კისერზე და მჭადი საძებარია.

ნაცარქექია—ამ გლახას ვინ მისცა ქალი?!

ქუჩარა— (ჩუმად) სეფისკვერივითაჲ ეს უპატრონო.

ნაცარქექია—მანახეთ, ეგება მეც მომეწონოს (წინ გამოსწევენ ღირსას) ესაა? ტფუ... მგელს დააფეთებს!

კაკუტა—უპატრონო და...ობოლი რო იყო, იმიტომ მომცეს.

ნაცარქექია—ამის შეყვანას იმ ფაცხაში, ქვა რომ შეგეგდო ის გერჩია.

ქუჩარა—რატომ, რაც უნდა იყოს თბილია.

ღირსა—თქვენს იქით გზა არა გვაქვს, ბატონო, იმ ეზო-გარემოში ოც წელიწადს ვემსახურებოდი ბატონს და ახლა კი გვეკუთვნის ერთი კუთხე.

ნაცარქექია—გაჩუმდი, შენი ხმა არ გავიგონო (შემოდის პირველი რაზმელი)

1-ლი რაზმელი—რაზმელებმა შემოგიტვალეს, ამხანაგო, ძეგლს ჩვენი ხელით დაგიდგამთ, ოღონდ გვიშველო.

ნაცარქექია—რა მეხი მოელანდათ?

1-ლი რაზმელი—გზატკეცილზე წითელი ჯარი გამოჩნდა. პასუხისმგებელი ამხანაგები მოუძღვებიან და კალთა დაგვაფარეო.

ნაცარქექია—კალთა თუ არ ავიკაპიწე, ამდენი ოხერი ერთ ღელეში ჩამიტანს. წადი, უთხარი იმ რაზმელებს ჩემი სახელი არ ახსენოთ, თორემ, რაც დღემდე დაგაკელით, აწი გაგშოლტავთ-თქვა. (რაზმელი მიდის)

ქუჩარა—ვისზედ წყრები, ბატონო ყვარყვარე, რა გაქვს ახლა შენ ასაკრაიქინებელი.

ნაცარქექია—რომელ ურემს აწევს ჩემოდენა ტვირთი.

კაკუტა და ქუჩარა—რაო?

ნაცარქექია—ბოლშევიკებს ნაცარი კი არ მოაქვთ საქე-ქავად! საქმე იქნება.

ქუჩარა—ბოლშევიკებს, თურმე, ერთი კალაპოტი მოუტანიათ, ვინც პატარაა, იმაზე გაადიდებენ და, ვინც დიდია იმაზე დაამოკლებენ. რაც არ უნდა იხტუნო, თურმე, იმ კალაპოტს ვერ გაექცევი.

ნაცარქექია—მაშ, მეც თქვენთან გამასწორებენ?

ქუჩარა—(კაკუტას) ა, მგონია, ვერ ვთქვი კარგად.

ნაცარქექია—თქვენც იმ დიდ ქვაში გამოგიღებენ ჩემსავით, არა?

კაკუტა—შენ იმ ქვაში როგორ გამოგიღებენ?

ნაცარქექია—ცოცხალ ძეგლად დამდგამენ.

კაკუტა—ო, დადგამენ, მერე?

ნაცარქექია—მერე საფლავში თქვენი ძვალი არ იქნება, ეს კი ასე იდგმება.

ქუჩარა—სულ იქნებაო, გესმის, ლირსა!

ლირსა—კი...

ნაცარქექია—ვინ მოთელის იმ დროს მდინარეში რამდენი ამის მნახველი გულზე ხელს დაირტყამს და იტყვის: სიკვდილო, შე ოხერო, ყვარყვარე თუთაბერის ფასი ქვეყანაზე არ დატოვეო. ან-და, რამდენი ლამაზი ქალი მიასობს თვალს და იკითხავს: ეს რა მიწამ შექამაო, ეს საწყალიო, მალამოსავით დაილიაო... ისე ამოიჯენს ქალი გულს, რომ ფუნთულასავით მომეკვრება. მარა ქვას გაათბობს?!

ქუჩარა—ქვას კი გაათბობს. ბკადარს ვერ გააცოცხლებს, იმ მუდრეგს, თორემ, ქალის კოცნა კეცს გაახურებს.

ნაცარქექია—მერე შე რას გამომადლება. ეჰ, სულ ტყუილბზუილა არის ეს ცხოვრება. ბოლო ყველასათვის დაკარგულია.

ქუჩარა—სულერთია, ჩემო ყვარყვარე, სანამ ხარ, რა დედამ გვობაო, ხომ ათქმევენებ ამ ქვეყანას.

ნაცარქექია—დედამ მშობა, აბა ციცრის კვერცხიდან კი არ გამოვჩეკილვარ, თქვენ უპატრონებო.

ქუჩარა—კი, კი... სოფელში ამბობენ, შენს დაბადებაზე, ისე დაუტენია თოფი წყვიწყვის, რომ ლულა გახეთქია უბედურს. (ისმის ხმაურობა)

ნაცარქექია—ეჰე, თავი ბოლშევიკები მოდიან და რას მო-
მოწმებთ, მეზობლებო, იმათთან.

ქუჩარა—(კაჟტას) ვაქოთ, ბიჭო!

კაკუტა—კი, ცაში ავიყვანოთ.

ნაცარქექია—ხომ გახსოვთ, რაც მე წვალება მინახავს
თქვენი გულისთვის.

ქუჩარა—ის გავაცხადოთ?

ნაცარქექია—კი, სიპართლე თქვით.

ქუჩარა—კარგი, ასე ვიტყვი, რომ თავიდან ნაცარქექია
იყავი და შიმშილით გკლავდნენ.

კაკუტა—კი, ყველამ ვიცით.

ქუჩარა—თბილი სახლიდან გზა-შარაში გაგაგდეს. ბოლოს
იჯარა აიღე, მარა შენც გაჯახირდი და მუშებსაც ტყავი
გააძრე.

კაკუტა—ხიდი მაინც ვერ გააკეთე.

ქუჩარა—ვიტყვი, რომ კერიიდან აგაგდეს, შე საწყალო,
და მართალი კაცი კინალამ ჩამოგახრჩვეს.

ნაცარქექია—მართალი კაციო!

კაკუტა—კი, სულ ტყუილა დაგიპირეს. ახალთაობის საქმეში
არ ვრეი.

ქუჩარა—მერე, გაქცეული ჯარის უფროსობა გინდოდა, მარა
ჩვენისთანა ვირებმა გილალატეთ.

ნაცარქექია—ეს რა გამოდის!

კაკუტა—იმას შუა და იმას შუა რო იყო, იმას ვიტყვი.

ნაცარქექია—რას იტყვი.

კაკუტა—სასახლეში რო წაგვიყვანე და ყმად რო უდგებოდი
და მერე ის მთავრობა, რო თხლესავით წავიდა.

ნაცარქექია—ჰო და, ახლა კარგ ტაბლაკვერებს მიიღებთ
ჩემგან, წამოდით, უნდა დაგატუსალოთ.

ყველანი—რატომ, რატომ გვატუსალებ?

ნაცარქექია—რადგან ვერ მიცანით, თვითონ უნდა გა-
გაცნოთ ჩემი თავი და... როგორც გაუსწორებელ დამნაშავე-
ებს, გაპატიმრებთ. (ეძახის) ეი, ვინა ხართ? (შემოდინ რაზმე-
ლები) წაიყვანეთ ესენი და სამივე იმ სარდაფში ჩასტენეთ.

1-ლი რა ზმელი—არ დაეტევა, ამხანაგო, არ დაეტევა და
'რა ვქნათ?

ნაცარქექია—წაიყვანეთ!

ლირსა—ეს რა მეხის ტეხაა?

1-ლი რა ზმელი—ის ხალხი ახლა იქ ისეა გამწარებული,
როგორც კი გავაღებ კარებს, გარეთ გამოცვივიან, იხრჩო-
ბიან.

ნაცარქექია—გინდა შენ პროლეტარიატის ძალაუფლებას
ძირი რომ გამოუთხარო?!

1-ლი რა ზმელი—არ მინდა.

ნაცარქექია—აბა, წაიყვანე.

ლირსა—ბატონო, რას გვიშვრებით, კაცებო, მიპატრონეთ,
თქვენ შეჩვენებულბო.

ქუჩარა—(მუდარით) ყვარყვარე, ყვარყვარე, რას მიშობი.

ნაცარქექია—გაყევი.

ლირსა—ბატონო, შენი მუხლის კირიმე!

ნაცარქექია—(აპირებს წიხლი უთავაზოს ლირსას, რომელიც კა-
კუტას ეფარება) აი, ჩემი მუხლი.

ლირსა—რა ცეცხლში ჩამაგდეთ, კაცებო, თქვენ შეჩვენებუ-
ლებო, სად მომიყვანეთ. ამისათვის მეუბნებოდით, ამხანა-
გიაო!

კაკუტა—ქუჩარა, ბიჭო, შენ რომ ამბობდი, ცოლიან კაცს
პატივს გცემსო, სადაა?

ნაცარქექია—ჩქარა წამოდით, ფეხს ნუ ითრევთ.

რა ზმელები—(თოფს მოიმარჯვებენ) წამოდით! (მიდიან ყველანი.
შემოდის სევასტი ორი წითელარშიელით. ადის კიბეზე. რევკომიდან
გამოდინან: გულთამზე, რევკომის თავმჯდომარე, წევრები და შეეგებე-
ბიან სევასტის)

გულთამზე—სევასტი, შენ მოუთმენლად გელოდით.

სევასტი—კიდევ კარგად ყოფილხართ. ისე ირეულია ეს მახ-
რა, არ მეგონა, თუ აქ ცოცხალი დამხვდებოდით.

თავმჯდომარე—დიახ, ჩემმა ავადმყოფობამ ეს ახლად გა-
საბჭოებელი მაზრა ისევე ძველი აბარგების ხელში ჩააგდო.

სევასტი—ეს რა ხმაურობაა!

გულთამზე—გესმით, რალაცა დაამტვრიეს.

- სევასტი—ესენი საიდან მორბიან! (შემორბიან ტუსალები)
- 1-ლი ტუსალი—გვიშველეთ, ამხანაგებო, ციხეში ჩაგვყარეს, დაგვიხსენით.
- სევასტი—ეს რა ხალხია!
- 2-ე ტუსალი—გლებები ვართ, შრომის მეტი ჩვენ არაფერი ვიცით.
- 3-ე ტუსალი—განუკითხავად დაგვიჭირეს, კარები რომ არ გამოგვემტერია, ვიხრჩობოდით.
- სევასტი—ციხეში ვინ ჩაგყარათ?!
- ტუსალები—ყვარყვარე თუთაბერმა.
- გულთამზე—ყვარყვარემ?
- სევასტი—ეს სახელი ნაცნობია, გულთამზე, შენ არ გაგონდება?!
- გულთამზე—უი, ის ნაცარქექია ხომ არ არის?!
- სევასტი—დამშვიდდით, გლებებო! სად არის დამნაშავე?
- 1-ლი ტუსალი—როდესაც ჩვენ გამოეცვივდით, გაიქცა.
- 2-ე ტუსალი—(იხედება) აი, გაუკოქიათ.
- ყველანი—მოჰყავთ, მოჰყავთ!
- სევასტი—ჩქარა, რევეკომში მოიყვანეთ (სევასტი, გულთამზე თავმჯდომარე და წევრები შედიან რევეკომში. წითელარმიელებს შემოჰყავთ ნაცარქექია. უკან მძახვება პირველი რაზმელი).
- 1-ლი რაზმელი—არ დაეტევა-თქვა, ხომ ვიძახოდით! (წითელარმიელებს ნაცარქექია შეჰყავთ რევეკომში)
- ხალხი—გაასამართლეთ! (შემოდის კაკუტა, ქუჩარა და ლირსა)
- ქუჩარა—დინახეთ, რევეკომში რომ შეათრიეს, ის გარეწარი?
- ლირსა—კი, კი... კარგად მიაჩანჩალეს.
- კაკუტა—რას უზამენ ახლა, მოკლავენ?
- ქუჩარა—მოკლავენ, აბა, ქალს კი არ უთხოვენ!
- ლირსა—ახია, კაცებო, რასაც უზამენ. ვერ ხედავდით, რა დაგვიტრიალა?
- ქუჩარა—დრო კია მამამისი, წყვიწყვი, შავს იკერავდეს.
- კაკუტა—კი, კი, ზარალი გამოუვიდა.
- 1-ლი ტუსალი—(კაკუტას და ქუჩარას) თქვენ იცნობთ მაგუმოწყალოს?

ქუჩარა—ვიცნობთ კი არა, მაგის შიშით ძლივს დავდივართ ქვეყანაზე.

2-ე ტუსალი—როგორ, კიდევ გაწვალათ, ამის გარდა?

კაკუტა—ერთხელ გამოვეპარეთ, თორემ, ახლა ცოლი კი არ მეყოლებოდა—მკვდარიც ვიქნებოდი.

ქუჩარა—კაცო, კაკუტა! მაშინ რომ გადაფურჩით, ხომ დავიფიცეთ, სათოფეზე არ მივეკაროთ-თქო, ახლა როგორ გადავცდით?!

კაკუტა — ხო და ეს მოგვივიდა.

ხალხი—ეჰ, დასალუზავია მაგისთანა კაცი!

ქუჩარა—აბა, მაგ თუ გაუშვეს, სულერთია, მთელ ქვეყანას დააქცევს. (ყველანი გამოდიან რევკომიდან)

თავმჯდომარე—ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერის უმსგავსო საქმეები სულ თავიდან ბოლომდე გამოვარკვეით.

ქუჩარა—ალალია, ხომ ჩავარდი ტაფაში!

ნაცარქექია—რომ ვერ მივხვდი, რას შემართლებით? მე რევოლუციაზე ლოგინი დამიგია და ახლა დასჯა მერგება?

სევასტი—ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერი ნაცარქექიაა.

ხმები—კი, კი, ნაცარქექიაა.

სევასტი—ის მეფის დროს ჩემს მაგიერ დაიქირეს და ამ შემთხვევის წყალობით თავი გაუსაღებია ძველ რევოლუციონერად... ჩვენი გამოჩიებით კი ყვარყვარე თუთაბერი ნამდვილად ქკუნაკლებია, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეს ადამიანი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს და ამიტომ ვათავისუფლებთ.

ხმები—შემცდარია რევკომი, რევკომი შემცდარია!

ნაცარქექია—არაა შემცდარი, თქვენ უსვინდისოებო, მთლად ნუ მღუპავთ.

სევასტი—მხოლოდ იმ უნიადაგო ხელისუფლებაში, რომელიც აქ ჩვენამდე არსებობდა, იმ უთაურობაში, შეეძლო ყვარყვარე თუთაბერს გმირის ადგილი დაეჭირა და ხალხისათვის ვნება მიეყენებინა, ჩვენ კი ახლა მას ნიღაბი მოვხსე-

ნით და, დეე, თავისი ნამდვილი სახით, ნაცარქექიას სახე-
ლით, იაროს ქვეყანაზე.

1-ე ტ უ ს ა ლ ი — მაშ, თუ კქუანაკლების ხელში ვიყავით,
კიდევ კარგად გადავრჩენილვართ.

2-ე ტ უ ს ა ლ ი — კარგია მაინც, რომ გავიგეთ!

3-ე ტ უ ს ა ლ ი — რადგან აწი ზიანს ვერავის მიაყენებს, იაროს
და იჩერჩეტოს, რა გვენალვლება?!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ოო, რა სიცოცხლეს ვკარგავდი!

ს ე ვ ა ს ტ ი — (ნაცარქექიას უახლოვდება) ნაცარქექია, ეს თავი კი
შეგრჩა, მაგრამ გულთამზესთან ხომ შეგარცხვინეს.

გ უ ლ თ ა მ ზ ე — აწი მაინც ვერ შემხედავ, ძვალმოტეხილო, ხომ
სულელად გამოგაცხადეს!

ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა — ყველა უბედურებას შენით გადავეკიდე, გუ-
ლთამზე! (თავისთვის) ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი ყვარყვარე თუ-
თაბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება. (ხალხი სტე-
ნით, ყვირილით და დაცინვით აცილებს მიმავალ ნაცარქექიას).

ფ ა რ დ ა

კოცხეუჩის ქოჩინება

კოხელია 4 მოძველებად

მოდმელნი პირნი

ჯამლეთი—ხიდობანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
ხაფიტონი—ბუქუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
მანუჩარი—ყოფილი ახნაური
ჯიხილო—მანუჩარის ვაჟი
ხახული—გლეხი
გვირისტინე—ხახულის ქალიშვილი
მირიანე—შეძლებული, ახალგაზრდა კოლმეურნე
შატო—კომკავშირელი
მიტო—კომკავშირელი
ირინე
კაკალა
ვატა
ლომკაცა
ლოტბარი
გამგეობის წევრი
ბრიგადირები, კოლმეურნენი

მოძველება პირველი

ხახული წევს სახლის წინ, ტახტზე. კიშკარს მოადგებიან ვატა და ჯიბილო.

ვატა—მასპინძელო, მასპინძელო!

ხახული—(წამოდგება) ცინ ბრძანდებით?

ვატა—აგერ, სტუმრები გეწვიეთ!

ხახული—მობრძანდით, მობრძანდით! (ეგებება)

ვატა—გამარჯობა, ხახული! ეს მანუჩარის ვაჟი გახლავს.

ხახული—მანუჩარის ვაჟი?

ვატა—ჰო, ის გახლავს.

ხახული—მაშ შენა ხარ ის პატარა ჯიბილო? ეს რა მესმის!

ჯიბილო—დიახ.

ხახული—შენი კირიმე, ბიჭო. შენს დაბადებაზე რამდენი თოფი გაგისროლეს. არ მახსენებენ თქვენს ოჯახში?

ჯიბილო—კი, როგორ არა.

ვატა—შენ ამათთან მოჯამაგირედ ყოფილხარ, არა?

ხახული—მოჯამაგირეც მე ვიყავი და პატრონიც. ამის მანამ, მანუჩარმა, ჩემი მარჯვენა მოიწონა, ჩემი სიმღერა შეიყვარა და... (ჯიბილოს) ცხონებული ბაბუაშენი რომ მოკვდა, ის ძველი აზნაურ-ბატონი...

ჯიბილო—დიახ, გამიგონია.

ხახული—იმის ქელები რომ გადავიხადეთ, იმ დღიდან თქვენს ოჯახში სუფრა არ აღებულა. ხუთ წელიწადს, დღე და ღამე, ნაირ-ნაირი პურმარილი გექონდა გაშლილი. ?ოლოს, როდესაც გათავდა ქონება, მანუჩარმა სახლში გამიშვა და თავისი ნამოსამსახურევი ცოლად გამატანა.

ჯიბილო—დიახ, ესეც გამიგონია.

ხახული—რა ზორბა გამხდარხარ, ჯიბილო, ბიკო, შენ გა-
გახარა ღმერთმა!

ვატა—ეჰ, ზოგის ტანი იზრდება და ზოგის კკუა.

ხახული—რატომ, შე კაცო, მანუჩარის შვილს კკუაც გამოჰ-
ყვებოდა.

ვატა—გამოჰყვა, მაგრამ ისე, პატარა კკუა...

ხახული—შენ ამის რა ნათესავი ხარ?

ვატა—მე კვატულიას შვილი ვარ, სოფლის მწერალი რომ
გახლდა, თუ გახსოვს.

ხახული—ოო, მახსოვს, კი, აბლაკატი იყო, ქონება საჩივრებ-
ში დალია და ცოლშვილი ორმოში დარჩა იმ ცხონებულს.

ვატა—ჰო-და, მეც იმ ორმოდან ამოვძვერი და იმ ხელობით
ვცხოვრობ, ვდავიდარაბობ... ამ ბოლო დროს ქორწილს და
ტირილს ვეტანები, მაგრამ შეგხვდება ამისთანა ნავსი დღე,
ვანშამიც არ გერგება.

ჯიბილო—კარგი ახლა, ვატა, გეყოფა.

ვატა—შენ კიდევ ხმა გაქვს გასაღები?

ხახული—რას ერჩი ამ ახალგაზრდას?

ვატა—ამან გოჭივით ღობეში გააკვება თავი და ბოლოს
იკუყვირებს.

ხახული—რა დააშავა?

ვატა—ცოლის თხოვა გადაწყვიტა.

ხახული—მერე?

ვატა—ამის ცოლი გაგონილა?!

ხახული—კაცო, ცოლი მაგას უნდა, თორემ მე აწი დედო-
ფალს თბილი კეცია მირჩევნია მუცელზე.

ვატა—ო, რა ქალს გადაეყარა!

ხახული—გონჯია?

ვატა—თვალი უკეთესს ვერ ნახავს, მარა რა გინდა, ღარიბ
კაცს ფარშევანგი გამოადგება? ამ უბედურს მამისაგან არა-
ფერი აქვს, დედისაგან კი რალაც ორი ბექელი დარჩენია
და იმით დაუნიშნია შენი მეზობელი, ვაქრის ობოლი.

ხახული—ვაქრის ობოლი?

ვატა—დიახ, ირინე ჰქვებიცა.

ხახული—თუ ბედია, რას იზამ!

ვატა—ამისათვის ვილაცას უოხუნჯებია, ვაქრის ქალიშვილს
ქურები სპილენძით და ვერცხლით აქვს სავსეო, და გადა-
კიდებია. მერე მანუჩარმა მთხოვა: გაპყვე და ჩემი სარძლოს
ქონება იანგარიშეო, ეს ბრიყვი არ მოტყვილდესო. თითო-
ნაც შეჯდა ცხენზე და აქეთ წამოვიდა, ხახულისას ჩამოვ-
ხტები და იქ მომიტანე ამბავიო.

ხახული—მაშ, მანუჩარი ჩემსას მოდის?

ჯიბილო—ღიახ, მოაწევს, სადაც არის.

ვატა—კარგ ამბავს კი გაიგებს.

ჯიბილო—ცუდი რა არის?

ვატა—შენ კიდევ იმ ქალისკენ გაქვს თვალი!

ჯიბილო—მე მაინც ჩემსას ვიზამ.

ვატა—ვეტყვი მამაშენს, რა სიკეთესაც გადაყრიხარ და მერე
თავი ქვას ახალეთ.

ჯიბილო—ქური აქვს ცარიელი, თორემ, ფერ-ხორციით ხომ
სავსეა.

ვატა—ეჰ, რა დარიანი დღე დავკარგე, წავალ და გზაში შევ-
ხედები მანუჩარს. მშვიდობით, ხახულ!

ხახული—(წამოდგება) ეჰ, ქალიშვილი არ მოვიდა, თორემ,
უპატივეცემოდ არ გაგიშვებდი... მაინც მივიხედ-მოვიხედავ...
(აპირებს წასვლას) დამიცადე, მამა ნუ წაგიწყდება. (მოდის)

ვატა—არა, აქ მე ვერაფერს ვერ წავკნასავ. მივდივარ.

ჯიბილო—მეც გამოგყვები.

ვატა—სად მოტანტალო?

ჯიბილო—დღეს ვილაცა უნდა გავაბრტყელო.

ვატა—როგორ?

ჯიბილო—ტბილი კვერივით.

ვატა—ვაი, ჩემი ცოდვა!

ჯიბილო—გადაწყვეტილი მაქვს.

ვატა—მე ხომ არ მიპირებ, ბიჭო?

ჯიბილო—ვინც არის, მაშინ გაიგებ.

ვატა—წამოდი, შე კაცო. მე რა... ქალს კი არ გიგინებ, მხო-
ლოდ რაც არ არის იმ ქურში, რა ვთქვა, შე წაწყმენდილო.

ჯიბილო—შენს პირში მტერი ჩავარდა.. (ვატა და ჯიბილო მდიან. შემოდინ გვირისტინე და კაკალა)

კაკალა—ორას შრომა დღეს მეც მოვუყარე თავი, ჩემო გვირისტინე.

გვირისტინე—ესეა, თუ საქმეს დოუდებ გულს, კაკალა, დღეს შრომა ფონზე კი გაგიყვანს.

კაკალა—მამაჩემმა მითხრა, თუ ასე წაგვივიდა საქმე, გაისად, შვილო, ახალი სახლი დავიდგათო. შენ ააშენე, გვირისტინე?

გვირ-ნე—ჯერ სად არის, მასალა კიდევ აგერ ყრია.

კაკალა—აწი რად გინდა, მირიანესთან მშვენიერი ოლა დაგხედება.

გვირ-ნე—რას მეუბნები, ქალო ვინ გითხრა?

კაკალა—გუშინ მირიანემ გაგვაგებია ბიძაშვილებს, უცბად ვერც დავიჯერეთ.

გვირ-ნე—გაგიკვირდათ?

კაკალა—დედამისმა კი სთქვა, მარტოხელობით ისე დაყრუებული ვარ, ბატის მწყემსიც რომ მოყავდეს, მაინც მეხარებაო.

გვირ-ნე—რა ვქნა, ერთ დროს ბატიც კი მიწყემსია.

კაკალა—კი, ესეც გაგვახსენდა.

გვირ-ნე—მერე, ახლა რომ კოლექტივში ჩაის პირველი მკრეფავი ვარ, რატომ დავაგიწყდათ? ვითომ შოლტი გადმოშკარით?

კაკალა—არა, ჩვენ კი არა გვწყენია, პირიქით, მალე ვიქორწილებთო, რომ გვითხრა, ყველამ მივულოცეთ. შენთვის არ დავგიცინია.

გვირ-ნე—ყრუ არა ვარ, კაკალა, კი მესმის შენი ლაპარაკი... მირიანე შეძლებული კოლმეურნეა და ცოლიც შესაფერისი უნდა.

კაკალა—მერე, განა ამიტომ არ წაყვები?

გვირ-ნე—არა... მაინც... ისე აჩქარებულა, ჩემთვის არ უთქვამს, თუ ასე მალე გიცხადებდათ ნათესაეებს ამ საქმეს.

- კაკალა—მაშ, ჩვენზედ ახლობელს ვის ეტყოდა! რატომ გწყენია?
- გვირ-ნე—მე დაჩაგრული ვარ, ჯერ დედის სიობლით, მერე სიღარიბით, და ყველაფერში სიფრთხილე მახლავს.
- კაკალა—შენი ქართული ვერ გავიგე. განა კიდეც არჩევანში ხარ?
- გვირ-ნე—არა, მე ერთი სიყვარული ვიცი. (შემოდის ხახული)
- ხახული—აი, შე წყეულო, მე აქ სტუმრები მომივიდა, შენ კი ქარს აყოლიხარ.
- გვირ-ნე—გამგეობაში ვიყავი. ვინ გვესტუმრა?
- ხახული—აქ მანუჩარი მოდის.
- კაკალა—კარგი, ბიძია, ნუ გაუჯავრდები, დღეს ჩენი კოლმეურნეობის დაწინაურებაა—მოსკოვში დელეგატებს ვგზავნით სტახანოველების შეკრებაზე.
- ხახული—მე მაგ კი არ მეკითხება, ქალიშვილმა სტუმართან არ უნდა შემარცხინოს.
- კაკალა—რა ვიცი, სოფელი ლაპარაკობს, გვირისტინე მამას გამოადგაო.
- ხახული—რომელი ჯილა დამადგა?
- გვირ-ნე—სხვები ჩემს ნახევარსაც არ მუშაობენ კოლექტივში და მაინც უმადლიან.
- ხახული—დღე და ღამე იმ კოლექტივის საქმეზე დაშლი-გინობ. ქალის საქციელი შენ არა გაქვს და ვაჟიც არა ხარ.
- გვირ-ნე—რა ვუყო.
- ხახული—სვინდისი თუ გაწუხებდეს, მამას მიხედავდი.
- გვირ-ნე—ჩემი ხელი რომ მოგაკლდეს, მაშინ გაიგებ.
- ხახული—რა ბუმბულებში მაწვენ? აუ უშენოდ მქადს ვერ ვიშოვი?
- კაკალა—არა, ოღონდ, მარტო კაცი ქამაშიაც ცოდვაა.
- ხახული—ვინმეს ვიშვილებ.
- გვირ-ნე—რა ვიცი, ჩემი სიკეთე თუ არ მოგწონს და სხვისი მოგეჩვენება...
- ხახული—ჩემი სისხლ-ხორცის სიგლახეს უფრო ვერ ავიტან. (კაკალას) ხომ მართალია?

- კაკალა—მე ახლა, ბიძია, ამაზედ ვფიქრობ, თუ შეილს ვერ შეეგუე, სიძეს როგორ შეეთვისები?
- ხახული—ვის, რა სიძეზე მელაპარაკები? ამისთანა კვამ-ქო-თანას ვინ ითხოვს!
- კაკალა—ძალიან კარგი ბიჭიც არის მაგის მთხოვნელი.
- ხახული—ჰო, როგორ არა, მანუჩარის ვაჟმა აიჩემა.
- კაკალა—მანუჩარის ვაჟმა?!
- ხახული—თავს გვატეხს.
- კაკალა—მანუჩარის ვაჟი?
- ხახული—მზესაჟივით ბიჭი ჩამოახმო.
- კაკალა—ეს არ ვიცოდი.
- გვირ-ნე—ყბას გვიკევეს. (ხახულის) შენ დიდი საქონელი გგონია შენი მანუჩარის შეილი.
- ხახული—ხკალ სწორედ ჯვარს დაგწერთ.
- კაკალა—ხვალ ჯვარს იწერენ?
- გვირ-ნე—დაგვეცინის, კაკალა.
- ხახული—მაშ მე გამოჩერჩეტებული ვყოფილვარ, არა?
- გვირ-ნე—გარეშესთან მაინც ნუ გამართავ ასეთ ლაპარაკს.
- კაკალა—ოო, მივხვდი, რისაც გეშინია, გვირისტინე, მაგრამ ჩემი თავი ათას კუბოში გენახოს, თუ ეს მირიანეს ყურში ჩავაწვეთო.
- ხახული—მირიანე ვითომ რა ყოფილა, ჩემზედ მოსარიდე-ბელია?
- კაკალა—არა, არაფერია.
- ხახული—კოლექტივში ხეტიალს სჯობს მოხუცს უპატრონოდ არ მტოვებდე.
- გვირ-ნე—აი, ასეა... ხომ გესმის? და სულ იმიტომ მაქიაქებს, რომ ახალი ყოფა ეჩოთირება... არა, სული ამოვიდა, ვერაფრით ვერ მოვიმადლიერე, ვერაფრით. (ტირის. შემოდის მირიანე)
- მირიანე—გამარჯობათ, გამარჯობათ! შენთან კარგი ამბავი მომაქვს, გვირისტინე. (შეჩერდება) რა მოგივიდა?
- გვირ-ნე—უჰ, ისე...
- მირიანე—მაინც?

კაკალა—არაფერია, თითონ გეტყვის.

გვირ-ნე—შენ უთხარი, არ შემიძლია, ცოტა გულს გადავიყრი. (წასვლას აპირებს)

კაკალა—როგორ, ყველაფერს ხომ ვერ ვეტყვი?

გვირ-ნე—რა ვიცი, დასაფარავი რა მაქვს. (მიდის)

მირიანე—რა მოხდა?

კაკალა—გუშინ ბრძანე, გვირისტინეს ვთხოვლობო.

მირიანე—ღიახ.

კაკალა—ჰო-და, ხომ ხედავ რა ხასიათზეა.

მირიანე—არა უშავს-რა, ახლა ისეთ ამბავს ვეტყვი, გამხიარულდება.

კაკალა—რას ეტყვი?

მირიანე—მოსკოვში ვგზავნით სტახანოველების შეკრებაზე.

კაკალა—რატომ?

მირიანე—ხილობანში, გვირისტინე, პირველი სტახანოველი აღმოჩნდა.

კაკალა—მაშ, იმის ცალი ქალი აქ არ ყოფილა.

მირიანე—ჩვენც მაგრე გაგვიკვირდა, მაგრამ საბუთებმა ასე უჩვენეს.

კაკალა—არა, მე რაც თვალით ვნახე, ის მჯერა.

მირიანე—რა ნახე?

კაკალა—ხახულნი გვირისტინეს უთხრა, რომ ის ერთი უთავბოლო და უხვირო ვინმეა.

მირიანე—ო, ამისთვის ატირდა?

კაკალა—არა, მაგასაც მოგახსენებ... ხახულნი მისი საიდუმლო გასცა, გვირისტინე, თურმე, მანუჩარის შვილს მიჰყვება.

მირიანე—სად მიჰყვება?

კაკალა—ცოლად.

მირიანე—რას როშავ!

კაკალა—იმან კი დაგიფსო თვალი, მაგრამ ბიძაშვილები მინც შენს სირცხვილს დაფუარავთ, არსად გაეცხადებთ.

მირიანე—ეს როგორ შეიძლება? არა, არა, ეს სისულელეა! სად წავიდა?

კაკალა—რა ვიცი, ხმა არ გაგცა და შენს გასაკონადაც და-
მიბარა, ყველაფერი უთხარი, დასაფარავი არა მაქვსო.

ხახული—(უახლოვდება მირიანეს) ოჰო, ეს ვინ ყოფილა, მანუ-
ჩარის ვაჟი შეგონა.

მირიანე—მანუჩარის ვაჟს აქ რა უნდა?

ხახული—მამას უცდის ქალის თხოვის საქმეზედ.

მირიანე—მერე, შენსას?

ხახული—მანუჩარმა თავის სარძლო აქ უნდა ნახოს, ახლა
კაციც იყო აქ, მისი სარძლოს ავ-კარგის დასახედად.

კაკალა—აი, ხომ გესმის?

მირიანე—ახლა კი მიკვირს.

ხახული—რა გიკვირს, წესიერი ვაჟი ცოლის შერთვას ყო-
ველთვის მამას კითხავს.

მირიანე—დამილოცნია თქვენთვის მისი ზრდილობა.

ხახული—შენ რამ გაგაპილპილა, არ მოგწონს ეს ამბავი?

მირიანე—პირიქით, ნეტავ აღრეც შემეტყო, თუ ეს მართა-
ლია.

ხახული—ვერ გამოვიგა, რაზედ ცხარობ... აბა, მამის დაუ-
კითხავად გადაწყვიტოს შეილმა თავისი ბედი?

მირიანე—ოჰ, ძალიან დაიჩემე „მამას კითხავსო“, მაგრამ
შენ, ჯახული, ძველებურად უყურებ ამ ცხოვრებას.

ხახული—არა, ბიძია, პატიოსნება ვისაც აქვს, არ ძველ-
დება, მხოლოდ ვისაც არ ესმის, ძველი ქვერი გონია.

მირიანე—აქ გვირისტინეს მხრივ პატიოსნებას მე ვერ
ვხედავ.

ხახული—გვირისტინეს რას ერჩი, მასთან რა ხელი გაქვს!

მირიანე—ჩემგან ეს სიტყვა გადაეცი და ის მიხვდება.

ხახული—რაო, ჩემი ქალიშვილი მიხვდება, მე კი, ვითომ,
ისე ყრუ ვარ, შენი ზარის რეკვა არ მესმის... უკაცრავად,
მარა, იცოდნე, სანამ მე ცოცხალი ვარ, ჩემს ქალიშვილს
შენს ჭკუაზე ვერ გადაიყვან.

მირიანე—კარგი, კარგი, მე არც გეხვეწები, ხახულ, ქალი-
შვილი მომათხოვე-თქვა.

ხახული—ეს რას მირეკავს!

კაკალა—ვნახავთ, რა უკეთესი სიძე გეყოლებოდა.

ხახული—აბა, რა გითხრა, იცი: მე შეიძლება, ქალიშვილი
კი არა, ერთი გომბეშო მყავდეს, მაგრამ საქმე რომ ჩავარ-
დეს, შენისთანა გაუზრდელ კაცს მაინც არ გავატანდი.

კაკალა—სწორედ, შენი გასალანძლავია მირიანე, ასეთი სავ-
სე სახლ-კარი არც ერთ კოლმეურნეს არ გააჩნია.

ხახული—ვაი დედასა, მე მაკვირვებთ ქონებით? ჩემი თუ არ
მქონია, სხვისი მაინც მინახავს. (შემოდის ჯამლეთი)

ჯამლეთი—რა მოგივიდათ?

ხახული—ეჰ, ჯამლეთ, აგერ ჩერჩეტს მეძახიან ახალგაზ-
რდები.

ჯამლეთი—მე კი მეგონა, აქ მხიარულება დამხედებოდა. არ
გადაეცი გვირისტინეს, რომ ის არჩეულია დელეგატად?

მირიანე—არა, გვირისტინე სათოფეზეც არ მომეკარა.

ხახული—რაო, ვინ აირჩიეს?

მირიანე—შენი ქალიშვილი.

ხახული—არ გეყოთ, რაც ამდენ ხანს ოფლი გაადენინეთ?

ჯამლეთი—რას ლაპარაკობ, ხახული?

ხახული—გამოვიხსნი იმას თქვენი ხელიდან.

ჯამლეთი—მაშ, გვირისტინეს მე გამოუფუცხადებ.

მანუჩარ—(გარუდან) ხახული, ხახული!

კაკალა—(მირიანეს) ხედავ, საქრმოს მამა მოუვიდა ჩვენს გვი-
რისტინეს.

ხახული—(პიშკარისკენ) ეს თუ მანუჩარი არ არის, არაფერს
ვიტყვი!

კაკალა—ახლა ხომ ხედავ?

მირიანე—ხუთი დღის წინ თავის ხელით მოქარგული ბლუზა-
გამომიგზავნა.

ხახული—(მირიანესკენ) თქვენ წადით და ისეთი საცენკი სხვებს-
დაუყარეთ.

კაკალა—ახლა რას იზამ?

მირიანე—წამოდი, იმ ბლუზას გამოგატან.

კაკალა—ოო, აწი ისე მოაჩვენე თავი, თითქო შენ დაიწუნე.
(გადიან მირიანე და კაკალა. შემოდის მანუჩარი)

მანუჩარ — ჩემს ძველ ხახულს გაუმარჯოს!

ხახული — ეს უნაგირი, მანუჩარ ბატონო, სად შეიძინე?

მანუჩარ — ეჰ, სათაკილო მკირს.

ხახული — როგორ გეკადრება.

მანუჩარ — ამ დილას ჩემი თეთრი ცხენი შევკაზმე.

ხახული — კიდევ ცოცხალია, ბატონო, ის თეთრი ცხენი?

მანუჩარ — ნეტავ, მგელს დროზედ შეეჭამა, დაბერდა. ექვსი თვეა ზედ არ შეემჯდარვარ, ამ დილას კი ვიკადრე, მაგრამ ძალიან ფორხილობდა... მერე მგზავრების შემრცხვა და შუკაში გადმოვუხვიე, აქ კი მათრახმაც არ უშველა... ბოლოს წაიქცა და ფეხი გაკიმა იმ ოხერმა.

ხახული — ოჰ, ფარსაგი არ დაგმართვია.

მანუჩარ — ერთი სიტყვით, ჩემი სახელი აწი არ უნდა ვატარო, მანუჩარი მე აღარა ვარ.

ხახული — რას ბრძანებ, ბატონო, შენი სახელი ცარიელ გუდაზე რომ ეწეროს, ისიც პატივსაცემი იქნება... ოღონდ სირცხვილი ამ დროებას.

მანუჩარ — ეს მართალია, ხახულ, დრომ და ჯამმა მილალატა.

ხახული — დრომ ვის არ უმტყუნა, ხატმაც მადლი დაკარგა და ჩვენ რა ვართ.

მანუჩარ — მეორედ მოსვლა მოვა ცეცხლით.

ხახული — კი, ქვეყანა ცეცხლით დაიწვეება, აბა უპატრონო კი არა ვართ.

მანუჩარ — მაგ რაა, რაც დღეს ამბავი ხდება და რაც აწი მოხდება, სულ დაწერილია ძველ წიგნებში.

ხახული — მახსოვს იმ შენს სახლში, ჩემო ბატონო, ერთი ძველი წიგნი იდვა ბუხრის თავზე და ვერავინ იმას ვერ კითხულობდა.

მანუჩარ — როგორ არა, ვკითხულობდით, მარა არ გვესმოდა.

ხახული — ეჰ, ის ბუხარი რა ტკბილი იყო. სამოთხესავით შაგონდება იქაური სითბო და ლაპარაკი.

მანუჩარ — შენ რა გქონდა და მაინც მხიარული იყავი.

ხახული—მე რაც არ მქონდა, რა წავაგე, შენც იცი, მამა-
შენთან მოჯამაგირედ გავიზარდე, მარა შენ რომ მერე სუფ-
რაზე ზერიქიფედ დამიძახე და მთელი ქონება 5 წელიწად-
ში გაათავე, გული იმაზე მეთუტქება.

მანუჩარ—მაგ რა სადარდოა, ვინც ბევრი შეინახა, რევო-
ლუციამ ჩამოართვა, მე კი ყველაფერის შექმა მოვასწარი.
ქვეყანა იძახოდა, გადარეულია მანუჩარიო, ძაგრამ, ბოლოს,
ჩემმა ჭკუამ აჯობა... ოლონდ, უბედურება ეს არის, რომ მა-
შინ შესმული ღვინო დღეს არ მათრობს..

ხახული—კი, ესეც მართალია.

მანუჩარ—ისე, ჩემო ხახული, ბოლოს ძალიან გამიჭირდა...
ახლა რასაც მოვეკიდე, ყველაფერი ხავსი შეიქნა და ვიხრჩო-
ბი, ყელში ჩამავლო ხელი სიდუხჭირემ.

ხახული—ოჰო, ოჰო, აფსუს, მანუჩარის გაქირვება! პირდა-
პირ ყური მტკივა, რომ მესმის.

მანუჩარ—ისე გამიჭირდა, რომ ორჯერ შევედი კოლექტივ-
ში და ორჯერ გამოვძვერი.

ხახული—რატომ?

მანუჩარ—არ შეხვალ, გაქირვებაა, შეხვალ და მუშაობა
გინდა.

ხახული—მაშ, გამუწავებენ, აბა, პატიოსნად ვინ დაგაყენებს.

მანუჩარ—ახლა, ცალი ხარი შემრჩა, ის თუ არ შევიყვანე
კოლექტივში, ისე არ მიმიღებენ, მერე ვილაცასთან შეგაჯიბ-
რებენ. ქეიფში და სიტყვა-პასუხში ტოლს არავის დაუკლებ,
მარა მუშაობაში შეჯიბრება გაგონილა?

ხახული—ეჰ, ჩემი ქალიშვილი იმდენს მუშაობს, მარა სიბ-
რიყვე, სისულელე... მე ვეუბნები, შვილო, ჩვენთვის ვიმუ-
შაოთ-მეთქი, მარა სარივით რომ დაესო იმ კოლექტივში,
ვერ დავძარი.

მანუჩარ—შენ რას დაგიჯერებს, როცა სულ ჩასჩინებენ...
კაცო, მე ვეუბნები, მოხუცს მაინც ხუ მარიგებთ ჭკუაზე. მე,
ძველად, პოლიციის წესებიც კი დაპირღვევია-მეთქი... არაო,
ახლა კოლექტივში სულ წესიერად იყავიო. გაგიგონია, კა-
ცო, სულ წესიერად იდგე, ეკლესიაა?!

ბახული—რას იზამ!

მანუჩარ—ასეა და ბოლოს მაინც მესაჩეხვერ ვებეწებოდი, კოლექტივში მიგვიღეთ მამა-შვილი მეთქი.

ბახული—ვის ებეწებოდი?

მანუჩარ—ხატიტონს, ჩვენი ნამოჯამაგირევის შვილს.

ბახული—მერე?

მანუჩარ—ეჰ, კინალამ დამაჩოქა იმ უსვინდისომ... მარა ბოლოს, მგონია ჩემმა ჯიბილომ ისეთი საცოლე გაიჩინა, ბედი წალმა მობრუნდეს. ახლა შენთან ამბის გასაგებად მოვედი. (კიშქარს მოადგება ირინე)

ირინე—გვირისტინე!

მანუჩარ—შენი მეზობლის ქალი დანიშნა ჩემმა ვაჟმა.

ბახული—ოო, ეს კი გავიგე.

მანუჩარ—თურნე მდიდარი მამა ყავდა. ქვევრები თურმე სპილენძით და ვერცხლით ჰქონდა სავსე.

ირინე—(კიშქრიდან) ბიძია ბახულ, გვირისტინე სად არის?

ბახული—ოო, შენა ხარ ირინე? (მანუჩარს) აი, ეს გახლავთ ის ქალიშვილი.

მანუჩარ—რომელი?

ბახული—შენა ვაჟმა რომ დანიშნა.

მანუჩარ—მაშ, მოიყვანე, მარა ვითომ მე არ ვიცი ვინ არის.

ბახული—ერთი აქეთ მოდი. (ირინე ახლოს მოდის)

მანუჩარ—ეს ვინ არის, როგორ შემოფოფუნდა.

ირინე—ნე აქ ყურეს მეზობელი ვარ.

მანუჩარ—ის კუთხე გაახაროს ღმერთმა, სადაც შენისთანა გვრიტი გამოტეხილა.

ირინე—რას ბრძანებთ, ბატონო, მეტად მაქებთ.

მანუჩარ—რა ოჯახიდან ხარ?

ირინე—მამა ვაჟარი გახლდათ, ძლივს ნახოცს.

მანუჩარ—ჰო, იმას კარგად უვაჟრია ქვეყანაზედ და დიდი აღმასიცი დაუტოვებია. მე ფულს და ნივთა პატივს არ ვცემ: განძი ის არის, საქები შვილი რომ დაგჩუბა.

ხახული—აი, შენი ენა დალოცოს ღმერთმა! კიდეც ის ძველი
 სიტყვა-პასუხი შეგრჩენია, ბატონო!
 მანუჩარ—გათხოვილი არ იქნები.
 ირინე—დანიშნული ვარ.
 მანუჩარ—ვინ გკადრა?
 ირინე—ბუქუნარიდან გახლავს, ჯიბილო ქვია, მანუჩარის
 ვაჟი.
 მანუჩარ—როგორ, ჩემმა ვაჟმა მომიყვანა ასეთი რძალი?
 ირინე—თქვენმა?
 მანუჩარ—მანუჩარ მე ვარ.
 ხახული—ეს ქალი კი ეკადრება შენს ოჯახს, ბატონო მა-
 ნუჩარ.
 მანუჩარ—ჩემმა ეზომ აწი უნდა გაიხაროს.
 ირინე—მე გზახედ დაგინახეთ, ბატონო, ცხენის მოკაზმუ-
 ლობა მოგქონდათ. თუმე ვინ ბრძანდებოდით!
 მანუჩარ—დიახ, მართალია, გადარეული ცხენი მყავს და
 უნაგირიდან გადმომავლო.
 ირინე—რას ბრძანებთ. ასეთი ცხენი რად გინდათ?
 მანუჩარ—ცხენი კი არა, რაშია. სარძლოა სანახავად რომ
 მომეჩქარებოდა, მათრახი შემოვარტყი და იწყინა, გაფრინ-
 და, მუხლებიდან ნიავევით გამომეცალა და ამოდენა კაცი
 ბურთივით გადამისროლა მოლზე.
 ირინე—ძალიან გადარჩენილხართ, ბატონო.
 მანუჩარ—ოო, ახლა ამის შემოსვლა ჩემს ოჯახს როგორ
 გაახარებს. ღეთის მოცემული ყველაფერი მქონდა, თორემ
 შენ კი გახსოვს.
 ხახული—ოო, ის ქონება რომ შეგრჩენოდა!
 მანუჩარ—არა უშავს-რა. კიდეც იმდენი მაქვს, რომ ამათ
 ქორწილში ღვინოს ტბად დავაყენებ!
 ხახული—მართლაც, კი არ დაამადლი, რომ გქონდეს.
 მანუჩარ—ერთი სამასკოკიანი ქური, ჯიბილო რომ დაიბა-
 და, მისი ქორწილისთვის ჩავკირე.
 ხახული—ოო, ის რომ მართლა შეგენახა...
 მანუჩარ—სად წავიდოდა დედამიწიდან?

- ხახული—არა, სამასკოკიანი ქური, მახსოვს, ბოლოს გაფუქ-
და და შიგ ღვინოს არ ვაყენებდით.
- მანუჩარ—მართალია, მარა მეორე მქონდა.
- ხახული—სად?
- მანუჩარ—იმზედ მიწა გავასწორე და ახლა საძებარია, მა-
რა, იცოდე, ხახული, თუ ვეძებეთ, კი მოინახება.
- ხახული—თუ არი, ბარით ძებნას არ დაგამადლი.
- მანუჩარ—კაცო, აბა, ტყუილს რომელი ბარით ნახავ!
- ხახული—რა ვიცი.
- მანუჩარ—ოჰო, ჰო, რა ცხოვრება იქნება! ძველებურ სიმ-
ღერასაც ვიტყვით, მე და შენ, ხახულ. სადღეგრძელო და
დალოცვა უკეთესი არ გავგონილა.
- ირინე—ბატონო, მასეთი ქორწილი ახლა ხომ არ იციან!
- მანუჩარ—ვიცი, კარგი ქონება გაქვს, ჩემო რძალო, მაგრამ
არც ჩვენ ვართ აპოფშუტული. ამ რევოლუციამ უთვალავი
დაგვაკლო, მარა, თქვენი არ იყოს, ჩვენც გადავმალეთ
ცოტ-ცოტა და მაინც დიდძალი შემრჩა.
- ირინე—არა, ჩვენ კი არაფერი არ დაგვიმალავს.
- მანუჩარ—დამალვა, რასაკვირველია, არ უნდა ქვიოდეს,
როდესაც კაცი საკუთარს შეინახავს, მარა სიტყვაპასუხიც
დროს ემსახურება.
- ირინე—არ ვიცი, ბატონო, შესანახად რა დაგვრჩა.
- მანუჩარ—აი, სწორედ, ქალი ასეთი უნდა, მოკლე ენა დი-
დი განძის დარაჯია. ასეთი ნამუსი რომ არ გქონდეს, კი
ვერაფერს შეინახავდი. პირველი ქონება იდამიანის ნამუსია.
- ირინე—დიახ, იმიტომ დაეუახლოვდით ერთმანეთს მე და
ჯიბილო, თორემ გეფიცებით, სულ არ ვიცოდით, თუ რამე
შეგრჩათ.
- მანუჩარ—შემრჩა, აბა, ლეღვი ხომ არ ვიყავი, ვინმეს ხე-
ლის წამოკვრით გავეტყავებინე.
- ხახული—მართალია, აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის ოდენი
არ ასწიოსო, ნათქვამია.
- მანუჩარ—აი, შენ აგაშენოს ღმერთმა, ჩვენს ოჯახში გამოზ-
რდილი რომ ხარ, სიტყვა-პასუხზედ გეტყობა. (შემოდინა ჯი-
ბილო და ვატა)

ვატა—სად შეგვცილდი, მანუჩარ?

ჯიბილო—ირინე, აქ შენ როგორ გაჩნდი?

ირინე—(მორცხვად უკან იხევს) გვირისტინეს მოვაკითხე და მათქვენს შევხვდი... იმ ქალს ვეძებ, სად მოისპო?

ვატა—როგორ მყავს მანუჩარის თავი?

მანუჩარ—ერთი სიტყვით, ისეთი შადლიერი ვარ ჩემი ვაჟის, ამისთანა ღირსეული ქალი შიშველიც რომ მოეყვანა...

ირინე—(მორცხვად კიდევ დაიხევს) რა გადაეფარა იმ ქალს ამ ეზოში? (მორცხვად ეძებს და მიდის)

ვატა--ამას, ჩემო მანუჩარ, იმიტომ ლაპარაკობ, რომ ეს შენი სარძლო განძის პატრონი გვონია, თორემ...

მანუჩარ—რაო, მაშ, მეც შენისთანა ვყოფილვარ!

ჯიბილო—ესეც შენ, ჩემო ვატა!

ვატა—მე რა შენაღვლება, ერთმანეთს ცარიელ ჯამზე თქვენ შერჩებით.

მანუჩარ—ცარიელი ჯამი ჯერ მანუჩარს წინ არ დაუდგამს.

ვატა—ხელი კი ზაგრად ჩაგივლია.

მანუჩარ—რაზედ, ჩემი სარძლო რა ცარიელი ჯამია?

ვატა—ქონება არ ჰქონია.

მანუჩარ—ვერ ყოფილხარ შენ კარგი მეძებარი.

ვატა—ეჰ, თუ მწყერი არაა, მეძებარმა რა ააფრინოს.

მანუჩარ—მაშ, შენი სიტყვით, ჩემს სარძლოს სულს იქით არაფერი გააჩნია?

ვატა—ასეა.

ჯიბილო—ფერ-ხორციტ როგორია?

ვატა—მისი წითელი ლოყით ვერ გაჰაკვირვებ. ჩემ ეზოში ხეზე რაც ვაშლებია, სულ წითელლოყიანია.

მანუჩარ—სად არის, ნეტავ? (იხედება და ეძებს) რძალო, ნუ მოგვანატრე შენი პირი! (ირინე გამოჩნდება) ასე გაგონილა?

ვატა მორცხვობა სინაზეა, ზედმეტი მორცხვი კი დამქნარს ჰგავს.

ვატა—ეჰ, სად შერჩენია მანუჩარს ძველი არშიყის კვესი!

მანუჩარ—ქალიშვილო, აქ ამბობენ, ვითომ ცხონებულ მაშაშენს ისე სუფთად დაუტოვებიხარ, ერთი ნალის საღირა-

ლიც არათფერი გაგაჩნდეს.

ირინე—ღიას.

მანუჩარ—მერე, ეს ხომ კორია!

ირინე—არა, ბატონო, სიმართლეა, აკი წელანაც მოკახსენე და მეტი რა ვქნა. (უხერხულად უკან დაიხვეს)

მანუჩარ—ამან რა იცის, რა ქვევრები დატოვა მიწაში ცხობნებულმა.

ირინე—აქ კარი გამოუხურავს, ბოსტანში ხომ არაა ის მიწა გასახეთქი. (იმალება)

მანუჩარ—აი, მაგის დედას ეციალინება.

ვატა—ველაპარაკე.

მანუჩარ—მერე?

ვატა—რაც არ არის, ეშმაკიც ვერ მონახავს.

მანუჩარ—ჯიბილო!

ჯიბილო—იმას თუ არა აქვს ქონება, მამაჩემო, თითონ ხომ ქონებაა.

მანუჩარ—მაშ, შენ, ჩემო ჯიბილო, უთავოდ გაჩენილხარ.

ვატა—აი, მეც ეს ვუთხარი.

მანუჩარ—თფუ, ჩემისთანა მართალ კაცს ასეთი რა გაუჩნდა!

ვატა—მე იმას ვტირი, დღე რომ ტყუილად დავკარგე.

მანუჩარ—შე უგუნურო, მოხუც კაცს რომ გული ამიწანწაღე, ქვევრები აქვს დაქედლილიო, ხომ გაშრა პირში ნერწყვი.

ჯიბილო—რა ვიცი, რომ ყოფილიყო, არ დაგიმაღავდი.

მანუჩარ—ქალო, აქეთ მოიწი, რაგორ ხოხობივით იქცევი, თავს რომ ბუჩქებში მალავს და კუდს მელიას უტოვებს.

(ირინე გამოჩნდება)

ირინე—არ ვიცი, ბატონო, მასეთ ხოხობს რით ვგავარ.

მანუჩარ—მაშ, ეს მიბრძანე, ქალო: ახლანდელი ახალგაზრდები შეუღლებას რატომ არ უყურებთ როგორც მუდმივ საქმეს, რომ არ აკვირდებით, ვისზე თხოვდებით და რის შეძლება აქვს თქვენს არჩეულ კაცს?

ირინე—რა ვიცი, მე, ჩემი კეჟა როგორც ქრის, პირველად კაცს უყურებ.

- შანუჩარ—კაცის შეხედვა რაა მერე, კაცში რამე უნდა იყოს, თორემ უღვაში სიმინდსაც კი აქვს.
- იორინე—ეს მართალია, ბატონო, კაცი ჯერ ადამიანი უნდა იყოს. თქვენ თვითონაც ბრძანეთ, რომ ჩვენ ადამიანს უნდა ვაფასებდეთო.
- შანუჩარ—რომ ვთქვი, იმიტომ ვთქვი, რომ ენას თავის წესი აქვს... მაგრამ ცხოვრებასაც თავისი უნდა.
- ხახული—აი, შენ ავაშენა ღმერთმა, რომ პირიდან მარგალიტი გადმოაქვანქვალე.
- შანუჩარ—მე შენთან მაქვს საქმე, ჩემო ჯიბილო. ასეთი ჰაეროვინა და წესიერი ქალის წინაშე რომ ჩენი სიბერე შეარცხვინე, ასეთი მარგალიტი რომ ხელის გულზე დამიდევინე და მერე შენი სიგლახით წყალში გადამაგდებინე და ქვეყანაში თავი მომპერი, რა პასუხს მაძლევ?
- ჯიბილო—რად შევრცხვი, ქალი დავნიშნე და ჩემს სიტყვას არ ეუღალატებ.
- შანუჩარ—რითი უერთგულებ?
- ჯიბილო—რატომ, ვერ ვითხოვ თუ?
- შანუჩარ—(იოინეს) თქვენ მოგწონთ ამის პასუხი?
- იორინე—ღიახ, ბატონო.
- შანუჩარ—(ჯიბილოს) ბიჭო, რის იმედით ებმები უღელში?
- ჯიბილო—რა ვიცი, სხვა თუ კაცია, მეც წელზე ფეხს დავიდგამ და ერთ ქალს სულ მუშაობით ვარჩენ.
- შანუჩარ—შენი ნამუშევარი ვის უნახავს, გუშინ გალიაში შავი მოგიკვდა. მე ხომ გითხარი, მაგ საცოდავი გაუშვი, თავის თავს ტყეში შეინახავს, შენ ვერ არჩენ-თქვა, აი. ახლა ამ საცოლესედაც იმას გეუბნება... (იოინეს) თქვენ გესმით ჩემი ქართული?
- იორინე—(აღშფოთებულად) ეს ვის ესმის... რა ვიცი, ჯიბილო, ისე როგორ დაეცემა... ოღონც თავი არ შევირცხვინოთ და მეც თოხს ავიღებ.
- ჯიბილო—მართალია, იორინე, იცოდნენ შენი გულისთვის ყინვაში ოფლს გამოვიდნენ და ისე დაგარჩენ. მართლაც, შავი ხომ არა ხარ, რომ დაგივიწყო.

მანუჩარ—მერე, მე რას მიპირებ? ძველი მამა-პაპური რონ
გაგიყავი და ამოდენა გუდა გაგავსე, ახლა ხელიდან მეც-
ლები? ახლა კიდევ შფოთს მიმატებ? ამას სახე აქვს ანგე-
ლოზის, თორემ წიხლი რაშის ექნება.

ირინე—ასე როგორ გეკადრება ჩემი გაქიაქება.

ხახული—არა, მეზობელი ხარ და პირდაპირ გეტყვი: მანუ-
ჩარის ოჯახი შენ კი არაა. შენზე უკეთესს დაიწუნებს.

ირინე—უსამართლოდ ლაპარაკობ, ბიძია ხახული!

ხახული—ეჰ, უყურე გუშინდელ გამოჩიტულს, შენ რა იცო-
ავი და კარგი ქვეყანაზე.

ვატა—მე მგონია, ერთი სიტყვა მეც უნდა. მათქმეფინოთ-
იმდენი ქალ-ვაფი ზოგს თვალით არ უნახავს, რამდენიც მე-
გამირიგებია, მაგრამ აქ არაფერი არ გამოვა. ცარიელი ქვა-
ბიდან, რაც უნდა კოვზი უტრიალო, ფაფას ვერ ამოიღებ-
თქვენი საქმეც სულ ცარიელია, მხოლოდ ერთი ორი მისხა-
ლი რამეა სალაპარაკო და საქმეს რომ თავი მოვაბათ, ერთმ
საკითხი მაქვს თქვენთან ქალიშვილო.

ირინე—ბრძანეთ.

ვატა—ამ ვაჟს რომ შენთვის საცოდავი დედის ბეკედი მოუ-
ცია, უკან გამოგვიგზავნი თუ წაგვართმევ?

მანუჩარ—კაცო, მაგ რა საანგარიშია!

ვატა—მაშ, რომელ საბჭოთა კანონშია, დანიშნულმა კონტრი-
ბუცია წაიღოსო.

ირინე—(ტირილით) კარგი, იმას კი დაგიბრუნებთ, ახლაც
გამოგიგზავნით.

ჯიბილო—ირინე!

ირინე—აწი მშვიდობით გნახეთ. (ტირილით მიდის) *

მანუჩარ—აი, რა ტაფაში ჩამაგდე, შე უნამუსო! კაცს უხე-
შად კურღლევი არ გამიტყავებია და ქალი გამალანძღვინე-
წავა და იტყვის, მანუჩარმა გლახა მექათმესავით ქექვა და-
მიწყო, რა კვერცხის მდებელი ვარო. ეს არის, ბიჭო, შენი?
ეს არის ვერცხლით და სპილენძით სავსე ქვევრები? თფუ!
ცხენი ტყუილად კი არ მომიკვდა, იგრძნო იმ უბედურმა,
რომ აწი ფორხილი აღარ ღირდა, ოო, რა ქეიფებში ვუ-

ტარებივარ ჩემს ბედაურს, რა ჯიროთში გაუტანივარ, რა სიმღერით მინანავებია იმის ზურგზე აღმა-დაღმა ტყე და ველში.

ზახული—მაინც რამდენ ხანს გაუძლია!

მანუჩარ—ცოდვა ჩავიდინე, წიხლები რომ მივაზილე და ტურებს დავუტოვე მინდორში შესაქმელად... თუ იმ ქალმა დღეს ბექლები დაგვიბრუნა, იმით უნდა დაემარხო ჩემი ბედაური...

ვატა—ღვინოც უნდა დავულიოთ მე და შენ.

მანუჩარ—კი. მთავარი სული იქ ამომძვრა. ჩემი ქელები სიცოცხლეში უნდა ვქამო, თორემ, შვილი უპურმარილოდ გადამაგდებს. (შემოდინა ჯამლეით და გვირისტინე)

გვირ-ნე—მამას სტუმრები მოსვლია. ბიძია მანუჩარ, ძლივს გიცანით. (აკვირდება) რალაცა ამბავი გაგიგიათ, რა მოგივიდათ?

ზახული—ეე, ყველაფერი კი არ უნდა იკითხოს ქალმა...

გვირ-ნე—დღეს, მამა, ჩემი საქმე უცნაურად მოტრიალდა, დელეგატად მგზავნიან. (შემოდინა შატო და მიტო)

შატო—გვირისტანე, მოსკოვში გაგზავნით სასახელოდ.

მიტო—აბა, შენ იცი, როგორ გვასახელებ.

გვირ-ნე—გავიგე, ტვინი ნუ წაიღეთ!

ზახული—მოსკოვში?

გვირ-ნე—რა ვიცი, ისე უცებ გადაწყვიტეს, თითქო აგერ მივიდოდე ყურეში.

ზახული—მერე, შენ რომ ბრყვი იყო, მე პატრონი არ ვარ?!
ჯამლეით—საქმეა, ხახულ, დიდ საქმეზე ვაგზავნით.

გვირ-ნე—ჩემი შრომა დღეები იანგარიშეს და სტახანოველების შეკრებაზე მგზავნიან.

ზახული—ჰო-და, რომ გეუბნებოდი, შე უბედურო, მაგდენ ჩალიჩს თავი დაანებე, ეს ქალის შნო არ არის, დაგლუპავს-მეთქი... ხომ ავიხდა ახლა მამის სიტყვები?

შატო—რას ლაპარაკობ, ბიძია! ქალს სასახელოდ ვგზავნით და შენ ასე უყურებ?

მიტო—მაშ, არ გაუშვებ?!

ხახული—აი, ბატონო, მე თუ ბრმა ვარ, აგერ მანუჩარს კითხეთ.

ჯამლეთი—ნანუჩარი ძველი მეზამულეა, ჩვენთვის სასიკეთოს არაფერს გააცხადებს.

შატო—მაგი ნიჩაბზეა დასადები.

ვატა—აუ, სად გდებენ, მანუჩარ, განა შენ ახლა ხახულს შვილის გაგზავნას დაუშლი? როგორ გეკადრება!

მანუჩარ—როგორ გეკადრება, მე რომ ქალიშვილი მყავდეს, კი გაეატანდი.

ხახული—შენ, განა, გულით ამბობ?

მანუჩარ—რა გითხრა, აგერ იმოდენა ბურთი ჩამიდეს პირში, ენას ვერ ვაბრუნებ.

ხახული—ეჰ, ისე დავიბენი, არ ვიცი, რა ვთქვა ან რა მოვიმოქმედო...

ჯამლეთი—მაშ, მოვემზადოთ.

შატო—ჩვენ წავიდეთ, საბარგო მანქანა გავახუროთ.

მიტო—ჰო, ჩქარა გამოვაყვანილოთ. (შატო და მიტო გდიან)

ჯამლეთი—ხახულ, შვილს საგზალს არ შეუხვევ?

ხახული—(მანუჩარს) წამოდი, მოწმედ მაინც დაესწარი ჩენს გაქირვებას. (ჯამლეთი, გვირისტიანე, ხახული და მანუჩარი მიდიან. რჩებიან ვატა და ჯიბილო)

ჯიბილო—ვატა, სხვის უბედურებაში ხელს რად ურევ?

ვატა—ჩემი საქმე არა მაქვს და სხვისაში თუ არ ჩავერიც, რით გავძლო.

ჯიბილო—მეტი ხელობა ვერ იშოვე? (შემოღის ლომკაცა)

ვატა—ჩემი ხელობა ეს არის: გავიგო ვინ რას აკეთებს, რას ფუჩუნობს. ვინ ვის რა ორმოს უთხრის.

ლომკაცა—ეს ყოფილა კორესპონდენტი.

ჯიბილო—მე-მამის ქვეა არ გამომადგა და არც შენი მინდა, აწი არც ერთს არ დაგიჯერებთ.

ვატა—მაშ, აიწყვიტე, არაჟ!

ჯიბილო—როგორც გინდათ გამლანძღეთ. მუშაობას მაგრად უნდა მოგვიდო ხელი. (მიდის)

ლომკაცა—(მიუახლოვდა ვატას) იჰ, ძლივს არ გნახეთ?

ვატა—რა გნებავთ?

ლომკაცა—მოგახსენებთ, მე სიმართლისათვის დაჩაგრული კაცი ვარ.

ვატა—ოო, სიმართლისაგან დამწვარს ცეცხლით დამწვარი სჯობია.

ლომკაცა—მე, ამხანაგო, მენშევიკები რომ გაიქცნენ, მაშინ გავბოლშევიკდი და მას აქეთ უანგაროდ ვიბრძვი... მაგრამ მტრებმა იმდენი მომიხერხეს, რომ ამ სამი წლის წინათ პარტიიდან გამომძევეს, მაგრამ თუ თქვენ ხელს მომცემთ, ჩემს სიმართლეს აღვადგენ და მტრებს გავაშავებ.

ვატა—არა, ძმაო, ჩვენ ერთმანეთს ვერ გამოვადგებით.

ლომკაცა—როგორ არა, თქვენ, როგორც კორესპონდენტს, ისეთ მასალას მოგცემთ...

ვატა—მე რა კორესპონდენტი ვარ!

ლომკაცა—ვიცი, წელან მითხრეს, რომ ჩამობრძანებულხარ, და მართალი ცნობები რომ აკრიფო, ამიტომ, თურმე, თქვენს ვინაობას არ აცხადებთ. ნუ გეშინიათ, მე არ გაგამხელთ, ისეთ მასალას მოგართმევთ ჩვენს ჯამლეთზე, რომ იმის მოსასპობად ჯამლეთი მთელ ქონებას დადებს.

ვატა—ოო, მასეთი თუ რამე გაქვს, კორესპონდენტი ვარ.

ლომკაცა—ხალხს ძალით ამუშავენს, მექრთამეა... ამას კი ვერ დაუმტკიცებ, მაგრამ ვიცი...

ვატა—შენ ის თქვი, რასაც დაუმტკიცებ.

ლომკაცა—მე დამაქცია, საკარმიდამო ადგილი ჩამომართვა და კოლმეურნეობას გადასცა,

ვატა—რატომ?

ლომკაცა—როგორც სხვასა აქვს, ისეთი ნორმა გქონდესო. მე ვეუბნები: ძველი ბოლშევიკი ვარ-მეთქი, მით უფრო ჩამოგართმევო. მაშ, ტყუილად მიბრძოლიამეთქი, და აბა იმაში ქრთამს მოგცემო?!

ვატა—ოო, ძალიან დაუდულრიხარ, კიდევ რა იცი იმ ვერაგზე?

ლომკაცა—აქ ერთი ლატაკი კოლმეურნე იყო—მირიანე და ის ყელამდე გაამდიდრა.

ვატა—რით?

ლომკაცა—ეს იპარავს და ის ხელს უცლის.

ვატა—როგორ იპარავს, მაგაზედ მიმაგნებინე.

ლომკაცა—დღეს მირიანესთან ჩხუბი მოუვიდა, ალბათ, ეხლა გასცემს.

ვატა—რაზედ წაიკიდნენ?

ლომკაცა—სტახანოველების შეკრებაზე გვირისტინეს აგზავნის და არა მირიანეს.

ვატა—ამაზე წაიკიდნენ? სწორედ გლახა ეშმაკები ყოფილან.

ლომკაცა—მამ, სხვაფერ რითი აიხსნება, აგერ, მირიანე გაცეცხლებული შემხვდა, გვირისტინესთან ხალათი გამომატანა და რაც დამაბარა, იმასაც გაიგონებ. (შემოდიან გვირისტინე, ჯამლეტი, ხახული და მანუჩარი სამგზავრო ჩემოდნებთ)

ხახული—მამ, მიყობი შავ წყალს, გვირისტინე, არ იშლი?

ჯამლეთი—რა გეშინია, ჩემო ხახულ, არაფერს გავუქირებთ,

ხახული—არა, მე ეს მიკვირს, თითონ რა ჭკუით ბედავს.

გვირ-ნე—იქაც მიწაა, მამაჩემო, და ხალხი ცხოვრობს. საიქიოს ხომ არ მივდივარ. იქ, მოსკოვში, იმდენი ღიდი-მოდის მე რა ვარ... როგორც წყალზე ნავის კვალი არ დარჩება, ისე არ დააჩნდება მოსკოვს ჩემი ჩასვლა და წამოსვლა.

ლომკაცა—მე შენთან, გვირისტინე, მირიანემ გამომაგზავნა.

გვირ-ნე—სად არის მირიანე? ტყუილად მაინც გამომემშვიდობოს.

ლომკაცა—რად გინდა?

გვირ-ნე—მოკლე გზაზე რომ მივდიოდე, მაინც იმეღია, კაცი რომ ხელს ჩამოგართმევს.

ლომკაცა—სწორედ მირიანემ გამომაგზავნა შენთან და ეს შენი ხელით მოქარგული ხალათი გამომატანა. (აწოდებს ხალათს)

გვირ-ნე—რატომ?

ლომკაცა—გულზე გასიყვებულია.

გვირ-ნე—რა დაემართა?

ლომკაცა—ასე შემოგივალა: ეს ხალათი იმას მიუტანე, ვისაც ცოლად წაყვეო.

გვირ-ნე—ეს რა ქართულია?

ჯამლეთი—წავიდეთ, მაგის გასაკითხავად ახლა ჩვენ არ გვცალია.

გვირ-ნე—(ათვალიერებს ხალათს) ვაი, ჩვენი ცოდვა!

ჯამლეთი—(ლომკაცს) შენც რაღას მოათრევედი ასეთ შარს, აქედან დაიკარგე!

გვირ-ნე—რას ნიშნავს, ჯამლეთ, ეს აშბავი?

ლომკაცა—რა ვიცი, არ უთქვამს კი და, ალბათ, გულში ფიქრობდა, მე თუ მოსკოვში არ მივდივარ, შენ რა წითელი კოჭი ხარო.

ჯამლეთი—რა ვიცი, თითონაც იქ იყო, როცა დელეგატები ავირჩიეთ და არ ეტყობოდა შურიანობა.

გვირ-ნე—არა, მე არ მივდივარ... (ჯდება) უკაცრავად, ჯამლეთ, ცოცხალი არსად მივალ.

ჯამლეთი—რას ლაპარაკობ?

გვირ-ნე—ჯერ მამის საყვედურმა მომსპო, მერე ვილაცყე-ბისამ. ახლა კიდევ... არა, ჯამლეთ, ასე თქვი, გვირისტინე გზაზე იყო დამდგარი და უცბათ მოკვდა თქვა.

ჯამლეთი—რა დროს სიკვდილია?!

გვირ-ნე—ჩემს გარდა ქალი იპოვება.

ჯამლეთი—გვირისტინე, თავის მომკვდარუნება უარესია. ერთი საშველია ახლა, არ შერცხვე. აი, ასე, გვირისტინე, ადექ, მე დამიჯერე, ნურც თავს უღალატებ, ნურც საქმეს.

გვირ-ნე—კი, ოღონდ, მირიანე ასე რისთვის მოიქცა? ლომკაცა, რა სთქვა?

ლომკაცა—რა ვიცი, მარტო ეს სთქვა, ვისაც ცოლად წაყვება, იმას მიუტანოსო.

გვირ-ნე—მეტი არაფერი?

ლომკაცა—ჰო, კიდევ დაუმატა, ისე ვარ გულზე გასივებული, რომ მოგვედე, საფლავში არ ჩავეტევიო.

გვირ-ნე—ასე დაუმატა?

ლომკაცა—კი

გვირ-ნე—(ჰხვეს ხალათს) ჰო-და, ჩემგან გადაეცი, მე ისეთ
კაცს არ წავეყვები, შენი შემობრუნებული ხალათი ჩაიცვას-
თქვა.

ხახული—რა ქენი, გვირისტინე?

გვირ-ნე—როცა ჯამი გაიბზარება, იმის გატეხა სჯობია.
ასეა.

ჯამლეთი—ყოჩაღ, გვირისტინე, ახლა გფერობს ქალობა.

გვირ-ნე—თუ არ შევრცხვი, ხომ კარგი, თუ ჩემმა ნაოფლარ-
მა ქალად გამომიყვანა, ყველაფერი სთქვით... თუ არა და
სიკვდილს, ამ გზას რომ მოვილევ, მერეც მოვესწრები.

ჯამლეთი—აი, ჩემო გვირისტინე, ყველაფერში ოქრო ხარ.
(მოისმის მანქანის გუგუნე)

მოდმილება მეორე

ხიდობანის კოლმეურნეობის გამგეობის ს.ხლი. ეზოში დეკორატიული მცენარეულობაა. ფასადს, კიბეს, აივანს და სვეტებს შატო და შიტო სადღესასწაულოდ ამწვანებენ. სცენაზე არიან შირიანე და ლომკაცა.

შირიანე—სადა ხარ, ლომკაცა, ამ ბოლოს ვერა გხედავ?
ლომკაცა—მეზობელ თემში ვიყავი.

შირიანე—ამდენი წანწალი, კაცო, არ მოგბეზრდა?!

ლომკაცა—რაზედ ვიმუშაო? ჩაის საკრეფად გავედი და ამდენ ნამოღვაწევ კაცს თორმეტი წლის გოგომ მაჯობა. სათობარში აყლაყუდამ უკან მომიგდო.

შირიანე—აღბათ, იმ მოღვაწეობაშიც არ გქონია დიდი ხარისხი, ჩემო ლომკაცა, და იმიტომ გამოგადდეს მინდორზე კურდღელივით.

ლომკაცა—ეჰ, ხათანგში გაბმულ მგელს, თურმე მოშთორიკმა დასცინა.

შირიანე—მაშ, ხეტიალში რას პოულობ?

ლომკაცა—ამბებს ვტყობილობ და ვერთობი.

შირიანე—მაგალათად, ამ ბოლოს რა გაიგე?

ლომკაცა—ახლა ახალ ამბად ჩვენ ვართ. ასე ჰგონიათ, სამოთხეა ამ ხიდობანში.

შირიანე—შენ კი, აღბათ, ვისაც შეხვდი, სუყველაფერი შავად დაუხატე. (აივანზე გამოდის კაკალა. ხანტად შემოაქვს მასალა)

კაკალა—რა ამბავია, რას ტრიპლობთ ასე გამწარებულად?
მიტო—მოგვეხმარე, ქალო!

შატო—დროზე მოვასწროთ, უფრო ცოცხლად!

კაკალა—რა მოგივიდათ? გვირისტინე ჩამოდის, სხვა ხომ არავინ!

მიტო—აი, გაზეთები, ნახე რა ამბავია.

კაკალა—რა მოხდა (გამოართმევს გაზეთებს, კითხულობს)

მირიანე—ბიჭებო, ეს კარგად გაკეთდა, მაგრამ კიშკარზე თალს ისინი ვერაფერს უხერხებენ.

კაკალა—ჟი! (მირიანისკენ) შენ აქ ხარ მირიანე? (მიდის მირიანისკენ)

მირიანე—რა მოგივიდა, კაკალა!

კაკალა—აგერ, გაზეთში, დიდი ამბით სწერია გვირისტინეს დაჯილდოება.

მირიანე—კი, იქნება, პირველი ჩაის მკრეფავი აღმოჩნდა მთელ კავშირში.

მიტო—რას ფატიქუნობ, კაკალა, აგერ მეორე გაზეთი—გვირისტინეა დახატული. (გადმოაგდებს აივანზე გაზეთს)

ლომკაცა—გვირისტინე დაუხატავეთ?! (აიღებს გაზეთს)

კაკალა—მაჩვენე. (დახედავს) გვირისტინე... გვირისტინე! არა, არ გავს... უნამუსოა სწორედ ამის მხატვარი!

მიტო—რატომ?

კაკალა—გვირისტინე ასეთი ლამაზი როდის იყო!

ლომკაცა—მაგ რაში გენაღვლეება?

კაკალა—როგორ არა, ბატონო, თუ გინდა პირველი ჩაის მკრეფავად გამოიყვანონ, მაგრამ სილამაზის დარიგება იქნება?

ლომკაცა—ნუ გეშინია, გაზეთი სახეს არ გამოცვლის.

კაკალა—როგორ არა, გაზეთში რომ ქალი ლამაზად დაიხატება, უკეთეს სახელს რომელი ფერ-უმარტილი მისცემს?

მირიანე—იქ რა ამბავია?

მიტო—ხალხი მოდის დაჯილდოვებულთა შესახვედრად.

კაკალა—გააქირეს საქმე! ერთი ვნახოთ, თუ მართლა იმდენი იკრიბება! (მიდის)

მირიანე—მაშ, კიშკარს მიხედეთ.

შატო—ნუ გეშინია, ხალხი უჭკუოდ აღარ არის.

მბტო—კი, წესრიგი იციან.

ლომკაცა—ეს ბალკონი თქვენ გაამწვანეთ?

შატო—არ მოგწონს?

ლომკაცა—მე მეტისმეტადაც მიმაჩნია, მაგრამ ვაი თუ ჯამ-
ლეთს არ მოეწონოს.

მბტო—რატომ?

ლომკაცა—უკეთესად უნდა შემხვედროდითო. ხომ იცი, სხვი-
სი ნახელავის წუნიია.

შატო—შენ მაინც რა გააკეთე, რომ დაგიწუნოს? (შემოდის კა-
კალა, მივარდება მირიანეს)

კაკალა—უპ, უპ! იმდენი ხალხი დაგროვილა, ფეხად... არ
ეტევა! მანუჩარიც იქ არის თავისი ვაჟით.

მირიანე—კარგი, აწი შაგაზე ნურათერს გამაგონებ.

ლომკაცა—(კაკალას მიუახლოვდება) იქ რა დაინახე? ან... რას
ამბობენ?

კაკალა—ერთმანეთს ეჩემებიან, წინ უნდა დავუდგე და გვი-
რისტინეს სიტყვა მოვისმინო.

მირიანე—მეტისმეტად სწუხხარ, კაკალა.

კაკალა—შენს მაგიერ, თორემ მე მიხარია. ჩემზე ერთგული
გვირისტინეს არავინ ჰყავდა.

მირიანე—ჩემსკენ მათრახს ნუ იქნევ, თორემ ბიძაჩემს ვეტ-
ყვი, ტუჩი მაგრად აგიკრას.

კაკალა—როგორ?

მირიანე—მაგ შენს თავს კობტად მოუარე.

კაკალა—უი, დავასხი ლაფი, რა უსისხლო კაცი ხარ! მე შენ-
ზედ და ძმურად გული მეწვის და შენ ტუჩს მიკრავ!

მირიანე—თანაგრძნობა არ მპირდება და გულზედაც შენსა-
ვით არ ვსივლები.

კაკალა—არა, განა ის მწყენია, რომ ხალხი ელოდება, თავ-
ში ქვა უხლიათ! მხოლოდ, მე ის მაწუხებს, გვირის-
ტინე რომ ამდენა ხალხის წინ ხმის ამოღებას ვერ მოა-
ხერხებს და მერე საწყალს დასცინებენ, ვინ გააგზავნა
ეა გლახის ორიანი მოსკოვშიო. აი, ამაზედ მეთუთქება გუ-

- ლი, ეს რომ მოხდება, ვიცი, და ჩემი მეგობრის შერცხვენას ვერ ვუყურებ.
- შატო—მირიანე, მირიანე, მოდიან, აბა, ჩვენც წავიდეთ კიშკარზე შესახვედრად.
- მირიანე—აქ ხომ ყველაფერს მორჩით?
- შატო—კი, კი...
- მირიანე—აბა, წამოდით! (გაღიან)
- კაკალა—ხედავ, მე მისკენა ვარ და ეს კი ვულღვარძლს შეძახის.
- ლომკაცა—მართლაც, კარგად მიაყარე.
- კაკალა—აი, გაიგონე, რა სთქვა, ტუჩს აგიკრავო.
- ლომკაცა—ოჰ, რა ყოფილა, მაშინ კი, გვირისტინე მოსკოვში რომ წავიდა, დანას ესეოდა, რატომ ის აირჩიეს და მე არაო.
- კაკალა—არა, მაშინ გვირისტინემ ისეთი საქმე უქნა, ის რომ გავაცხადო, თავი სულ მოეპყრება.
- ლომკაცა—მე მითხარი...
- კაკალა—ვერა, ვერა, ტუჩს აგიკრავო, ამისთვის დამემუქრა.
- ლომკაცა—ეჰ, შენისთანა ქალი, კაკალა, სანთლით საძებარი.
- კაკალა—ვისაც თვალი აქვს, ბნელაშიც მნახავს.
- ლომკაცა—მიკვირს, ასე რამ დამიყენა თვალი, რომ შენისთანა ვარსკვლავს ვეშორიშორებოდი.
- კაკალა—შენ კი არა, მაგას კარგი ვინმეებიც ნანობენ...
- ლომკაცა—მეც არა მიშავს-რა, კაკალა, მაგრამ... ახლო არ მიცნობ. ეს სულ იმის ბრალია, რომ ჩვენს შუკაში არ დადობარ... აწი მაინც ვერ გადმოუხვევ?
- კაკალა—აჰ, თქვენს შუკაში ავი ძაღლებია.
- ლომკაცა—ძაღლებს ჯაჭვით დავაბავ და სალამოს, კარგად რომ დაბინდდება, თვითონ გადმოკაყურებ.
- კაკალა—მერე, რაღა ძაღლს უკბენია ჩემთვის და რაღა შენ გიჩქმეტია...

ლომკაცა—არა, მე თითსაც არ დაგაწებ, მარტო ცხელ ფაფასავით სულს შეგიბერავ.

კაკალა—რა ვიცი, ვნახოთ...

ლომკაცა—ჩვენ რომ ერთმანეთს ხელი მივცეთ, ჯამლეთის ადგილი მე შერგება და გვირისტინეს მაგიერ შენ იქნები.

კაკალა—აბა, გლახად არ გამამხილო... გვირისტინე მირიანეს საცოლზე იყო და თვალი დაუყენა, ბუქუნარში თხოვდებოდა, მანუჩარის ვაჟს, ჯიბილოს მიჰყვება.

ლომკაცა—ასეთ მარგალიტს მიმალავდი?

კაკალა, ეხლა, ეტყობა, კიდევ უნდა ქალს კუდი მოუქნიოს, მაგრამ ერთხელ თუ პანდური მიარტყა, მეორესაც არ დაამადლის.

ლომკაცა—წავიდეთ, ჩემო კაკალა, და ერთი გულდასმით მომიყევი მაგი ამბავი. (გადიან. შემოდის ხახული)

მიტო— (სკამს მიართმევს). დაბრძანდი, ბიძია ხახულ! (ხალხი შემოდის. შემოდის თვალგაცეცებული მანუჩარ და ხახულთან დადგება)

ხალხი—ვაშა, გაუმარჯოს გვირისტინეს!

ხახული— (მღელვარებით ცრემლს იწმენდს. მანუჩარს) რამდენჯერ დამიწყევლია ეს საცოდავი გოგო...

მანუჩარ—მერე, როდესაც ლოცვად მოუვიდა, მაშინ გეცოდებოდა?

ჯამლეთი—ამხანაგებო, ჩვენ გავემგზავრეთ სტახანოველების შეკრებაზე, ჩვენი კოლმეურნიობიდან სამი სტახანოველი ჩავედით მოსკოვში. გავაცანით მთელ შეკრებას ჩვენი შრომა და ცხოვრება, როგორც არის... იმ შეკრებამ ჩვენი შრომა იცნო და ჩვენი დელეგატების მარჯვენიც კარგად მოიწონა, მარა გვირისტინეს ნაშრომი რომ გაიგეს, ყველანი ძალიან გაკვირდნენ: გვირისტინეს ჩაის კრებუაში, მთელ კავშირში, ტოლი არ აღმოაჩნდა და ამიტომ დაჰკიდეს გულზე ორდენი. ეს გვირისტინე ჩვენი კოლმეურნიობის პატივი და გამარჯვება შეიქნა. მარა ერთიც უნდა გვახსოვდეს: ეს ორდენი გვავალებს, აწი უკეთესი ოდები ავიშენოთ, კიდევ უკეთესად ვიმუშაოთ და უფრო საამურად მოვაწყუოთ ჩვენი ცხოვრება.

ახლა, ამხანაგებო, გვირისტინეს ვთხოვოთ, თავის პირით მოგიყვეს. რაც მან იქ ნახა.

ხალხი—ვაშა, გაუმარჯოს ჩვენს გვირისტინეს!

გვირ-ნე—რავთქვა, თქვენც გაგიმარჯოთ, მეზობლებო, თქვენც ვაშა, ამხანაგებო.

ჯამლეთი—ერთი სიტყვით, ათ დღეს იყავი მოსკოვში და მოჰყევი, რაც გადაგხდა!

გვირ-ნე—რაც იქ გადაგხდა, რა ენა მოგიყვებათ...

ჯამლეთი—აბა, დაიწყე, დაიწყე, აქედან როგორ წადი.

გვირ-ნე—ცოტა ნაწყენიც გახლდით... მერე ვაგონის ტრიხინში ჩამეძინა... რომ გვეიღვიძე, გული დამეხურა, მატარებელი იქეთი წივილით მიდიოდა, ასე მეჯონა, ჩემს ბედზე კივოდა—გვირისტინე აწი ვერ დაბრუნდებაო... მეოთხე დღე და ღამეს მოსკოვში ჩავაწიეთ. რამდენიც მივიხედ-მოვიხედე, ჩემი თავი ნაფოტივით დაკარგული მეჯონა... მერე ნანატრად მოგვასვენეს, მაგრამ ეს ჩვენი ფერმის გამგე ავად გახდა და მე და ჯამლეთი წავედიო შეკრებაზე. იქ, იმდენი სტახანოველი მოვიდა, რომ სამ დღეს ვერ დაითვლიდი... მერე შემოვიდნენ ხელმძღვანელი ამხანაგები. მე ისინი მარტო სურათებში მყავდა ნახული და ეხლა სინამდვილეში რომ ვუყურებდი, თვალი ველარ ძღებოდა. მათ გამოჩენაზე დიდი ტაშის ცემა შეიქნა. ბოლოს შემოვიდა ამხანაგი სტალინი.

მირიანე—გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს!

ხალხი—ვაშა, გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

გვირ-ნე—იმის შემოსვლაზე ისეთი ამბავი ატყდა, ისეთი, რომ მეც ურტყამდი ხელს და ვიძახდი, მარა ვის ესმოდა... მერე გამოდგნენ სტახანოველები და სიტყვები სთქვეს. მე მაკანკალებდა... ამდენ ხალხში როგორ ბედავენ ლაპარაკს-თქვა. ამ დროს, ვიღაცა მოვადა და მითხრა: შენ გვირისტინე ხარო? მე ჯამლეთს ჩავაფრინდი... ჯამლეთი მეუბნება: იცოდე, ენა არ ჩაგივარდეს, არ შეგვარცხვინოვო. წამიყვანეს და ამოდენა ხალხის წინ დამაყენეს, გავიხედე და იმდენი თვალებია შემოცეცებული, ასე მეჯონა, ზღვა მიყურებს... გა-

ვალე პირი საკივლელად და უცბათ დავიძახე, გაუმარჯოს სტახანოველებს-თქვა... გაუმარჯოსო, მიპასუხეს. შენ რა გაგიკეთებიაო, მკითხა ამხანაგმა მოლოტოვმა. მე ჩაის ორი ხელით ვკრეფ-მეთქი. რამდენს კრეფო, მკითხა, მე ვუპასუხე, რაც მეწერა. ვაშაო, მომადახეს, მართლაც ქალი ყოფილხარ და საქმე გცოდნიაო, და შენს გვირისტინეს კოხივით დააყარეს ტაში. მერე გაეთამამდი, ენა მომივიდა და ვთქვი: ფუტკარი თითო წვეთ თაფლს აკეთებს, მარა ბევრი რომ არის, ამიტომ მთელ ქვეყანას აძლობს, ასე ჩვენც, სტახანოველებმა, ვეცადოთ ბევრი ჩავაბათ ჩვენს მუშაობაში და მაშინ ქვეყანას გავახარებთ-თქვა. ამ სიტყვებზე კიდეც ტაში დამიკრეს.

ხ ა ლ ხ ი — ვაშა, ყოჩაღ გვირისტინე, გაუმარჯოს გვირისტინეს! მ ა ნ უ ჩ ა რ — (ადგება) დაჯექ ხახული, დაიღლებოდი.

გ ვ ი რ - ნ ე — მერე, ერთმა დიდმა ამხანაგმა, ს ტ ა ლ ი ნ ს უჯდა ერთ მხარეს, მკითხა: მუშაობით ხომ არ იღლებიო. მე ვუთხარი: იმას ვნანობ, რომ თავი დავზოგე მეთქი, მარა თურმე, კარგად ვერ ვუპასუხე. იმან გაიცინა და მითხრა: ეს არ შეიძლებაო, თავიც უნდა დაზოგო და ბევრიც გააკეთო-ვო... ყველამ გაიცინა, მე სიხარულის ცრემლების ყლაპვა დავიწყე. მერე ს ტ ა ლ ი ნ მ ა თავის პირით მკითხა, თუ გყოფნის ნამუშევარიო. მე სიხარულისაგან ისე დავიბენი, ისე დავიბენი რომ რა ვთქვი, არ მახსოვს, მარა რატომ არ მახსოვს, გეტყვი. ისე კი, ეტყობა, კარგად ვუპასუხე, იმიტომ რომ მთელმა დარბაზმა ტაში მორთო. მერე ს ტ ა ლ ი ნ მ ა თითონ ხელი ჩამომართვა და ამიტომ იყო, რომ სულ დამავიწყდა, რაც ვუპასუხე სტალინს... დარბაზში ვაშა მოაყოლეს. მე კი, თითზე ისე ვიკბინე, ისე ვიკბინე, გაჩერებული გული ამიფანქვალდა... მერე მოვიხედე და ჯამლეთიც ტაშს მიკრავს... მანამდე, მიწიდან რომ ფულუ თავს ამოყოფს, ისე მიყურებდა, გვირისტინე სისულელეს ლაპარაკობსო, მარა როცა დაინახა, რომ ყველას მოეწონა, მაშინ მაგანაც ტაში დამიკრა.

ხ ა ლ ხ ი — ვაშა, გაუმარჯოს გვირისტინეს!

ხახული—ეჰ, ისეთი გამოვიდა, ჩემი ნახელავი არც კი გეგონება!

გვირ-ნე—მერე, იმ შეკრებიდან რომ გამოვდიოდით, მე და ჯამლეთ კიბიებზე ორჯერ წავიქეცი, მე ფეხიც ვიტკინე... მარა ყველაფერი რომ გამახსენდა, იქვე მოვრჩი. მეორე დღეს შეკრებაზე გამოაცხადეს, ვინც დაჯილდოვებული იყო, და ჩემი სახელი რომ გაურიეს, მე და ჯამლეთმა ყურებს არ დაფუჯვრეთ. მერე ავტომობილით წამიყვანეს დიდ სასახლეში, იქ თითონ ცაკის თავმჯდომარემ ხელი ჩამომართვა და გულზე ორდენი დამაბნია.

ხალხი—ვაშა, გაუმარჯოს ჩვენს გვირისტინეს!

გვირ-ნე—მეორე დღეს დაჯილდოვებულებს ისეთი სადილი გაგვიმართეს, თქვენც გისურვებთ, მეზობლებო, ერთხელ მაინც გენახოთ იმისთანა მასპინძლობა. ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა მკითხა: ასე რომ შრომა გყვარებია, რა კაცის შვილი ხარო.

ხახული—შენ კარგად იყავი, შვილო, და მე რომ შენი მამა ვარ, არ გავაცხადებ.

გვირ-ნე—რატომ?

ხახული—აბა, რა მოსახსენებელია იქ ჩემისთანა!..

გვირ-ნე—ის კი არა და, რომ ვუთხარი, მამას ვეხმარები-თქო, გაუხარდათ, და შენი ამბავი რომ მოუყევი, ისე მოეწონათ, შენი სადღეგრძელოც დალიეს.

ხახული—ხომ დალიეს? აბა, როგორ გგონია... კაცს წვე-რი გამეთთრებია და ვითომ, რატომ არ უნდა დაეღიათ. (ჯდება)

გვირ-ნე—ბოლოს, ჯამლეთმა მითხრა, ერთი ამ მოსკოვში, შენი ორდენის შესაფერი კაბა უნდა გიყიდოვო. მე ვუთხარი: კაბა კი არ იქნება ამ ორდენის შესაფერი, ჩემი მარჯვენა უნდა დარჩეს-მეთქი... ასე, ამხანაგებო, კიდევ ყველაფერი მინდა ვთქვა, მარა ნერწყვი გამიშრა ამდენი ლაპარაკით... თქვენც გისურვებთ, მეზობლებო, სულყველას ასეთ გამარჯვებას, და რაც მე გადამხდა, ეს ამბავი ყველას თქვენს თავზე გენახოთ,

მე კი, სიტყვას გაძლევთ, რაც ამდენხანს ჩაი მიკრეფია, აწი კიდევე ამაზე მეტი მოვკრიფო.

ხალხი—ვაშა, გაუპარჯოს! (ხაფიტონი მიართმევს გვირისტინეს ყვავილების გვირგვინს)

ჯამლეთი—ამხანაგებო, მე და გვირისტინემ ჯერ ყველაფერი ვერ გავაშუქეთ, როგორც საქიროა, მაგრამ ამ საღამოს გავაკეთებ უფრო ვრცელ მოხსენებას, რომელზედაც დაგვესწრებიან მეზობელი კოლმეურნეები. ეხლა კი სიტყვას ვაძლევ ჩვენს მეზობელს, ბუქუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ამხ. ხაფიტონს.

ხაფიტონი—სახელოვანო მეზობლებო, თქვენ, მართლაც, ორგანიზაციულად დაალაგეთ შრომის საქმე კოლმეურნეობაში და ამიტომ მთავრობამ დაგაჯილდოვათ კიდეც. ეს დიდი ჯილდო მართლაც გეუფენოდათ, მშრომელი ხალხი ხართ და დაფასებაც არ გაკლიათ. ბუქუნარის კოლმეურნეობის სახელით მოგილოცავთ ბედნიერ დღეს. აწი ჩვენ სწორად ავიღებთ თქვენს მაგალითს და ჩვენი წარმატებებით დაგეწევით. ვაშა თქვენ!

შატო—ამხანაგებო, გვირისტინეს სიტყვები იმიტომ მოვისმინეთ აღტაცებით, რომ მისი ამბავი ჩვენი ბედნიერი ცხოვრების ნაწილია.

ხალხი—ვაშა, გაუპარჯოს ჩვენს გვირისტინეს!..

(ხალხი გადის, უკან მიყვებიან ჯიბილო, მანუჩარი. ხახული. განგეობაში შედიან გვირისტინე, მირიანე, ირინე. მათთან ერთად ჯამლეთს ხახულიც მიჰყვება. სცენაზე დგას ხაფიტონი. შორიანლო უტრიალებს ლოაკაცა)

ხაფიტონი—(დგას შუა სცენაზე) ო, რა საქმე ჩაიგდო ხელში ჯამლეთმა!.. ორდენოსანს რომ დაინახავს ხალხი. გამოცოცხლდება, აბა, რას იზამს. ბედია ყველაფერი! ამ ცხოვრების კამათელი ზოგის ხელში ხვითოა, ჩემს ხელში კი ძაღლის ძვალი შეიქნა.

ლომკაცა—(მიუახლოვდება) თქვენ ხომ, ამხანაგო, ბუქუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ხაფიტონი, ბრძანდებით, ასეა ხომ?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — დ ი ა ხ .

ლ ო მ კ ა ც ა — მე, ანხანაგო ხაფიტონ, თქვენი ქება-დიდება თქვენ მეზობელ კოლმეურნეობისაგან ხშირად მსმენია. ერთი იმ ხის ძირას ჩამოვჯდეთ, აქაური მდგომარეობა მინდა გაგაცნო.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — მართალია. მიჩქარება, მაგრამ ცოტა ხნით შევიცდი. (შემოდის მანუჩარი, შემოსდევს ვატა)

ვ ა ტ ა — თქვენ, ნაბატონარებო, ჩვენთან კაკანებთ და კვერცხს სხვაგან დებთ.

მ ა ნ უ ჩ ა რ — რაზედ ამბობ?

ვ ა ტ ა — იმ დღეს გვირისტინე რძლად დაგინიშნავს, მე კი გაფრენილ მწყურზე დამპატიყთ.

მ ა ნ უ ჩ ა რ — ვინ გითხრა?

ვ ა ტ ა — მყავს აქ ოფოფი — კორესპონდენტი ვკონივარ, ჩემს იქით არ გაცხადდება, ნუ გეშინია.

მ ა ნ უ ჩ ა რ — როგორ გეკადრება!

ვ ა ტ ა — ვატაიას ატყუებს. ვაი, დედასა, საცხა ქურდს კიბე მოპარესო, ასეა საქმე.

მ ა ნ უ ჩ ა რ — კაცო, ჩემი ნამოჯამაგირევის შვილს ოჯახში რომ რძლად არ დავიჯენდი, ამით ზაინც ვერ მიხვდი?!

ვ ა ტ ა — ვის აბრმავებ? მერიქიფე ის მაშინ იყო, როცა ღვინო ღელესავით მოგდიოდა, თორემ დღეს, ჭა ჩაქცეული გაქვს და დასალევი წყალი მეზობლებიდან დაგაქვს.

მ ა ნ უ ჩ ა რ — ეს რა წამოსაკრავია!

ვ ა ტ ა — აბა, გვირისტინე არ მიკადრებაო, ვის უთხარი? მიკვირს რძლად რომ მოგყვება!

მ ა ნ უ ჩ ა რ — ამას უყურე, შენ ხომ არ გინდა, ერთი ჩახმახზე შევდგე!

ვ ა ტ ა — ხწორედ უარს იტყოდი.

მ ა ნ უ ჩ ა რ — თორემ დიდი ხვითოა!

ვ ა ტ ა — რატომ არა, ხალხი ხელზე ატარებს.

მ ა ნ უ ჩ ა რ — ხალხს, გვირისტინე კი არა, ხატის ტარებაც მობეზრებია.

- ვატა—ქალს მადანივით ხელიდან ოქრო გამოუდის.
- მანუჩარ—სახარალო კი არ არის, კაცი რომ დაუფიქრდეს.
- ვატა—ისე მელაპარაკები, ვითომ გუშინდელი ვარ.
- მანუჩარ—არა, რომ თქვას კაცმა, მართლაც კარგი საქმეა.
- ვატა—კარგია, მარა უჩემოდ ჩაიშლება.
- მანუჩარ—განზე კი არ დაგტოვებ, მხოლოდ... ხახულის შვილი რძლად როგორ მოვიყვანო?
- ვატა—რას ჩაასვი კბილი ხახულიას!
- მანუჩარ—მერიქიფედ არ მყავდა?
- ვატა—მერე, კაცო, ღვინოს გისხამდა, შხამს ხომ არ გასმევედა.
- მანუჩარ—ხალხი რას იტყვის.
- ვატა—ხალხს კი მართლაც გული დაწყდება: იმ ქალს შენთვის არ გაიმეტებს.
- მანუჩარ—რაო, მე ჩამთვლიან იმის უღირსად?
- ვატა—აბა, როგორ გგონია, ახლა მაგის დაქცეული კარი რძალმა ააყენოსო. ხომ იცი, ხალხი რა ხარბია, შეჩვეულს არ აკლდებაო.
- მანუჩარ—ოო, აბა, ერთი იმ ხალხის ჯინზე მაინც დამიტრიალდი, ვატა, შენებურად ჩამიქციე მაგ საქმე.
- ვატა—მერე?
- მანუჩარ—მერე იცოდე, ჩემი ნიგვზის ძირში საკუთარ ქურს ჩაგიდებ. ხომ იცი, იქ როგორ გრილად ინახება ღვინო, პირს ვერ მოწყვეტ ზაფხულში. ოღონც კარგად დამიტრიალდი.
- ვატა—განა, ჯერ არ მოგიტავებიათ საქმე?
- მანუჩარ—არც მიფიქრია.
- ვატა—აბა, ჯიბილომ უშენოდ წამოიწყო.
- მანუჩარ—ჯიბლო კიდევ ირინეზე ფიქრობს. ასე ჰგონია, ხელი რომ გაუშვას, წკვარამში ჩავარდება. სულ ზარალი გამომადგა და ასე ვარ, რალა დაგიმალო, ბელურას ფინჩხას შევნატრი.
- ვატა—ეჰ, თუ ახლა იწყებთ, რა ვიცი, ის ქალი წამოგყვებათ...

მანუჩარ—მაგ რა საეჭვოა!

ვატა—ხახულიც აგერ მოდის.

მანუჩარ—ეს საქმე ჩემხედ იყოს, შენ მხოლოდ ჯიბილოსთან დამეხმარე, ამოუღე თავიდან ის ოფოფი.

ვატა—კაცო, ჯიბილოს ისეთ დღეს დავაყენებ, მუჭით ჩაგუდებ თავში ქკუას. (შემოდის ხახული)

ხახული—აქ ხარ, მანუჩარ ჩემო?

მანუჩარ—კაცო, ეს რა ქალიშვილის ღირსი გამხდარხარ!

ხახული—ვითომ, მანუჩარ, მართალია?

მანუჩარ—სწორედ სადედოფლოა.

ხახული—ჰო-და, სვინდისს გეფიცები, მანუჩარ ბატონო; მაგ რომ დაიბადა, მინდოდა შენ რომ მოგენათლა, მარა ვერ შეგკადრე, გოგოა და რა ღირსია-თქო.

მანუჩარ—ღიღი ანდამატიანია.

ხახული—კი, იღბლიან პერანგში დაიბადა.

მანუჩარ—ეტყობა, კკუიანიც არის.

ხახული—მთლად საკუთარი კკუა. აქვს. ჩემი არ ესმის, გამხეთქა გულზე... მარა, ბოლოს მისმა აჯობა.

მანუჩარ—ახლა, ერთ რამეს გეტყვი, ჩემო...

ხახული—(აწყვეტილებს) ბრძანება არ დაივიწყო და იმდენი ხალხი რომ აქებდა, მე მაინც შენსკენ მქონდა თვალი, აბა, მანუჩარ რას ფიქრობს-თქვა.

მანუჩარ—მოვახსენებ, რასაც ვფიქრობ... შენ ჩემი ავ-კარგი კარგად იცი.

ხახული—რასაკვირველია.

მანუჩარ—ჩვენს შორის შუაჯაცი მეტია. მე ერთი საქმე გადავწყვიტე.

ხახული—დიახ, ბატონო.

მანუჩარ—გვირისტინე რძლად უნდა წავიყვანო.

ხახული—რა ბრძანე, მანუჩარ?

მანუჩარ—ჩემ ჯიბილოს უნდა შევერთო.

ხახული—როგორ?

მანუჩარ—ცოლად.

ხახული—ვინ, ჩემი შვილი გინდა შენს ვაჟს შერთო ცოლად?!

მანუჩარ—ჰო.

ხახული—მე კინალამ ასე გავიგე, რომ ჩემი ქალიშვილი გინდა შენს ვაჟს შერთო ცოლად.

მანუჩარ—ღიახ.

ხახული—ჰმ!..

მანუჩარ—ასეა...

ხახული—ჰმ, მანუჩარ ბატონო!

მანუჩარ—კი, რას იტყვი?

ხახული—მანუჩარ ბატონო!

მანუჩარ—ჰო.

ხახული—საწყალი დედამისი, გუჟია, თქვენი ნამოსამსახურებელი, რომ გარდამეცვალა, ეს გოგო ერთი ციდა დარჩა... სულ ტიროდა ის ცხონებული, შვილი უპატრონოდ მრჩებოდა.

მანუჩარ—კი, ასე იყო.

ხახული—ახლა, იმის ძვლებმა ეს რომ გაიგოს...

მანუჩარ—ეჰ, ახლა, ჩემო ხახულ, ისეთი ამბებია, იმის ძვლებს კი არა, ფეხზე დავდივართ, მარა ზოგი რამე ჩვენს ძვლებსაც ვერ გაუგია.

ხახული—ესეც მართალია.

მანუჩარ—აწი. საქმეს შეეუდგეთ.

ხახული—როგორ?

მანუჩარ—ქორწილი დაენიშნოთ.

ხახული—მერე?

მანუჩარ—ჩემი სიტყვა—რაც არის, კი არ გადაუხვევ.

ხახული—მერე?

მანუჩარ—დროზე უნდა გაკეთდეს.

ხახული—მერე? გვირისტინე ჯიბილოს უნდა გაყვეს?

მანუჩარ—რასაკვირველია.

ხახული—ჯიბილო რას აკეთებს?

მანუჩარ—არაფერს, უსაქმოდ დატანტალებს, მარა მაგისთანა ცოლი კი გაუძღვება.

ხახული—ვითომ ეს საქმე მოხერხდება?

მანუჩარ—რატომ არა!

ხახული—გვირისტინე ცოლად გაჰყვება?

მანუჩარ—მაშ, არ გაჰყვება? სულელი ხომ არ არის!

ხახული—სულელს მეც ვეძახდი, მარა ხომ დაინახე.

მანუჩარ—მერე, შენ ხომ მამა ხარ? მე ჩემს ვაჟს ზზილა-სავით ვატრიალებ.

ხახული—არა, ჩემი ქალიშვილი მძიმე გადასაბრუნებელია.

მანუჩარ—ეს რას ლაპარაკობს! შენ ხომ გულით გწადია?

ხახული—მე?

მანუჩარ—დიახ, შენ.

ხახული—რა ვქნა, გაქეცილს გატეხილი სჯობსო...

მანუჩარ—ჰო-და, გატეხილად მითხარი.

ხახული—მიზეზია.

მანუჩარ—რა მიზეზია?

ხახული—ეს გვირისტინეა, ის კი ჯიბილოა.

მანუჩარ—ეს ასეა, აბა, ორივე გვირისტინე ხომ არ იქნება.

ხახული—მერე, რა მოხდა, ხომ უყურე.

მანუჩარ—ჰო, რა მოხდა?

ხახული—ქალმა ცას ხელი გოუწია.

მანუჩარ—მაშ, 'შენი დასაწუნებელი ვყოფილვართ?

ხახული—როგორ გეკადრება, მანუჩარ ბატონო, მე ეს არც დამესიზმრებოდა... მარა, როდესაც ქვეყანა გადაბრუნდა, ჩვენც უკულმა ვუდგებით.

მანუჩარ—ეს რა მკადრა ამ უსინდისომ!

ხახული—კი... შერგება შენგან ეს სიტყვა... მე თითონ გული ისე მეწვის... აი, ჩემს წინ დღეს კუბოში რომ იწვე, ასე არ დავიდულრებოდი, მარა...

მანუჩარ—ცოცხლად არ დამმარხა ამ საძაგელმა.

ხახული—ეს მათრახიც მეკუთენის. სხვებს ვუძრახავდი ცოდვით გაუტიფრებას, მაგრამ საქმემ როცა მოიტანა, ვხედავ, მე მთლად წაწყმენდილი ვყოფილვარ.

მანუჩარ—კიდევ კარგია, თუ გრძნობ.

ხახული—ისე მწყინს, მირჩევნია საკუთარ ხორცზე რომ 'ვიკბინო.

მანუჩარ—შენ პირდაპირ მეცინი.

- ხახული—როგორ გეკადრება.
- მანუჩარ—თავიდანაც თეთრ კბილს მიჩვენებდი, მაკრამ ახლა გამოჩნდა შავი გული.
- ხახული—მე ვარ ასეთი?
- მანუჩარ—ფლიდი ხარ, ენა გალიქნული.
- ხახული—რამდენი წელი გავატარე შენსას, მანუჩარ?
- მანუჩარ—მამაჩემი ხომ დამარხე, მერე კიდევ ხუთ წელიწადს მატყუებდი.
- ხახული—ასე უნდა დამიკარგო ამაგი?
- მანუჩარ—ორგულის ამაგი ვის უნახავს!
- ხახული—კი მლანძღავე, მარა, გეფიცები, დღესაც შენი ერთგული ვარ.
- მანუჩარ—ნაძღვილად ამბობ?
- ხახული—მე ტყუილი არ ვიცი.
- მანუჩარ—აბა, წადი ეხლა და უსიტყვოდ მომგვარე შენი ქალიშვილი.
- ხახული—არ მოხერხდება.
- მანუჩარ—რატომ?
- ხახული—ცხოვრებასაც თავისი ანგარიში აქვს, ფერი თითონ ფერს ეძებს. ჩემი ქალი ორდენოსანია, შენი კი სტახანოველიც არ არის.
- მანუჩარ—აი, შენ ყოველთვის ასე მიხვევდი თვალს.
- ხახული—შენთვის თავი არ დამიდვია?
- მანუჩარ—ვის აბრმავებ, შენ თუ ჩემთვის თავს დებდი, მე ხომ ახლაც მე ვარ.
- ხახული—მართალი ხარ, რომ ვაკვირდები, თურმე მანუჩარს კი არა, დროს ვემსახურებოდი.
- მანუჩარ—აი, ხომ გატყდი?!
- ხახული—შენც მედროვე ხარ.
- მანუჩარ—უყურე, მეც მსვრის. მე კანს არ გამოვიცვლი გველივით.
- ხახული—აბა, ესეც ვიკითხოთ, მანუჩარ: მე რომ გემსახურებოდი, მაშინ იფიქრებდი, რომ ჩემი გოგო რძლად გეთხოვა?

მანუჩარ—მერე?

ხახული—დღეს რომ გვირისტიინემ ქნა, წინათ რომ გოგო ხალხში ასე გამოსულიყო, ჩვენ ხომ კეტს დავარტყამდით... მარა ახლა რძლად მოითხოვე. ეგება კი არ მოგეწონა, მარა ვითომ დროს ემსახურები... მე კი ნამდვილად ამ დროს ვემსახურები, როცა უარს გეუბნები.

მანუჩარ—ხედავ, საიდან შემომიარა! ეჰ, გეყოფა, ხახულ ჩემო, რაც იმდენ წელიწადს მამურობაზე.

ხახული—როგორ, პატროსნად და ერთგულად არ გემსახურე? შენ რომ დაივიწყო, იმას ღმერთი არ დამიკარგავს.

მანუჩარ—კი მეუბნებოდნენ მეზობლები, მამა-პაპის ნაოფლარს ხახული გაგინიავებსო, მარა, როცა კაცს თავში არ გაქვს, ყურში შესულსაც ვერ გაიგებ.

ხახული—ვაი, დედას! თურმე ვის შევალე ჯანი, მადლობა მაინც შემრჩენოდა.

მანუჩარ—თორემ ცოტა ისარგებლე.

ხახული—თქვენი ოჯახიდან ოცდახუთი წლის ნამსახური რომ დავბრუნდი სახლში, დახეული წულა მიმყვა.

მანუჩარ—სანამ არ გამატყავე, არ მომშორდი და მერე მამის ძელებს ხომ ვერ გაგატანდი.

ხახული—შენ ქეიფებს დააბრალებ, თორემ ჩემი შრომა რას დაგაკლებდა.

მანუჩარ—რას მიკეთებდი მამის სიკვდილის შემდეგ?

ხახული—მაშ, ვის კისერზე გადადიოდა იმდენი სტუმრიანობა, ღვინის გადასხმა, სავსე ყანწების დარიგება სუფრაზე, მწვადების გაწესება, შეაწვარი ხობების გამოტანა... შენ ქეიფის მეტი რა გეკითხებოდა, მე კი ღლე და ღამე ჯარასავით ვბრუნავდი.

მანუჩარ—სულ შენი ხელით დააქციე ჩემი ოჯახი!

ხახული—როგორ?

მანუჩარ—რაც ჩემ ზვრებში იწურებოდა, სულ შენი ხელით იქცეოდა ყანწებში... ზოგი შამფურზე წამოაგე, რამდენსაც ხელს ანძრევდი, იმდენს მანადგურებდი. მაგ მარჯვენა ჩემი ცოდვით უნდა დაიწვეს. ჯოჯოხეთში გაქრება.

ხახული—ჰე, ამ ხელებს შენი და შენი სტუმრების სასიამოს

მეტი არაფერი უკეთებია, ჩემს სადღეგრძელოს კი სუჯრის-
ბრლოს მოიგონებდით.

მ ა ნ უ ჩ ა რ—მაგის ღირსიც არ იყავი.

ხ ა ხ უ ლ ი—აი, მართლაც მჩაგრავდით.

მ ა ნ უ ჩ ა რ—არ გეცვა, არ გეხურა?

ხ ა ხ უ ლ ი—კი, გამონაცვალს გადმომიგდებდი და...

მ ა ნ უ ჩ ა რ—აიღებდი ახალ ატლასის ახალოსს, ავერ სახელო
გაგქელიათ და მბრებზედ დაიჭიმავდი.

ხ ა ხ უ ლ ი—ერთხელ იყო მაგ საქმე და ჩემი სიბრყევით თითონ.
მალაპარაკებდი ყველასთან.

მ ა ნ უ ჩ ა რ—მე განგებ ვხუქავდი თვალს, თორემ კარგად ვხე-
დავდი, რაც იყავი.

ხ ა ხ უ ლ ი—აი, წაწყდები მაგის თქმისათვის.

მ ა ნ უ ჩ ა რ—ეს მეკუთვნის შენგან, როცა ბოლოს ბედაურიც
გაჩუქე და ჩემს ნათესავეებში კამერგერივით გატარებდი.

ხ ა ხ უ ლ ი—ქონება რომ გაგითავდა, ბოლოს მოყვრებში დაიწ-
ყე წანწალი, ჭიშკარს რომ მიუხალოვდებოდით, მე მაშინ
შეფჯდებოდი ცხენზე, ვითომცხენით ვახლავარ ჩემს ბატონს-
თქვა, თორემ ძლივს დაბაჯბაჯობდა... ბოლოს, ქეიფის
ღროს, სიკოტრით გამწარებულს ჩხუბი დაგჩემდა, თითონ
კარგი ცხენით გაქუსლავდი, მე კი შენი საზუზლავი მხვდე-
ბოდა... ახლაც მაჩნია თავზე შენი ნასიკეთვარი. გაუტა-
ნელი იყავი თავიდანვე, თუ სიმართლე გინდა.

მ ა ნ უ ჩ ა რ—ამდენი სიმყრალე თუ გულში გქონდა, როგორღა-
მიცინოდ.

ხ ა ხ უ ლ ი—მთელი სიკოცხლე შემოგავლე და ბოლოს ამაგში
ცარიელი მადლობა მაინც დამრჩეს-თქვა, ამისათვის ვით-
მენდი.

მ ა ნ უ ჩ ა რ—მე უნდა ვთქვა მადლობა, კაცმა მახრასავით ძი-
რი გამომითხარე?

ხ ა ხ უ ლ ი—მე გამოგიტხარე ძირი? ვაი დედასა! აი, თურმე
მართალს ამბობს ჩვენი მთავრობა შენისთანებზე, მუქთახო-
რები არიან, სისხლის მწოველი წურბელებიო, და კიდევ

რაღაცეებს... მთელი ის სიტყვები აწი - კაკალ-კაკალ უნდა მოვკრიფო და დავიმახსოვრო.

მ ა ნ უ ჩ ა რ—ჩემს გინებას კი გასწავლიან, სუფრაზე ჩემსავით არ ავამღერებენ.

ხ ა ხ უ ლ ი—რატომ, რაც მე დღევანდელმა დღემ გამახარა, ამდენს შენთან მთელ ჩემს სიცოცხლეში ვერ ვნახავდი!

მ ა ნ უ ჩ ა რ—ოცდახუთ წელიწადს იჯექი ჩემს სუფრაზე და მე კი ერთხელ გესტუმრე აქეთ და პურ-მარილის მაგიერ ლანძღვას მიმართავ. თფუ, შენს კაცობას! (წასვლას აპირებს)

ხ ა ხ უ ლ ი—მე ხომ მთელი სიცოცხლე გემსახურე, ახლა კიდევ შეჩვეულ ეზოს მოაკითხე.—ძველი ვირი გეიცვითაო, იფიქრე და ახლა გვირისტინესთვის გინდოდა ნალი დაგერტყა და გექენებია, მარა ძალიან უკაცრავად, შეგნებული შევიქენით, შეგნებული!

მ ა ნ უ ჩ ა რ—ვის უნდა შენი გვირისტინე, რა მანუჩარის საქმეა გლახის და ქურდის შვილი?!

ხ ა ხ უ ლ ი—ქურდიო?!

მ ა ნ უ ჩ ა რ—კი, ქვეყანა მეუბნებოდა, შენი ცოლის ნამზითი ნივთები ხახულიამ მოიპარაო და ხელს გაფარებდი.

ხ ა ხ უ ლ ი—შენ არ გაყიდე ჩემად, მოყვრებს არ უცხადებდი? თფუ, მართლა, შენს კაცობას! (წასვლას აპირებს. მობრუნდება)

მ ა ნ უ ჩ ა რ—ოქროებს გაყლაპიებდი, როცა მქონდა, ოქროებს, ასე დამიმსახურე—თფუ შენს კაცობას!

ხ ა ხ უ ლ ი—რაო, გზაში ყაჩაღები დაგვესხა, შე უნამუსო, და თუთხმეტი ოქრო გადამაყლაპიე, მას აქეთ კუჭი არ მივარგა, იმას მამადლი?

მ ა ნ უ ჩ ა რ—თავიდან გაუტანელი იყავი.

ხ ა ხ უ ლ ი—კი მეკუთვნის, სულ რომ ამ მთავრობის გინებაში იყავი და არ გაცხადებდი.

მ ა ნ უ ჩ ა რ—უყურე, ლომის პირში არ მაგდებს ეს უნამუსო, თფუ, შენს კაცობას! (ორივე წასვლას აპირებს)

მ ა ნ უ ჩ ა რ—(გაბრუნდება) ვაი, რომ დროზე ვერ გაგიცანი, შე ჩემო ამომგდებო!

- ხ ა ხ უ ლ ი — (მიბრუნდება) ნაობახში ხარ ჩასაგდები, ნაობახში!
(ხახული და მანუჩარ სხვადასხვა მხარეს გადიან. შემოდინან ჯიბილო და ირინე)
- ი რ ი ნ ე — დღეს თვალი სულ შენსკენ მქონდა მოქცეული, ჯიბილო, ეგონა კარგ ამბავს მომიტანდი. მე მოვახერხე კოლექტივში დატრიალება, შენ კი...
- ჯ ი ბ ი ლ ო — მე სულ დაგდივარ-დაგდივარ... ხან შთას აყვები, ხან წყალს დავეყები. ბოლოს ჯავრმა შენთან მომიყვანა, შენ კი მთლად უსულგულოდ მხედები.
- ი რ ი ნ ე — ასე რატომ იცი, ჯიბილო, როდესაც ცხოვრებაზე რამეს გკითხავ, მაშინვე იბერები.
- ჯ ი ბ ი ლ ო — თანაგრძნობა მინდოდა, მეტი არაფერი.
- ი რ ი ნ ე — მარტო ერთმანეთის ქებით და ფიცით სასაცილოდანვერ ამოვალთ.
- ჯ ი ბ ი ლ ო — შითხარი, ვინ დაგცინის და იმას კეტს მოვლებ.
- ი რ ი ნ ე — რას მეუბნები, ჯიბილო, ქირს ასე ვებრძოლოთ? მე ქალი ვარ და ჯარასავით ვტრიალვებ, შენ კი კეტით აპირებ ფონზე გასვლას!
- ჯ ი ბ ი ლ ო — მართალია, უხეირო ვარ, მაგრამ აწი ჩემი უბედურების გზას მარტო გავუდგები.
- ი რ ი ნ ე — არა, თუ სხვა გზა არა გაქვს, მე ქირში კი არ მიგატოვებ... არც საყუედურს გეტყვი. შენი გამწარება კი არ მინდოდა, ჯიბილო.
- ჯ ი ბ ი ლ ო — არა, სანამ ასე ვარ, არ შემოგხედავ, შენს ცოდვას არ დავიდებ.
- ი რ ი ნ ე — რა ვიცი, შენი გულისთვის ხელის გულზე ცეცხლს დავინთებო.
- ჯ ი ბ ი ლ ო — ისიც ხომ გითხარი, რომ არაფერი არ მიშველის მუშაობის მეტი.
- ი რ ი ნ ე — მერე, რა გიშლის, იმუშავე.
- ჯ ი ბ ი ლ ო — რა არ მიშლის, კოლექტივში თავი ვერ შევრგე.
- ი რ ი ნ ე — რა გელობება?
- ჯ ი ბ ი ლ ო — ხაფიტონი არ მიშვებს.
- ი რ ი ნ ე — რატომ, ის კეთილ კაცსა გავს.

ჯიბილო—დღესაც შესაქმელად გადმომხედა და ჩამილაპარაკა, აქ, ხილობანში, ორდენოსანი გაიჩინეს, ბუქუნარში კი შენისთანები მყავსო. ამ ზემს რომ უყურებს, გულზედ სკდება, ხარბია.

ირინე—რა ვიცი, ყველაზე ძვირფასი თაიგული გვირისტინეს იმან მიაართვა.

ჯიბილო—არა, თავის გამოჩენა კი უყვარს.

ირინე—მაშ, ერთი საქმე რომ ვქნა, გვირისტინე რომ დავიხმარო?

ჯიბილო—როგორ?

ირინე—ხაფიტონისთვის ვაახოვნინებ მიგილოს კოლექტივში.

ჯიბილო—არა, ხალხის ყბაში ჩავვარდები.

ირინე—მე სულ არ გამოვჩნდები.

ჯიბილო—როდის ეტყვი?

ირინე—ახლავე, სანამ ზეიშია, თორემ მერე გვირისტინეს თხოვნამ ეგებ ვერც გასკრას. აბა, შენ აქ დამიცადე, მე ეხლავე მოვალ.

ჯიბილო—უარესად რომ დამამციროს?

ირინე—ხაფიტონიც აგერ მოდის, მე გამგეობაში წავალ. შენ აქ მომიცადე.

ჯიბილო—(მარტო) ძველებისაგან გამიგონია, როდესაც კაცს ცხოვრებისაგან გული დაეწვება, მალამოსთვის სატრფოს უნდა მიმართოსო. მაგრამ ეს თურმე ბებიას ზღაპარია. ახლა ვხედავ, კაცმა თავის თვალის ჩინს მაშინ უნდა მიაკითხოს, როდესაც გული მთელი აქვს და ზედ ვარდი კობტად უბნე-ვია... ახლანდელი შეყვარებული მალამოს მხოლოდ უტკივარ გულზე ადებს. ასე ყოფილა და მეც ჩემს სატრფოს არ მივეკარები. სანამ ამ გაჭირვებიდან არ ამოვალ. (შემოდინ ხაფიტონი და ლომაკა. ჯიბილო აივანზე ადის)

ლომაკა—ასეა, ამ ჩვენს კოლმეურნეობაში ბევრი რამ არის გამოსასწორებელი, რომ ხილობანს არ ჩამორჩეს.

ხაფიტონ—ეჰ, ძვირფასო ამხანაგო, მე ბუქუნარში რამდენი საქმე გავაკეთე, ვინ მოსთვლის, მაგრამ მოვიდა რეეიზია.

და ათასნაირად გაქექა, მაღლობის მაგიერ საყვედური მო-
მარტყეს უკანასკნელი გაფრთხილებით. ნეტავი, კარგი მაინც
დაეფასებიათ... კაცო, ასე ჩამიწერეს: გამგეობის სახლი და-
უხურავია და ეზოში კი ფარშავანგები ყავსო. შენობას,
ვთქვათ, ნაკლი აქვს, მაგრამ ფარშავანგი ხომ კარგია. იმას
კულ სახურავთან რა აკავშირებ? იმათ კი გადურჩი, მარა
კიდევ მოდის მეორე კომისია. სანამ მოალწევდეს, მოვემზა-
დები და ჩემს ნამუშევარს ერთს ასად მოვაჩვენებ, მაგრამ
რად გინდა რა, აქეთ გადმოიხედავენ და იტყვიან... (შეამჩნევს
აივანზე მდგომ ჯიბილოს) ამას აქ რა უნდა? ა, კაცო, ა, ესა და
მამა მისი, მანუჩარ, ორჯერ მივიღე კოლექტივში და ორ-
ჯერვე გავრიცხე.

ლომკაცა—რატომ, შე კაცო, რას ერჩოდი?

ხაფიტონ—რატომ და ყანაში თოხის ტარზე ჩამოჯდებოდ-
ნენ და ცაში ყვავებს ითვლიდნენ. თქვე გასაწკვეტებო, იქ
არ მომასვენეთ და ახლა აქ გამოძლიეთ?! (ხაფიტონი აივანზე
აღარდება. მანუჩარი გამოვა ჯიბილოს დასაძახებლად, მაგრამ ხაფი-
ტონის შენობიდან დაშინებული უკან გაბრუნდება)

ჯიბილო—მე რას მერჩი, მამის ცოდვას რად მახვევ?
(ამ დროს გვირისტინე ხელს დაუქნევს ჯიბილოს გამგეობაში შესაყვანად.
ჯიბილო გაკვირვებული ხაფიტონს) შევიღე?

ხაფიტონ—ოჰ, შენ გეძახის, შუღი! (ჯიბილო მიდის)

ხაფიტონ—(განაგრძობს) აბა, ასეთების ხელში რა გამახარებს?
ჯამლეთს რა უჭირს, შრომის მოყვარე ხალხი ჰყავს... რო-
გორც თავმჯდომარეს რამდენი რა გაუკეთებია, მაგრამ...
ჰო, იმას ვამბობდი, გადმოიხედავენ აქეთ და იტყვიან, ხი-
ლობანში ორდენოსანი ჰყავთ, შენ კი სტახანოველებიც ვერ
გაგიზრდიაო... და ამით ლაფს გადამასხამენ თავზე.

ლომკაცა—არა, მაგით ვინ დაგჩაგრავს, გვირისტინე ხომ
შენს კოლმეურნეობაში იქნება.

ხაფიტონ—როგორ?

ლომკაცა—ბუქუნარში რომ თხოვდება, არ იცი?

ხაფიტონ—რას ლაპარაკობ!

ლომკაცა—მანუჩარის ვაქს მიჰყვება, ჯიბილოს.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ეჰ, არ მჯერა, მაგრამ, მართალი რომ იყოს, მინდა.

ლ ო მ კ ა ც ა — ეს საქმე გადაწყვეტილია.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ვითომ, მართალია ეს, დავიჯერო?

ლ ო მ კ ა ც ა — ნაჯახით გადამსხიპე თავი, თუ ტყუილია.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — კაცო, ორდენოსანი ჯიბილოს მიჰყვება?!

ლ ო მ კ ა ც ა — რატომ, ორდენი ხომ შეყვარებულებს არ აშორებს,

ხ ა ფ ი ტ ო ნ — გვირისტინემ, კაცო, ჩემს კოლმეურნეობაში ტყუილად რომ გააფრიალოს კაბა, მტრების თვალის მოსათხარად მეტი რა მინდა.

ლ ო მ კ ა ც ა — თუ ეს საქმე არ გამართლდეს, ტყავი გამაძვრე კურდღელივით. ჩემი ხელიც ურევია ცოტათი ამ საქმეში.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — მაგ რომ მართლაც გაკეთდეს, პატივისცემა მერე მკითხე. იცოდე, ფეხზე დაგაყენებ. არა, კაცო, ეგ რა მითხარი! ოჰ, თუ ეს გამართლდა, რა/კ გინდა ჭთხოვე, ძმაო.

ლ ო მ კ ა ც ა — რაკი აგრეა საქმე, ხელის შეწყობა ჩემზე იყოს. (შემოდის მანუჩარ)

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ოჰ, სალამი ჩემს მანუჩარს.

მ ა ნ უ ჩ ა რ — უკაცრავად, ხაფიტონ, ნუ გამიჯავრდები, აქ სადღაც, ჩემი შვილი იყო... (აპირებს წასვლას)

ხ ა ფ ი ტ ო ნ — მოითმინე, ძვირფასო მანუჩარ, რა საწყენად დაგიჩა ჩემი ნახვა.

მ ა ნ უ ჩ ა რ — რა ვიცი, კეთილი სალამი შენგან არ მჩვევია.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — როგორ გეკადრება, მეზობლობაში, ერთმანეთისაგან, ხან მკვახე ხილს იახლებს კაცი და ხან მწითფეს.

მ ა ნ უ ჩ ა რ — მე კი მომკვეთა კბილი შენგან, მხოლოდ, მკვახე-მკვახეს მიღებამ.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ო, იმიტომ მიმალავდი შენს ოჯახურ ამბებს?!

მ ა ნ უ ჩ ა რ — რა დაგიმალე?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — კაცო, ხომ იცი, მე ვინა ვარ, შენ რომ არ მითხრა, ჩიტი მეტყვის.

მ ა ნ უ ჩ ა რ — რაზედ მეუნები?

- ხ ა ფ ი ტ ო ნ — რძალი მოგყავს, მართალია? (ამ დროს აივანზე გამოჩნდებიან ჯიბილო, ირინე და გვირისტინე. ხაფიტონი ჯიბილოს დანახვაზე მისკენ გაეჭანება)
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — ოჰ, ამხანაგო ჯიბილო, მობრძანდი, ერთი საქმე მაქვს შენთან.
- ჯ ი ბ ი ლ ო — (თავისთვის) ტკბილად შემხვდა.
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — როგორ მოგეწონა დღევანდელი შეხვედრა?
- ჯ ი ბ ი ლ ო — (დაბნეული) გმადლობთ, არ ვიცი...
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — ხომ გახარებული ხარ?
- ჯ ი ბ ი ლ ო — ეჰ, შე რა გამახარებს.
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — რატომ, ბიჭო?
- ჯ ი ბ ი ლ ო — კოლმეურნეობაში არ მაქაქანებ და!
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — არათერია, ჩვენ ისევ შევრიგდებით... მართლა, ჯიბილო, ცოლის შერთვას აპირებ?
- ჯ ი ბ ი ლ ო — აჰ... არა... ვინ გითხრა?
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — მითხარი ვაჟაკურად.
- ჯ ი ბ ი ლ ო — მაშ, გეტყვი: ასე არის. მხოლოდ პირობა მივეცი, სანამ სტახანოველი არ გაუხდები, მის სახელს ვერ ვახსენებ.
- ხ ა ფ ი ტ ო ნ ი — მე კი ჩამიჩურჩულებ.
- ჯ ი ბ ი ლ ო — აჰ, არა, არა...
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — მაშ, მე გეტყვი, ვინც არის.
- ჯ ი ბ ი ლ ო — ვერა, ვერც მოიფიქრებ და რომ მითხრა, ხელები ჩამომივარდება.
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — რატომ, ბიჭო?
- ჯ ი ბ ი ლ ო — ასე დაუთქვი.
- ირინე — (აივანზე გვირისტინეს) ჩემო გვირისტინე, ხაფიტონი ისე ტკბილად ელაპარაკება ჯიბილოს, ეტყობა კარგ ხასიათზეა. სწორედ ახლა აჯობებს, რომ თხოვო. მიდი, მიდი შენ შემოგვევლე, აქ დაგიცდი. (ხელს ჰკრავს გვირისტინეს) მიდი, მიდი...
- გ ვ ი რ - ნ ე — ამხანაგო ხაფიტონ!
- ხ ა ფ ი ტ ო ნ — გვირისტინე, არ ვიცი, როგორ გამოვთქვა შენი ქება.

გ ვ ი რ - ნ ე — არა, ზედმეტი ქებით ქებაც და საქებარიც ერთად დაილევა, დანა-ქვასალესივით. ერთი საქმე მაქვს, ხაფიტონ, სათხოვარი.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — მიბრძანე, ჩემო გვირისტინე!

გ ვ ი რ - ნ ე — რომ შეშპირდი, უფრო დამიბოროკე ენა.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — სთქვი, სთქვი, ნუ გერიდება.

გ ვ ი რ - ნ ე — ჯიბილოსთვის მინდა შეგეხვეწო... გთხოვ, ვითომ ჩემს ბელს გაბარებდე.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ოოო!

გ ვ ი რ - ნ ე — თურმე, ეს ბიკი, ეკლად გესობა თვალში.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ვინ სთქვა?

გ ვ ი რ - ნ ე — აბა, აღადგინე კოლექტივში.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — სულში ჩავიძვრენ, იქ კი არა!

გ ვ ი რ - ნ ე — მერე, თუ უნარს გამოიჩინს და სტახანოველი გახდება, შენთვისაც ხომ სჯობია.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — სწორედ, როგორც იტყვიან, შავი დედალივით გამაქეთებს.

გ ვ ი რ - ნ ე — ორივე ხელით იმუშავენს, არ იზარმაცებს.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — განა გიყია იზარმაცოს, როდესაც ცოლად უსაყვარლესი ვინმე მოჰყავს.

გ ვ ი რ - ნ ე — მაგასაც მიხვდი?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ყველაფერი მესმის, ძვირფასო გვირისტინე. გეფიცები, ვისაც მოიყვანს, იმას ჩვენ ფიანდაზად დავეგებით.

გ ვ ი რ - ნ ე — მაშ, მეტი, ჯიბილო, რაღა გვინდა?

ჯ ი ბ ი ლ ო — გამდლობ, გვირისტინე. შენთან თავს არ შევირცხვენ, თუ კაცად გავჩენილვარ.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ახლავე ჩემი მანქანით წავიყვან ჯიბილოს... (ეძახის) შენ, ჰეი, არ გესმის, მანქანა გამოაგდე, მანქანა. (გვირისტინე მიდის) აბა, ამხანაგო ჯიბილო, მანქანაში ჩავსხდეთ!

ჯ ი ბ ი ლ ო — არა მიშავს-რა, მე ფეხით წამოვალ...

ხ ა ფ ი ტ ო ნ — არა, კაცო, ფეხით როგორ გაკადრებ. (მიდიან)

მოქმედება მისაგმ

პირველი სურათი

ბუქუნარის კოლმეურნეობის სანერგე. დეკორატიული მეურნეობის ყვავი-
ლების სათბური. სცენაზე მუშაობს სამი კოლმეურნე.

1-ლი კოლმეურნე — ძალიან დაფაცურდა ამ ბოლოს ჩენნი
თავმჯდომარე.

მე-2 კოლმეურნე — ხილობანის დაწინაურებამ დააფეთა.
(შემოდის ხაფიტონი)

ხაფიტონი — აბა, ბიჭებო, დღეს მეზობელი კოლმეურნეობის
თავმჯდომარე გვესტუმრება და თქვენ იცით, თვალში ნაცა-
რი მიაყარეთ. (აკვირდება) აქ რას აკეთებთ?

1-ლი კოლმეურნე — არაფერია, აგერ მავნე ბალახი შერ-
ჩენილიყო და...

მე-2 კოლმეურნე — არა, მარტო ერთ ადგილას იყო.

ხაფიტონი — ოო, დროზე აჰოგილიათ, აი, ასე, ბიჭებო, მე
ორი თვალი მაქვს და იქნება რამე გამომეპაროს, თქვენ კი
ცალ-ცალი რომ დაგეფსოთ, ასი თვალი მაინც შეგრჩებათ.

1-ლი კოლმეურნე — საქმე ეხლა უკეთესადაა, შენ ნუ გე-
შინია.

ხაფიტონი — ო, ამ ბოლოს ხომ ხედავთ, ჩემი ხელმძღვანე-
ლობით როგორ აღორძინდა ეს კოლმეურნეობა.

1-ლი კოლმეურნე — მალე იქნება მოსავალი.

ხაფიტონი — სხვები სად არიან?

მე-2 კოლმეურნე — ჯიბილოსთან მუშაობენ სათბურში.
ხაფიტონ — ყველას აქ მოუყარეთ თავი. არა, დაიცა, მე
თვითონ დაუძახებ. (იხედება სათბურში) აქ ქალებს რა უნდათ?
მუშაობაში ეჯიბრებიან ერთმანეთს თუ არშიყობაში? (გამო-
დის ორი ქალი)

1-ლი ქალი — საქმე ცუდად არის, ამხანაგო ხაფიტონ.

ხაფიტონ — რას ამბობ, ქალო?

1-ლი ქალი — სასუქი შემოგვაკლდა და ვცდებით.

ხაფიტონ — მაშ, საქმე კი არის ცუდად, სასუქი გაკლიათ.

1-ლი ქალი — დიახ, ასეა.

ხაფიტონ — ჰო-და, ასე სთქვი, თორემ სტახანოველი ქალი
რომ ამბობ, საქმე ცუდად არისო, ეს ჩემ დამუშავებას ნიშ-
ნავს, და სიტყვას ხანდახან დააკვირდი.

1-ლი ქალი — არა, მე არ მინდა გავცდე, ამაზე ვლაპარაკობ.

ხაფიტონ — მაგაში მართალი ბათმანი ხარ, შოფერი აგერ
ბენზინს იღებს და ახლავე წავა სასუქის გადმოსაზიდავად.

1-ლი ქალი — ძალიან კარგი.

ხაფიტონ — ახლა ხომ კმაყოფილი ხარ. არაფერი გეწყინოს,
გოგო.

1-ლი ქალი — როგორ გეკადრებათ. (ქალები მიდიან. შემოდინ
ბრიგადირები)

ხაფიტონ — აქეთ მოდით, ბრიგადირებო, თქვენთან სალა-
პარაკო მაქვს. ჩამოჯექით ასე, გარშემო. როგორ მოგეწო-
ნათ გუშინ ნამუშევრის შეჯამება?

1-ლი კოლმეურნე — არა უშავს-რა, საქმეს თუ ასე გავუძ-
ღვებით, მომდურავიც არავინ გვეყოლება.

ხაფიტონ — ჰო-და, მართალი იყო ჩვენი რაიონის გაზეთი
გუშინ, დიდი ასოებით რომ სწერდა: ბუქუნარში სტახანო-
ვეური მუშაობა გაიშალაო. ხომ ყველამ წაიკითხეთ?

1-ლი კოლმეურნე — კი, როგორ არა.

ხაფიტონ — იმასაც ნახავდით, თქვენ რომ ჩახატული ხართ.
მე-კი დამიკარგეს სურათი, მაგრამ არა უშავსრა... იმოდენა
საყვედური ავიტანე და ამას ვერ გავუძღვებ?

მე-2 კოლმეურნე — არა უშავს-რა, ხაფიტონ, სამაგიეროდ
იმ საყვედურმა შენც გამოგათხიზლა და ჩვენც მოგვიხდა.

ხაფიტონ — ეხლა რისთვის დაგიბარეთ, არ მკითხავთ?

მე-4 კოლმეურნე — ჰო, მართლა, გვითხარი.

ხაფიტონ — სიხარულისაგან გაფრინდებით, ისეთ რამეს გაიგებთ, მხოლოდ ჯერ არსად გაამხილოთ.

ყველანი — ჰო, კარგი, კარგი.

ხაფიტონ — ჩემის ხელმძღვანელობით და უნარით ისე წავიყვანე საქმე, რომ ხვალიდან ჩვენს კოლმეურნეობას შეემატება ერთი, მთელ კავშირში სახელგანთქმული, ორდენოსანი სტახანოველი.

1-ლი კოლმეურნე — ჰო, რა ზორბა საქმეა!

მე-3 კოლმეურნე — როგორ მოახერხე ხაფიტონ?

ხაფიტონ — სულმა არ წაგძლიოთ და ნაადრევად არსად წამოგცდეთ.

კოლმეურნენი — არა, არა...

ხაფიტონ — ხილობანში რომ... (მიმოიხედავს) რომელი ხართ სულმოკლე, წინ და წინ გააცხადეთ.

კოლმეურნენი — არა, რამ შეგაშინა, კაცო?

ხაფიტონ — ხილობანში რომ ორდენოსანი გვირისტინეა, ის ჩვენს კოლმეურნეობაში თხოვდება. ხვალ ქორწილთა დანიშნული. ეს-გს არის საიდუმლოდ მაცნობეს.

1-ლი კოლმეურნე — ჰე, შენ გენაცვალე, ხაფიტონ. კკუა კი არა, მაგ თავში რალაცა მანქანა გაქვს.

მე-2 კოლმეურნე — ნეტავ, ვის მიყვება?

კოლმეურნენი — ჰო, მართლა, აქ, ვისზე თხოვდება?

ხაფიტონ — არ გეწყინოთ და ჯერ რაც იცით, მაგას დააქირეთ კბილი. დანარჩენს ხვალ გაგიმხელთ. მხოლოდ რას იტყვიოთ, ხომ ლამაზი საქმეა, ა, ორდენოსანი ჩვენს კოლმეურნეობას ნათელივით არ დაადგება თავზე!

1-ლი კოლმეურნე — უკეთესი ამბავი არ ითქმება.

კოლმეურნენი — დიდი სასიხარულოა.

მე-2 კოლმეურნე — ასეა, რაკი ერთხელ დაიძრა ჩვენი საქმე, აწი სულ წინ-წინ წავა.

ხაფიტონ — რა ამბავში იყო ჯამლეთი! სადაც არ უნდა 'მემხედროდა, ყოჩივით ჩამივლიდა, მაგრამ დღეს რქა მოვტყეხე.

- შე-4 კოლმეურნე — ასეა, წალმა მობრუნდება ჩენი ჩარხი.
 ხაფიტონ — ეხლა გეყოფათ, რაც გაიგეთ, წადით და იმუ-
 შავეთ. (ყველანი მიდიან. შემოდის ლომკაცა)
- ხაფიტონ — ოო, ჩემო ლომკაცა, აბა, ხვალ ქორწილია,
 არა? რა კარგი მახარობელი ხარ.
- ლომკაცა — მახარობელიც მე ვარ და ამ საქმის გამჩარხვე-
 ლიც, პატივისცემასაც არ მომაკლებ.
- ხაფიტონ — კი, ჩემო ლომკაცა, აქ კარი ღიათა გაქვს, ჩამოდი,
 ჩრდილი იჩრდილე, ხილი იხილე, უბატონოდ ხმას არავინ
 არ გაგცემს.
- ლომკაცა — აქ ამას წინადაც გამოვიარე და ერთი რამე ჩა-
 მივარდა გულში... თუ შეიძლება...
- ხაფიტონ — მიზრძანე, გენაცვალე.
- ლომკაცა — ერთი უცხო ჯიშის, ქრელი ხბო გყოლია.
- ხაფატონ — მერე?
- ლომკაცა — ისე მომეწონა, უნდა მაჩუქო.
- ხაფიტონ — რაო, გაჩუქო?
- ლომკაცა — შექწირე.
- ხაფიტონ — შეგწირო, ხატი ხომ არა ხარი!
- ლომკაცა — აბა, უარს მეტყვი?
- ხაფიტონ — რას ლაპარაკობ, იმის გაჩენა რომ მიამა, ისე
 ჩემი დაბადება არ გამხარებია. გეფიცები, შეილევით
 მიყვარს...
- ლომკაცა — ოო, ახლა ყბასაც მიქცევ, არა?
- ხაფიტონ — არა, ძმაო, მეორეჯერ მაგისტანას ნურც შენ
 მიხუმრებ.
- ლომკაცა — მაშ, ნიშადური ამომისვი, არა? მე ბავშვების
 გახარება მინდოდა, თორემ არც დაგელრიჯებოდი.
- ხაფიტონ — ბავშვების გასახარებლად ხბო რად გინდა, ვი-
 ლაცას დაამარცხებს... აგერ, ყვავილები წაილე.
- ლომკაცა — არა, გმადლობთ, მაგრამ მე სვინდისიერი კაცი
 ვარ და ქრთამს არ ვლებულობ. (მიდის)
- ხაფიტონ — (მიადახებს) დაიცა, კაცო! (თავისთვის) ცოტა თავი

თუ არ მოვუქონე, გამწირავს. (მიდის. შემოდინან ჯიბილო და კოლმეურნეები. მეორე მხრიდან შემოდის შატო)

შატო — გამარჯობათ, მუშაობა გაგიჩაღებიათ, ბიჭებო. შარ-შან, მგონია, ასე არ იყავით.

1-ლი კოლმეურნე — მას აქეთ ყური გამოვიქექეთ.

ჯიბილო — შენ რა მოიტანე იმ მანქანით ხილობანიდან?

შატო — სულ სანაყოფო ნერგებია, ხელს გიწყობთ, თუ მოიხმართ.

მე-2 კოლმეურნე — ჰო, შემოსავლიანი რამე გვინდა, თორე თვალის სამოთხე არ გვაკლია.

შატო — ხაფიტონს სად ვნახავ?

ჯიბილო — ის ამის იქით არსად წავა.

შატო — მაშ, მე ჯამლეთს გადავძახებ. ისე კარგი ჩანს თქვენი კოლმეურნეობა, მართლაც, რომ თვალის სამოთხეა. (მიდის. შემოდის ხაფიტონი)

ხაფიტონ — აბა, დამკვრელებო, მეზობლები გვესტუმრენ, კარგად დატრიალდით.

ჯიბილო — დღეს ჩემმა ბრიგადამ ათი კვალი უნდა გაიტანოს.

ხაფიტონ — ჯიბილო, ჯერ ეს სათბური მოაწესრიგეთ, ჯამლეთს კობტად ვაჩვენოთ.

ჯიბილო — კარგი, მხოლოდ... სჯობდა, რომ არ გავმცდარიყავი. (შემორბის მესაქონლე)

მესაქონლე — ხაფიტონ სად არის? ხაფიტონ, სალორეში ქირი გაჩნდა, გაიგეთ?

ხაფიტონ — რაო, რა სთქვი?

მესაქონლე — (შეშინებული) რა ვქნა... ჩემი ბრალი არ არის...

ხაფიტონ — ნუ ფლიქვინებ, დამშვიდებით მოყევი!

მესაქონლე — დღეს წყალი რომ შევიტანე სალორეში, ორი დედა-ლორი აპლაკულიყო და კენესოდა, ფეხი ვკარი, მაგრამ აღარ დაიძრნენ. სწორედ ქირის ნიშნებია.

ხაფიტონ — ჰო, მაშ ქირის ნიშნები ყოფილა და არა ქირი. ჰმ, კაცს რომ იღბალი არ ექნება, ეს არის. ქირი მინდა ახლა მე!?

მესაქონლე — ღორებს რა ვუყოთ, ამხანაგო ხაფიტონ!
ხაფიტონ — გაფრინდი ამ წუთში, ზეზობელ კოლმეურნეო-
ბიდან მოიყვანე ერაი, კარგი ზოოვეტტექნიკოსი.

მესაქონლე — ჩვენი აფთიაქი დღეს რომ დაკეტილია, წა-
მალი სად ვიშოვო?

ხაფიტონ — ეს არ ვიცი მე, სადაც გინდა იქ იშოვე, მე
რომ შემომჩერებინარ, უბეში კი არა მაქვს წამალი, ჩაირბი-
ნე ქვედა სოფლებში, აფთიაქის მეტი რა არის.

მესაქონლე — ეხლავე მოვკურცხლავ. (აპირებს წასვლას)

ხაფიტონ — მოდი აქ, მასე დაგლეჯილი არ წახვიდე, ჩაიც-
ვი, არ მომპრა თავი უცხო ხალხში.

ჯიბილო — მაშ, აქეთ, ბიჭებო, გეყოფათ ლაპარაკი. (ჯიბილო
და კოლმეურნეები მიდიან. შემოდის ჯამლეთი)

ხაფიტონ — (ჯამლეთის გასაგონათ გასძახის სცენის იქით) ყრილო-
ბას მდივანმა მილოცვის დეკეშა გაუგზავნოს, აცნობოს რა
მინწევები გვაქვს ჩვენს კოლმეურნეობაში. (მიუბრუნდება და
ესალმება ჯამლეთს) ოჰ, გმადლობთ, რომ გვინახულეთ, ჯამ-
ლეთ. შენისთანა კაცი ბევრ რამეს გვირჩევს.

ჯამლეთი — ზოგსაც თქვენგან ვისწავლით.

ხაფიტონ — ოო, მაგ მხრივ გულნაკლულს არ გაგიშვებ. ამ
სათბურში ისეთი მცენარეები მაქვს, თვალს გაგიშტერებს.

ჯამლეთი — (ათვალიერებს) ახალი ნამყენები ბლომად გქო-
ნიათ. (შემოდის ჯიბილო)

ხაფიტონ — გაიცანი, ეს ყმაწვილი ჩვენი პირველი ბრიგა-
დის ხელმძღვანელია. დღეში ორი ათას ძირს ამყნის თავისი
ხელით. (ჯიბილო ხელს ართმევს. მიჰყავთ სათბურისკენ)

ჯიბილო — მობრძანდით ამხანაგო ჯამლეთ! (შემოდის მანუჩარ
და ვატა)

ხაფიტონ — შემობრძანდით, დავათვალიეროთ. (ხაფიტონი და
ჯამლეთი შედიან სათბურში. ჯიბილოც აპირებს შესვლას)

მანუჩარ — ჯიბილო!

ჯიბილო — მეჩქარება მამა, რისთვის მოსულხარ?

მანუჩარ — აი, ამ კაცს კითხე, გინახავს, ვატა, ასეთი ღვინო
კოოპერატივში?

ვატა—ოო, მართლაც ზიარებასავითაა, ამომავალ სულს ჩაგობრუნებს.

ჯიბილო—ამას წინეთ რომ ვიყიდე, ძლიერ აქებდი, ახლა აღარ მოგწონს?

მანუჩარ—თუ ვაქებდი, ტკბილადაც გავათავე.

ჯიბილო—იმდენი ღვინო?

მანუჩარ—რა იყო, მთელ თვეს გამოვიზოგე.

ჯიბილო—ორასი ლიტრა ღვინო?

მანუჩარ—ლიტრობით კი არა, ახლა წვეთ-წვეთობით დამითვალე. ჩვენებურად ერთი საპალნე იყო.

ჯიბილო—მერე, მთელი საპალნე შესვი?

მანუჩარ—კაცო, შენ აქეთ-იქით დანაგარდობ, მე კი სახლში სტუმრებმა დამიმართოხელეს და სირცხვილ-ნამუსით ვიწვები.

ჯიბილო—არა, მამა, ახლა მე იქ წამოსასვლელად არ მცალია.

მანუჩარ—ჰმ, გესმის, ვატა?

ვატა—ჰო, ვითომ ჩემი წამოსვლა რად გინდა, ნაღდ ფულს მოგცემ და იყიდეო, ხომ მიხვდი?

ჯიბილო—კი მაგრამ, სადა მაქვს ფული?

მანუჩარ—აკი იმდენ შრომა-დღეს ძოვეუყარე თავიო?!

ჯიბილო—თუ რამე მერგება, ოდა შესაკეთებელია, პაპაჩემს აქეთ რაც არ დალპა, რა გამოცვალე?

მანუჩარ—ეჰე...

ჯიბილო—ტყუილია თუ?

მანუჩარ—შენ თუ ეს გაპატივე, მერე სახლიდანაც გამაგდე. (სათბურიდან გამოდიან ჯამლეტი და ხაფიტონ).

ხაფიტონ—როგორ მოგეწონა, ჯამლეთ, ჩვენი ნაშრომი?

ჯამლეთი—აბა, რა ვთქვა... ნაშრომი არის, მხოლოდ, რაღაცა გამოფენასავითაა და...

ხაფიტონ—როგორ?

ჯამლეთი—როგორ და... ყოველ ქოთანში სხვადასხვა რამე დაგირგავთ. ორ სამ კულტურას აუხვალ, აქ კი ათასი რა-

მეა და ყველას ცალცალკე უნდა მოვლა. ეს კი, მგონი, საზარალოა.

მანუჩარ—ჯიბილო, რა კეკუაზე ხარ, ბიჭო?

ვატა—(ჯიბილოს) კაცო, ამ პატარა საქმეზე მაიას გულს ნუ გაუტყენ.

ჯიბილო—დამეხსენი, ხომ ხედავ, არ მცალია.

ხაფიტონ—ესენი რისთვის შემოგიჩნდნენ, ჯიბილო?

ჯიბილო—კოოპერატივში ღვინო მოვიდაო...

ხაფიტონ—ღვინო?

ჯიბილო—რა ვიცი, მოვიდაო და...

ხაფიტონ—შენ სასწრაფოდ დეკორატიული ხეები უნდა მოამზადო, ამათ მოტანილ ნერგებზე გადასაცვლეღად.

ჯიბილო—კარგი. (ჯიბილო წასვლას აპირებს)

მანუჩარ—ასეა, ბიჭო, საქმე?

ჯიბილო—ახლა არ მცალია, ხომ ხედავ, დავალება მომცეს.

მანუჩარ—მამის ვალი კატას შეაქამე?

ჯიბილო—აბა, ბატონო, რასაც ვმოულობ, სულ მუცელში ჩაიდგი. არც სახლი მინდა და არც ოჯახზე ვფიქრობ... ოღონდ, არ ვიცი ახლა, ვის დავემორჩილო... (ხაფიტონს) გამიშვი კოოპერატივში, მამა დავაშოშინო.

ხაფიტონ—მერე, აქ, მანქანას ვაცდევინო?

ჯიბილო—არა, ბრიგადირები უჩემოდაც მოაგვარებენ საქმეს.

ხაფიტონ—მაგის შადას ჩვენ ეხლა ვერ ავეყვებით.

ჯიბილო—ასეა, ხომ გესმის, მამაჩემო! (მიდის)

მანუჩარ—კაცო, აქ ჩემს ვაჟს ამას ასწავლი, ხე გაახარე და მამა გაახმეო?

ხაფიტონ—რაზე ატყდი ახლა, მანუჩარ?

მანუჩარ—ვატა, ხმა ამოიღე, კაცო, მარტო საინის გამშრალეაში უნდა გამომადგე მჩვარივით?

ვატა—მე რა ვთქვა, რა, კოოპერატივში ღვინო მოვიდა, დაგიძახე და არათფერი გამოდის, მშვიერი ვრჩები.

ხაფიტონ—არა, მანუჩარ, მუდამ ვერ გაპატივებთ.

მანუჩარ—რა დამიშაფებია, გკითხავ, ნუ გამიჯავრდები.

- ხ ა ფ ი ტ ო ნ—არაფერს აკეთებ, სულ ქეიფი გახსოვს, ხელს გვიშლი და ამიტომ აწი სოფლიდან გაგაძევებთ.
- მ ა ნ უ ჩ ა რ—რატომ, რისთვის?
- ხ ა ფ ი ტ ო ნ—სტახანოველ შვილს ღუპავ, ხომ გეიგონე, რა გითხრა. ოჯახი არ მინდა შენს ხელშიო. შენი მიზეზით ცოლს ვერ მოიყვანს.
- მ ა ნ უ ჩ ა რ—ეჰე, მაშ გვირისტინეს გულისთვის მაგდებთ? აი, სად ყოფილა ჩემი უბედურება!
- ჯ ა მ ლ ე თ ი—სტახანოველს თუ ღუპავ, მაგაზე კი გული აეწვება.
- მ ა ნ უ ჩ ა რ—შენ ვინც გყავს, იმას მოუარე.
- ჯ ა მ ლ ე თ ი—როგორ?
- მ ა ნ უ ჩ ა რ—გვირისტინე ნუ გამორბის იქიდან ჩემი ოჯახის დასაქცევად.
- ხ ა ფ ი ტ ო ნ—გაჩუმდი, მანუჩარ, აწი ლაპარაკის საგანი გამოგცვალოთ.
- ჯ ა მ ლ ე თ ი—გვირისტინეს აქ რა უნდა?
- ხ ა ფ ი ტ ო ნ—ასეთი ხუმრობა იცის ამ შეჩვენებულმა. დატკბი, ჩემო მანუჩარ, წადი და სადმე გული გადააყოლე, იმღერე შენებურად.
- მ ა ნ უ ჩ ა რ—მე ხმას პურ-მარილი მაძლეედა, თორემ, პატეფონი კი არა ვარ, გულზე ნემსის დარქობით ავკიკინდე.
- ხ ა ფ ი ტ ო ნ—ხო, კაცო, ცამდე მართალი ხარ, მე არ გეჩხუბები ახლა, ხომ ხედავ.
- მ ა ნ უ ჩ ა რ—არ მეჩხუბები კი არა, ისე დამირეკე, რომ გვირისტინეს გულისთვის თურმე სოფლიდან მაძევებ.
- ხ ა ფ ი ტ ო ნ—რაო, რაო? გვირისტინე როდის მიხსენებია შენთვის, კაცო? ჰხედავ, რა ჭორებს ჩმახავს!
- მ ა ნ უ ჩ ა რ—რა არის ჭორი, შენ თვითონ არ მითხარი, გვირისტინემ მთხოვა, თორემ ჯიბილოს არ დავაწინაურებდიო?!
- ხ ა ფ ი ტ ო ნ—თუ კაცი ხარ, მანუჩარ, უცნაურს ნუ იგონებ.
- მ ა ნ უ ჩ ა რ—მე ვიგონებ?
- ხ ა ფ ი ტ ო ნ—მანუჩარ!

მანუჩარ—თვალებს ნუ მიბრიალებ!

ხათიტონ—აი, შე უნამუსო, დაკარგულო, ვერაგო! მართლაც, დღესვე დაგიქერ. თავს მოვიკლავ, თუ ეს საქმე არ ვქენი.

მანუჩარ— (თავისთვის) თორემ ჯეირანი ვარ, შესაწავად გამოგადგები.

ხათიტონ—ძირ-ფესვიანად მოგთხროთ შინ და ვატას, თუ კაცი ვარ! (ვატა და მანუჩარ გადიან)

ხათიტონ—შეხედე, რა მოჩმახა მანუჩარმა, გაიგონე?

ჯამლეთი—ეს რომ ქორი იყოს, შენ ასე არ გაბრაზდებოდი.

ხათიტონ—მაშ გჯერა?

ჯამლეთი—არა, მხოლოდ ძალიან მიკვირს. (ხათიტონი მიდის. შემოდის ლომკაცა)

ჯამლეთი—ოხ, ლომკაცა, შენ აქ რა გინდა?

ლომკაცა—აგერ, ქვედა სოფელში ვიყავი პირველ ცოლთან.

ჯამლეთი—როგორ არის შენი პირველი ცოლი, კარგახანია არ მინახავს, ხომ არ გათხოვდა?

ლომკაცა—არა, კიდევ მე მიცდის.

ჯამლეთი—ოხ, ასე გაჭირვებულა!

ლომკაცა—არა, თავის სოფელში პირველი დამკვრელია.

ჯამლეთი—მერე, უმუშევარ კაცს უცდის?

ლომკაცა—ეხ, ქალის ჭკუა თხამ შექამაო, ხომ გაგიგონია.

ზოგი ქალი ისეთი წყეულია, რამდენ მეტს უღალატებ და გამრიცვლი, იმდენი მოგეფართქუნება.

ჯამლეთი—მაგ არ ვიცი, არ გამომიცდია და არც მინდა რომ გამოვცადო.

ლომკაცა—ო, აქ კი შენ მართალი ხარ. რამდენი ცოლიც არ უნდა გამოიცვალო, სუყველა ერთმანეთზე უარესია და ბოლონდელი ყოველთვის სხვაზედ თხლეა.

ჯამლეთი—რატომ, ეს შენი უკანასკნელი ცოლი წელიწადში სამას შრომადღეს აკეთებს და გარჩენს.

ლომკაცა—ჰო, და, მაგით ღვლეჭი ჩამაბა. ქალისაგან რჩენას სჯობია, მგელს, რომ ძუძუ მოსწოვო.

ჯამლეთი—არა, შენ ცხოვრებას ცუდად უყურებ და ყველაფერი მრუდედ გეჩვენება.

ლომკაცა—მაშ შენ დიდი გამკრიახი რომ ხარ, იმიტომ გაგდებს ორმოში ხაფიტონი, არა?

ჯამლეთი—ხაფიტონი რაში მაგდებს, რას როშავ, შფოთი გინდა მეზობლობაში ჩამომიგდო?

ლომკაცა—გვირისტინე რომ ბრძანდება, შენი ორდენოსანი, ის ბუქუნარში მიყავს.

ჯამლეთი—როგორ?

ლომკაცა—აქ საქმრო გაუჩინა.

ჯამლეთი—არა, ვერ დავიჯერებ, გვირისტინე წინდაწინ მეტყოდა, ამიხსნიდა.

ლომკაცა—ოო, ის იმისანა ქვათამხეთქელია, ვითომ საყვარლისთვის კი არ გადმოდის აქეთ, რაიონს აცნობა, ხიდობანში ჯამლეთთან არ გამეძღებო.

ჯამლეთი—არა, სულ სისულელეა, სულ ჭორია... თუმცა აქაც გავიგონე რაღაცა.

ლომკაცა—ცოტას კი გაიგებდი.

ჯამლეთი—აბა, შენ მოყვეი ერთი, რა იცი.

ლომკაცა—დაწვრილებით იქ გეტყვი, ხიდობანში, მხოლოდ ენას ტყუილად არ დავასველებ, ეს იცოდე... (მიდის. შემოდის ხაფიტონი)

ხაფიტონი—ამხანაგო, ჯამლეთ, ყველაფერი მზად არის.

ჯამლეთი—ა, შენ ხარ, ხაფიტონ?

ხაფიტონი—რამ ჩაგაფიქრა, კაცო? (შემოდის შატო)

ჯამლეთი—არაფერია. (შატოს) შატო, დეკორატიული ხეები დაამზადეს.

შატო—კი, მითხრეს და ეხლა ვტვირთავ.

ხაფიტონი—რა ეკალი შეგესო, ჯამლეთ, ვინმემ ხომ არ გაწყენინა? (ჯამლეთი სდუმს) შენ არ მომიკვდე, ძალიან მწყინს, თუ აქ რაზე გაუგებრობა არის.

ჯამლეთი—კაცო, როგორ მელაპარაკები, თავი ისე გიჭირავს, თითქოს შამა-აბრამის ბატკანი იყო.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — შე კაცი, რას მამცირებ, ბატკანი კი არა, ვაჟ-
კაცი მგონია ჩემი თავი. ხათრი, თორემ მაგას ვერ მოვით-
მენდი.

ჯ ა მ ლ ე თ ი — აბა, ეს რას გავს: შე, რაც შემიძლია, ხელს გიწ-
ყობ, გეხმარები, უნაყოფო ხეებში აგერ სასარგებლო ნერ-
გებს გიტოვებ. ამას წინათ ერთი მანქანა გაჩუქე, პატრვის-
ცემით სავსე ხარ ჩემგან და შენ კი ძირს მითხრი ფულუ-
როსავეთ.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ამისთანა გინახავს?! თუ კაცი ხარ, რამე გამა-
გებინე.

ჯ ა მ ლ ე თ ი — კი, იცი კარგად, მოიგონე, რა ანკესი გაქვს
გადმოგდებული ჩემს გუბეში.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ოო, არ გრცხვენია, მანუჩარის კორს უნდა აყვე,
ალბათ, კიდევ გაგბერა იმ ვერაგმა.

ჯ ა მ ლ ე თ ი — თუ მაგ კორია, ვნახოთ, იქ, ხილობანში გავი-
კითხავ.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — არა, ჯამლეთ, რათ გპირდება ახლა მაგის გამო-
ძიება ხილობანში.

ჯ ა მ ლ ე თ ი — არა, თუ არაფერია, ხომ გავიგებ.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — გაიკითხე, კი, ძმაო, გაიკითხე... მაგრამ, თუ
ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ, მე და შენ რას გავხდე-
ბით?

ჯ ა მ ლ ე თ ი — აა, მაგის იმედი გაქვს?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ასეა.

ჯ ა მ ლ ე თ ი — როგორ, მიმინოსავით ქალი მთელ კოლოქტივის
ხელის გულზე დაგვიჯენია და თქვენ აქედან უწრუპუნებთ?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ეს რა პასუხია. (შემოდის შატო)

ჯ ა მ ლ ე თ ი — თქვენ საკუთარი ნახელავი შეიყვარეთ.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — აბა, რადგან ჯიბრზეა, ის ქალი დავნიშნეთ და
კიდევ მოგვყავს აქ, ბუქუნარში.

შ ა ტ ო — ვინ მოყავთ?

ჯ ა მ ლ ე თ ი — გვირისტინესათვის აქ საქმრო მოუძებნიათ.

შ ა ტ ო — ეს რა გავიგე! აქ თხოვდება?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — რა გიკვირს, ბიჭო, ჯერ ალუ ხარ, ჩვენ უკაცობა კი არ გეკვირს... თუ მეურნეობას გვიწუნებ, მალე ნახავ, სად ამოვყოფთ თავს.

ჯ ა მ ლ ე თ ი — რით, მაქანკლობით?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — აჰა, აჰა, მაქანკალი მე არა ვარ, შენ კი, თურმე, ხალხს მათრახით დადგომიხარ და ისე აჩილიშებ.

შ ა ტ ო — აბა, ქალმა თავის შრომით რაც მიიღო, სხვაგან არ გინდათ გაატანოთ და ამისათვის ხიდობანში აბამთ.

ჯ ა მ ლ ე თ ი — შენთან ლაპარაკი, ვხედავ, წყლის ნაყვავა. (აპირებს წასვლას)

ხ ა ფ ი ტ ო ნ — 'ვიცი, რაზედაც გეწვის გული, მაგრამ აწი არ ჩამოგრჩები, გაგისწრებთ, თვალსაც დაგიყენებთ.

ჯ ა მ ლ ე თ ი — აბა, რადგან პატივისცემა ასე შეიშევენე, მოგება ბოლოს დაითვალე. (ჯამლეთი და შატო მიდიან. შემოდის ჯიბილო)

ხ ა ფ ი ტ ო ნ — სადა ხარ, ჯიბილო, სადა ხარ? იცი, რა მიქნა მამაშენმა, იმ ძალღთა პირმა?

ჯ ი ბ ი ლ ო — რა მოხდა?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ჯამლეთს გაუმხილა, რომ შენ გვირისტინეს ცოლად ირთავ. მე არ გავამხელდი, მაგრამ თითონ ყველაფერი მიძიებვივით დაუკაკლა.

ჯ ი ბ ი ლ ო — ეხლა ის ქალი რას იფიქრებს?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — მაგას არ ვსტირი... აბა, რაზე ავდუღდი?

ჯ ი ბ ი ლ ო — მერე, შენ რა უთხარი ჯამლეთს?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ვიყვირე და ამ ყვირილმა მთლად გამომტეხა.

ჯ ი ბ ი ლ ო — როგორ?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — პირში შემატეხა იმ იუდა გამცემმა: განა ჯიბილოს სტახანოველად გაუშვებდი, გვირისტინე რომ არ მოყავდესო.

ჯ ი ბ ი ლ ო — არა, ასეთი სისულელე რა თავში მოუვიდა, ტენი ელრძო?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ის კი არა, გველის კკუა აქვს კაცს... ჩვენს შორის რომ ვსთქვათ, განა ტყუილია!

ჯ ი ბ ი ლ ო — მაშ, სიმართლეა?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — რასაკვირველია.

ჯიბილო — რა?

ხათიტონ — მაგ ამბავი რომ არ მცოდნოდა, ამდენს ვიბრუ-
ალებდი?

ჯიბილო — მაშ შენ ფიქრობ, რომ გვირისტინეს ვირთავ?

ხათიტონ — ვფიქრობ კი არა, როდესაც კოლექტივში მიგი-
ლე, მაშინაც ვიცოდი, თორემ გიქვი ვიყავი, შენ წამოსაწევად
წელზე ფეხს დავიდგამდი?

ჯიბილო — მე, ჩემმა შრომამ არ დამაწინაურა?

ხათიტონ — ჩვენ რომ ხელი არ შეგვეწყო, რას გახდებოდი?

ჯიბილო — რა ხელი?

ხათიტონ — ნიდადგის გაპოხიერება, სათბურების აგება...

ჯიბილო — ეს საქმემ მოითხოვა...

ხათიტონ — არა, ძმაო, ეგ ქალი რომ არ მოიყვანო, ნიორის
ნაჩუჩად არ ჩავთვლი.

ჯიბილო — რა მოვიყვანო? განა ჩემი დათესილი ნესვია? მე
ეგ პირობა არ მომიცია და ვერც მოგცემ...

ხათიტონ — რაო? ცეცხლი არ მომიკიდო, თორემ, როგორც
აგაშენე, ისე დაგაქცევ.

ჯიბილო — რას მიზამ?

ხათიტონ — გუდაზე დაგსვამ.

ჯიბილო — როგორ?

ხათიტონ — როგორ და უკუღმა.

ჯიბილო — კაცო, მუქარა არ იყოს, თორემ, ხომ იცი, რომ
თავზე ხელი ავიღე და სამუშაოს ბუღალსავით მივაწყდი, სხვა-
ნაირი დატაკებაც ვიცი.

ხათიტონ — კაცო, შენ არ მითხარი, საცოლეს გულისთვის
წელზე ფეხს დავიდგამო. მერე, გვირისტინემაც ხომ მთხოვა
შენს შესახებ და მანუჩარმაც კიდევ მითხრა, ერთმანეთი
უყვართო.

ჯიბილო — მანუჩარმა, თქვა, ერთმანეთი უყვართო?

ხათიტონ — ჰო, კაცო, კიდევ სხვებმაც ჩამიჩურჩულეს... მე
რას მიმაღავ, შე უმოწყალო, მე შენსკენა ვარ და შენ ეშმა-
კებისაკენ გაქვს თვალი.

ჯიბილო — მაშ, მამაჩემს ჩავუგდივარ ამ მდულარეში.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ჰო, დღეს საძაგელი საქმე გვიქნა, ახლა იქ გვირისტინეს ისეთ დღეს დააყენებენ, სიკვდილს ინატრებს. ჯ ი ბ ი ლ ო — იმას რას ერჩიან, კაცო?! არა, ახლავე უნდა ჩავიდე ხიდობანში.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — მერე?

ჯ ი ბ ი ლ ო — ქალს შევირთავ და ქორიც მოთავდება.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — მეც მაგას გევედრები. მაგრამ, რადგან გაიგეს, ისეთ ღობეს შემოავლებენ, მიუღებნი?

ჯ ი ბ ი ლ ო — ვის?

ხ ა ფ ი ტ ო ნ — გვირისტინეს.

ჯ ი ბ ი ლ ო — მაინც ძალიან გქონია იმისი დარდი.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — დიდი დათუთქული ვარ. შენ ცოლი გინდა, მე კი გამარჯვება.

ჯ ი ბ ი ლ ო — ახლავე მივდივარ ხიდობანში. (მიდის)

ხ ა ფ ი ტ ო ნ — დაიცა, დაიცა, ბიჭო, რა იცი, იქ რას მოგიწყობენ.

ჯ ი ბ ი ლ ო — ჩავალ და ყველაფერს შეგატყობინებ.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ნუ გეშინია, ჩვენც გვიგულე. უკან გამოგყვებით, იცოდე. (თავისთვის) ო, რა საქმეს ვაკეთებთ, შინაურმა ძაღლმა კი მიღალატა, იმ უნამუსომ, მაგრამ აწი კბილით რომ ჩამაფრინდნენ, მაინც არავის დავანებებ. მტერ-მოყვრის თვალის მოსაპრელად უკეთეს ხვითოს კოლმეურნეობის სუფრაზე ვერ გავაგორებდი. (შემოდინ კოლმეურნენი) მოდიო, ბიჭებო, გაიგეთ, რა გავანია მკირს?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — კი, აგერ ვატა გვიყვებოდა ახლა.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ორდენოსანით იკვებიან, ამხანაგებო, და იმიტომ არიან დიდ გულზე, მაგრამ არაფერია, ჯიბილო უკვე წავიდა გვირისტინესთან საქორწილოდ და ჩვენც უნდა გავყვეთ საჩქაროთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — აბა, ავდგეთ და გზას გავუდგეთ.

ვ ა ტ ა — (შემორბის) კაცო, აქ რა დავიდარაბა ატეხილა? ისე გამოვიქეცი, გული არ მომყოლია.

ხ ა ფ ი ტ ო ნ — ვინ იცის, იქ რას მოუწყობენ. იქნებ, გადაათქმევინონ გვირისტინეს ჯიბილოზე ვათხოვება.

ვატა — მე წამიყვანე, ბიჭებო, და იმათ სერს განახვებთ. ამ საქმეს ისეთ კუდს გამოვბამ, რომ ჯამლეთს ციჰბირს აქეთ დავატოვებინებ.

1-ლი კოლმეურნი — მაგ ნეტის-მეტია, ვატა.

ვატა — აბა, სად ნახე, კაცო, თხოვა-გათხოვების საქმეს კოლმეურნეობის თავიჯდომარე აწესრიგებდეს. საბჭოთა კანონის დარღვევას ჯამლეთს ვინ შეარჩენს!

ხაფიტონ — ეს მართალია. აბა, წაწილი და კარგად ჩაიცივით საქორწილოდ, თუ ცოტანი ვართ, დაუმატეთ, ვინც გამოდგება.

ვატა — მაყრიონით წავიდეთ, ქალს კი არა, მზითსაც გამოვაგზავნივინებ.

ხაფიტონ — აჰ, არა, ვატას ვერ წავიყვანთ.

ვატა — რატომ, სხერსი პურ-მარლი რა გენაღვლება?

ხაფიტონ — საექვო ელემენტი მოიყვანაო, იტყვიან. არა, აქედან გამეცალე.

მე-2 კოლმეურნი — აბა, ცხენებით გავქუსლოთ მოკლე გზით.

მე-3 კოლმეურნი — ცხენები რად გვინდა, საბარგოთი წავიდეთ, ხელის გულივით გზაა.

ხაფიტონ — აჰ, მანქანას სასუქი აქვს გადმოსაზიდი, რას ამბობთ! ამისთანა ყვავილებს რძეს დავალევივინებ, რომ შეერგებოდეს ამათ სასუქს მოვაკლებ და თქვენ მანქანით გატარიხინებთ?!

ყველანი — წავიდეთ, წავიდეთ! (მიდიან)

ვატა — ააჰ, სწორედ ჩემი ამინდია, ფეხით ჩავსდევ, სულ რომ ტყლიპი ჩამასკდეს!

მეორე სურათი

ხიდობანის კოლმეურნეობის კლუბის დარბაზი. ხახული და ლომკაცა ათვლიერებენ ავეჯს და კელლებს.

ლომკაცა — ეს არის და ეს, ჩემო ხახულ, ამათი აშენებული კლუბი.

ხახული — ოჰო-ჰო, ვინ აღირსებდა სოფელს ამისთანა რამეს.

ლომკაცა — ერთი ეს იკითხე, რამდენი ფულია ზედ გადახარჯული.

ხახული — ასეთ დიდ ხეს დიდი ნაფოტი დაცვივა.

ლომკაცა — როგორ, შენც ამართლებ უკუღმართობას?

ხახული — არა, ძალიან უკაცრავად, მასე თუ ფიქრობ, მარა, რაც თვალს მაკლდება სიბერით, კეჟუს ემატება. (შემოდის კაკალა)

კაკალა — უი, აქ ხართ? თქვენს ძებნაში სოფელი ავაფორიაქე.

ლომკაცა — რა ამბავია?

კაკალა — გვირისტინე და მირიანე შერიგდნენ, არ გაიგეთ?

ლომკაცა — არა, როგორ?

კაკალა — მე გამომიყვანეს მექორედ... ბიძია ხახულ, ასე ამბობენ, ვითომ, გვირისტინე მანუჩარის ვაჟს არ ყავდა დანიშნული.

ხახული — რაო, რაო? ვინ ტატანობს, დანიშნული იყოვო, ვინ ურის თავს ჩემს ოჯახს?

კაკალა — რაც ჩემი თვალით ვნახე, იმას ვამბობ.

ხახული — რაც არ მომხდარა, ვის უნახავს?

კაკალა — მოსკოვში რომ მიმგზავრებოდა შენი ქალიშვილი, იმ დღეს მანუჩარი არ გესტუმრა?

ხახული — მერე?

კაკალა — შენი პირით არ გვითხარი, მე და მირიანეს, სასძლოს სანახავად მოდის ჩემს ოჯახშიო.

ხახული — ოოო!

კაკალა — გაიხსენე კარგად. ჩემო ბიძია.

ხახული — ის ირინეს სანახავად იყო... როგორ, ეს ამბავი შენ ჩემს შვილზე გადმოგაქვს? ამას უყურე, რას მიბედავს! (აპირებს წასვლას)

ლომკაცა — დაიცა, კაცო, სად მიდიხარ?

ხახული — თქვენი უწესო ლაპარაკი ყურშია ც არ მეკარება.

ლომკაცა — რაო, ვითომ, რა ნახე?

ხახული — მაგრად მაქვს მე ახლა თავი შეხვეული, ის ხახული არ გეგონო! (მიდის)

ლომკაცა — მაინც როგორ შერიგდნენ, ქალო, მირიანი და გვირისტინე?

კაკალა — აბა, იცი, ახლავე ემზადებიან საქორწილოდ ის უნამუსოები.

ლომკაცა — ეჰე!

კაკალა — ჩემზე შეიხოცეს ხელი და ერომანეთს შაქარივით ლოკავენ.

ლომკაცა — მთლად არ გაუმარჯვია ჯამლეთს!

კაკალა — უი, მართლა, ის კორესპოდენტი მოსულა, ახლა შარაზე გკითხულობდა.

ლომკაცა — რომელი?

კაკალა — შენ რომ გამაცანი და ეს ამბები მათქმევინე.

ლომკაცა — ახლა კი მთლად დავილუპე.

კაკალა — რატომ?

ლომკაცა — გვირისტინეს და ჯიბილოს ამბავი თუ კორია, სხვასაც არაფერს დამიჯერებს. მერე კრდევ ხაფიტონიც გადამეკიდება — ჯიბილოს რომ ორდენოსანი უნდა გაპყოლოდა, სად არისო.

კაკალა — სულ იმ ჯიბილოს ბრალია ყველაფერი.

ლომკაცა — როგორ?

კაკალა — გაცოფებული მოვარდნილა ბუქუნარიდან, მირიანეს შეხვედრია და გვირისტინესთან შეურვიგებია. თითონ, იმ წყეულს, ირინე ყვარებია და მთელი ნავავი მე საწყალს მომახვეტეს.

ლომკაცა — ეს რაები მესმის!

კაკალა — მერე, რაც მე დღე დამადგა, ნუ მკითხავ, მამაჩემმა პირში ლამის ყალიონის ტარი ჩამთხარა.

ლომკაცა — ახიც არის შენზე.

კაკალა — ჩემზე?

ლომკაცა — ყალიონის ტარი კი არა, სარი უნდა ჩავთხარა მაგ პირში.

კაკალა — შენც მე მომდექი?

ლომკაცა — ნეტავი მაინც რაიონის ინსტრუქტორისათვის არ მიმეწეროს: ორდენოსანი გარბის ხიდობანიდან, ჯამლეთთან ველარ სძლებს-თქვა.

კაკალა — მერე მე ვარ მტყუანი?

ლომკაცა — ეშმაკივით გადამაცდინე. ახლა ამ ხალხს შენ უნდა შიგცე პირში.

კაკალა — ოო, უყურე, შენ თითონ, შე უნამუსო, ცხრა სამსახურიდან მოგხსნეს და ქალაქში ჩასვლა აკრძალული გაქვს.

ლომკაცა — ჯერ ვნახო ის კორესპოდენტი, გაზეთში უნდა გამოგაკრასო.

კაკალა — შენისთანა დაკარგულს რომელი კორესპოდენტი დაუჯერებს.

ლომკაცა — უყურე ამ გომბეშოს!

კაკალა — შე ვარ გომბეშო?!

ლომკაცა — ო, ახლა კი ვხედავ, რომ შენ ჯამლეთის დაგებული მახე ხარ.

კაკალა — შენი სახსენებელია ჯამლეთი, შე შემპარაფო ძალლო? კი უარე საკბენად, მაგრამ შეგრჩა პირში დაქონქილი კბილები.

ლომკაცა — ვეტყვი კორესპოდენტს, ჯამლეთმა რომ მოგმართა და ეს სიყალბე ჩერთვის იმიტომ გათქმევიანა, რომ ქორი დამცდენოდა და გაგეწითლებინე.

კაკალა — თორემ, დიდი სუფთა ვინმე ხარ. სირცხვილის ოდენა შენ ქადი არ გიქამია, შენისთანა კაცი სირცხვილს კუჭით ინელებს. ყველას ვიცნობ შენს ეშმაკებს და, თუ ქალი ვარ, ყველაფერს დაფუკავლავ ჯამლეთს.

ლომკაცა — კი გამაბით ნასკეში, მარა თავს გამოვიხსნი.

კაკალა — შენ თითონ ეშმაკის ნასკევი ხარ თავიდან ბოლომდე.

ლომკაცა — შე ჯოჯობეთის მაშხალავ!

კაკალა — შე შავი წკვარამის დორბლო! ოო, ეს რა კარგა ვთქვი, ჩემს თავს ვენაცვალე, მართლაც პირზე დორბლი მადგება, შენ რომ გელაპარაკები.

ლომკაცა — დორბლი იმიტომ გადგება, რომ სიავე ტიკში არ გეტევა. (ლომკაცა მიდის)

კაკალა — (გაბრაზებული მისდევს) ჰო-და, შენ იცი, რა ხარ... (მიდის. შემოდინან შატო და მიტო)

შატო — უჰ, რა დარიანი დღე დაესწრო ჩვენს მექორწილებს, მიტო!

მიტო — დარი თითონ ქორწინებაა. მე რომ ქალს შევირთავ, ბიჭო, იმ დღეს გინდა თქვენი მოვიდეს, ოღონდ ასე დასრულდეს ჩემი საქმე.

შატო — ოო, ჩემს საკუთარ ქორწილში რას ვიგრძნობ, როცა ახლა ამხანაგების ბედნიერებას რომ ვუყურებ, მთელი დღე სიხარულით ვიციანი.

მიტო — მე კი დღეს მაგათი თავგადასავალი რომ მიაშვებს, სულ ვიტყვებ, ბიჭო, გეფიცები, სულ ხარის სისხო ცრემლები გადმოვღვარებ.

შატო — ძაინც, მიტო, რა გიქვი რამე ყოფილა სიყვარული.

მიტო — ჰო, ასეა, მშვიდობიანი გზით არ ვიშვებ.

შატო — ვითომ, ყოველთვის ასე არის?

მიტო — აბა, რა ვიცი, ჯერ მე თეატრში არ მინახავს ისეთი სიყვარული, ათასი აბრუნდი არ ქნას. მე მეგონა, იქ სიყვარულის ამბებს ბერავდნენ. მაგრამ ახლა, აგერ, ჩვენი გვირისტინეს და სხვა ამხანაგების ამბავს რომ ვუყურებ ამ ნამდვილ ცხოვრებაში... ჩვენს გვერდით იდგნენ ეს საწყლები და ერთმანეთის სიყვარულით გულში რა კვაწია უღულდათ...

შატო — კი, აბა, ბიჭო...

მიტო — სწორედ ეკლიანი ვარდი ყოფილა სიყვარული, როგორც ნათქვამია.

შატო — ჰო, კი, ასე ყოფილა.

მიტო — ასეა, მაგრამ... მე რამდენჯერაც ხელი გაუწიე, ჯერ-ჯერობით, მარტო ეკალი შემჩა და ვარდი სხვამ წაიღო.

შატო — მეც კინალამ მასე მჭირს, ჩემო მიტო. (შემოღიან ჯამლეთი და კაკლა)

ჯამლეთი — კმარა, კაკლა, ამდენი ლაპარაკი.

კაკლა — გულზე გამხეთქა და იმიტომ გეუბნები.

მიტო — (შატოს) ხედავ, ეს კიდევ გულზე სკდება.

შატო — აი, დასწყევლოს ღმერთმა ის ახალგაზრდა ქალი, გინდა ვაეი, ვისაც სხვისი ქორწილი ეხარბება.

კაკლა — მაგაზედ სულ არ მწყდება გული, თქვე სულელე-ბო, მე აგერ ჯამლეთზე მეწვის გული.

მიტო — ჯამლეთს რა მოუვიდა?

კაკალა — ლომკაცამ იმდენი მტრები გაუჩინა, მაგრამ მე სუ-
ყველა ვიცი, სად რა მახე აქვს დაგებული, ახლა ჯამლეთს
მინდა ავაკრეფინო მთელი ის მახეები და ლომკაცა თითონ
გავახვიო თავის ნახელავში და, როგორც მორიელს, საკუ-
თარი შხამით მოვაწამლიო თავისი თავი.

ჯამლეთი — კარგი, კაკალა, მე ახლა მაგისტვის არ მცალია.

კაკალა — აბა, ტყუილად მომიტანია ეს ამბები?

ჯამლეთი — დიახ, ჩემო კაკალა.

კაკალა — აბა, შენ თუ არ დარდობ, მე რას ვწუხვარ...
დასწველოს ღმერთმა, ყველას საჯავრო მე მწიწკნის, ჩემზე
კი ყველას შავი გული აქვს. (მიდის)

შატო — არა, რა კარგად ამოუსკვენი კული მაგ მეტიჩარას.

მიტო — აბა, სული წაიღეს სხვის საქმეებში უშნო ხელის
ჩარევით.

ჯამლეთი — მაშ თქვენ ახლა დაქორწილებულ ამხანაგებს
შეხვდით. თქვენ იცით, ბიჭებო, როგორ მხიარულად ჩაატა-
რებთ ამ ქორწინებას.

მიტო — მაშ, ლოტბარს უთხარი, შატო, და გუნდიც მოვა-
ყვანინოთ. (შატო და მიტო მიდიან. შემოდიან ხაფიტონი, პირველი
და მეორე კოლმეურნენი)

ჯამლეთი — მობრძანდით.

ხაფიტონ — ოჰ, ჯამლეთ. (ჩუმად ბრიგადირებს) აბა, ნელა გა-
მოეკითხოთ ამბავი.

1-ლი ბრიგ. — (ჯამლეთს) ჩვენ ჯიბილოს ქორწილში გაახე-
ლეთ.

ჯამლეთი — ჯიბილომ ეს-ეს არის ქორწინებაზე ხელი მოა-
წერა.

ხაფიტონ — მერე, შენ ამისათვის გვირისტინეს გაუჯავრდი?

ჯამლეთი — არა, ისიც დაქორწილდა.

ხაფიტონ — რომ ავარდი და დავარდი ბუქუნარში, აბა, რა
იყო?

ჯამლეთი — ეჰ, სიფიცხე, კაცო, უბედურებაა, მხოლოდ მე
გულს არ ავყევი და ეს საქმეც თითონ გამოსწორდა. (მოის-
მის მხიარულების ხმები, შემოდიან მიტო და ლოტბარი)

მიტო — დაქორწილებულები, მოდიან.

ჯამლეთი — (ლოტბარს) საკოლმეურნეო გუნდი შეჰყარე?

ლოტბარი — დიახ, წამობრძანდით და ნახეთ, როგორი
მომზადებულია. (ჯამლეთი, ლოტბარი და მიტო მიდიან)

ხმები გარედან — დაგვილოცავს ბედნიერება, გვირისტიანე, გვირისტიანე.

ხაფიტონ — აბა, ახლა არ დამაბნოთ. (შემოდინ გვირისტიანე, ჯიბილო, ირინე და მირიანე. ამათ შემოჰყვებიან მეგობრები მსიარული სიმღერით)

ხაფიტონ — ისე გაგიყვებულ ვარ შენი ბედნიერებით, გვირისტიანე... რომელი ერთი გითხრა, სიხარულით მიწაზე ფეხს ვერ ვადგამ...

გვირ-ნე — რა მოხდა, ხაფიტონ, მე გავთხოვდი და შენ გიხარია?

ხაფიტონ — აბა, ჩემზე მეტად ამ საქმით ვინ მოიგო?

გვირ-ნე — რაზედ ამბობ?

ხაფიტონ — სწორედ ფრთები გამოგვასხა ჯიბილომ, დაპირება რომ ასე შეასრულა.

გვირ-ნე — ო, მან კარგი მეუღლე იშოვა, მართალია.

ხაფიტონ — რას ბრძანებ? (აღერსით მხარზე მოუცატუნებს) ვის დაესიზმრებოდა, თუ ასეთ ბედს ელირსებოდა.

ბრიგადირი — აქეთ მოიწი, ხაფიტონ! საქმე სხენანირადაა. ჯიბილო — (ხაფიტონს) ასე რომ აქებ ჩემს მეუღლეს, ბარემ გაიცანი. (ირინეს) ხელი ჩამოართვი ჩვენს ხელმძღვანელს.

ხაფიტონ — (გაშეშებული ართმევს ხელს ირინეს) რატომ? ეს ვინაა? მე-2 ბრიგადირი — ეს ყოფილა, კაცო, ამის მეუღლე.

ხაფიტონ — (ჯიბილოს ჩუმად) გამოგიცვალეს?

ჯიბილო — რას ქვია გამომიცვალეს? ჯამი ხომ არ იყო!

გვირ-ნე — ხაფიტონ, ისე მოიქეცი, მგონია, გეგონა, რომ ჯიბილო ჩენზე დაქორწილდა.

ხაფიტონ — როგორ გეკადრებათ, მხოლოდ... თქვენი მადლობელი ვარ... რომ... რომ... ერთი სიტყვით, ხელიდან რა გამოუღის, მერე ვნახავთ, მაგრამ შესახედავად ქალია. კინალამ სირცხვილი არ ვქამე.

გვირ-ნე — მადლიანი ხელი კი აქვს ირინეს.

ხაფიტონ — აი, ამისათვის შეგაქმე, გვირისტიანე, მიეხვდი, რომ შენის წყალობით კარგი რძალი მივიღეთ. (შემოდის ჯამლეთი)

ჯამლეთი — ხომ ყველა მხიარულადა ხართ?

1-ლი ბრიგად — (ხაფიტონს) ეს ჩვენ გადმოგვეკრა, გესმის?..
(შემოდის ინსტრუქტორი. ყველა მიიხედავს ინსტრუქტორისაკენ. გაისმის ფუჩუნნი)

ხაფიტონი — (თავისიანებს) აი, ვინ წამომამებს დღეს შამფურზე!
(დაღმეკილი ღიმილით შეეგებება ინსტრუქტორს)

ინსტრუქტორი — (სალამს აძლევს ყველას) მომილოცავს, ამხანაგებო. მგონია, კოლმეურნის ქორწინებაა...

ჯამლეთი — დიახ, კარგ დროს შემოგვესწარი. (გაიღება საქორწილო დარბაზის კარები. გაისმის მუსიკის ხმა. ჯამლეთი და ხაფიტონი გააცნობენ ინსტრუქტორს დაქორწილებულებს)

ინსტრუქტორი — აქედან წერილი წერილზე მოგვდიოდა, ჯამლეთ, თითქოს, შენი მიზეზით ორდენოსანი გარბის კოლექტივიდან. ჩვენ იმას ყურადღება არ მივაქციეთ, მაგრამ დღეს ხაფიტონმა ქორწილში დაგვპატიჟა: გვირისტინე ბუქუნარში რძლად მიმყავსო. (ყველანი იცინიან და ფუჩუნობენ)

ხაფიტონი — როგორ გეკადრებათ, ცუდად გაგიგონია, ამხანაგო.

ინსტრუქტორი — უარს ამბობ შენს სიტყვაზე?

ხაფიტონი — არა, მთლად კი არ ვამბობ უარს, მაგრამ... მე ისე, იმიტომ დავრეკე, რომ ვიცოდი, ამ ხერხით ქორწილში მოგიყვანდი და ამ ნორჩი გვრიტების ბედნიერებაში შენც დაგვამშვენებდი... ბულბულივით თუ ვერ იგალობებ, მტრედივით მაინც აღუღუნდები.

ინსტრუქტორი — ოო, მაშ ჩემი პირველი ღუღუნი ეს არის, დღეს რაიონში შენს შესახებ ეს დადგენილება გამოიტანეს... (პორტფელში ეძებს) და გაეცანი.

ხაფიტონი — მოწონებულია რამე?

ინსტრუქტორი — ნახე!

ხაფიტონი — კიდევ გაფრთხილებაა, კაცო?

ინსტრუქტორი — რამ შეგაშინა? ერთხელ თუ გამოგასწორა გაფრთხილებამ, მეორედაც, შეიძლება, გამოგაფხიზლოს.

ხაფიტონი — არა, ეგ ქალაღდი, თუ კაცი ხარ, ჯერ შეინახე. ქორწილი ვქამოთ გემრიელად და მერე წავეკითხავ. მანამდე, თუ კაცი ხარ, ნუ გამაგებინებ მაგის შინაარსს. (ხაფიტონი შებრუნდება დარბაზისაკენ. გაისმის მუსიკა და სიმღერა. გამოჩნდება გაწყობილი მაგიდები. ისერიან ყვავილებს)

ფ ა რ დ ა

შახვერია მშენებლობაზე

პიესა 4 მოქმედებად

მომხმედი პირნი

გოდერძი—ინჟინერი, სამამულო ომის გმირი

რაფიელი—ინჟინერი, საამქროს უფროსი, სამამულო ომის მონაწილე, ლეიტენანტი

დარეჯანი—ინჟინერი, სამამულო ომის მონაწილე

შუშანი—საამქროს ბრიგადის უფროსი, სამამულო ომის მონაწილე

გურგენი—ქარხნის მშენებლობის უფროსი

დათა—შუშანას მამა, ძველი მუშა

არტემი—არქეოლოგი, სამამულო ომის მონაწილე

თებრონე—დარეჯანის დედა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე

არსენი—სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

სლავა—მოსკოვიდან მოვლინებული მომუშავე

მარდიანი—სერჟანტი

მედეა—ეკიმი

ხის საამქროს უფროსი

ინჟინერი

სერჟანტი

მდივანი

გენერალი

პოლკოვნიკი

1-ლი მოსამსახურე

მე-2 მოსამსახურე

1-ლი ლეიტენანტი

მე-2 ლეიტენანტი

1-ლი ხანიტარი

მე-2 ხანიტარი

მუშები

წითელარმიელები და სხვა.

მოძველება პირველი

სურათი პირველი

საომარი სანგრები ხშირ ბუჩქნართან ველზე. შორს მოსჩანს მდინარის ზოლი. გაზაფხულის ალიონია. ისმის ფრინველთა ხმამალალი ჟრიამული. სცენახეა პოლკოვნიკი და გოდერძი. არტილერიის შორეული ქუხილია.

პოლკოვ.—მაშ, მოახერხეთ მდინარის გაღმა მტრის დაზვერვა! მახარებს თქვენი ნაამბობი.

გოდერძი—ღიას, ამხანაგო პოლკოვნიკო, ვნახე მათი ზღუდეები და, როგორც იწყინერმა, მათი ნაგებობის მიხედვით მივხვდი სად რა მახე აქვთ დაგებული.

პოლკოვნიკი—მე მაოცებს ამ დიდ ამოცანასთან დაქრილიც რომ გამოგიყვანიათ. ეს მხოლოდ ალალბედობით ამიხსნია.

გოდერძი—სწორედ იმ ქალის შეხვედრამ შემადლებინა მტრის დაზვერვა.

პოლკოვნიკი—როგორ!

გოდერძი—როდესაც ავაზაკებმა აქედან ქალი მოიტაცეს, იმ დროს მე მტრის ხაზზე ვიყავ გადაცოცებული. ის ქალი თითქმის ჩემი ცხვირის წინ ჩამოატარეს, მაგრამ ტყვესთან კიდილით იყვნენ გართულნი და მე ვერ შემაძჩინეს. თანაც ღამდებოდა. მათ ჩუმად გავსდიე და მალე შევატყე, რომ იმ ავაზაკებს არ უნდოდათ ტყვე თავის ადგილზე ჩაებარებინათ. აუარეს გვერდი თავიანთ გუშაგებს, რომელთა სამყოფელი თითონ იცოდნენ, ჩუმად გავიდნენ ფონზე და ქალი ტყისკენ გააქროლეს. მე ამით ვისარგებლე და მათ კვალდაკვალ მივეყე, როგორც სანატრელ გზის გამკვლევეს. ასე შევეყევი მათ ტყეში. იქ კი უცბად თავს დავესხი და გავფანტე ისინი. მხოლოდ გაქცევის წინ ქალი დამიჭრეს ვერაგებმა.

პოლკოვნიკი—მერე როგორღა მოახერხებ დაზვერვაც და დაქრილის პატრონობაც?

გოდერძი—ეს კრილობანი პირველად მსუბუქად მოგვეჩვენა და გათენებამდე ერთათ დავხოხავდით. მხოლოდ განთიადის მოახლოებისას შეწყობდა ქალი, სჩანს გაუმზებდა წყლული და თავშესაფარ ჯურღმულში დავმალე. მე კი ზევით ვეწეოდი დაზვერვას. მხოლოდ დაღამებისას ის ამოვიყვანე გვირაბიდან და ერთი საათის წინ მოვალკიეთ. ო, ამ ღამეს უფრო მეტი სიმწარე გადაგვხდა, ამხანაგო პოლკოვნიკო, მართლაც, ალაღბედად გამოვედით.

პოლკოვნიკი—მადლიერიც უნდა იყოთ ბედის, ამხანაგო, მე მგონია შენ დაზვერე მტრის უკანასკნელი, ჯერ ისევ შეურყეველი ზღუდე.

გოდერძი—ჩეც ძალიან კმაყოფილი ვარ.

პოლკოვნიკი—რა მშვენიერად თენდება, ხედავ!

გოდერძი—გაზაფხულის დილაა. მე ვფიქრობ ჩვენი ქვეყნისთვის ბედნიერი გაზაფხულია—მალე მოეღება ბოლო კაცობრიობის ნათელი მომავალის მტერს.

პოლკოვნიკი—მაშ მოხვალ შტაბში და დაწვრილებით ჩაგვაბარებ ანგარიშს.

გოდერძი—ახლავე... მხოლოდ ამ სანიტარებს მინდა გამოვემშვიდობო.

პოლკოვნიკი—რომელთაც დაქრილი ჩააბარე? კარგი.

(შემოდინა სანიტარები, შემოჰყავთ საკაცურზე ზეწარგადაფარებული დაქრილი, გოდერძი მათ უახლოვდება, პოლკოვნიკი მიდის)

არტემი—(სანიტარს) დაასვენეთ ავადმყოფი.

1-ლი სან. ქალი—მას მიეძინა.

არტემი—(გოდერძის) ო, კარგია რომ მობრუნდით, თქვენი გვარი ვერ მოვიგონე.

გოდერძი—მე კი სწორედ ამისათვის მოვბრუნდი, რომ თქვენ არა თუ გვარი, ჩემი სახელიც დაივიწყოთ.

არტემი—როგორ, რაზედ ლაპარაკობთ?

გოდერძი—რად მკითხავთ გვარს, ჯერ ეს გამაგებინეთ.

არტემი—ავადმყოფისათვის მინდა. ის სულ თქვენა გკითხულობთ, ახლა ძლივს მიეძინა.

გოდერძი—რაც იცით ჩემს შესახებ უთხარი?

არტემი—არა, ჯერ არაფერი არ მითქვამს.

1-ლი სან. ქალი—ძალიან ენატრებით, ფეთავდა, თქვენ რომ ვერ გხედავდათ. ვეუბნებით—ჩვენ ხომ შენი ახლო მეგობრები და ამხანაგები ვართ, რაღა იმ უცნობს ნატრულობთქო. ის კი მაინც თქვენ გეტბოთ.

მე-2 სან. ქალი—საკვირველი კიდევ ის არის, რომ ორი დღე და ღამე გიტარებით ხელზე აყვანილი და სახით კი, თურმე, არ უნახავხართ.

არტემი—ო, სულ ეს აქვს ენაზე—სახით არ მინახავსო.

გოდერძი—სწორია, მხოლოდ სიბნელის საფარ ქვეშ მომყავდა მტრის გარემოცვიდან. დღისით კი მიწის ქვეშ ვიმალებოდით.

არტემი—ჩვენებთან რომ მიგიღწევიათ პაროლად „წითელი ტაბაკვარელი“ დაგიძახნია და ამ ნიშნით გკითხულობს.

გოდერძი—სწორია. ეს იყო ჩემი პაროლი.

არტემი—როგორ დაგიტყვეს, საიდან მოაგონდათ ჩვენებური მდინარის სახელი.

გოდერძი—ომამდე გიგანტის მშენებლობა დაეწყო მდინარე ტაბაკვაზე. მე იმ სამუშაოდან მომწყვეტა სამხედრო მოვალეობამ.

მე-2 სან. ქალი—ახლა უფრო მშვიდად სძინავს.

არტემი—ო, რამდენი კრილობა აქვს, მაგრამ საშიში არცერთი არ უნდა იყოს.

გოდერძი—მთავარია მოვლა.

არტემი—დიახ, პირდაპირ ჰოსპიტალში იგზავნება. მაშ, ამხანაგებო, ნუ აყოვნებთ, გასწიეთ.

1-ლი სან. ქალი—დიახ, სწორია. ფრთხილად აეწიეთ. გზას გავედგეთ ამხანაგებო.

მე-2 სან. ქალი—ჰო, წავიყვანოთ ჩვენი შუშანა, ჩვენი საყვარელი მერცხალი.

(სანიტრებს მიჰყავთ დაკრილი)

არტემი—სჩანს, მართლაც, ვაჟაკურად გადავირჩენიათ ეს ქალი. და მადლიერიც არის. თუმცა, ისე შევატყვე მაგ ქალს, მარტო მადლობის გრძნობა არ აღელვებს, თუ შეიძლება მეგობრულად მითხარით უფრო ნაზი გრძნობებით ხომ არ მოგისწრია მასთან დაკავშირება. მახსოვს მანამდე მთხოვდი, რომ მე შენთვის ეს ქალი გამეცნო.

გოდერძი—დიახ, სწორედ მიმხედარხარ.

არტემი—როგორ, დაკრილთან? ეს ხომ გარყვნილებაა?

გოდერძი—არა, დაკრილიც რომ არ ყოფილიყო, მე მგონია სიძვას გულში მე მაგასთან არ გავივლებდი. ჩვენ შორის მხოლოდ ნაზი გრძნობები დაისახა. მე მას გასამხნეებლად უყვავებდი და ბოლოს მე თვითონ არ ვიცი როგორ მოხდა, ორი სიტყვით შევფიციე სიყვარული.

არტემი—გასამხნეებლადო, ამბობ, მაგრამ შეიძლება გულწრფელიც იყავი. სწორედ მოგახსენოთ, კარგი ქალიშვილია, თუ შერჩა სიცოცხლე მაგ საცოდავს.

გოდერძი—ახლა ამისათვის მოვბრუნდი, ერთ რამეს გთხოვთ. ჩემს ვინაობას ნუ გაუმხელთ მაგ ქალიშვილს.

არტემი—რათა?

გოდერძი—ეს ჩემი სიტყვა მასთან დავიწყებას მიეცს.

არტემი—რათა, აჰა, გამოდის რომ შენ აჩქარებულხარ, და, პირებები გაგიცია და ახლა სიტყვა უკან მიგაქვს, რადგან უკვე ისე არ გხიბლავს.

გოდერძი—პირიქით, თანდათან უფრო მომწონს და ვგრძნობ შემიყვარდება, მაგრამ მე პირობით სხვასთან ვარ დაბმული.

არტემი—აი, ეს ვაჟაკობა მესმის. ყველა ვერ დაიტრაბახებს, მასე მტკიცე ზნეობით, ტყუილია.

გოდერძი—თოფის ცეცხლთან შენც გინახავს მე როგორ თამამად ვხუმრობ, მაგრამ ციურ ცეცხლთან თამაში არ შემიძლია—ვერ ვბედავ. გესმის, ძველო?

არტემი—იცოცხლე მე მაგისტანა საქმეებში გამობრძმედილი ვიყავი. მაგრამ ახლა რა, ამ ოხერ მტერთან ბრძოლაში ჩემი თავის ლანდიც არა ვარ.

გოდერძი—გასაგებია!

არტემი—მეორე, ესეც სათქმელია, ლამის ბინდში, როდესაც მაგ ქალი მოიყვანე, კიდევ რალაცას გავდი, ამ ალიონის სინათლებზე კი—ვერ მოსჩანხარ არშიყად, წვერი გაბუძული გაქვს და სახე სულ დაკაწრული, ზოგან დაწყლულებული და დასიებულიც. ეს რა მოგსვლია?

გოდერძი—ნიტა იცოდე, რა ჩირგენარში მომყავდა მაგ დაქრილი, რა გაქრებებით გამოვიყვანე, ოლონდ მაგ ქალი დამეცვა და ჩენს ტყავს ეკალს არ ვარიდებდი.

არტემი—ეს ხომ მამაკაცის ხედრია. მშვენიერება მაშინ გვაძლევს უფლებას ფუტკიროთ, თუ მის საფრად დავდგებით.

გოდერძი—მაშ, ხომ მტკიცედ მაძლევ სიტყვას?

არტემი—რასაკვირველია, ვეტყვი არ ვიცნობ-თქო და მორჩა, მე შენ გეტყვი სახით მოგნახავს, სიზმარზე უფრო დაავიწყდები... მხოლოდ, კიდევ გკითხავ, მასთან რამე დანაშაული ხომ არა გაქვს ჩადენილი?

გოდერძი—არაფერი, გარდა ამისა, რომ შემიყვარდა და ჩემ გრძნობას გულში ვკირავ.

არტემი—ო, მასეთ დანაშაულისათვის თითონაც საკმაო სასჯელს იხდის ადამიანი.

გოდერძი—მაშ, ასე.

არტემი—ეს ჩიტებიც რა ამბავშია, გესმის? თოფ-ზარბაზნის ხმა არ აფრთხობს ამ ოხრებს. რატომ? იმიტომ, რომ გაზაფხულის ძალა უძლეველია. გესმის?

გოდერძი—კიდევ რით არაღს ეს გაზაფხული დიადი?

არტემი—მით რომ კაცობრიობის გაზაფხულის მტერი მარცხდება.

გოდერძი—შენ ქუთის კოლოფი ხარ, მაგრამ ახლა ნამუსის კოლოფათაც უნდა გადაიქცე.

არტემი—მერწმუნე არ გაგამხელ.

გოდერძი—მაშ, გამარჯვებით.

არტემი—გამარჯვებით! (იღიან)

სურათი მეორე

თავადური სასახლის ერთ ერთი ოთახი. კედლები დაზიანებულია ყუმბარებით. კუთხეში დგას სათნოების გამომხატველი გადამტვირთული მარმარილოს ქანდაკება. კედელზე ნახევრად დამწვარია სურათი ძვირფას ჩარჩოში. საწერ მაგიდაზე ყრია სამხედრო იარაღი და მოწყობილობა. სცენაზე ლეიტენანტი რაფიელი და ხელშეხვეული სერჟანტი მარდიანე.

რაფიელი — დიახ, ჩემო მარდიანე, ძალიან მოვინდომე ერთ-მანეთს შევხვედროდით და კიდევ მოვახერხე.

მარდიანე — საველე ჰოსპიტლიდან საშვებიც გამოგითხოვია ჩემთვის. დღეს საექიმო შემოწმება მაქვს დანიშნული და მაინც ერთი საათით გამომიშვეს. სიმართლე გითხრა გამიკვირდა ასე რისთვის დაგკირდი.

რაფიელი — გუშინ გავიგე, რომ შენ მდინარეზე შეტევის დროს დაჭრილხარ, ეს გენერალს ვაუწყე და მომანდო მტრის ზღუდეების შესახებ გამოგკითხოთ.

მარდიანე — მე მგონია ვერ გამოგადგებით, რადგან ჩვენი ცდა მარცხით დამთავრდა. მე კი გამოლმა დავიქერ, მდინარემდე არც მიმიღწევია.

რაფიელი — ო, ეს სამწუხარო ამბავია.

მარდიანე — მგონი ჩვენს შემდეგაც უნაყოფო ცდა იყო. დაზვერვა გაძნელებულია?

რაფიელი — მჯერა აქ ძალიან თხიზლადაა. მხოლოდ ამ ბოლოს ერთი ამბავი მოხდა: მტრის მხრიდან ავაზაკებმა ერთ საღამოს ქალი მოგვტაცეს, თავისიანებისაგანვე დაფარულად გადაიყვანეს მდინარეზე და ტყისკენ გააქროლეს, ალბათ მასზე საზიზღარ ძალადობის მოსახდენად. იმ დროს ერთი ჩვენი საერთო მეგობარი დასაზვერავად იყო გადანობებული მტრის ხაზზე. მან იმ ასულის მოტაცებით ისარგებლა, ჩუმად კვალდაკვალ მიჰყვა ავაზაკებს და ამოჰყო თავი მტრის ზურგში. იქ დაჭრილი ქალი დროზე დაიხსნა მოძალადეებისაგან, მტრას ზღუდეები დაზვერა და მეორე ღამეს საშინელი გაკირვებით გამოვიდა უკან, თან დაჭრილი ქალიც გამოიყვანა.

მარდიანე — ეს რომელმა საერთო მეგობარმა ქნა?

რაფიელი — ის კაცი მე აქ გავიცან. მან ერთ ბრძოლაში სიკვდილს გადამარჩინა და იმ დღიდან დავმეგობრდით. ეს ამბავი ვრცლად მომიყვა და გაჰომიტყდა, რომ ის დაჭრილი ქალი შეუყვარდა, მაგრამ ვერ უახლოვდება, რადგან ერთ ახალგაზრდა ქვრივისთვისა აქვს პირობა მიცემული.

მარდიანე — რომელ ქვრივისთვის, ვინ არის ის კაცი, არ მეტყვი!

რაფიელი — მოგახსენებ, მხოლოდ... ჯერ დარეჯანის ამბავს გკითხავ.

მარდიანე — შენი მეუღლისას?

რაფიელი — დიახ.

მარდიანე — აკი გითხარი, რაც ის ფრონტზე წავიდა, არაფერი ვიცოდით მის შესახებ და ახლა წარმოიდგინე, რა სიხარული ვიგრძენ, როდესაც ლოგინად მყოფმა, გაზეთში ამოვიკითხე, რომ ეს უგზო-უკვლოდ დაკარგული ქალი სასახელოდ გამოსულა მტრის გარემოცვიდან და ორდენით დაუჯილდოვებიათ.

რაფიელი — მაშ, მეტს არაფერს მეუბნები?

მარდიანე — რას მკითხავ, ვერ გავიგე.

რაფიელი — ეჰ!

მარდიანე — რად ჩაქინდრე თავი?

რაფიელი — როგორ მოიქცა ის, როდესაც შეცდომით ჩემი სიკვდილი შეატყობინეს?

მარდიანე — სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და თავის თავს აბრალებდა შენს გაუბედურებას.

რაფიელი — რათა?

მარდიანე — ის ამბობდა, თითქოს არმიაში წასვლის წინ დაქორწილება მოგთხოვა, ამ სურვილის გასატანად საბუთი გაგიყალბა და ერთი დღით ჩამოგაშორა შენს სამხედრო ნაწილს, რის გამოც კუდ პირობებში მოგიხდა ფრონტზე წასვლა და დაიღუპე.

რაფიელი — ის ფათერაკი შემახვედრა... მაგრამ ჩემ გულწრფელ დამტირებლად მაინც მიმაჩნდა...

მარდიანე — მან კიდევ გითანაგრძნო.

რა ფიელი — შეიძლება, პირველად, მაგრამ ბოლოს?

მარდიანი — ბოლოს, წითელ არმიის წევრები მტერზე შურის საძიებლად. უფრო კი, შეიძლება თავისი დანაშაულის გამოსასყიდლად და მას შემდეგ, როგორც გითხარი არაფერი ვიცოდით, სანამ გაზეთით არ გავიგეთ მისი დაჯილდოვება.

რა ფიელი — არ ულალატნია ჩემთვის?

მარდიანი — არა, საიდან ფიქრობ?

რა ფიელი — თუ ის ჩემი ხსოვნის პატივსაცემად შევიდა ჯარში, მე ხომ მას ჯარში შესულს იქ ჩამოუსწარი და შევატყობინე ჩემი მშვიდობით გადარჩენა, რად დამემალა და მაშინვე ფრონტზე გასწია?

მარდიანი — ამგზავრებული იყო და არ უნდოდა შენთან შეხვედრით ზედმეტი მღელვარება განეცადა. ისე კი ამბობდა, რომ მისი ნატვრაა, თუ ომს გადაურჩით, შევხვდეთ ერთმანეთს და ვიყოთ ბედნიერნი.

რა ფიელი — ამგვარად შენ მას მიხატავ პატიოსან მეუღლედ.

მარდიანი — დიახ, მე ასე ვიცი.

რა ფიელი — მაშ, ახლა ჩემს ამბავს მოგახსენებ.

მარდიანი — ბრძანეთ.

რა ფიელი — მე ახლა მოგიყვები როგორ დამხსნა ქალი ავაზაკებისაგან ერთმა ჩემმა მეგობარმა და გითხარი, რომ ის დაქრილი ქალი შეუყვარდა, მაგრამ არ ეკარება, რადგან ერთ ახალგაზრდა ქვრივისათვის აქვს პირობა მიცემული.

მარდიანი — დიახ, მითხარი.

რა ფიელი — მერე, მის ლაპარაკიდან გამოვარკვიე, რომ ის ახალგაზრდა ქვრივი ჩემი ცოლი ყოფილა.

მარდიანი — შენი ცოლი?!

რა ფიელი — დიახ, დარეჯანი... მე გავოცდი, ვერაფერი ვერ გავუმჯღავნე, მაგრამ რაღაც კითხვები მივაყარე და გავიგე, რომ შენ ყოფილხარ მათ შორის შუამავალი... და, ბოლოს, ენა ჩავარდნილი დავშორდი.

მარდიანე—ო, მას გოდერძი ხომ არ ჰქვია?

რაფიელი—დიახ, მაშ, მართალია?

მარდიანე—რას ამბობ, გოდერძი აქაა? კარგადაა? რა საკვირველად შეხვედრიხარ რაფიელ! იცი, ის რა შესანიშნავი კაცია, დინჯი და, ამავე დროს, ბავშვივით გულუბრყვილოა. ნეტავ დრო მქონდეს შევეყარო.

რაფიელი—ჯერ იმ მთავარზე მიპასუხე. ის მართალია?

მარდიანე—არა, ის ხომ სისულელეა, არავითარი პირობა არა აქვს დარეჯანთან.

რაფიელი—როგორ მამბობენ, მარდიანე!

მარდიანე—მოგახსენებ, ბატონო, ეს ჩემი გამოგონილი ამბავია. მე მას ისე გადავეცი დარეჯანისაგან სიტყვა, რომ დარეჯანმა არც კი იცის..

რაფიელი—რად დაგჭირდა?

მარდიანე—შენი დალუპვის ამბავმა ისე მძიმედ იმოქმედა დარეჯანზე, რომ გადაწყვიტა შენი ხსოვნისათვის თავი შეეწირა. გოდერძი მას მეგობრულად თანაუგრძნობდა, მე კი ნათესავური გრძნობა მავალეობდა მასზედ მეზრუნა და დამევიწყებინა მისთვის შენი თავი, მით უმეტეს, რომ თქვენ არც გიცხოვრიათ ერთად როგორც ცოლ-ქმარს. მე, გოდერძი და დარეჯანი ერთმანეთის შესაფერისად ვცანი. ამაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო გოდერძის დედამაც. მას მოსწონდა დარეჯანი, და რძლად უნდოდა. ეს სურვილი გოდერძის გაუმხილეთ. ის დათანხმდა უფრო ხატრით, ვიდრე სიყვარულით, მაგრამ დარეჯანი მოულოდნელად შევიდა წითელ არმიასში და ამის თქმა მასთან ვერ მოვასწარი. გულში კი მაინც ვფიქრობდი, რომ მათი შეერთება საბოლოოდ მოხერხდებოდა და ამიტომ განუცხადე გოდერძის, თითქოს დარეჯანმა მიიღო მისი წინადადება, მაგრამ ჯარში გაწვეული აღმოჩნდა. იმ დღეებში გოდერძიც ჯარში გაიწვიეს და მას შემდეგ არ შემხვედრია. ეს არის ყველაფერი. (შემოდის სერანტი)

სერჯანტი—ამხანაგო ლეიტენანტო!

მარდიანე — (უცხად) ო, მე კიდევ მიგვიანდება. (აპირებს წასვლას).

რაფიელი—დაიცადე.

მარდიანე— შეგიძლია მე გამკიცხო, დარეჯანი კი არაფერ შუაშია.

რაფიელი—ერთი წუთი, აქ გოდერძი უნდა მოვიდეს.

მარდიანე— მოვესწრები მის ნახვას. ახლა არ გქირდებით შტაბში დასაკითხად, უმიზეზოდ კი ვერ დავიგვიანებ — მშვიდობით!.. (მიდის)

სერჯანტი—რაზმი შეესებულა ამხანაგო ლეიტენანტო!

რაფიელი—ძალიან კარგი. ალბად დღეს გავალთ წინა ხაზზე. (კარებზე ისმის კაკუნი) გადაეცი ეს ტელეფონოგრამა პოლკოვნიკს.

სერჯანტი—არის!

რაფიელი—კარებზე ვინც არის, შემოვიდეს. (სერჯანტი მიდის. შემოდის გოდერძი)

რაფიელი—ო, გოდერძი, ნეტავ აღრე მოსულიყავი. სხვა?!..

გოდერძი—დღეს ის ქალი დაკითხეს შტაბში.

რაფიელი—რომელი? გარემოცვიდან რომ გამოიყვანე?

გოდერძი—ჰო.

რაფიელი—მერე, გამოეცნაურე?

გოდერძი—არა.

რაფიელი—მაშ?

გოდერძი—შორით უსმენდი. ის ისე ცოცხლად გვიყვებოდა მთელ ამბებს, რომ მსმენელნი შეძრწუნდნენ, მისი ნაამბობი ემთხვეოდა ჩემსას, მაგრამ რადგან ჩემი მოხსენებების შესახებ მას არაფერი გაუმიხილეს, ის დაეკვდა, ხომ არ დავიღუპე შემდეგ ბრძოლაში. ამ ეჭვით გაფითრებული წავიდა—საარაკო არსებაა.

რაფიელი—რად ეძალები?

რაფიელი—ეჰ, მიზეზი ბევრია, ჩემო ძმაო!

რაფიელი—ის ხომ არ გაფიქრებს, რომ ქვრივისთვისა გაქვს სიტყვა შიცემული.

გოდერძი—ესეც, რასაკვირველია.

რაფიელი—მაშ შეგავიგე, რომ იმ ქვრევთან პირობა არ გქონია და უსაფუძვლოდ იტანჯები.

გოდერძი—უსაფუძვლოდ რათა, შენ ტყუილად გგონია თითქოს ასეთი კავშირი მარტო სიყვარულით იდება. ჩემს პირობას დარეჯანთან საფუძვლად აქვს პატივისცემა. გრძნობით ძალიან აგზნებული თავიდანაც არ ვყოფილვარ.

რაფიელი—მაშ, მას უყვარდი?

გოდერძი—რა მოგახსენო, ეს კი ვიცი, რომ მისი გული გარდაცვლილ ქმარს ეკუთვნოდა.

რაფიელი—მაშინ რა გავალებს ერთგულებას?

გოდერძი—შენ რაღათ მადღვილებ ღალატს.

რაფიელი—აქ საღალატო არა გვაქვს. შენი წინადადება მარდიანეს დარეჯანისთვის არც გადაუცა.

გოდერძი—როგორ არა, თვითონ დედაჩემიც ჩაერია.

რაფიელი—მან ყალბი თანხმობა მოგიტანა დარეჯანისაგან.

გოდერძი—ეს აზრი საიდან მოგდის?

რაფიელი—ახლა აქ იყო მარდიანე და ყველაფერში გამომიტყდა.

გოდერძი—მარდიანე აქ იყო? სიდან?

რაფიელი—შე დავიბარე. მინდოდა მისთვისაც დაეკითხათ მდინარის გაღმა ზღუდეების ამბავი, რადგან შეტყევაში მონაწილეობდა, მაგრამ გამოიჩქვია, რომ მდინარემდე ვერ მიულწევია, ისე დაქრილა და აზრი არ ჰქონდა მის დარჩენას. მერე თქვენი ამბავი ვკითხე, აი, სათუთუნეც დარჩენია. სულ რამდენიმე წუთით გაგასწრო. საექიმო შემოწმებაზე ეჩქარებოდა და დაიბარა, რომ ამ დღეებში გინახულვებს.

გოდერძი—მაშ მან გითხრა, რომ დარეჯანისაგან ყალბი პირობა მომიტანა?

რაფიელი—ღიახ ასე გამოტყდა.

გოდერძი—ეს რათ დასჭირდა?

რაფიელი—მომავალში თქვენს შეერთებაზე ზრუნავდა, რო-

- გორკ ნათესავი და მეგობარი და ამ ხერხით შენ წინდაწინ დაგაბა.
- გოდერძი—მაშ, მე შემძლიან დარეჯანთან მხოლოდ დამური დამოკიდებულება მექნეს, როგორც გული მოითხოვს. ეს რცი რა სიხარულია!
- რაფიელი—ამით, ჩემო გოდერძი, მეც მომეხსნა გულიდან აუტანელი სიმძიმე, და შენ უკეთილეს ვინმედ აღმიჩნდი.
- გოდერძი—მე აღგიჩნდი უკეთილესად, რისთვის?
- რაფიელი—ჯერ აქ ფრონტზე სიციცხლით ვარ შენგან დავალბული, მერე, მაკვირვებს შენი წმინდა დამოკიდებულებაც ჩემს დარეჯანთან.
- გოდერძი—დარეჯანს შენათ რატომ სთვლი? საიდან იცნობ?
- რაფიელი—გაგიკვირდება რასაც გეტყვი.
- გოდერძი—ჰო...
- რაფიელი—მე მისი მეუღლე ვარ.
- გოდერძი—როგორ?
- რაფიელი—მე ვარ რაფიელი, დარეჯანის ქმარი.
- გოდერძი—ამიხსენი რას ლაპარაკობ.
- რაფიელი—დაჭრილი ვიყავ და ამხანაგებს შეცდომით შემოეთვალათ ჩემი სიკვდილის ამბავი. (დუმილია)
- გოდერძი—მაშ, ის კაცი ხარ... ის რაფიელი.
- რაფიელი—დიახ. (დუმილი)
- გოდერძი—ეს იცის ვინმემ?
- რაფიელი—დარეჯანს სანამ ფრონტზე გაემგზავრებოდა, ჩავსწარი და ვაცნობე. წერილიც მომწერა.
- გოდერძი—გინახულა?
- რაფიელი—არა. მომწერა რომ დაუდევრობით დიდად დამიშავდა. ვიცი მისი ხასიათი თავისთავს ძნელად აპატიებს შეცდომას.
- გოდერძი—მე ჯერ გადაგიშალე გული და ახლა კი ვსჯი; რამდენად უხერხული იყო ჩემი აღსარება.
- რაფიელი—მე სიკეთე დავინახე შენი—სხვა არაფერი. ვიცი

რომ კაცის გულში ასე ნამალავად ჩახედვა უწესობაა, მაგრამ ეს უნებურად მომივიდა.

გოდერძი—მეც, ჩემს მხრივ, მადლიერი ვარ ამ შემთხვევის. შენ არა თუ გამანთავისუფლე მძიმე მოვალეობისაგან, სასაცილოდ აქციე ჩემი ქეჯნა.

რაფიელი—მერე, ახლა, სრული იმედი ჩაგესახა, რომ გაბედნიერდები იმ ქალთან?

გოდერძი—რად მკითხავ... ჰო... ესეც მართალია. ამ გარემოებაში ისევე განწირულია ჩემი სიყვარული.

რაფიელი—მეც ხომ ასეთ ბედში ვარ. აქ ისე ყრუდ მაქვს გულში ჩამარხული დარეჯანის ხსოვნა, რომ ფიქრითაც იშვიათად ვეხები.

გოდერძი—მესმის. ჩვენთვის ადვილია ერთმანეთის გაგება.

რაფიელი—მე ვფიქრობ, რაც ჩვენთვის ძვირფასი საუნჯეა და ფრონტზე არ გვეხმარება, ჩავკიროთ გულში, თორემ უდროოდ თუ გამოვამყლავნებთ ჩვენს უსუსურებად იქცევა. ვიყოს სულგრძელნი: ვიქონიოთ იმედი, რომ სამშობლო გაიმარჯვებს და ჩვენ შევესწრებით იმ დღეს... მანამდე კი ვიბრძოლოთ პატიოსნად.

გოდერძი—ჩემს სიყვარულს მისთვის ვთვლი ამაღლებულად, რაფიელ, რომ ჩემს მაღალ მოვალეობას სამშობლოსთან არ ეცილება. და ვფიქრობ, გმირობასაც მინერგავს, მე არ მინდა მას მივეყარო შესაფერ დრომდე... მხოლოდ ერთ რამეს ვაპირებ, რადგან დღეს ისე სასოწარკვეთით დამეძებდა, მივწერე რომ ცოცხალი ვარ და მიყვარს, ამით შევზღუდავ მასთან ურთიერთობას უკეთეს მომავლამდე.

რაფიელი—ო, ეს მომწონს, მახარებს. კეთილშობილი კაცის გულში ქალის სიყვარულიც კეთილშობილ ფერს იღებს და თავის ცეცხლს უნაწილებს მის საუკეთესო ზრახვებს, მისწრაფებებს. ამიტომ ახლა შენი მჯერა ჩემს თავზე მეტად.
(მოისმის აფეთქება)

რაფიელი—(იხედება ფანჯარაში) მტრის თვითმფრინავმა სადგურს დაარტყა. (შემოდის სერჟანტი)

სერჟანტი—შტაბიდან ტელეფონით გიხმობენ, ამხანაგო ლეიტენანტო და გოდერძი იკითხეს.

რაფიელი—მე მგონია ჩვენ ამაღამ შეტევაზე გადავალთ.

გოდერძი—მე ვფიქრობ, რომ მდინარეზე პირველად გადასვლა შემერგება, რადგან მტრის ზღუდეებს ვიცნობ.

რაფიელი—ამ პატივის სიძნელესაც ვიცნობთ.

გოდერძი—მზად ვართ...

რაფიელი—წავიდეთ.

სურათი მხსამე

მდინარის დასავლეთ ნაპირზე ბეტონირებული სანგრები. ზოგან დაზიანებული დამსხვრეული ტანკები, ხარბაზნები და სხვა იარაღები. შორს ისმის ბრძოლის ხმაურობა. სცენაზეა გოდერძი და არტემი.

არტემი—აი, მოთმინება რომ გამოიჩინე, ასე უცბად იმიტომ გაგიწმინდე და შეგიხვიე გვერდის ქრილობა. სისხლის დენა შეგიწყდა. ახლა ხელსაც შეგიხვევ.

გოდერძი—არა, ეს უმნიშვნელოდაა გაკაწრული.

არტემი— შეგიხვევ. დამანებე. ჰო, ასე (ხელს უხვევს) ა... ახლა თუ გინდა ვილაპარაკოთ. ალბათ ძალიან გრამა, გოდერძი, ჩემი ნახვა. ამის საბუთია ეს წერილი შეუშანას გადასაცემად რომ ჩამაბარე.

გოდერძი—ეს ერთი კვირის წინათ დავწერე და ვერ მოგაკვლიეთ. ჩვენ აქ მარტო ერთი საკმე გვაქვს—მტერს ვებრძოლოთ.

არტემი—მერე, რა საშინელი მტერი გყავს. მაგალითად, სადაცაა შეშანა აქ გაჩნდება, მე კი მაინც არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ წერილის გადაცემას მოვესწრები, ან თუ გადავეცი, იქნებ მას წაკითხვა არ დასცალდეს... ასეთ ტაფაში, რასაკვირველია, მხოლოდ მსუნაგები ეძებენ სიტკბოს, თქვენ კი, ვისაც გულით კავშირი გინდათ, შესაფერადროს უნდა ელოდოთ, მანამდე კი მტერთან ბრძოლის მეტი აღარა დაგრჩენიათ.

გოდერძი—ასეა.

არტემი—თან, ესეც მიკვირს რა სიკეთე შესძლებია ადა-

მიანებს, რომ სიკვდილის კალთიდანაც სალამს და სიყვარულის სასოებას უგზავნიან ერთმანეთს.

გოდერძი — შენ სთქვი, სადაცაა აქ გაჩნდება შუშანაო?

არტემი — ძალები გვემატება. აი, შეხედე რა შენაერთები გადმოდიან. არა, გოდერძი, თუმცა ერთი გულით დაგეთანხმე, ჯერ არ გაცნობოდი შუშანას, მაგრამ რა მშვენიერი ამბავი იქნება, რომ მას, შენი გამირობით გაკაფულ გზახე მომავალს ახლა შეხედე, ხელი ჩამოართვა და უთხრა, რომ ის „წითელი ტაბაკვარელი“ შენა ხარ.

გოდერძი — ჯერ მძიმე გზა არ მოგვიღვია.

არტემი — ერთი კაცის სიცოცხლისაგან კმარა, რაც შენ დღეს ჩაიღინე.

გოდერძი — აქ ყოველი დღე მოითხოვს მთელს სიცოცხლეს.

არტემი — ამ კვირაში მდინარეზე გადმოსვლის უველა ცდა მარცხით თავდებოდა, მაგრამ უფრო მაოცებს ამ სიმაგრეებმაც რომ ვერ გაგაბრუნა უკან.

გოდერძი — მე ხომ მაშინ დაგზვერე ეს ზღუდეები. როდესაც ქალის მომტაცებლებს შეშოვსდიე. იმ შემთხვევამ მარგუნა ეს საპატოო დავალება, ეს დაზვერვის წყალობით შევძელ.

არტემი — შენ თავიდან სწავლობდი სამხედრო ხელოვნებას?

გოდერძი — არა, ინჟინერი ვარ.

არტემი — სად მუშაობდი?

გოდერძი — მდინარე ტაბაკვარზე.

არტემი — ჰო, ეს კიდევ ზითხარი — ქარხნის მშენებლობაზე, არა!

გოდერძი — შენ რა ხელობის იყავ?

არტემი — არქეოლოგი.

გოდერძი — ო, არ ველოდი. (შემოდის დაქრილი)

დაქრილი — დაქრილნი ვართ, ამხანაგო ლეიტენანტო.

გოდერძი — მერე, ყურადღება ხომ არ გაკლიათ?

დაქრილი — დიახ, ასე გვეუბნებიან, პირველ რიგში თქვენზე უფრო მძიმე დაშავებულებს ვუშველითო.

არტემი — ალბად ვერ გაგწვდნენ, მაგრამ აი, უკვე გადმოსულან სანიტრები, ხედავთ?

დაჭრილი—როგორ არა, მაშ, შევეგებები და მივიყვან ამ ხანაგებთან. (დაჭრილი მიდის. შემოდის სერჟანტი)

სერჟანტი—ამხანაგო ლეიტენანტო! ხომ უკეთ ხართ?

გოდერძი—იქ როგორ უტევთ?

სერჟანტი—მეორე ხაზზე მტერმა ფეხი მოიმაგრა.

არტემი—მაშ, ახლა ნაპირთან მიგაცილებ გოდერძი, მერე სხვებს მივხედავ.

გოდერძი—არა, ძვირფასო.

არტემი—აი, ხედავ ვინ გადმოსულა—შუშანა. მას ახლავს მეღვა ექიმი, რომელმაც მძიმე ღლებში მოუარა.

გოდერძი—მე გაცილება არსად მინდა, სხვებს მიეშველე.

არტემი—რათა?

გოდერძი—კარგად ვარ. ისე მომიხდა კრილობის შეხვევა, თითქო დავისვენე. (აპირებს წასვლას)

არტემი—საით, გოდერძი?

გოდერძი—ისევ ჩემს ბიჭებს გაუძღვები.

არტემი—არც ისე სახუმრო კრილობა გაქვს.

გოდერძი—არც ისე კარგადაა ჩემი ბიჭების საქმე, რომ ამ კრილობამ დამაკავოს.

არტემი—შუშანას ვერა ხედავ?

გოდერძი—მას უთხარი, ვილაც დაჭრილმა გადმომცა წერილითქო. მერე, თუ მოვკვდე, ანახე ჩემი ცხედარი და ყველაფერი მოუყევი, თუ არა და არ გამცე. ასე, ჩემო არტემ. (სერჟანტს) წავიდეთ. (გოდერძი და სერჟანტი მიდიან)

არტემი—მხნედ მიდის, მაგრამ ბევრი სისხლი დაჰკარგა და ჯანი არ ეყოფა. იქ კი ეტყობა მტერი მოძლიერებულა. აი, უკვე ჩაება ომში. ამოეთარა სანგრებს. არა მგონია კიდევ ვნახო ეს საცოდავი. (არტემი მიდის. შემოდის პოლკოვნიკი და ორი ლეიტენანტი)

1-ლი ლეიტენანტი—მდინარეზე დაუბრკოლებლად ვაბამთ ხილებს და არტილერია გადმოგვაქვს.

პოლკოვნიკი—ეს ლეიტენანტ გოდერძის რაზმის გამარჯვების შედეგია, მაგრამ აქ ფეხს ვერ მოვიკიდებთ, სანამ მეორე ხაზიც არ აგვიღია.

1-ლი ლეიტენანტი—მე უკლებლად გადმოვიყვანე ჩემი რაზმი. პოლკოვნიკი—სად არის დაჭრილი ლეიტენანტი გოდერძი? მე-2 ლეიტენანტი— მან შეიხვია კრილობა და ისევ ჩაღვა რიგში. (შემოდის სერჟანტი, დაჭრილია)

1-ლი ლეიტენანტი—შენ, სერჟანტო, საიდან ხარ? სერჟანტი—მეორე ხაზზე ვბრძვით. ლეიტენანტი გოდერძი შეორედ დაიჭრა,—უფრო მძიმედ და საკაცურით მოჰყავთ. რაზმი გაქირვებაშია.

პოლკოვნიკი—შენი რაზმი საბრძოლოდ მზად არის?

1-ლი ლეიტენანტი—მზად არის, ამხანაგო პოლკოვნიკო.

პოლკოვნიკი—დაიკავე მეორე ხაზი.

1-ლი ლეიტენანტი—არის. (მოისმის ხმები)

მე-2 ლეიტენანტი—შტაბი გადმოვიდა. გენერალი გიხმობთ, ამხანაგო პოლკოვნიკო. (ყველანი მიდიან. შემოდის არტემი და მედეა)

მედეა—შენ იცი რა წერილი გადაგიცია შუშანასთვის?

არტემი—არ წამიკითხავს.

მედეა—იმ კაცისგანაა, რომელმაც შუშანა იხსნა. თავის ვინაობას არა სწერს. სახით მაინც არ გახსოვს?

არტემი—მე შუშანას შეეპირდი, თუ ვიპოვე დაჭრილი ან მკვდარი დავანახე^ა.

მედეა—ახლა მარტო იმ სერზეა გაცხარებული ბრძოლა.

არტემი—ისიც იქ უნდა იყოს.

მედეა—ო, ალბად მისთვის შევარდა შუშანა ისე თავდაუზოგავად ბრძოლის ხაზზე და ყოველ დაჭრილს მადლს მიტომ აყრის უხვად, რომ თითოეულ მათგანში იმ კაცს ვარაუდობს.

არტემი—მაშ, აქ არ უნდა გადამეცა წერილი, მაგრამ ვიფიქრე საიქიოს არ გამყვესთქო.

მედეა—მიკვირს, ნუთუ უყვარს შუშანას ის უცნობი.

არტემი—რად გიკვირს?

მედეა—სახით თურმე გარკვევით არც უნახავს. პირობა კი მიუცია. რით მოხიბლა ერთ-ორ ლამეში.

არტემი—ის მოხიბლულია მისი თანაგრძნობით და საერთო თავგადასავალით. მე მგონია მისი სახეც სიბნელეში მიმხიდველი ეჩვენებოდა.

მედეა—მინც ვერ ამიხსნია როგორ იტანჯება.

არტემი—მერე, ვინ იცის რა თრთოლვით აგონდება მისი შეხებაც. ის ხომ ორ ღამეს შუშანას თურმე სულ გულზე აპყრობილს ატარებდა. ვინ იცის ასეთ შეხებაში და ჩურჩულში რამდენი ალერსი იყო და სხვა გამოუთქმელი რამ. (შემოაქვთ საკაცურით გოდერძი. შემოდის სერჟანტი)

სერჟანტი—ეს ჩვენი ლეიტენანტა გოდერძია.

არტემი—ო, გოდერძი, მეორედ დაგქრეს?

სერჟანტი—მეორედ, უცბად დასქრეს. პირველი დახმარება უკვე გაუწიეთ. ახლა დამეხმარეთ როგორმე გაღმა გავიყვანოთ.

არტემი—მედეა, ეს რა უბედურებაა, იცი, არ გესმის!

მედეა—ვინ არის?

არტემი—ნათესავი... (შემოდის გენერალი, პოლკოვნიკი და მე-2 ლეიტენანტი)

სერჟანტი—ლეიტენანტი მოვიყვანეთ.

გენერალი—ო, ეს არის ჩვენი ქაბუკი!

პოლკოვნიკი—როგორ არის, ექიმო?

მედეა—აი, გამოიხედა... (გოდერძის) უფროსი ამხანაგები გკითხულობენ.

გოდერძი—არა მიშავს...

გენერალი—თქვენ პირველმა გავგეკაფეთ გზა მდინარეზე, ძვირფასო გოდერძი. პირველმა მოიკიდეთ ამ ნაპირზე ფეხი და წარდგენილი ხართ საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე.

გოდერძი—ეს ჩემს დამსახურებაზე მეტი არაა?..

გენერალი—ჩვენ არც ვიცოდით თუ ცოცხალი გადარჩი, მაგრამ თქვენი საქმის მიხედვით წარგადგინეთ შტაბიდან.

პოლკოვნიკი—თქვენ მოიერიშეც ისეთივე უებრო აღმოჩნდით, როგორც მზვერავი.

მედეა—ნუ ლელავთ, მალე მორჩებით.

გოდერძი—გმადლობთ.

გენერალი—მაშ სათუთად გადმოიქვანეთ. (გენერალი, პოლკოვნიკი და ლეიტენანტები მიდიან)

არტემი—სერჟანტო, შენ კიდეც შეუხვეველი ხარ?

სერჯანტი—დრო არ მქონდა.

არტემი—დროს ახლა მოგანახვინებთ, ინებეთ ჩემი სამსახური. მაშ!.. (მოშორებით კუთხეში არტემი სერჯანტს პრილობას უხვევს)

მედია—(მაჯას უსინჯავს გოდერძის. თავისთვის) სუსტადაა.

არტემი—ო, შუშანა გამოჩნდა, აგერ დაშაფებულებს უვლის:

მედია—ო, სიხარულო, შუშანა გესმის, ხომ მრთელად ხარ?

შუშანას ხმა—არა.

მედია—რა მოგივიდა?

შუშანას ხმა—ხაზზე ვიყავ, სულთმობრძავნი ენახე.

მედია—მერე?

შუშანას ხმა—მწარედ ჩარჩნენ ხსოვნაში.

მედია—(გოდერძის) რაზედ შეკრთი? ის ჩემი მეგობარია.

გოდერძი—აქ მოვიდეს.

მედია—მოდო გოგონა, იცი, აქ დღევანდელი დღის გმირი ჩამაბარეს, გაგაცნობ.

შუშანას ხმა—აქ ვალს ვიხდი.

მედია—(მაჯას უსინჯავს გოდერძის) გამომიგზავნეთ საკაცურის აწვევნი, ეს კაცი საიქედოთაა.

შუშანას ხმა—ძმობილო!

არტემი—რა გინდა, შუშანა?

შუშანას ხმა—ის აღარ შეგხვდა დაქორილებში?

არტემი—არა.

შუშანას ხმა—მაშ მკვდრებშია?

არტემი—არა, მერწმუნე საიმედოთაა.

გოდერძი—რაო?

მედია—ო, აქ დიდი ამბავია. ეს გოგონა ახლა რომ დაუძახეთ, შეყვარებულია. ძლიერ არ გაიცინოთ, თორემ გაწყენთ. მას სატრფომ ამ ბრძოლაში წერილი გამოუგზავნა. აცნობა რომ დაქორილია და თავის კვალი კი განგებ დაუშალა, რომ არ შეაწუხოს... ახლა მას ეძებს და ვერც მკვდრებში პოულობს, ვერც ცოცხლებში. ისე გააფთრებულია სიმწრით თავს მოისპობდა, რომ სხვების მოვლის ვალი არ აჩერებდეს. თავხედი არ გეგონოთ, მორცხვია და ქკეიანი... მაგრამ ზოგჯერ ბედია უცნაური და არა თვითონ კაცი. ქვეყანაზე ყველას თავისი ხვედრა აქვს და მას ბედად აქ შეხვდა სიყვარული. ჰო, რას არ ეგუება ადამიანი!

გოდერძი—დაუძახეთ ჩემთან მოვიდეს.

მედია—წუთით მოდი გოგონა, დაჭრილი გთხოვს.

შუშანას ხმა— აგერ, ამათ კრილობას ვუხვევ. (შემოდის მე-2
ლეიტენანტი ბიკებიტ)

მედია—(დახედავს ავადმყოფს) მეტად გაფითრდა.

მე-2 ლეიტენანტი — ასწიეთ ბიკებო საკაცე. ხიდი გა-
დებულა. გადავიყვანოთ მდინარეზე ავადმყოფი.

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

ქარხნის მშენებლობის უფროსის გურგენის კაბინეტი ფიცრის შენობაში. ავეჯი უბრალოა, ფართო ღია ფანჯრებიდან სჩანს გაზაფხულის აყვავებულ ველზე ბარაკები და კაპიტალურ შენობების ხარაჩოიანი კედლები. სცენაზეა გურგენი და მდივანი.

გურგენი—ეს ასე შეასწორეთ და გადააბეჭდინეთ.

მდივანი—ესეც განცხადებაა, მოსაზღვრე კოლმეურნეობა დახმარებას ითხოვს იმ ფართობის სამაგიეროდ, რომელიც ქარხნის მშენებლობას დაუთმო.

გურგენი—სხვა იქ ხომ არავინ მელოდება?

მდივანი—სოფელ ქალის საბჭოს თავმჯდომარეა არსენი და ერთი ქალი.

გურგენი—შემოვიდნენ. (მდივანი მიდის. შემოდის არსენი და თებრონე)

არსენი—სალამი, ამხანაგო გურგენ. ეს განთიადის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა თებრონე, ალბად გაგიგონიათ.

გურგენი—დაბრძანდით. სხვა რას გვეტყვი არსენ?

არსენი—გუშინ შვილის წერილი მივიღეთ ქალაქ გორკიდან, თქვენი მადლიერია, იქ რომ მიაღწინეთ.

გურგენი—მეც მაქვს ცნობა, რომ ჩვენი გაგზავნილი ბიკები იქაურ ქარხანაში კარგად მუშაობენ.

არსენი—მაშ, გამოცდილი მუშები ჩამოგივათ.

გურგენი—ეს ცოტაა. სხვაგანაც ვამზადებთ ახალგაზრდებს, მაგრამ მაინც არ კმარა.

არსენი—ვხედავთ რამოდენა შენობები იგება ამ ტაბაკვარის ნაპირას.

გურგენი—მთავარია, რაც შენობაში მუშაობა უნდა გაჩაღდეს, ამისთვის ხალხი გვინდა.

თებრონე—იცოცხლეთ ომი გამარჯვებით დამთავრდა და ხალხი კოლექტივებში ბრუნდება. თუ აქამდე მუშას ვეძებდით, ახლა ფართობს ვეძებთ.

გურგენი—ეს საქმე გაწოთვნილ ხელს მოითხოვს.

არსენი—აქ ომამდეც დაიწყეს მუშაობა. მახსოვს მაშინ ერთი ახალგაზრდა ინჟინერი გოდერძი ბარაკებს აშენებდა და ომის დროს შესწყდა ყველაფერი. დღეს კი გავიგე, რომ ის ინჟინერი ომიდან საბჭოთა კავშირის გმირად დაბრუნებულა და ისევ აქ მუშაობს.

გურგენი—ღიახ, ის აქ ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

არსენი—აი, ის გოდერძი დამემოწმება მაშინაც როგორ თანაგრძნობით ვაწვდიდით მუშანელს კოლექტივებიდან.

გურგენი—დაწყებისთვის ძალა ვის არ ჰყოფნის, მაგრამ საქმე დაგვირგვინებაა. ახლა მშენებლობა გაჩაღებულია. დღეს-ხვალ თითონ ქარხნის სამაქროებიც ამუშავდება და საჭიროა ამ ქარხნის მომუშავეები ადგილობრივ მოსახლეობიდან შევქმნათ. ეს ქარხანა ჩვენს მიწაზე კი არ უნდა იდგეს, ჩვენს ძალაზე და უნარზე. მაშინ იქნება ის ჩვენი ქარხანა.

არსენი—ეს ყველას გვესმის.

გურგენი—თქვენი სოფლებიდან ახალგაზრდობა ზანტად მოდის.

არსენი—ამ ბოლოს უფრო გამოფხიზლდნენ, ასე, თქვენ ბრძანეთ საქმის დაწყება ადვილიაო, სოფლელებში კი სწორეთ დაწყება სჭირს ახალი საქმის.

გურგენი—თუ ამსხნელი არა ჰყავთ.

არსენი—უხსნით და მაგალითსაც ვაძლევთ. მე ხომ შვილი ჩაგაბარეთ, ახლა თებრონე სწორედ ამის სათხოვრად მოვიდა, რომ აქ მისი ქალიშვილი მიიღოთ.

გ უ რ გ ე ნ ი — თქვენი ქალიშვილი?

თ ე ბ რ ო ნ ე — დიახ, მშენებელი ინიერია.

ა რ ს ე ნ ი — სამამულო ომშიც დაჯილდოებულა.

თ ე ბ რ ო ნ ე — დიახ.

გ უ რ გ ე ნ ი — ახლა სად არის?

თ ე ბ რ ო ნ ე — აქ მომყვა, მხოლოდ ჯერ მე თითონ მინდოდა შეგხვეწნოდით. (შემოდის მდივანი)

მ დ ი ვ ა ნ ი — რაფიელის საამქროს მშენებლობაზე რა ხდება მოგახსენეს?

გ უ რ გ ე ნ ი — ვიცი. ერთი კვირის წინათ შემპირდნენ, რომ საქმეს გამოასწორებენ. დღეს კომისია შეამოწმებს.

მ დ ი ვ ა ნ ი — კომისია აქ არის ახლა. გოდერძიც წავიდა და გთხოვათ თქვენც დაესწროთ შემოწმებას. რალაც დიდი უსიამოვნებაა.

გ უ რ გ ე ნ ი — კარგი. დავხედავ.

მ დ ი ვ ა ნ ი — გოდერძიმ ორჯერ დამირეკა ზედიზედ, გურგენმა დახედოს საჩქაროდ, რაფიელი მას ვერ დაუწყნარებია.

გ უ რ გ ე ნ ი — კარგი. თქვენ, ამხანაგებო, თუ დრო გაქვთ დამიცადეთ, არ დავიყოვნებ. თუ არა და სხვა დროს...

თ ე ბ რ ო ნ ე — არა უშავს, ბატონო. (შემოდის გოდერძი)

გ უ რ გ ე ნ ი — ოჰ, აქეთ მომაკითხე გოდერძი? მე თქვენსკენ მოვდიოდი, აკი მიხმეთ.

გ ო დ ე რ ძ ი — დიახ, ვერ არის კარგად საქმე. თქვენ თითონაც დახედეთ და მერე ჩემსას მოგახსენებთ. მე განგებ არ დავიცადე. რაფიელი შეძრწუნებულია მეტად, ვიდრე შეფერის.

გ უ რ გ ე ნ ი — მე თავის დროზე გავაფრთხილე.

გ ო დ ე რ ძ ი — ის ძალიან დაენდო თავის სამეუშაოთა მწარმოებელს.

გ უ რ გ ე ნ ი — ახლა რა უყოთ, კარგები სხვა ობიექტებზეა დაკავებული და უარესით ხომ ვერ შეეცვლით.

გ ო დ ე რ ძ ი — მის საამქროს მშენებლობას ვერ შევანელებთ.

გ უ რ გ ე ნ ი — მაშ, თქვენ აქ ბრძანდებოდეთ. ესენი გოდერძი, მოწინავე სოფლის ამხანაგებია. ერთი ასალგაზრდა მშენებელი

შემოჰყავთ ჩვენთან და მანამდე მოელაპარაკე. (გურგენი და მლიჯანი მიდიან)

გოდერძი—ვისი მოწყობა გინდათ აქ? თქვენი ახლობელია? არსენი—ამის ქალიშვილია, ბატონო. მშენებელი ინჟინერია, ომში დაჯილდოებული. მე მგონია სასახელოდ გამოგადგებათ.

გოდერძი—აქვს რამე გამოცდილება მშენებლობაზე?

თებრონიე—ამაზე თითონ მოგახსენებთ.

გოდერძი—ახლა სად არის?

თებრონიე—ჩვენ გვახლავს. გარეთ დავტოვე. მე. წინდაწინ მინდოდა გამეგო ეს თუ მოხერხდებოდა.

გოდერძი—ჩვენ მასეთი მომუშავეები გეჭირდება, შეგვიძლია ახლავე მოველაპარაკოთ, სთხოვეთ მოვიდეს.

თებრონიე—არსენ, ერთი გაისარჯე, ეზოში იცდის. (არსენი მიდის) კიდევ მოგახსენებთ, ჩემს ამბავს: მე მინდა ის უსათუოდ მიიღოთ. თუ არ დაგაგიწყდათ, ჩემს ქალიშვილს იცნობდით... მე თქვენ შორიდან გიცნობთ... აქ მისი მეუღლეც მუშაობდა. საამქროს ხელმძღვანელად.

გოდერძი—რომელი?

თებრონიე—რაფიელი.

გოდერძი—როგორ, საიდან?

თებრონიე—ის ჩემი სიძეა.

გოდერძი—თქვენს ქალიშვილს დარეჯანი ჰქვია?

თებრონიე—დიახ... მზოლოდ დაქორწინების დღიდან სამხედრო ვალდებულებამ დააშორა.

გოდერძი—ეს ამბავი ვიცო. როდის ჩამოვიდა დარეჯანი?

თებრონიე—ერთი კვირაა. ოჰ, სიზმარი მეგონა ამდენი წლის უნახავი ქალიშვილი სავსე ქიქისავით რომ შემოვიდა ეზოში.

გოდერძი—ის სცნობს თავს რაფიელის მეუღლედ, თუ ისევ ქალაქდზე რჩება მათი ქორწინება?

თებრონიე—ესეც გცოდნიათ. დიახ, მას აქეთ, რაც ქორწინებაზე ხელი მოაწერეს—ერთმანეთი არ უნახავთ. მაგრამ იმ დროს ქორწინების მოსაწყობად ქალმა დანაშაული ჩაიდინა და დარცხენილია.

გოდერძი—ვიცი. მე ომში წასვლამდეც გამიგონია დარე-
ჯანისაგან ამაზე სინანული. ის დაუფიქრებლობით მოუვიდა.
თებრონე—იმ შეცდომას ცუდი ამბავი მოჰყვა. ბევრი საყვე-
• დურიც გაიგონა: ქალი ჯავრში ჩავარდა. გულით კი უყვარს
რაფიელი, მაგრამ ექვობს, რომ მისგან პატივისცემა და-
კარგა და უნდა ისეე დაიმსახუროს.

გოდერძი—მე მგონია სამამულო ომში წარმატება საკმაოდ
ადასტურებს მის ღირსებას.

თებრონე—ეჰ, ბევრი ვიდავე ქალიშვილთან, ბოლოს გადაე-
წყვიტე თქვენთან აქ მოვაწყო სამსახურში, რადგან გავიგე
რომ აქ არის რაფიელი.

გოდერძი—მე ეს ამბავი ძალიან მხედება გულზე.

თებრონე—დარეჯანმა ჯერ არ იცის, თუ ის აქ მსახურობს
და ამისთვის მინდა უცბად ჩაება. აქ გამოცდიან ერთმა-
ნეთს და ან ავად გადაწყდება, ან კარგად. (შემოდის დარეჯა-
ნი)

თებრონე—აი, შეილო, უფროსი ვინ არის!

გოდერძი—დარეჯან! ხომ არ დაგავიწყდი?

დარეჯანი—ოჰ, გოდერძი! საიდან? აქ მუშაობ?

გოდერძი—მეც გავვოცდი, როდესაც ამ მანდილოსანთან ლა-
პარაკში გავიგე, რომ ის დედათქვენია.

დარეჯანი—და ჩემთვის აქ აღგილი გთხოვათ, ხომ!

გოდერძი—მოულოდნელი სიხარული იყო.

დარეჯანი—რასაკვირველია, არ გააწბილებდით. ვიცი რომ
გულისხმიერი ხარ, თუმცა ამ აღფრთოვანებას ჩემთვის ერთი
სიმძიმეც ახლავს. კარგ ამხანაგთან საქმეში მეტ მოვალეო-
ბას გრძნობ ადამიანი. (შემოდის გურგენი)

გურგენი—იქ უფრო ცუდათაა საქმე, ვიდრე მეგონა.

გოდერძი—ღიახ. დიდი ჩამორჩენაა.

გურგენი—ეს არის თქვენი ქალიშვილი, თებრონე?

თებრონე—ღიახ.

გოდერძი—ეს ჩემი ნაცნობი და მეგობარი აღმოჩნდა, გურ-
გენ, აქ მოწყობა სურს... ჰო... ამაზე ცალკე მოვილაპარა-
კოთ.

- გურგენი—თქვენ რა განათლება გაქვთ?
- დარეჯანი—სააღმშენებლო დავამთავრე და შემდეგ სამამულო ომში გახლდით.
- გურგენი—სად გიმუშავებთ?
- დარეჯანი—სამხედრო ობიექტებზე.
- გოდერძი—დაჯილდოვებული ხართ, არა?
- დარეჯანი—დიახ. რთულ პირობებში დავალების შესრულებისათვის.
- გურგენი—შესძლებთ ჩვენთან რომელიმე საამქროს აგებას უხელმძღვანელოდ ტექნიკურად?
- დარეჯანი—მგონია შეეძლო.
- გურგენი—მაშ, ჯერ პირობებს გაეცანით, ჩვენ აქ ახლა ყოჩაღი სამუშაოთა მწარმოებელი გვეკირდება.
- დარეჯანი—კეთილი.
- გურგენი—აქ ზოგი ახალგაზრდა გამოგვადგა... მხოლოდ დღეს ერთ ობიექტზე გვაქვს გარღვევა. (ფანჯარაში ხედავ, გოდერძი, ის როგორ გაანჩხლებულია. აქ არ შემომყვა და მანქანების ყუთებთან რაღაც ამბავშია.
- გოდერძი—თუ დაავიანებთ მშენებლობას, მანქანები ყუთებში ჩაიუნაგება.
- დარეჯანი—დედა, ხედავ რაფიელს?
- თებრონიე—არა, შვილო, ის სხვაა.
- დარეჯანი—როგორ არა, უკაცრავად, იქ ყუთებთან რომ ვილაცებს უწყურება თქვენ მასზე ლაპარაკობთ? ის რაფიელი როგორ არაა?
- გოდერძი—არა... ჩვენ სხვაზე ვმსჯელობთ.
- გურგენი—სწორედ მაგაზე. ის დიდი საამქროს უფროსია და შენობაზე აქვს დაბრკოლება.
- გოდერძი—მთავარი მიზეზი ისაა, რომ სამუშაოთა მწარმოებელი სუსტი აღმოაჩნდა.
- გურგენი—აქამდე თითონ მამშვიდდებდა და მას იცავდა, ახლა კი ჩვენ გვესაყვედურება.
- გოდერძი—ძალიან შეშფოთებულია.
- გურგენი—უკანასკნელ კვირაში სულ არაფერი არ გაუკეთებიათ.

გოდერძი—ამ კვირაში თავიდან დაშვებულ შეცდომას ასწორებდნენ.

გურგენი—როგორ, შეცდომაც აქვთ?

გოდერძი—დიახ. გეგმიდან გადახრა იყო.

გურგენი—არა, ეს არ გვეპატიება.

გოდერძი—აგიხსნით რაშიც იყო საქმე-

გურგენი—ქარხნის ხელმძღვანელები დახმარების მაგიერ თითქოს მამშვიდებთ და გაქირვებით შეგროვებულ მუშებს მიცდენთ. რაფიელს ეს ჩემგან არ ეპატიება, არც მე არაფინ მაპატიებს.

გოდერძი—დიდი დაძაბულობით კიდევ მოესწრება ვადაზე გაკეობა.

გურგენი—რომელ უბანს მოვაკლოთ მშენებლები... არა მე ახლა დავათვალთ იერებ ყველაფერს, უფრო დაწვრილებით. ჰო, თქვენ, ქალიშვილო, ჩვენთან რჩებით?

დარეჯანი—რასაკვირველია. ძალიან გთხოვთ.

თებრონიე—ჰო, ამაზე საპატიო საქმეს სად იშოვის.

დარეჯანი—მე მინდა აქ მუშაობა, მხოლოდ თუ შეიძლება, გამოგყვებით და ვნახავ რა გარღვევაა იმ საამქროს მშენებლობაზე.

გურგენი—ისეთ საექვო საქმეს მაინც ვერ მოეკიდებით.

დარეჯანი—ნუთუ იქ ადამიანის მონღომებას არაფერი შეუძლია?

გურგენი—რა დამაჯერებელი კილო გაქვთ. თქვენი იმედი ხომ არა აქვს თებრონეს?

თებრონიე—მე და არსენმა დღეს ერთი წყება ახალგაზრდები უნდა გამოგვიკაზმოდ.

გურგენი—წამობრძანდით, ვნახოთ, ვილაპარაკოთ. (გურგენი, დარეჯანი და თებრონიე აპირებენ წასვლას. შემოდის მდივანი)

მდივანი—თქვენთან სიძველეთა დაცვის წარმომადგენელია.

გურგენი—ჰო, ის გარეთაც შემხვდა. მიიღე გოდერძი. ვილაც არქეოლოგია, თურმე შენ ფრონტიდან გიცნობს. მე ახლა მისთვის არ მცალია. (გურგენი, დარეჯანი და თებრონიე მი-

- , დიან. შემოდის არტემი. გოდერძი ათვალერებს ქალაღდებს)
- არტემი—(თავისთვის) როგორ გამოცვლილია.
- გოდერძი—ღაბრდანიღო. ამ წუთში.
- არტემი—შემიძლია დაციკადღო, ამხანაგო გოდერძი.
- გოდერძი—ოჰ, არტემ!
- არტემი—ასე გვიან შემამჩნიე?
- გოდერძი—აჰ საიღან გაჩნდი?
- არტემი—მე ერთ კეთილ საქმეზე ვარ, ისტორიული ნაშთების დაცივაზე უნდა დამეხმაროს თქვენი მშენებლობა.
- გოდერძი—საიღან, როგორ?
- არტემი—ნუ გიკვირო. დიდ ხეს ბევრი ნაციოფი ცვივაო ნათქვამია. თქვენ აჰ ბევრი მასალა დაციცივათ, რომელიც შეიძლება ჩვენი ისტორიული ნაშთების გასამაცივებლად გამოდგეს.
- გოდერძი—მერე რა საბაბიღო დაცივებაროთ?
- არტემი—თქვენ ახლა იბადებოთ, ის ნაშთები კი თქვენი წინაპრებია და ამიტომ პატივი უნდა სცეთ და მათი ფერფლი მოსაცივებლად შეინახოთ.
- გოდერძი—ეს კარგი სიტყვაა, მაცივამ ასეთი ქველმოქმედება გვიხერხდება?
- არტემი— არა, მოწყალეღას არ გთხოვო, ჩვენ შეგვიძლია მოგემსახუროთ, კულტურის ნაშთები გაცივანოთ და ამისათვის რამე მივიღოთ. ახლა ეს მითხარი. შენ როგორ ხარ? ძალიან კი გამოცვლილხარ, რასაცივრეღია უკეთესობისკენ.
- გოდერძი—ხშირად გიგონებდი, ჩემო არტემ და ვისთვის მეკითხა შენი ამბავი არ ვიცოდი.
- არტემი—ო, არ ცოფილხარ გულმაცივიწყი, თორემ რამდენისთვის შემხვეღია კრილობა და არ მცნობენ, თუმცა შენთან ხორციელ კრილობის გარდა სულიერი წყლულის, მესაიღუმეღეცი ვიყავი, გახსოვს ის ქალი?
- გოდერძი—ო, ეს სწორედ გადმომკარი, არტემ. მართალია იმით გიგონებდი, ყველა კრილობები მომირჩა, ის კი ღრმაცივდება.

არტემი—როგორ, კიდევ ნახულობ შეშანას?

გოდერძი—არა, ვერსად ვერ ვნახე და ბოლოს მეშინია ცული ამბავი არ გავიგო.

არტემი—ის კარგად არის.

გოდერძი—მართალს ამბობ? საიდან იცი?

არტემი—მის მამას ვიცნობ და მისგან გავიგე. დღესაც ვნახე ის ამ მშენებლობაზე.

გოდერძი—ვინ? შეშანას მამა?

არტემი—დიახ. დათა ჰქვია, ძველი მუშაა, ცნობილი მიწის მბურღავია. ნუთუ არ იცოდით? თქვენთვის წყალსადენი გაჰყავს.

გოდერძი—გამიგონია... ჰო, მერე გაესაუბრე?

არტემი—როგორ არა. თურმე იმ ადგილებიდან გაძოჰყავს წყალი, სადაც ჩვენი ძვირფასი ისტორიული ნაშთებია.

გოდერძი—ქალიშვილი?

არტემი—მითხრა: რომ ის ჯერ ძერწვაზე მუშაობს და თუ შესაფერი საქმე მოუძებნა აქ გადმოიყვანს, თუ არ გათხოვდაო. მე მაშინვე მომაგონდა თქვენი ამბავი, მაგრამ ვერაფერი ვკითხე და ვერც ვეტყვი რამეს.

გოდერძი—თუ არ გათხოვდაო? მაშ, შეიძლება, საქმაროც ჰყავს. მე კი სულ დავავიწყდი.

არტემი—რა მოგაბსენო. შენი დაქრის შემდეგ მალე დავშორდი: საერთოდ ცოცხალი ადამიანის გული ცვალებადია. მხოლოდ როგორც არქეოლოგმა, უნდა მოგახსენოთ, როდესაც ორი ათასი წლის სამარხს ვხსნი და ცოლქმარს ერთად ვნახულობთ, რაღაც სიამოვნების გრძნობა მივლის, მათი მიწისქვეშ იმდენი ხნის განუყრელობით. (შემოდის რაფიელი)

გოდერძი—რა შეშფოთებულნი შემოდინხარ, რაფიელ. შენ, არტემ, აქ სანამდე რჩები? მესტუმრე ამ საღამოს.

არტემი—კარგი.

გოდერძი—მაშ გელოდებით. (არტემი მიდის)

რაფიელი--ძნელი გამოსასწორებელია ეს მარცხი. მანქანების დათვალიერებამ სულ ამაფორიაქა. ხომ ვერ დავხსნით იმდენ ყუთებს, ან სად უნდა ამოვალაგოთ, არა და ამ საამქროს მშენებლობა ხომ ხედავ როგორ ბრკოლდება. ძილი არ არის, სულს ვერ ვითქვავ.

გოდერძი--ცოტა შენი ბრალიც არის, არა გრძნობ?

რაფიელი--თქვენ ეს განშვიდებთ?

გოდერძი--არა. ამ დაბრკოლებაზე პასუხი ხომ შენზე უმაღლეს მოგვეთხოვება.

რაფიელი--თქვენ აქ თუ ჩავარდებით, სხვა უბანზე მაინც გექნებათ წარმატება.

გოდერძი--არა, აქ თუ ჩავვარდით, ის არ გაგვამართლებს ეს იმ ანდაზას ჰგავს, კარგი ფონია, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობსო.

რაფიელი--მერე რა გამოსავალია. მე თუ გინდათ ჩემს თავზე მივიღებ დანაშაულს და სასჯელს, მაგრამ ეს არ უშველის ქარხანას. გურგენი სად არის და რა ზომებს იღებს?

გოდერძი--აქვს მას უკიდურესი საშუალება ეს გამოასწოროს.

რაფიელი--ეს სამუშაოთა მწარმოებელი თუ დავტოვე არაფერი არ გამოვა. ვერც მასალას შოულობს თავის დროზე, ვერც მუშებს, ყველაფერი მის მაგიერ ჩემი საზრუნავია. (შემოდის გურგენი, შემოჰყვება დათა) მობრძანდით დათა, თქვენ დღეს მიემგზავრებით მთაში?

დათა--დიახ. მზად მყავს მუშები და მიწის ბურღიც კარგი მაქვს.

გურგენი--ო, ამ წყალსადენის საკითხის დროზე გადაწყვეტა, იცით როგორი საჩქაროა ჩვენთვის?

დათა--მე რაც მომეთხოვება, როგორც მბურღავი მუშა, გულს არ დაგაკლებთ.

გურგენი--ეს ძველი მუშაა. მეფის დროს უცხოეთში წავიდა. ყველგან მიწის ბურღვას სწავლობდა და მეტს არაფერს.

დათა--დიახ. წინათ იკაჟურებს უკებდნენ მუშაობას.

გურგენი--როდესაც ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, მაშინვე მუშაობით დაგროვებული ფულით შეიძინა კარგი მიწის

ბურღი და სამუშაოდ გამოეშურა სამშობლოს. მას აქეთ-
თავაულებლად მუშაობს და დღეს ჩვენს რამდენიმე დაბა-
ქალაქს აქვს დათას მიერ გამოყვანილი წყალსადენი.

რაფიელი—სულ ამ საქმეზე მუშაობს, ოჯახს არ მოჰკიდებია?
გურგენი—ეს არ ვიცი.

გოდერძი—კი, მგონია თქვენ ცოლშვილი გყავთ.

დათა—მყავდა მეუღლე და პირველ შვილს გადაჰყვა. მისგან.
ერთი ქალიშვილი დამრჩა, მეტი არავინ არ მყავს.

გოდერძი—ის ქალიშვილი სად არის?

დათა—ქალაქში.

გურგენი—მაშ, დღეს გაგიშვებთ, რადგან მზადა ხართ დათა,
მხოლოდ იცოდეთ რომ დრო ჩვენთვის ძვირფასია.

გურგენი—შენ კი რაფიელ მე მგონი დღესვე გიშოვი სამუ-
შაოთა მწარმოებელს.

რაფიელი—აი, მეც ვფიქრობ, ვინ უნდა გამოვნახო და ვერც-
ერთზე ვერ შევჩერებულვარ.

გურგენი—ეხ, აქ მარტო სამუშაოთა მწარმოებელიც არაა-
დამნაშავე, ჩვენ ვერ ვუხელმძღვანელებთ და შენმა მოუთმენ-
ლობამაც შეგვიშალა ხელი...

რაფიელი—ვიცი რაზედაც გადამკარი. იქ, გურგენ, ნიადაგის-
წყლებმა წაგიხდინა ნამუშევარი, წყალსაწრეტები კი თქვენ-
დროზე ვერ მოაგვარეთ.

გურგენი—ახლა წუწუნია არ გვიშველის, როგორმე გამოვას-
წოროთ საქმე და საყვედური მერე ვუთხრათ ერთმანეთს.
დღეს ერთი ახალგაზრდა ინჟინერი ქალი მოვიდა მშენებლო-
ბაზე სჩანს ყოჩალი მომუშავე იქნება. ეგებ ის გამოგადგეს.

რაფიელი—რა უნდა გააკეთოს უმუშახელოდ? დღეს გავიგე
რომ ამ გასაქირში კიდევ რამდენიმე მუშა დაგვეკლებია, ზო-
გი ავადმყოფობით არ მოვიდა და ზოგაც ცუდლუტობით.

გურგენი—ის მუშახელის შოვნაშიაც იჩენს რაღაც უნარს.
აქვს კავშირი სოფლებთან. ზოგსაც მე დაგიმატებ, სულ რომ
ვინმეს დავაკლო.

რაფიელი—არ ვიცი, შენი იმედა მაქვს, გურგენ.

გურგენი — ახლა უნდა მოველაპარაკო და თუ საბოლოოდ დავრწმუნდი მის უნარიანობაში, დღესვე ჩაგაბარებ.
(გურგენი და დათა მიდიან)

რაფიელი — არ გახსოვს გოდერძი, როგორ ვნატრობდით ჯერ გამარჯვებას და მერე ჩვენ საკუთარ საქმეზე დაბრუნებას, დღეს ხომ აგვისრულდა ნატვრა, მაგრამ ასე ყოფილა კაცი — ყოველ პირობებში სავსეა ახალი მღელვარებით და ზრუნვით.

გოდერძი — ის თუ გახსოვს, თუ როგორ მარიგებდი, სანამ ფრონტზე ვალს ვიხდით სხვა გრძნობა, რა ძვირფასიც არ იყოს ჩვენთვის, ჩავიკიროთ გულში უკეთეს დრომდეო?

რაფიელი — ახლაც გვაქვს საზრუნავი, მაგრამ, რასაკვირველია, აქ ვერ გირჩევდი ისე დიდი ვნება გულში ჩაგებშო. მაინც როგორ დაასრულე შენი ამბავი იმ ქალთან, დღეს სად არის?

გოდერძი — მხოლოდ ამ წუთში გავიგე შენთან ერთად.

რაფიელი — როგორ?

გოდერძი — დღეს გავიგე, რომ ის ძველი ზეშა, დათა, რომელიც ახლა აქ იყო, მისი მამა ყოფილა და, აკი, შენ გასაგონად ვკითხე და მიპასუხა ქალაქშიაო. ამის მეტი არაფერი არ ვიცი... ჰო, კიდევ ერთი საექვო სიტყვა გავიგონე.

რაფიელი — რა?

გოდერძი — არ ღირს... ჰო, ეს მითხარი, შენი ოჯახური საქმე როგორ მოეწყო?

რაფიელი — დარეჯანი ჩამოსულა და მარტო კანონითაა დაკავშირებული, სულ ვერ მეკარება. არ ვიცი ის დანაშაული და სხვა... მე მგონია, რა წყლულითაც არ უნდა მოსულიყო ვაპატიებდი, თუმცა სიყვარული ზოგჯერ ბევრს გადაიტანს და მცირეზე ტყდება.

გოდერძი — თითონ რისთვის არ შეეყარე?

რაფიელი — მეშინია მიძალებით მეტი უფსკრული არ მოითხაროს ჩვენს შორის. ბოლოს შეუთვალე გაყრას ხომ არ მოითხოვს. მან პასუხად შემომითვალა, რომ ამის გადაწყვეტას მომავალს ანდობს და არ ჩქარობს. საქიროდ არ სთვლის აჩქარებას. (შემოდის მდივანი)

მ დ ი ვ ა ნ ი—ამხანაგო გოდერძი. მეზობელ სოფლებიდან რჩეული ახალგაზრდობის ჯკუფი მოვიდა მშენებლობაზე სამუშაოდ. მათ მოსვლას ცოტა უფრო გვიან ვვარაუდობდით. ჯერ არც სამუშაო გამოგვიყვია მათთვის და არც ბინებო მოგვიმზადებია.

გოდერძი—რად არ ველოდით. ხომ ჩვენ თვითონ მოვიწვიეთ სოფლებიდან ახალგაზრდები?

მ დ ი ვ ა ნ ი—ძალიან ჩქარა მოიყარეს თავი.

გოდერძი—მოათავსეთ დროებით ბარაკებში, სანამ ახალი კორპუსის მშენებლობა დამთავრდებოდეს. (შემოდინ გურგენი და დარეჯანი)

გურგენი—ეს ჩვენი ახალი თანამშრომლებია, ამხანაგებო. მე მგონია კარგად იცნობთ ერთმანეთს... მაგრამ მე გაცნობთ ერთმანეთს, როგორც თანამშრომლებს.

რაფიელი—დარეჯან!

გურგენი—ეს იმ საამქროს ხელმძღვანელია, რომლის შენობა თქვენ უნდა ააგოთ.

გოდერძი—მოვალეობაც ამას ქვია.

გურგენი—ყველას აღტაცებას გამჩნევთ. თქვენ რცით რა მძიმე პირობებში ეკიდებით ამ საქმეს?

დარეჯანი—ამიტომ დიდ პატივად მიმაჩნია.

რაფიელი—მაშ თანახმა ხართ აქ იმუშაოთ, დარეჯან?

დარეჯანი—რა იქნება ამაზე სანატრელი. ქვეყნის სასარგებლო საქმეში ერთმანეთს ხელი მივცეთ.

ფ ა რ ღ ა

სურათი მეორე

ქარხნის მშენებლობის უფროსის კაბინეტი კარგად მორთული. ახლად აგებულ შენობაში. მდივანი დგას. დამლაგებლები აკრიალებენ და ასწორებენ ავეჯს. შემოდინ გოდერძი, დარეჯანი და 1-ლი და მე-2 მოსამსახურენი. დამლაგებლები მიდიან.

მ დ ი ვ ა ნ ი—გურგენმა ამ წუთში გაგასწროთ. დაიბარა, რომ დარბაზში ისმენს მოხსენებას წყალსადენზე.

გოდერძი—ო, მაგ მოხსენებას ვიცნობ.

მ დ ი ვ ა ნ ი — იქ დათას მუშაობას იწონებენ.

გ ო დ ე რ ძ ი — მართალია, აქვს წარმატება.

1-ლი მ ო ს. — ჩვენს მოკვლევას არ გაცნობიხარ გოდერძი?

გ ო დ ე რ ძ ი — ამ მიდამოს გარე მშენებლობაზე?

მ ე - 2 მ ო ს. — დიახ.

გ ო დ ე რ ძ ი — კარგი. ამ საღამოს მოვიყაროთ თავი ჩემს კა-
ბინეტში.

1-ლი მ ო ს. — კეთილი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მე ისევე თქვენ უნდა მიშველოთ გოდერძი.
(შემოდის რაფიელი) კედლები მოთავეებულია, ახლა სახურავზეა
შეფერხება.

გ ო დ ე რ ძ ი — რა გაკლიათ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მუშახელი უნდა მოგვიმატოთ.

გ ო დ რ ძ ი — ეს ჯერჯერობით ძნელია.

რ ა ფ ი ე ლ ი — არ უნდა დაგვაბრკოლოთ გოდერძი, ზოგიერთი
საამქროები უკვე ამუშავდა. ამას გარდა რამდენიმე დღეში
მივლინებული მუშები ჩამომივა გორკის ქარხნებიდან. მე
ისინი ყუთებში ჩაწყობილ მანქანებზე ხომ არ უნდა დავა-
ყენო?

გ ო დ ე რ ძ ი — არა უშავს, შენობას მაინც ვადაზე ადრე გვა-
ბარებს დარეჯანი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — რაფიელის დაპირებით მასალა გუშინ უნდა
მოემზადებინათ, მაგრამ დღესაც არაა.

რ ა ფ ი ე ლ ი — ამაზე ისევე გურგენს მივმართავ.

1-ლი მ ო ს ა მ. — მაშ, საღამოს, ამხანაგო გოდერძი!

გ ო დ ე რ ძ ი — კარგი. (მოსამსახურენი გადიან)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — თქვენ მოილაპარაკეთ, მე კი მანამ საწყობებში
შევივლი, იქნებ რამე გამოვნახო. (მიდის)

რ ა ფ ი ე ლ ი — მასალას მიშოვნით, მაგრამ ოსტატების სიმცი-
რეა ეს ვიცი.

გ ო დ ე რ ძ ი — რაც გყავთ უფრო ნაყოფიერად გამოიყენეთ.

რ ა ფ ი ე ლ ი — დარეჯანი მათ ხელმძღვანელობას არ აკლებს.

გ ო დ ე რ ძ ი — ჰო, ეს ქალი დიდ აქტივობას იჩენს, მულამ

წითელ დაფაზე გამოცხადებული. მაგრამ თქვენს შორის პირად დამოკიდებულებაში ვერ ვხედავ წარმატებას.

რა ფ ი ე ლ ი — რა ვიცი, ჩვენ დაშორების დღიდან ალბად იმდენი გადაგვხდა, რომ დიდად გამოვიცვალეთ და დღეს გვჭირდება ისევ დაახლოება.

გ ო დ ე რ ძ ი — პირიქით, თქვენ ისე პატიოსნად მოიხადეთ სამშობლოს ვალი, რომ ასეთ დროებით დაშორებას კიდევ უფრო უნდა დაეკავშირებინეთ.

რა ფ ი ე ლ ი — ამ მშენებლობაზე მუშაობამაც ისე გავვიტაცა, აქამდე მშვიდად დალაპარაკებას ვერ ვახერხებ. სულ რალაცას უჩქარით ერთმანეთს, სულ ვფუსფუსებთ. კიდევ გვერიდება მუშაობაში ხელი არ შეუშალოთ ერთმანეთს.

გ ო დ ე რ ძ ი — ჩემთვის კი თქვენი მდგომარეობა სახარბიელოა. რა ფ ი ე ლ ი — სახარბიელო? რით?

გ ო დ ე რ ძ ი — ცოტა ხნის წინათ თქვენ ამაზე ვერც იოცნებებდით, თქვენ ომიდან დაბრუნებულნი, გამარჯვებულ სამშობლოში ერთად გაბმულხართ უღელში და ქვეყნისათვის მუშაობთ. ჩემი სიყვარულის საგანი კი ამ სინამდვილეში არ სჩანს, ის სიზმარივითაა. ამ ბოლოს ძლივს შევიტყვე, რომ ჯანმრთელად დაბრუნებულა, მაგრამ ვუყვარვარ, არ ვახსოვარ, თუ არა ეს საკითხია... არ ვიცი რამდენად გასაგებია შენთვის ჩემი სიტყვა, დარეჯანვა კი სავსებით გამიგო.

რა ფ ი ე ლ ი — როგორ, დარეჯანს უშუაანს ამბავი მოუყევი?

გ ო დ ე რ ძ ი — უამბე და ძალიან იმოქმედა მასზე — ქალი ასეთ საკითხებში უფრო გულისხმიერია.

რა ფ ი ე ლ ი — მე კი დარეჯანი მხოლოდ მშენებლობაზე ველაპარაკება და მაშინაც თითოეულ სიტყვას თითქო ჩანგლით იღებს.

გ ო დ ე რ ძ ი — ეს ზოგჯერ მეტი გრძნობის ნიშანია.

რა ფ ი ე ლ ი — ეს დანაშაული გვადუმებს, რომელიც ერთხელ ჩაიდინა. მე მინდა ვაპატიო, მაგრამ ის — თითონ არ ივიწყებს.

გოდერძი—თქვენ ჯიუტობით უწამლავთ ერთმანეთს სი-
ცოცხლეს. ეს ზოგჯერ სჭირს შეყვარებულებს.

რაფიელი—მე აქ უბრალო ვარ. მე მარტო არაფერი შემიძ-
ლია... ჰო, გურგენმა დაიგვიანა, იქით მივაკითხოთ. (აპი-
რებს წასვლას, შემოდის დარეჯანი)

დარეჯანი—მასალა აღმოვაჩინე გოდერძი, მხოლოდ თქვენ
დაგვეხმარეთ რომ გადმოგვცენ.

გოდერძი—კარგი. დაგვიცადე მე და გურგენიც ახლავე
მოვალთ. (გოდერძი მიდის)

დარეჯანი—გორკის ქარხნებიდან როდის მოველით მუშებს?
რაფიელი—ჯერ არ გამოსულან, მათ ჩამოსვლამდე უნდა
გაეპართოთ შენობა და ზოგი მანქანაც დაედგათ.

დარეჯანი—როგორმე უნდა ზოვახერხოთ. (შემოდის მდივანი)

რაფიელი—იქ გურგენს ელოდება ვინმე?

მდივანი—არა, იქ მხოლოდ დათას ქალიშვილია, ქალაქი-
დან ჩამოსულა და თავის მამას ელოდება.

რაფიელი—როდის ჩამოსულა?

მდივანი—აი, ახლა.

რაფიელი—ნამდვილად ის არის?

მდივანი—აღბად. ტყუილს რად იტყვის?

რაფიელი—აქ, შემოსასვლელ ოთახშია?

მდივანი—დიახ. იქ ზის საკვოიაჯით.

რაფიელი—ოჰ!.. (აპირებს წასვლას) თუ დამაგვიანდეს უჩე-
მოდ მოილაპარაკეთ. (მიდის)

დარეჯანი—რად აფორიაქდა ასე უცბად. აქ საქმეც მია-
ტოვა. რით დაავიწყა იმ ქალმა ყველაფერი, ვინ არის!

მდივანი—სიმართლე გითხრათ, მომნიბლავი სახის ქალი-
შვილია.

დარეჯანი—იმ მიწის მბურღავს ჰყავს ასეთი ქალიშვილი?
(შემოდის გურგენი და გოდერძი)

გურგენი—დარეჯან, თქვენ იშვიათად მოდიხართ ჩემთან
თხოვნით, მაგრამ თუ მოიხთოვეთ რამე, მერე თავის გაწბი-
ლება არ გიყვართ.

დარეჯანი—დიახ. თუ აუცილებელი საჭიროება არა მაქვს,
არ მოგმართავთ.

გურგენი—მე და გოდერძი ამ აზრის ვართ. ნაწილობრივ ჩვენ დაგაკმაყოფილებთ, დანარჩენს კი თქვენი მონდომება შეავსებს.

დარეჯანი—ჩვენც აუცილებელს ვთხოვლობთ. (შემოდიან დათა და არტემი) მობრძანდით დათა, კაღრების უფროსთან არ ყოფილხართ?

დათა—გახლდით, ბატონო, მაგრამ კარგ ოსტატებს ვერ იმეტებს ჩინთვის.

გურგენი—ვერ შეთანხმდით?

დათა—ბოლო.ს მაინც მოვირიგდით. არა უშავს, ზოგიერთ მუშებს ჩვენ თითონ შევასწავლით და დავაწინაურებთ ოსტატებად.

გურგენი—ეს კარგი გამოსავალია.

დათა—ახლა ერთი სათხოვარი გვაქვს მე და არტემს.

გურგენი—ალბათ საქველმოქმედო წინადადება, რადგან არტემი ურევია.

დათა—ღიახ. თუ წინდაწინვე არ დამძრახავთ.

გურგენი—არ დაივიწყო ჩემო დათა, რომ დღევანდელ სხდომაზე ყველამ მოვიწონეთ შენი ნამუშევარი და წყალსადენის მშენებლობის უფროსის თანაშემწედ დავინიშნეთ. მე მგონია, გარეშე საქმეებისათვის ვერ მოიცილი.

არტემი—მე თითონ არ დაუშვებ, ამხანაგო გურგენ, თქვენი თანაშრომლების მოცდენას. კარგად მესმის რომ თუ ის ნაშთები წარსულითაა საინტერესო, თქვენი მშენებლობა საჭიროა უკეთეს მომავლისათვის.

გურგენი—დათას დავალებული აქვს მალე მოაწოდოს კარგი წყალი ჩვენს მშენებლობას.

დათა—სწორედ ამაზე მოგახსენებთ, ბატონო.

გურგენი—ჰო, გისმენ.

დათა—ჩვენ იქ წავაწყდით მრავალი საუკუნის წინათ გაყვანილ წყლის მიღებს. იმ ნაშთებმა ადვილად მოპანახვინა წყლის დიდი მარაგი. შემდეგ უნებურად გავყევ იმ ძველი წყალსადენის ნაშთებს. ის დიდი ოსტატობით მიდიოდა ზევით და მან შემიყვანა ციხე-დარბაზის ნანგრევებში.

გურგენი.—შენ ქვეყანა შემოგივლია მუშად, ჩემო დათა და ახლა ხელობა გამოიცვალე?

დათა—მართალია, მე სიკაბუკის წლებში, რევოლუციამდე, ევროპა-ამერიკაში მიმუშავებია. იმ დროს ის ქვეყნები ზოგ რამეში ჩვენზე წინ იყო ტექნიკით და ვფიქრობდი, რომ ქვეყანას მშრომელთა ხელი აწინაურებს. ამიტომ მათი მუშებისაგან ვსწავლობდი მუშაობას და ბოლოს, როდესაც სამშობლოში ვბრუნდებოდი, ეს ფიქრი მახარებდა, რომ მუშაობა ვსწავლე და სამუშაო იარაღი მომქონდა.

გურგენი.—შენ აქ სამშობლოს ემსახურები და არა კერძო პირებს.

დათა—დიახ. მეც ამით ვამაყობ. ახლა კი ჩვენი წინაპარი ოსტატების ნაშრომი ვნახე და ახლო მივიღე გულთან.

გურგენი—ეს გასაგებია.

დათა—ამისათვის გთხოვთ ნება გვიბოძოთ თავისუფალ საათებში, ვისაც ეს მოგვეხალისება, დავეხმაროთ არტემს იმ ნაშთების შეგროვებაში, რათა მომავალ თაობებსაც შერჩეს ის სანახავად.

გურგენი—თავისუფალ დროს რითაც გაერთობით თქვენი საქმეა. შეიძლება მე თითონ გავიღო საკუთარი წვლილი მაგ საქმეზე. (მემოდიან რაფიელი და შუშანა)

რაფიელი—ეს ქალიშვილი, ამხანაგებო, თურმე მთელი დღე ტრალებს ჩვენს მიდამოში და აღფრთოვანებულია ამ მშენებლობით.

დათა—ჰო, მოსულხარ ქალიშვილო!

შუშანა—დილით ჩამოვედი.

არტემი—(ჩუმად) გოდერძი ხედავ, ცნობილობ?

გოდერძი—ის არის...

არტემი—შუშანა!

შუშანა—ეს ვინ არის?

დარეჯანი—დათას ქალიშვილი უნდა იყოს.

შუშანა—რა სანატრელად მქონდა შენი ნახვა, როგორ ვნატრობდი შენ სადმე შეგხვედროდი.

არტემი—რადგან შეგხვდით, აწი არ დავიკარგებთ.

რაფიელი—ხომ ხედავთ რა საწხიარულოდ დაგირჩათ აქ შემოსვლა. გაიცანით, ეს ამ მშენებლობის უფროსია, გურგენი.

გურგენი—თქვენი ქალიშვილია, დათა?
დათა—დიახ.

რაფიელი—გოჯერძას არ იცნობთ?
შუშანა—ვერა... თუქცა, მგონი მეცნობილება.

გურგენი—ეს ამ მშენებლობის ერთერთი ხელმძღვანელია და სამამულო ომის გმირი.

შუშანა—აქაც ხომ სარბიელია გმირობისათვის.

გურგენი—სად მუშაობს ეს ჭალიშვალი, დათა?
დათა—აქ მინდა იმუშაოს.

გურგენი—რა დარგში?

რაფიელი—აქას მე გეტყვი. სააქროები დავათვალიერებინე და ხან სახელოსნოში ინატრა მეუშაობა.

გურგენი—თქვენ იცით ეს საქმე?

შუშანა—დიახ. ჩემთვის იქნება მოკვებული.

დათა—თავიდან ჭელოვნება ენატრებოდა—ძერწავდა და ხეზდაც მუშაობდა.

გურგენი—ეს ჯილდო სად ზიილეთ?

შუშანა—სამამულო ომში.

რტემი—დაქრილიც იყო.

გოდერძი—რამდენჯერ დაიქერით?

შუშანა—ერთხელ, ბატონო.

რაფიელი—(გოდერძის ცალკე) ამნაირად გახსოვდა?

გოდერძი—პირველ შეხედვაზე მსუქნოვია. ახლა ვრწმუნდები არ გამოცვლილა.

გურგენი—აქამდეც უნდა ჩაჰოგეყენა, დათა, თუ არსად მსახურობდა.

დათა—აქამდე საამქროს ელოდებოდა, მხოლოდ ახლა წეიტყობ რომ იგვიანებს და მოჰწერა რომ დაიწყებს მუშაობას.

რაფიელი—ჰკავს საქმრო?

დათა—დიახ, დანიშნულია.

დარეჯანი—(თავისთვის) როგორ ღელავს რაფიელი. ახლა ფერიც ეცვალა.

გურგენი—მაშ თქვენ გინდათ აქ გაერთოთ საქმროს ჩამოსვლამდე?

შუშანა—არა, მე მსურს მუშაობის ნაყოფიც დაეახვედრო. ამიტომ თავაულებლივ ვიმუშავებ.

გურგენი—ეს კარგი მიზანია—სიამოვნებით მიგიღებთ. აქ ქალებიდან მოწინავეთაგანი ეს ჩვენი დარეჯანი, მხოლოდ დღეს ჩემგან არ დარჩა კმაყოფილი.

დარეჯანი—მე მგონია მასალაზე მაინც არ გამაწბილებთ.

გურგენი—მუშახელი რომ გაკლიათ, აითვისებთ?

დარეჯანი—ჩემი მუშები გადაჭარბებით ასრულებენ სამუშაოს.

გურგენი—კარგი. მასალასთან ერთად რამდენიმე ოსტატ-საც ჩაგაბარებთ.

დარეჯანი—გმადლობთ.

გურგენი—რაც მთავარია, იატაკი კარგად გაგიკეთებია, სადაც უძძიმესი მანქანები იდგმება. ეს ჩვენი მშენებლობის გაზეთმაც აღნიშნა.

დარეჯანი—დიახ, წავიკითხე. სწერს ვინმე „წითელი ტაბაკვარელი“.

შუშანა—რაო? წითელი ტაბაკვარელი!

დარეჯანი—დიახ.

შუშანა—თქვენ დღეს აქ დარჩებით, არტემ. ბევრ რამეს გაგიზიარებით.

არტემი—არა, სამწუხაროდ ახლა მივალ. მამათქვენს კი მალე შევხვდები.

დათა—მაშ ხვალიდან, ჩემი ქალიშვილი აქ შეუდგება მუშაობას, მე კი იქ, მთაში.

ფ ა რ დ ა

მოქმედება მისამხ

სურათი პირველი

სცენაზე წყალსადენის სამუშაოთა ნაგებობა, წყლის მილები, მიწის საბურღავები და სხვა სამუშაო იარაღი. სცენის ბოლოში გათხრილია ძველი სამარხი, ამოღებულია ძველი ქვა-დაფები წარწერებით, სცენის იქით სჩანს ციხე-დარბაზის ნანგრევები, ხავსმოდებული ჩუქურთმებიანი სვეტები და კედლები სუროებში და ველურ ყვავილებში. სამარხის პირას არქეოლოგები არიან. ცალკე დგანან: გოდერძი, რაფიელი, არტემი და დათა.

არტემი—ამ მთას რომ მოაღწიეთ, შემდეგ საურამე გზაზე მანქანით არ უნდა გველოთ.

დათა—მანქანა დაზიანდა?

გოდერძი—დიახ, ხეში გდია.

არტემი—ჰო, რაფიელი არ მეუბნება, როგორ გადაყვა ის მანქანას. ალბად არ სიამოვნებს გახსენება, თქვენ მითხარით გოდერძი.

გოდერძი—ყველა გადმოხტა, მხოლოდ შუშანა კაბით წამოედვა რკინის წვეტს, რაფიელმა ეს შენიშნა, გაანთავისუფლა და მოასწრო ქალის ნაპირზე გადმოსროლა, მაგრამ თითონ ამ დროს მანქანამ გადაიტანა. როდესაც მანქანის დამსხვრევის ხმა მოგვესმა, დარეჯანმა შუშანას მიაკივლა, რომ მან კაცი იმსხვერპლა და შუშანა სასოწარკვეთილებით კლდიდან ეარდებოდა, მაგრამ ვილაყამ დააკავა. შემდეგ მოგვესმა რაფიელის ხმა და ვხედავ უფსკრულის პირას ხის ტოტებისთვის წაუტანებია ხელი.

არტემი—რა შემთხვევაა!

გოდერძი—ო, კინაღა ძვირად დაგვიჯდა ამ კვირა დღით გამოსეირნება.

დათა—ამიტომაც ფერი არ ედგათ ქალებს, ალბათ ჯერაც ვერ მოინელეს შიში.

რაფიელი—არა, ამ სანახაობამ გადააეწყვათ მღვღვარება. ახლა თქვენს ნამუშევარს ათვალეირებენ.

გოდერძი—რაზედ დაფიქრებულან ჩვენი არქეოლოგები? ჯერ არ შეიძლება მიუახლოვდეთ?

არტემი—დიდი მნიშვნელობის სამარხი აღმოაჩინეს. შიგთვალის მომჭრელი ამბებია. აი, ნახავთ.

გოდერძი—მანამდე კიდევ დავათვალეიროთ რამე.

დათა—მაშ, ახლა განახვებთ ამ კვირაში რაც გავაკეთეთ. (რაფიელი და დათა გადიან)

არტემი—გატყობ მოუთმენლად მოელი რა პასუხს გადმოგცემ შუშანასგან.

გოდერძი—ჰო მასთან ცალკე ლაპარაკობდი, ალბათ კითხე რაც დაგაბარე.

არტემი—ღიახ. შევახსენე, რაც იმ დღეს მამამისმა სთქვა და ვკითხე საქმაროს ვინაობა.

გოდერძი—გაგიმხილა?

არტემი—როგორ არა. აღმოჩნდა რომ შენ გთვლის საქმაროდ... ის წერილი, რომელიც შენგან გადავეცი მთრთოლვარე ხელით ამოიღო და მაჩვენა, სასოებით ინახავს.

გოდერძი—დაჭრილმა რომ გავუგზავნე?

არტემი—ჰო, ვწუხვარ რომ მამა მისის ნათქვამი საეჭვოდ მივიღეთ. და ამისათვის არ გამოეცნობილეთ. ახლა შევატყუე მკითხავდა სადმე ხომ არ შემხვედრიხარ, ამიტომ უცბად მოეშორდი.

გოდერძი—მეც შევნიშნე რომ შენ უცბად წამოდი და ის დალონებული იხედებოდა შენსკენ.

არტემი—მე მას ახლა იმ განზრახვით მოეშორდი, გოდერძი, რომ შენ მოგიყვანო მასთან და გაგაცნო.

გოდერძი—ახლა?

არტემი—ჰო, ეს იქნება მშვენიერი დასასრული იმ ლაპარა-

- კისა, რომელიც მასთან მქონდა.
- გოდერძი—არა, ეს რომ პირველ შეხვედრისას მომხდარიყო კარგი იყო, ახლა კი... ის არა ერთხელ შემხვდა საქმეში, სხვა ადამიანად მიცნობს...
- არტემი—მერე?
- გოდერძი—შეიძლება კიდევ ეწყინოს, რომ ის მე ვარ, მაშინ არ ვიცი რა მოხდება.
- არტემი—არ მესმის შენი, მივიღეთ.
- გოდერძი—არა, მან ერთხელაც არ შემომხვდა მაღლიანად. უბრალოდ თბილადაც კი არ უპასუხებს ჩემს ყურადღებას. მე კი ის მიყვარს.
- არტემი—კაცო, შენ ჩემს თვალწინ კლდეებს შებრძოლებიხარ, გმირად გიცნობ და ნუთუ სიყვარულმა ასე შეგაშინა?
- გოდერძი—ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.
- არტემი—მაშ, რას აპირებ?
- გოდერძი—ვეცდები ჯერ თანაგრძნობა მოვიპოვო მისგან.
- არტემი—როგორღა, როდესაც შენივე ჩრდილი გელობება?
- გოდერძი—ჩემს აჩრდილს უნდა ვაჯობო.
- არტემი—არა, ის სჩანს შენს პირობას მტკიცედ ინახავს. არაფერი აქ საეჭვო არა გაქვს. მიდი და გამოეცანი. სხვა კაცის სახით რომ დაუწყო გაცნობა ეგებ ისე შეაძულო თავი, რომ წარსულმაც ვეღარ გიშველოს.
- გოდერძი—ბრძოლის ველზე თუ დავიპყარი მისი თანაგრძნობა, მშვიდობიან შრომაში მეორედ მოვიპოვებ, უფრო მტკიცე სიყვარული იქნება.
- არტემი—შენ გატყობ სულ იბრძვი. ბრძოლის ველზე რომ ვერ გამოეცანი, მესმის ადგილი არ იყო. პირველ შეხვედრაზეც აქ ექვემა შეგაჩერა, ახლა კი...
- გოდერძი—უფრო კარგად გავიცნობ. დავაკვირდები როგორც ადამიანს და მშრომელს, ჩემს თავსაც გავაცნობ, არ მინდა ჩვენი სიყვარული დაემყაროს მარტო იმ შემთხვევას.
- არტემი—მაშ, ერთს გირჩევ. მასეთ საკითხებში მენდე რომ მალამო ვარ. თუ მისი გაგება გინდა, მარტო შრომაში და შენთან გარეგან მოქცევაში ვერ გაიგებ, როცა სხვა ცეცხ-

ლი უკიდია. მის გასაგებად შიგ გულში უნდა დააყენო. მისწერე წერილი. მე ვეტყვი, თითქოს შენგან გუშინ მივიღე და ახლა უცბად ამისათვის მოვშორდი, რომ პორტფელიდან ამომეღო და მიმეტანა. მისწერე რომ... ერთი სიტყვით, რასაც გული გეუბნება, მისწერე და რე მისგან პასუხს გადმოგცემ.

გოდერძი—ო, შენ სწორედ მორგებული გასაღები მონახე. წამოდი ახლავე დაწერ წერილს, პასუხი მხოლოდ... ოლონდ იცი, უსათუოდ მოაწერინე. მე მგონია, მთელ მის სულს და გულს დაეინახავ. (გოდერძი და არტემი მიდიან. შემოდინან შუშანა და დაუეჯანი)

შუშანა—როგორ გადავრჩით დღეს დარეჯან... რა მძიმე გასახსენებელია. მე ისე ვგრძნობ, თითქოს მკვდრეთით აღდგა რაფიელი.

დარეჯანი—დიახ, დაუვიწყარი დღეა, იმიტომ, რომ პირადად თქვენთვის რაინდულად გასწირა თავი.

შუშანა—როგორ?

დარეჯანი—იმ დროს, როდესაც მანქანა უფსკრულზე ვარდებოდა, თქვენ ნაპირზე გადმოგისროლათ, თითონ კი ამასობაში უფსკრულზე დაქანდა.

შუშანა—არა, მე ის კი არ მახარებს, რომ მან გაიშტა თავი.

დარეჯანი—კიდევ ამით შეგიძლიათ იამაყოთ, რომ თქვენ თითონაც გადაწყვიტეთ თავის მოკვლა და მგზავრებმა დაგიპირეს უფსკრულის პირად. ერთი სიტყვით, რაფიელმაც და თქვენც ერთმანეთისათვის თავის დადება დაამტკიცეთ.

შუშანა—რაღა გაქვთ ასეთი კილო?

დარეჯანი—მე ვამბობ, რაც მოხდა.

შუშანა—რაც იყო, კარგად დასრულდა.

დარეჯანი—არა, მე ბოლოს დამამშვიდა ამ სანახაობამ.

შუშანა—მაშ, რაც გადაგვხდა, დავივიწყეთ. (მოისმის ხმაურობა და შორეული ხმები. შემოდინან რაფიელი, არტემი და გოდერძი)

გოდერძი—ჩვენს ობიექტს ხალხით დატვირთული მანქანები მოადგა.

შუშანა—ვინ არიან?

რ ა თ ი ე ლ ი—ჩვენი მშენებლობიდან იქნებიან. ზოგიერთებს კი-
დევე უნდოდათ წამოსვლა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი—ო, უსათუოდ ჩვენები იქნებიან. ბევრს დაწყდათ
გული. მე ვგრძნობდი რომ ისინი დაგვედევნებოდნენ.

რ ა თ ი ე ლ ი—ხელს გვიქნევენ, მივეგებოთ. (გოდერძი, რაფიელი
და დარეჯანი მიდიან)

ა რ ტ ე მ ი—(ცალკე უშუაანსთან) ჩვენ განვაგრძოთ ჩვენი ლაპარა-
კი უშუაანა, იცით რაზე მოგშორდით ასე უტბაღ?

უ შ უ შ ა ნ ა—ჰო.

ა რ ტ ე მ ი—ეს წერილი მან გამოგიგზავნა.

უ შ უ შ ა ნ ა—ვინ?

ა რ ტ ე მ ი—ვისი პირველი წერილიც ხელში გაქვს.

უ შ უ შ ა ნ ა—(დახედავს წერილს) ო, რა სთქვი, ვისგანაა? როდის
გადმოგცა?

ა რ ტ ე მ ი—ამ დღეებში. მხოლოდ ჯერ უნდა გავეგო ხართ
თუ არა მისი პირობის ერთგული. თქვენმა პასუხმა დამარ-
წმუნა, ეს წერილი ამომელო პორტფელიდან და მომეტანა.
უ შ უ შ ა ნ ა—გმადლობთ. არა თუ გმადლობთ... არ ვიცი ეს რო-
გორ გამოვთქვა

ა რ ტ ე მ ი—იმედი მაქვს თქვენგან დაწერილ პასუხს გადავცემ.

უ შ უ შ ა ნ ა—მერე, თითონ სად არის?

ა რ ტ ე მ ი—სადაც არ უნდა უყოს, თქვენი გულის მიმზიდვე-
ლობის არეში რჩება. (შემოდინ დარეჯანი, დათა, რაფიელი და
1-ლი და მე-2 მოსამსახურენი)

1-ლი მ ო ს ა მ.— დღეს გორკიდან ჩვენი კაბუკები ჩამოვიდნენ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი—ალბათ ნაწილი ჩამოვიდა.

მე-2 მ ო ს ა მ.— არა, ყველანი გეახლენ. თქვენ კი ერთი საათით
გამოასწართ.

1-ლი მ ო ს ა მ.—დიდი ზეიმია ჩვენს უბანში. (შემოდინ გოდერძი და
ხის საამქროს უფროსი)

დ ა თ ა—ო, შენი საამქროს უფროსიც ამოსულა, უშუაანა.

გ ო დ ე რ ძ ი—გორკიდან ჩამოსული რამდენიმე მუშა აქაც ამო-
ჰყვა ამხანაგებს, ვარაუდობენ რომ თქვენთან დაინიშნებიან,
დათა, შეხედეთ და გაეცანით. (მოისმის მომავალთა მუსიკის და
სიმღერის ხმა, რომელიც თანდათან ძლიერდება)

დათა—ძალიან სანატრელი სტუმრები მომსვლია! (მიღის)
ხის საამ. უფროსი—რაფიელიც აქ არის? ახლა მუშახელზე
წუწუნს შეანელებ.
რაფიელი—არც შენ იყავი მშვიდად.

ხის საამ. უფროსი— ხის საამქროში ოცი შეგვემატება,
შენ კი რაფიელ, ას კაცს ზიილებ შენს დიდ საამქროში.
რაფიელი—ბედი მომივიდა, რომ საამქრო გამართული მაქვს,
თორემ მაგ ბიჭებს სხვები დაირიგებდნენ.
გოდერძი—დარეჯანის ბეჯითობას უმადლოთ.

დარეჯანი—ჯერ ხომ კიდეც აკლია.
გოდერძი—ნუ გეშინია. ახლა მანქანების დადგმაზეა ჯერი.
რაფიელი—ჰო, მართლა, ხის საამქროში არ შეანელოთ ჩემ
შეკვეთაზე მუშაობა. ხომ იცით რომ უთქვენოდ ზოგი მანქა-
ნის დადგმა მიბრკოლდება.

ხის საამ. უფროსი—შუშანას ბრიგადის იმედი მაქვს, ჯერ
მეშინოდა, მაგრამ ახლა ვხედავ წარმატებით კეთდება.
შუშანა—რა ვიცი, მე ჯერ თქვენი მოწონება მამხნევებს.
გოდერძი—არა უშავს, გუშინ აქი მე თითონ დავათვალიე-
რე თქვენი ნამუშევარი.

შუშანა—ჰო. ახლა ვატყობ, რომ შეეძლება. თქვენ რომ ბო-
ლოს ხელსაწყო იარაღი მიშოვეთ, მერე უფრო გამიადვილდა.
გოდერძი—მე მგონია იარაღი იმდენად არ გიშლიდათ ხელს,
რამდენადაც გაბედულება გაკლდათ.

შუშანა—დიახ, გაუბედავ კაცს მეტი ძალა ეხარჯება და ნა-
ყოფსაც ვერ იღებს.

გოდერძი—ჩვენ გირჩევთ შუშანა, ეს გამბედაობა არა მარ-
ტო მუშაობაში, ჩვენთან დამოკიდებულებაშიც გამოიჩინოთ
და რაც გქირდებათ, ყველაფერი დროზე გაგვაგებინოთ.

შუშანა—გმადლობთ, პატივცემულო გოდერძი. თქვენ საერ-
თოდ ყველასთან გულისხმიერი ხართ, კერძოდ ჩვენს ბრი-
გადაზე კი იმდენი ზრუნვა გაქვთ გაწეული, რომ ვერ გაბ-

ვიმართლებია ჩვენი ნამუშევართ.

რ ა ფ ი ე ლ ი — ჩვენ აღამიანებს ვაფასებთ არა მარტო ნაყოფით, კეთილი მისწრაფებითაც.

შ უ შ ა ნ ა — კეთილ სურვილებს ზოგნი ტყუილადაც იჩემებენ, ძვირფასო რაფიელ! ამიტომ მართალი აღამიანები შიშობენ მატყუარებში არ გაურიონ და მორიდებულნი არიან, სანამ ნაყოფს არ წარმოადგენენ. მთელი ჩემი ნატვრა ახლა ესაა, როგორმე თქვენი შეკვეთა ბრიგადას წარმატებით დავასრულებინო და იმედი გავამართლო.

გ ო დ ე რ ძ ი — სწორად მოგიგო რაფიელ! შენ კი მცდარი აზრი გამოთქვი. ჩვენ კეთილ მისწრაფებებს მხოლოდ საქმით გცნობილობთ, მუშას სინდისიერად ვთვლით, როდესაც ვადაზე ადრე ასრულებს სამუშაოს, ჩვენ დროზე თუ არ დავასრულებთ და კარგად არ ავამუშავეთ ქარხანა, სახსენებელიც არ ვიქნებით ჩვენი კეთილი მისწრაფებებით.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — არა, ძვირფასო გოდერძი, რაფიელს ტყუილად კიცხავთ, ის თითონაც მაგ აზრისაა, მხოლოდ შუშანას ხატრით გამოსაჩვენა, რაც არ სჯერა. საერთოდ მას შუშანასთან მეგობრობა აბრუებს. ჩემთან კი სიტხიზლე არ ლალატობს, მაგალითად, როდესაც მიუხვდი და ისე გავაკეთე რაღაცა შენობაში, როგორც მას გულის სიღრმეში სწადდა და ამისათვის მუწები ზედმეტად ვამუშავე, არ მოიხვენა, სანამ ჩემთვის საყვედური არ გამოაცხადებინა მშენებლობას წესის დარღვევისათვის.

რ ა ფ ი ე ლ ი — დარეჯანს კარგად ესმის, რომ დღეს ჩვენს ერთმანეთთან თბილ დამოკიდებულებაზე მალლა დგას ქვეყნის წინაშე მოვალეობა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ამიტომაც არ გამკვირვებია ის ანბავი და მეთითონაც არ ვიჩენ საქმეში შენთან რაიმე სირბილეს.

გ ო დ ე რ ძ ი — არც საქიროა ამაზე ლაპარაკი, დარეჯან-ჩვენ აქ მთელი ძალით დაძაბული ვართ საქმეზე და ერთმანეთისაგან მოვითხოვთ თანამშრომლობას და არა ხატრს და ლმობიერებას. აქ უადგილოა ამის გამოტანა, თუ როგორ მიიღეთ საყვედური.

დარეჯანი—ეს თქვენი დასამოწმებლად ვოქვი. მე გავიხსენე, რომ ერთხელ საყვედურის ღირსად მცნო რაფიელმა, თუმცა კარგად სცნობდა ჩემს კეთილ მისწრაფებას... აქ კი ამბობდა, თითქოს შუშანას პატივსაცემად მარტო მისი მისწრაფება კმაროდეს.

არქეოლოგი — მოზრდანიდით, ამხანაგებო, შეგიძლიათ დახედოთ ამ სამარხს. (შემოდინ დათა, მომსახურენი, მუშები. შუშანა განზე გაიწეეს და წერილში იყურება. გარშემო ზუსიკის და სიმღერის ხმა სრულიად შეწყდება)

არტემი—მაშ, წაიკითხე ეკ წერილი და შემდეგ შემოგვიერთდი. (შუშანა მიდის)

არქეოლოგი—ეს ქრისტიანობაზე აღრინდელ ხანას ეკუთვნის. დარეჯანი—რა მშვენიერი ნივთებია!

1-ლი მოსამ.—როგორი თლილი ქვებია, რა უცხო ხელოვნებაა. გოდერძი—სულ სხანაირი!

1-ლი მოსამ.—არ შეიძლება გავიგოთ ეს რომელ საუკუნეს ეკუთვნის?

მე-2 მოსამ.—გაჩუმდი, ნამ ხედავ არ გიპასუხებენ.

დარეჯანი—მე მინდოდა გამეგო, შეიძლება თუ არა, რომ ეს მედეას მამის ერთერთი საფლავი იყოს?

არქეოლოგი—აარტემ, დაიხმარე მუშები და ეს მძიმე ქვა-დაფები აქეთ გადმოიტანეთ, ჩვენ ვეცდებით როგორც ეს უძველესი წარწერები წავიკითხოთ და შემდეგ უფრო ადვილად გავცემთ პასუხს კითხვებზე. (მუშებს მიაქვთ ქვა-დაფები. არქეოლოგები მადიან)

არტემი—აი, ახლა, როდესაც არქეოლოგები წავიდნენ მე, როგორც თქვენი მეგობარი, ყველაფერს დაგათვალიერებინებთ. (შემოდის შუშანა)

რაფიელი—შუშანა, სადა ხარ, მოდი... შენ ხედავ, აკვირდები?

შუშანა—მე ვხედავ ბექედს და შიგ მიწას, ის მიწა ალბათ ერთ დროს თითი იყო.

დარეჯანი—ვინ იცის ეს თითი რისი შემძლე იყო.

შუშანა—ჰო, შეიძლება ზოგი ვინმე მხეცს გავდა სიბოროტით, მაგრამ? საფლავიდან ყველა კაცი აღამიანად მოსჩანს.

არტემი—ნაპოვნი ნივთები ადასტურებენ, რომ ეს მეფე

თავის ეამს გაღმერთებული იქნებოდა და პირველ ხანში ალბათ ამის საფლავს თაყვანსა სცემდნენ, ამიტომ ეს საფლავი შეგინებული იქნებოდა აღრინდელ ქრისტიანობის მიერ და მეფის სახელიც მივიწყებული.

რა ფიელი— დიახ, ქრისტიანებმა გამოაცხადეს, რომ მათგან იწყება ახალი ადამიანი.

გოდერძი— მაგრამ ამ საფლავის შემდეგი თაობები— მას მხოლოდ ურმის სისწრაფით შორდებოდნენ. ჩვენ კი დღეს. ჩვენს ქარხნებში მუშაობით, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უფრო ვშორდებით ძველ ცხოვრებას, ვიდრე ისინი მრავალ საუკუნეებით.

რა ფიელი— ჩვენ შრომით ფოლადის ფრთებს ვისხამთ.

დარეჯანი— ჩვენ ვაკეთებთ ცეცხლით მსუნთქავ ხარებს და მით ვხნავთ საკოლმეურნეო ყანებს.

შუშანა— ჩვენ შრომით ვიჯავშნებით აყვავებულ სამშობლოს დასაცავად, დიდი ბელადის თაობა ვართ.

გოდერძი— შენ რას გვეტყვი დათა?

დათა— მე ვხედავ ყველანი ალერსით უყურებთ ამ ნაშთებს. მე თითონ აქ თავისუფალ საათებში, ეს ნანგრევები შემიმაგრებია. ამ საქმეში ჩვენი ქარხნის სხვა მუშებიც მეხმარებოდნენ. სხვის მაგიერ არაფერს გეტყვით, მე კი ამ ნაშთებს პატივს ვცემ, როგორც ადამიანის შრომის ნიშნებს. აი, დააკვირდით ამ უძველეს საფლავს. აქ შესანიშნავი სამკაულები და ჭურჭელი რომ არ გვეპოვა, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს შავი მიწა მეფე იყო. მეფე გამქრალა, მაგრამ მისი ოსტატების ნაშრომი დარჩენილა და დღეს იმ მეფის წარსულში არსებობას გვეუბნება არა მისი მეხოტბე, არამედ ხელოსნების ნაშრომი. თქვენ დააკვირდით მშვენივრად გამოძერწილ კერპებს. გაჰკრა რწმენა ღმერთების, რომელსაც ეს ნაძგრწი გამოხატავს, მოიშალა თაყვანისცემა იმ ტაძრისა, რომლის ქვაკუთხედიც აქ ძევს, მაგრამ დარჩა ნახელოვნები მუშა ოსტატისა, რომელთა ნაშრომი ჩვენთვის ისევ წმინდაა, სადიდებელი... ალბათ, პირველადაც ეს ოსტატები იყო მთავარი ჩამოგონებელი ძალა კერპის სიწმინ-

დისა. მე მსმენია ჟამთა აღმწერლების თქმები ჩვენის წინაპართა ბრძოლების შესახებ, გმირთა მიერ დანთხეული სისხლი ფასს დებს სამშობლო მიწას... მაგრამ ეს მიწა კიდევ მიწაა სათაყვანო, რომ წინაპართა შრომის ოფლითაა მორწყული. ჩვენ ისეთ ხანაში ვართ, როდესაც ქვეყანას შრომა აწინაურებს და აძლიერებს. ჩვენ ვერ ვიარსებებთ თუ მშრომელი ერი არ ვიქნებით. ამიტომ პატივი ვცეთ ჩვენს წინაპართა შრომის ძეგლებს და ჩვენს ხანაშიც გამოვამკლავნოთ შრომის უნარი.

არტემი—ეჰ, ჩვენმა არქეოლოგებმა ეტყობა მუშაობა დაამთავრეს. (შემოდის არქეოლოგი)

არქეოლოგი—ძვირფასო ამხანაგებო, ქვა დაფების ამოკითხვა გადავდეთ და ამ სამარხის შესახებ გარკვეულად ვერ ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ უდაოა, რომ ამ გათხრამ დიდი მნიშვნელობის მასალა მოგვცა. ძალიან მადლობელი ვართ ქარხნის მუშებლობის მუშა-მოსამსახურეების, რომლებმაც ყურადღება გამოიჩინეს სიძველეთა ძეგლებისადმი. (არქეოლოგები და მუშები მიდიან)

დარეჯანი—მეგობრებო, რადგან ჩვენი ცნობისმოყვარეობა მეტად აღძრულია, ჩვენ თითონ გაუზიაროთ ერთმანეთს თუ რამე მოსაზრებები გვაქვს.

არტემი—პირადად მე ვერაფერს გეტყვით. თქვენ კი ალბათ გაქვთ დარეჯან, რაჟე სათქმელა. მაგალითად, წელან შეეკითხეთ რამდენად შესაძლოა, რომ ეს სამარხი მედეას მამის იყოს. გვითხარით, რა ნიშნებით აიღეთ ეჭვი, რომ ეს აიეთის სამარხია?

დარეჯანი—მე მხოლოდ მსურდა ამ საკითხზე მეცნიერები დაფიქრებულიყვნენ.

გოდერძი—მე მგონია, ჩვენ უფრო დინჯ დამოკიდებულებას ვიქონიებთ თუ ნაკლებათ ვიძსჯელებთ ჩვენთვის უცხო დარგში. დღეს ჩვენ საკმაოდ დატვართული ვართ შთაბეჭდილებებით. და უკვე შეგვიძლია მადლობა გადაუხადოთ ამხანაგ არტემს აქ მოწვევისათვის და დათ.ს მი'ა აქ გაწეული მუშაობისათვის. (ყველანი აპირებენ წასვლას)

დარეჯანი — მე დათას სიტყვაც მომეწონა.

1-ლი მოსამ. — მით უფრო გვხვდება გულში დათას ნათქვამი, რომ დღეს შრომის გამოცდილებისათვის გაგზავნილი ამხანაგები დაგვიბრუნდნენ ქალაქ გორკიდან.

ხის საამ. უფროსი — ამხანაგებო, ახლა ერთი ამბავი: ამ საღამოს ჩვენს კლუბში შეხვედრათ და ვისაც გსურთ გორკის ქარხნიდან დაბრუნებულებს შეხვდეთ, ისინი მალე დაიწყებენ თქვენს გვერდით მუშაობას.

1-ლი მოსამ. — ძალიან კარგი. გამოცდილი მეზობელიც სასარგებლოა, არა თუ გვერდით მომუშავე.

დარეჯანი — ე, სამუშაო იმდენი იქნება ჩვენს ქარხანაში, მაგათი შემომატება იკმარებს?

— გოდერძი — ეს სწორია. ამისთვის განზრახული გვაქვს კიდევ ამოვარჩიოთ ჩვენს საამქროებში. უნარიანი მომუშავეები და გავგზავნოთ გორკის, მოსკოვის და სხვა მოწინავე ქარხნებში გამოცდილების მისაღებად.

ხის საამ. უფროსი — არ ჩაყვეთ აწი ამ ბალიკებს?

რაფიელი — წავიდეთ.

გოდერძი — მაშ, გამოვემშვიდობოთ, ამხანაგებო, დათას, ვუსურვოთ წარმატებოთ დაასრულოს საქმე და ადრე მოგვაწოდოს ამ მთის ცივი ნაკადული ქარხნებში.

რაფიელი — გამოვემშვიდობოთ იმ ძველ დარბაზებს და უთხრათ, რაც მისთვის ზარალი მიუყენებია დროსა და ჟამს, ჩვენ გადაქარბებით აღვადგენთ ახალი მშენებლობის სახით. (ნელნელა მიდან. შუშანა განმარტოვდება. იხედება წერილში)

გოდერძი — (არტემს) რა მოწიწებით უპყრია ხელში მას ჩემი წერილი.

არტემი — ნეტა რამდენჯერ წაიკითხა?

გოდერძი — ხშირად იხედება შივ და ყოველთვის შენგან დაფარულად... თითქო ირცხვენდა შენ არ შეგემჩნია. (არტემი და გოდერძი მიდინ)

შუშანა — არტემ! (შეჰოდის რაფიელი)

რაფიელი — რად ჩამორჩენილხარ? არ დავეშვათ ერთად ამ ბალიკებით?

შუშანა—არა, მე ცოტას დავიციდი, რაფიელ.

რაფიელი—რა მოგივიდა?

შუშანა—არაფერი.

რაფიელი—რალაც ფარულს სიხარულს გატყობ თვალებში.

შუშანა—ასე ძალიან მაკვირდები?

რაფიელი—ჰო, თუმცა ეს შეგეფერებათ დღეს, სამაგალითოდ გადარჩით.

შუშანა—მაშ, თქვენ ორმაგად სასიხარულო გაქვთ. მც მის-
სენით და თითონაც გადარჩით.

რაფიელი—ახლა ადვილად ვლაპარაკობთ.

შუშანა—მართალია, რომ წარმოვიდგენ რა კირში იქნებო-
და საბრალო მამაჩემი.

რაფიელი—მე ვფიქრობ, რომ ჰიდევ ერთი კაცი მასზე არა
ნაკლებ შეძრწუნდებოდა.

შუშანა—ეს რა ქართულია? არა, ჩვენ არც ისე მოცლილი ვართ,
იმაზე ვიფიქროთ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

რაფიელი—მაგალითად, რა გაქვთ ამაზე მეტად საფიქრებელი?

შუშანა—სამუშაო.

რაფიელი—იქ ხომ სჯიმედოდ გაქვთ საქვე?

შუშანა—მე მაინც ვლელავ.

რაფიელი—რათა?

შუშანა—საქმროს ველოდები და მინდა რამე ჩემი გაკეთე-
ბული დავანახვო.

რაფიელი—საქმროს? ო, ახლა, შუშანა, ერთ რამეს გკითხავ.
მე არ ვიცი ვინ არის თქვენი საქმრო, მხოლოდ ერთხელ
მითხარით, რომ ის ნამდვილი გმირია.

შუშანა—ჰაკმარეთ, რაც ვთქვი, მეტს ნუ მკითხავთ.

რაფიელი—კარგი, მაშ ახლა გოდერძიზე ვილაპარაკობ. ის
გმირია არა მარტო ფრონტზე—აკაც, მშენებლობაზე.

შუშანა—მერი?

რაფიელი—მე ვატყობ, რომ თქვენ მოსწონხართ.

შუშანა—მეც პატივს ვცემ.

რაფიელი—შენ რომ სხვასთან არ იყო პირობით დაკავშირე-
ბული, მას უპასუხებდი თანაგრძნობით?

შუშანა — როგორ შეიძლება ასეთი შეკითხვა? ან რად შეკითხვებით?

რაფიელი — მე ექვი მაქვს, რომ მას შეტად მოსწონხართ.

შუშანა — თუ თქვენ ხუმრობთ, მე არ შეცინება, და თუ ნამდვილად ლაპარაკობთ, აქ ვერ დავრჩები.

რაფიელი — სად ვერ დარჩები?

შუშანა — აქ, ამ ქარხნის მშენებლობაზე. (შემოდის არტემი) არტემ! (უხლოვდება) ერთი წუთით. (ცალკე გაიყვანს) მე მინდა პასუხი დავეწრო და დაგიტოვოთ გადასაცემად სანამ გზატკეცილზე გავიდოდეთ.

შ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

რაფიელის საამქროში შესასვლელი კარი, რომლის იქით ფანჯრებიდან და ღია კარებიდან სჩანს დიდი საამქროს მანქანები და შენობის კედლები. ფანჯარასთან დგას ხის შემკეთებელი საამქროს უფროსი. საამქროდან გამოდინან ინჟინერი და დათა.

ხის საამქ. უფროსი—დათა, თქვენი ქალიშვილის ნამუშევარი აქ დაათვალიერეთ?

დათა—ღიახ, ვნახე.

ინჟინერი—კარგი იქნება, თუ სხვა შეკვეთებსაც ასე შეგვისრულებს თქვენი საამქრო. ასეთი რამის პირველად ვაკეთება, არა მარტო ბეჯითობაა, შემოქმედებაა.

ხის საამქ. უფროსი—ასეთი მუშაობა ჩაატარა შუშანამ, ახლა კი რატომღაც, მოითხოვა მოსკოვის ქარხანაში მივლინებას. როგორმე გადააფიქრებინე დათა. ჯერ ისედაც უჭირს ჩემს საამქროს. ის კი საუკეთესო ბრიგადას ხელმძღვანელობს.

ინჟინერი—ეს ამბავი მეც მაწუხებს. მივლინებულებს ხელმძღვანელად რაფიელი მიყვება და მისი ტვირთი მე მრჩება. დათა—თქვენ რამდენი ხანია აქ მუშაობთ?

ინჟინერი—იმ დღიდან, რაც ქალაქ გორკიდან ჩამოვედი—აქ რაფიელის თანაშემწედ დამნიშნეს. მის გვერდით თავს მხნედ ვგრძნობდი, აწ კი არ ვიცი... მაიმედებენ, სანამ ეს საამქრო სამუშაოდ დაიტვირთება, ის მეტი გამოცდილებით ჩამოვა, გაწრთენილ ბიჭებსაც ჩამოიყვანს. (შემოდის რაფიელი)

რაფიელი—დათა, თქვენ დღეს ჩამოდი?

დათა—ღიახ. წყლის მილები მაქვს გადასაზიდი.

რაფიელი—იცით, რომ მოსკოვის ქარხნებში მიმყავს მუშები და შუშანამაც მოინდომა წაქოსვლა.

დათა—ღიახ.

საამქ. უფრ.—სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით ახლა, როგორ დაქინებით მოითხოვა.

რაფიელი—ურჩიეთ, დათა, ნუ ჩქარობს, ის სლავასაც კი შეხვეწნია.

დათა—სლავა ვინ არის?

რაფიელი—აი, ის, აქეთ მოჰყავს გურგენს. საკავშირო ცენტრიდანაა მოვლინებული, გამოკვლევას ჩაატარებს და, როგორც მცოდნე, რჩევას მოგვცემს.

ინჟინერი—ამ საამქროში მოდის?

რაფიელი—ჰო, მოემზადეთ შესახვედრად. საამქროს გულდასმით დაათვალიერებს. (ინჟინერი მიდის. შემოდიან გურგენი და სლავა)

გურგენი—ჰო, ეს ჩვენი დამსახურებული მუშაა, რომელზედაც გეუბნებოდით, წყალსაღენს ხელმძღვანელობს.

სლავა—მე ამის ქალიშვილი გავ ცანი, არა?

გურგენი—ღიახ. მის ნამუშევრებსაც განახევებთ საამქროში.

სლავა—ეჰ, სად შეხვდით გურგენ ბავშვობის მეგობრები.

რაფიელი—ბავშვობის? საიდან?

სლავა—მამაჩემი რუსეთიდან იყო სამსახურში გამოგზავნილი აქ, მახლობელ ქალაქში. მე და გურგენი სკოლის ამხანაგები ვართ. აქაურობას ვიცნობთ. (შემოდის ჩარი ნაბიჯით დარეჯანი)

დარეჯანი—დედაჩემი და არსენი გეახლნენ და შეპირები-სამებრ ახალგაზრდები მოიყვანეს.

გურგენი—მათ გოდერძი შეხვდებოდა.

სლავა—ეს რა ახალგაზრდობაა? თქვენი მომავალი მუშებია?

გურგენი—ღიახ. გვინდა ადგილობრივ მოსახლეობიდან შეეკმნათ ამ ქარხნის მუშები. ეს ქალი კი გახლავთ ამ შენობის ტექნიკური მშენებელი. (შემოდიან გოდერძი, არსენი და თებრონე)

გოდერძი—დღეს სოულებიდან მუშები შემოგვემატა და დავაბინავეთ. (თებრონე და არსენზე) ესენი, ამხანაგო სლავა, ჩვენი მშენებლობის მოამაგე მეზობლებია.

ს ლ ა ვ ა — ს უ ლ ი თ ა დ ა გ უ ლ ი თ ვ ე ს ა ლ მ ე ბ ი . ე ს ქ ა რ ხ ა ნ ა ა ხ ა ლ
შ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ი ს გ ზ ა ზ ე დ ა ა ყ ე ნ ე ბ ს გ ა რ შ ე მ ო მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს . რ ო -
გ ო რ ი ტ ყ ვ ი თ , ა მ ხ ა ნ ა გ ო დ ა თ ა , თ ქ ე ნ ხ ო მ ძ ე ე ლ ი მ უ შ ა ხ ა რ თ ?
დ ა თ ა — მ ე ვ ფ ი ქ ო რ ბ ა მ ქ ა რ ხ ნ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ო მ ი უ -
შ ა ვ ე თ ა ვ ს ლ ი რ ს ე უ ლ ა დ უ ნ დ ა გ რ ძ ნ ო ბ დ ე ს . ჩ ე ნ ა ხ ა ლ დ რ ო -
შ ი მ უ შ ი ს ს ა ხ ე გ ა მ ო ჰ ბ ა ტ ა ვ ს ს ა ხ ე ს ხ ა ლ ხ ი ს ა ს დ ა ა ს პ ა ტ ი ო -
ს ა ნ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს .

თ ე ბ რ ო ნ ე — ე ს ჩ ე ნ ე ც გ ვ ე ს მ ი ს , ა მ ი ტ ო მ მ ო ვ ი ყ ე ა ნ ე თ დ ა რ ჩ ე უ -
ლ ი ბ ი კ ე ბ ი .

ს ლ ა ვ ა — ა ქ ე დ ა ნ რ ა ფ ი ე ლ ს ა ც მ ი ჰ ყ ა ვ ს ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ა დ ქ ა ბ უ კ ე ბ ი ,
რ ო მ შ ე მ დ ე გ თ ა ვ ი ი ს ა ხ ე ლ ო ნ დ ა ს ხ ე ბ ი ც გ ა მ ო ზ ა რ დ ო ნ .

გ უ რ გ ე ნ ი — ა მ მ უ შ ე ბ ი ს მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ა შ ი , ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო , ს ლ ა ვ ა მ ა ც
ძ ა ლ ი ა ნ შ ე გ ვ ი წ ყ ო ხ ე ლ ი — ა მ ო დ ე ნ ა ხ ა ლ ხ ი ს გ ა გ ზ ა ვ ე ნ ა ა დ ვ ი ლ ი
ს ა ქ მ ე ა რ ი ყ ო .

თ ე ბ რ ო ნ ე — რ ა ფ ი ე ლ ს მ ი ჰ ყ ა ვ ს ი ს ი ნ ი მ ი ვ ლ ი ნ ე ბ ა შ ი ?

დ ა თ ა — დ ი ა ხ .

თ ე ბ რ ო ნ ე — შ ე ნ ც მ ი დ ი ხ ა რ დ ა რ ე ჯ ა ნ ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ა რ ა .

გ უ რ გ ჭ ნ ი — რ ო გ ო რ ა რ ა , თ ქ ე ნ ს ი ა შ ი ა რ ა ხ ა რ თ ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ა რ ა , ჯ ე რ ა ქ ვ ი მ უ შ ა ვ ე ბ .

ი ნ ე ი ნ ე რ ი — ა რ ა ნ ა ხ ა ვ ე თ ჩ ე ნ ს ს ა ა მ ქ ო რ ო ს ? მ ო ბ რ ძ ა ნ დ ი თ .

(მ ი დ ი ა ნ ყ ვ ე ლ ა ნ ი ს ა ა მ ქ ო რ ო შ ი . რ ჩ ე ბ ი ა ნ რ ა ფ ი ე ლ ი დ ა გ ო დ ე რ ძ ი)

გ ო დ ე რ ძ ი — რ ა დ ჩ ა ფ ი ქ რ დ ი , დ ა რ ე ჯ ა ნ ი რ ო მ ა რ მ ი გ ყ ე ბ ა ?

რ ა ფ ი ე ლ ი — ა ლ ბ ა თ ს უ ლ დ ა ვ შ ო რ დ ე ბ ი თ .

გ ო დ ე რ ძ ი — ი ს მ ა შ ი ნ ა ც შ ე ყ ო ყ მ ა ნ დ ა , რ ო დ ე ს ა ც მ ი ვ ლ ო ნ ე ბ ა
გ ა მ ო უ ტ ხ ა დ ე თ . კ ი დ ე ვ ვ ნ ა ხ ა ვ დ ა მ ო ვ ე ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ი .

რ ა ფ ი ე ლ ი — შ ე ნ თ ვ ი თ ო ნ რ ა ს ა პ ი რ ე ბ შ უ შ ა ნ ა ს თ ა ნ ? მ ე მ გ ო ნ ი ა
ა ხ ლ ა დ რ ო ა გ ა უ მ ე ლ ა ვ ნ ო ს უ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ა ს , თ ო რ ე მ ი ს ე დ ა ი ძ ი ნ ა
წ ა ს ე ლ ა — გ ა დ ა ი კ ა რ გ ე ბ ა .

გ ო დ ე რ ძ ი — უ ჰ , უ ტ ნ ა უ რ ი ა რ ს ე ბ ა ა .

რ ა ფ ი ე ლ ი — ა რ ა , ჩ ე ნ გ ვ ა ვ ი წ ყ დ ე ბ ა , რ ო მ მ ა თ ო რ ი ვ ე ს ბ ე ვ რ ი
უ ჩ ვ ე უ ლ ო რ ა მ გ ა დ ა ხ ლ ა თ . ჩ ე ნ კ ი ვ ე რ ვ ი ჩ ე ნ თ უ ნ ა რ ს ს უ ლ ი -
ე რ ა დ უ ფ რ ო დ ა ვ უ ბ ხ ლ ო ვ დ ე თ . შ ე ი ძ ლ ე ბ ა ე რ თ ი მ ი ზ ე ზ ი ო ს ი -
ც ა ა , რ ო მ დ ა ძ ა ბ უ ლ მ უ შ ა ო ბ ა შ ი ვ ა რ თ .

გოდერძი—თქვენს მიმართ ეს მართალია. შენ და დარეჯანს მხოლოდ დაწყნარება და დინჯათ მოლაპარაკება გჭირდებათ. რაფიელი—შენ კი რამ გაგიტეხა გული? ხომ მოახერხე მისგან წერილის მიღება.

გოდერძი—იმ წერილიდან სჩანს, რომ ისეთი მაღალი წარმოდგენა აქვს ჩემზე, რომ მიჩრევენია შორიდან ვკვებო მისი ოცნება წერილებით.

რაფიელი—ძალიან დაძაბუნებულხარ.

გოდერძი—არ მცალია მღელვარებისათვის. შევურიგდები ბედს და ჩემთვის ვიმუშავებ.

რაფიელი—ამით ხომ ორივე ცარიელ ჯამზე გაატარებთ მთელ ცხოვრებას.

გოდერძი—რას იზამ.

რაფიელი—არა, გაეყელს გატეხილი სჯობიაო, ნუ აყოვნებ.

გოდერძი—შენ გგონია არა ვცადე? მაგრამ შევატყე, რომ შხამად იღებდა და ბოლომდე ვერ ვუთხარ. იმ წერილის მიღების მერე ოცნებამ შეიპყრო და სულ მთლად შევეჯავრდი.

რაფიელი—რა ვიცი, საქმეში ძალიან გულთბილად ხართ ერთმანეთთან?

გოდერძი—მართალია, საქმეში ფითქოს ვმეგობრობთ, მაგრამ საქმის გარეშე ეს სიტბო მასთან ვერ დავამყარე, ზოგჯერ ცალკე ვხვდები, მაგრამ გრძნობაზე ლაპარაკს მაწყვეტინებს და ჩემს ღუმელს მკაცრად ისმენს.

რაფიელი—ის მივლინებაში ვერ წამოვა. და მერწმუნე, რაკი აქ მუშაობაში დაგიახლოვდება, ყოველნაირად შეგეთვისება.

გოდერძი—ეჰ, ასე ვთქვათ რა დაგვრჩენია.

რაფიელი—მაშ, რა ვიცი... ჰო—სტუმარს უნდა მივხედო.

გოდერძი—შევიდეთ.

(შედიან საამქროში: სამქროდან გამოდიან თებრონე და დარეჯანი)

თებრონე—ყველგან თავი გისახელებია, ჩემო შვილო, მაგრამ მაინც ისე უბედური ხარ, რომ შენი ჯავრით თვალი ამომილაშობდა.

დარეჯანი—რისთვის.

თებრონე—შეგონა აქ ერთმანეთის წყენას მოინელეზდით. თქვენ კი უღლიდან გამოხსნილხართ და ცალ-ცალკე იწევთ. არა, ამ ხასიათით ქვეყნისათვის სარაია კი ავიშენებია, მაგ-
რამ თქვენს ბუდეს ვერ ეღირსებით.

დარეჯანი—მერე მე თუ ვინმესგან უბედურება მადგას, აქეთ მტუქსა?

თებრონე—არა შეილო, საკუთარი ყურით გავიგონე, რომ შენ თითონ, ჯიუტობ.

დარეჯანი—ასე არაა.

თებრონე—ვიცი ჩემი გაქედლილი ხატის ამბავი

დარეჯანი—მე უგულოდ არაფერი არ მინდა.

თებრონე—არა, მე შევატყვე, რომ რაფიელს ეწყინა, როდე-
საც შენ უარი სთქვი წასვლაზე.

დარეჯანი—ჩვენს შორის სხვა ჩადგა, დედა.

თებრონე—ვინ?

დარეჯანი—რაფიელი ჩემზე მეტი ყურადღებით მას ეპყრო-
ბა. ჩემს თვალწინ მისთვის სიცოცხლე გასწირა. ეს ცოტაა. ახლა საჭიროდ სცნეს იმ ქალის აქ დარჩენა და, მაინც, და-
ჟინებით ცდილობს რაფიელთან ერთად წავიდეს... ჩემი ბედნიერებისათვის ამ შივლინებაში წასვლა საჭირო არაა. ქარხნისათვის კი არაფერი დაშავდება მეორე წყებას გავყვე.

თებრონე—მერე ასე ადვილად თმობ შენს სიმართლეს? ამი-
სათვის ითვლები ყოჩად ქალად?

დარეჯანი—მე მეცადინეობა იქ მომეთხოვება, სადაც ვალი მებება. ძალად სიყვარულს კი ვერავის ვერ დავავალე.

თებრონე—ამდენი, შეილო, მეც მესმის, მაგრამ ჯერ კარგად გაიგე ჩვენი უბედურების მიზეზი. ეგება ის ქალი ტყუილად გიზღვრევს წყალს და თავის შესაქცევად გლუპავს, ან ეგებ ეს კაცი დროებით გააბრუა. შენი უმეტრებით, შენ გულზე ხელებს ნუ დაიკრეფ, ტყუილად თავს ნუ გაიმწარებ.

დარეჯანი—ეს მეც მქონდა გადაწყვეტილი. წაუკითხავ მათ რაც გულის ფიცარზე მიწერია. (შემოდის რაფიელი)

რაფიელი—დარეჯან! რა მოსაზრებით რჩებით?

- დარეჯანი— არ მინდა ასე წაგყვეთ მივლინებაში.
- რაფიელ— რა პირობას მოითხოვ? რაც შესაძლოა ყველაფერზე მზადა ვარ. ოღონდ უშენოდ ნუ გამიშვებ.
- თებრონი— (ჩუმად დარეჯანს) ო, ხომ გეუბნებოდით, შვილო! (შემოდის შუშანა)
- შუშანა— მე თქვენთან ვარ რაფიელ, ჩემი ნატკენი გულით.
- რაფიელ— მე ხომ თქვენს დასაამებლად არაფერს არ დავიშურებ. რით გემსახუროთ, შუშანა?
- შუშანა— ახლა მთელი იმედები თქვენზე მაქვს. ჰო, დარეჯან, რალაც მოწყენილი ხარ, თუმცა თქვენ ხშირად ხართ დაფიქრებული, ან დაძაბული.
- დარეჯანი— მგონია, მართლაც დაძაბულად ვუგდებ ყურს თქვენს ლაპარაკს.
- შუშანა— თქვენ კიდევ არ იცით რამდენად საყვარელია ჩემთვის რაფიელი.
- დარეჯანი— მე ვატყობ.
- შუშანა— ჰო, თქვენ თურმე არ გინდათ მოსკოვში მივლინება, გამიკვირდა, არც მჯერა. მე ვერ წარმომიდგენია ჩემთან არ წამოხვიდეთ, ოო, ჩვენთანთქო იმიტომ ვამბობ, ფიქრალაც არ მინდა დაეუშვა, რომ რაფიელს დავშორდები. ახლა იმისთვის მოველ, რომ ეს ექვი გამიქარწყლოთ, იცით, რამდენად ძნელია ჩემთვის თქვენი დაშორება?
- რაფიელ— მესმის, მაგრამ თქვენი საამქროს უფროსი გადაქრით უარზეა. ამბობს, რომ ძალიან რთული შეკვეთები აქვს. თქვენ კი საუკეთესო ჯგუფს ხელმძღვანელობთ.
- შუშანა— მე სულ ერთი შეკვეთით ვისახელე თავი და ისიც მხოლოდ თქვენი ჩაგონებით გავაკეთე და აქედან დარწმუნდით რა სასწაულს მოვახდენ იქ მივლინებაში, აქ კი ალბათ სულ დავეშვები. არ გეხუმრებით, რაფიელ, უნდა წამიყვანოთ.
- რაფიელ— კარგი, რაკი ასე მთხოვთ, არ შემიძლია გულთან არ მივიღო და ცალკე არ მოგელაპარაკოთ უფრო საფუძვლიანად.
- დარეჯანი— კარგი, მოილაპარაკეთ, ინებეთ, მე ხელს არ შეგიშლით.

რა ფიელი—თქვენ...

შუშანა — რასაკვირველია. წამოვა დარეჯანიც. ბოლოს უარს დარეჯანი — მე ხომ არ მოვდივარ.

ვერ გეტყვის.

დარეჯანი — გესმის დედა, ხედავ? შევიდეთ საამქროში.

თებრონე — მაგ ქალი ან ქვეყნის დამქცევარია, ან სულ საწყალია. (თებრონე და დარეჯანი მიდიან)

რა ფიელი — მითხარით, შუშანა, ასე რად მოგინდათ მივლინებაში წასვლა?

შუშანა — ვისწავლი, ხელობას გავიუმჯობესებ და ბევრ რანესაც ვნახავ. მერე, იქ თქვენ მეყოლებით. მე ხომ ძმა არა მყავს და თქვენ გთვლიათ ძმის მაგიერ.

რა ფიელი — საამქროს უფროსი საპიროდ სთელის აქ დარჩეთ. ნუ მოიღრუბლებით, ამას გარდა აქ მამა მარტოხელად გრჩებათ... გოდერძისა(ც) ძალიან წყდება გული რომ მიდიხართ.

შუშანა — გოდერძის?

რა ფიელი — ჰო, თქვენ კი მგონია ის არც კი გახსოვთ.

შუშანა — თქვენ ეს ახირება გჭირთ. მუდამ ცდილობთ გოდერძის თაყვანისცემა აღმიძრათ.

რა ფიელი — მას თქვენც კარგად იცნობთ. ახლო თანამშრომლობთ მასთან.

შუშანა — თანაც მის ფარულ გრძნობას მახვედრებთ. პირდაპირ არ მტუხნებთ, მაგრამ მახვედრებთ და ეს უარესია, თქვენ კი იცით, საქმრო მყავს.

რა ფიელი — როცა ჩაგკითხეთ საქმროზე, დავრწმუნდი, რომ მას თქვენ თითონაც ბუნდოვნად იცნობთ.

შუშანა — ჩემზე ნათლად. ძნელად იცნობს ვინმე თავის ტოლს. მან ნამდვილად დამანახა თავისი გმირობაც და სიყვარულიც.

რა ფიელი — მე მინდოდა ჩამეგონებინა შენთვის გოდერძის პატივისცემა, რადგან მე მგონია სპეტაკი კაცის სიყვარული ყოველ ქალს ავალებს თუ თანაგრძნობას არა, რაიმე სათუთობას. შენ კი მასთან გულცივი და მკაცრი იყავი.

შუშანა — არა, ამაში ახლა გამოგიტყდები, რადგან საშველს არ მაძლევ, — არც ასე იყო.

რაფიელი—მაშ?

შუშანა—ნეტავ მართლა გულგრილი ვყოფილიყავ, მაშინ შევძლებდი გარეგნულად უფრო თბილად მოვექცეულიყავ.

რაფიელი—როგორ?

შუშანა—გოდერძის მოპყრობა და მასზედ შენი საუბარი ისეთ გამოძახილს იწვევდა ჩემს გულში, რომ ზოგჯერ დამნაშავედ ვთვლიდი თავს საქმროს წინაშე და ამიტომ ვიყავ გარეგნულად მკაცრი.

რაფიელი—მაშ თანაუგრძნობდით გოდერძის? რა თავისებურია ზოგჯერ ქალი. მე კი ვერ წარმომედგინა თუ თქვენ რამე შეგაერთებდათ.

შუშანა—არა, ჩვენი შეერთება რა საფიქრებელია. მე მხოლოდ მისი ერთგული ვარ, ვისაც ველოდები. ერთსაც გეტყვი, რაფიელ, რომ ჩემს საქმროსა და გოდერძის შორის მულდამ ვპოვებდი რაღაც მსგავსებას, რომელიც სასიამოდ მალეღვებდა და მახარებდა და უნდა გამოგიტყდე, როგორ მტკიოდა გული, როცა მკაცრად ვექცეოდი.

რაფიელი—შენ სიხარულზე სიხარულს უმატებ.

შუშანა—არა რაფიელ, შენ კიდევ გგონია საქმროს ეულალატებ, აი, მე ხელში წერილი მაქვს და მას ვწერ აქ ამბავს, თუ როგორ მალეღვებს და მხიბლავს აქ მისი მსგავსებით ერთი ადამიანი. მას საყვედურსაც ვუთვლი, რომ იმდენხანს დაიგვიანა. მჯერა რომ ის გამიგებს და მალე გამომეცხადება. ეს წერილი უნდა გადავცე არტემს, ისაა ჩვენი მეკავშირე.

რაფიელი—შუშანა!

შუშანა—აი, მე მთელი გული გადაგიშალე, რაფიელ, გენდეთ. ეს ყველაფერი მისთვის გითხარით, რომ გაგაგებინოთ რატომ მივდივარ. მე გოდერძის ახლო ვერ დავრჩები. არ შემიძლია. მას უთანაგრძნო და გულიც არ მანებებს უფრო მკაცრად მოვექცე. აქედან წასვლის გარდა გამოსავალი არ მაქვს, შინც ხედავ ამას და იმედი მაქვს ხელს გამომიწვდი. (შემოდის დარეჯანი. რაფიელი ვერ ამჩნევს)

რაფიელი—თქვენ კარგი გული გაქვთ შუშანა. ღირსი ხართ

ბედნიერების და მე ვამზადებ თქვენთვის დიდ სიხარულს,
თქვენი სიყვარულია ღირსს.

დარეჯანი—ბოდიში...

რაფიელი—ა!

დარეჯანი—იქსლავა გიხმობთ.

რაფიელი—სლავა?

დარეჯანი—ჰო, მანქანაა გასასინჯი. (რაფიელი მიდის) მგონი უხერხულ დროს შემოვედი... თუმცა ეს უკეთესია მით, რომ საბაბი მოგვეცა ერთმანეთს პირდაპირ დაველაპარაკოთ. თქვენ შეგიძლიანთ იყოთ კეთილშობილი?

შუშანა—მე მგონი.

დარეჯანი—ჩვენ მაინც კარგი ამხანაგები ვიყავით და ეს გვა-
ვალებს ასეთ დროს გულახდილნი ვიქოთ.

შუშანა—გარდა ამხანაგობისა მე სამეგობროდაც მომიწევდა
გული, რომ თქვენი მხრით არ ყოფილიყო არიდება.

დარეჯანი—ფიქრობთ უმიზეზოდ გერიღებოდით?

შუშანა—ვინ იცის.

დარეჯანი—მე ხომ მიცნობთ?

შუშანა—კარგი მხრით.

დარეჯანი—მე წერილობითი საბუთით რაფიელის მეუღლე
ვარ.

შუშანა—დიახ, გაშიგონია.

დარეჯანი—არა მარტო წერილობითი საბუთები, მე მასთან
მაკავშირებს მთელი ჩემი გული და არსება.

შუშანა—სასიამოვნოა.

დარეჯანი—გესიამოვნათ? მაშ, მე ისე გადაგიშლით გულს,
რომ პირმოთნეობის სურვილიც დაგეკარგოს. ჩვენ ქორწინების
წუთიდან ქვეყნის მოვალეობამ დაგვაშორა. იმ დროს მე რა-
ლაც დავაშავე და შეგვემოხვა უბედურება, მაგრამ სიყვარუ-
ლი შემრჩა... სიყვარული უღირსს არ შეუძლია. მე ჩემი
ღირსების დასაცავად ომში წავიღ, ვიბრძოდი.

შუშანა—ფეიცავ, შენი აღსარება მახარებს.

დარეჯანი—ომიდან დაბრუნებული აქ ქარხნის მშენებლობა-
ში მოვხვდი რაფიელთან, და რადგან ბედმა მასთან სხვა.

საერთო უღელი არ შემარჩინა, ჩემი ერთგულება ამ შრო-
მაში გამოვიჩინე და სირცხვილ-სიკვდილისაგან ვიხსენი...
ამიტომ დღეს არა მარტო ხელწერილით ვარ მისი მეუღლე,
ზნეობრივადაც მის მეუღლედ ვგრძნობ თავს, მაგრამ შენ
ამართულხარ სვეტად ჩვენს შორის.

შუშანა—რას ამბობ, დარეჯან? ეს ექვი სულ უსაფუძვლოა!
დარეჯანი—მაინც პიროფერობ?

შუშანა—მაშ, მეც ჩაგახედებ ჩემს გულში. ამას ვიქ მისთვის,
რომ შენს ლაპარაკში სულიერი ნათესაეობა ვიგრძენ და მე-
გობრობა მინდა.

დარეჯანი—შენ ენაც სახესავით სასიამოვნო გქონია. როგორ
დავძრახო მამაკაცი, ლამის მე მომხიბლე, თუმცა აშკარად
ვიცი რომ ქპარს მართმევ.

შუშანა—მე სხვა მიყვარს და გაგიმხელ ჩემს საიდუმლოს ამ
ექვის გასაქრობად.

დარეჯანი—მე გთხოვთ, რომ პირდაპირი ვიყოთ. თქვენ კი
ცდილობთ ისიც დამავიწყოთ, რაც ჩემი ყურით გავიგონე.

შუშანა—რა, რა გაიგონეთ?

დარეჯანი—აქ იმ დროს შემოგვეწარით, როდესაც სიყვარულ-
ზე ლაპარაკობდით.

შუშანა—დიახ, მე რაფიელთან ისე წრაფელი მეგობრობა
მაქვს, რომ მან ერთი თავის მეგობრის გრძნობები გამიმხილა
და მიჩვენა... (მემოდის რაფიელი)

დარეჯანი—ვისი, რომელი მეგობრის?

შუშანა—ეს როგორ გითხრათ.

დარეჯანი—მომილოცავს რაფიელ, თქვენ თურმე ამხანაგის
სიყვარულს უმხელთ შუშანას და ჟრჩევთ უთანაგრძოს. არ
ვიცი ეს როგორი მეგობრობაა ქალ-ვაჟს შორის. ვერ ვიტ-
ყვი, რომ შუშანა ცილს გწამებდეს, მაგრამ არც ის შემიძ-
ლია ვიფიქრო, რომ შენ ამას იკადრებ.

რაფიელი—ეს მართალია. მეგობარს ავთანდილივით ვუთა-
ნაგრძნე.

დარეჯანი—ვინა გყავს ასეთი? არა, ვერც წარმოვიდგენ.

რაფიელი—გოდერძა.

დარეჯანი—გოდერძი?

რაფიელი—ჰო.

დარეჯანი—გოდერძის რომ სხვა უყვარს?

რაფიელი—არა.

დარეჯანი—მას უყვარს ქალი, რომელიც მან ფრონტზე გადა-
არჩინა და ის ქალი მას ვერ სცნობს.

შუშანა—როგორ? ვინ გადაარჩინა?

დარეჯანი—ო, ეს ნამდვილი ამბავია. ფრონტზე ერთი მშვე-
ნიერი არსება მოიტაცეს მტრებმა. მან ის ქალი მტერს მა-
თივე მიჯნაში დაატოვებინა, მაგრამ დაჭრილი შერჩა და
ლამით დიდი გაჭირვებით გამოიყვანა. მას აქეთ იგი უყვარს,
მაგრამ ის ქალი თურმე სახით ვერ სცნობს გოდერძის, ცი-
ვად ეპყრობა და ამიტომ ვერ ბედავს გამოეცნობოს... არა-
ვისზე კი არ გასცვლის მის სიყვარულს.

შუშანა—რაფიელ, რას ნიშნავს ამის ლაპარაკი?

რაფიელი—ის გოდერძია, ვისაც თქვენ ელოდებით.

დარეჯანი—ეს ვის ელოდება?

რაფიელი—ის ქალი, რომელიც მან ფრონტზე გადაარჩინა—
შუშანაა.

დარეჯანი—შუშანა?

შუშანა—მაშ გოდერძია?

რაფიელი—მე მას გადავეცი ახლა, რომ აღტაცებით ამსგავ-
სებდი მას შენს რჩეულთან და რას ფარავდი გულში. აგერ,
ისიც მოდის. (შემოდინა გოდერძი და გურგენი. შუშანა ჩაიკეცე-
ბა, სახეზე ხელს მიიფარებს)

გოდერძი—რა მოხდა?

რაფიელი—გაიგო.

დარეჯანი—ო, როგორ ნათელია ახლა ჩემთვის სუყველაფე-
რი.

გურგენი—მაშ, შენ დარეჯან, არ მიდიხარ რაფიელთან?

დარეჯანი—როგორ არა, მე მივდივარ.

შ ა რ დ ა

სურათი მეორე

შეშანას და რაფიელის ბინების საერთო აივანი, გვერდით ღია კიშკარი ქარხნის ეზოში შესასვლელი და ხედი ქარხანაზე და მის მშენებლობაზე, რომელიც თითქმის დამთავრებულია. წინ ორიოდ საფეხურით აივნის დაბლა ყვავილების წალკოტია. სცენაზე გურგენი და რაფიელი. შემოდინან პირველი და მეორე მოსამსახურე.

1-ლი მოსამ. — მუშების სადგურზე გადასაყვანად მანქანები მზადაა.

მე-2 მოსამ. — რკინიგზაზეც ისე მოვაგვარეთ, რომ მივიღინებულებს ცალკე რონოდები ექნებათ.

გურგენი — მუშები, რაფიელ, ხომ ყველა გამზადებულია, უკლებლად?

რაფიელი — სულ ყველა, საზრუნავი არაფერი გრჩება.

გურგენი — წასვლის დროც მოახლოვდა.

1-ლი მოსამ. — მოვაწყობთ გამგზავრება?

გურგენი — კარგი. გამოვიდნენ ქარხნის მუშები და გამოემშვიდობონ ამხანაგებს. ამას გარდა, ყველამ მოისმინოს მიმართვა, რომელიც ქარხნიდან ეგზავნება დიდ ბელადს, მთავარი საამქროს ამუშავების გამო.

მე-2 მოსამ. — წავიდეთ. (მოსამსახურენი გადიან)

გურგენი — ბევრი გადაგვწყდა, მაგრამ ამაგიც დაგვიფასდა. კარგად მიემგზავრებით.

რაფიელი — სლავაც ბევრს დაგვეხმარა.

არტემი — აქეთ, ალბათ მაინც გრჩება თვალი, რაფიელ.

რაფიელი — არა უშავს, დარჩეული ბიჭები მიჰყავს.

არტემი — გოდერძის და შეშანას კი ძალიან წყდებათ გულშენზეც და დარეჯანზეც.

რაფიელი — შენ დღეს მათთან იყავი?

არტემი — დიახ, სუფრაზე მიმიპატიეეს.

რაფიელი — რად არ დაგპატიებდნენ? ეს ხომ გურგენ, მათი ერთადერთი კავშირი იყო.

გურგენი — ვიცი მაგ ამბები. საარაკო კაცი ხარ არტემ.

არტემი — ჰო, წამოიწყეს სუფრაზე თავის ამბების მოგონება, როგორ ტყუილად გაიტანჯეს თავი, რამდენი ზედმეტი

მღელვარება გადაწყდათ. ქალს იმის შიშით, რომ კაცი ჯერ დაღუპული ეგონა, მერე ექვობდა, ეგებ დასახიჩრებულია ომისაგან და იმიტომ არ ჩნდება და ათასი სხვა... ხომ იცით ასეთ დროს ქალი ექვით რა მდიდარია. კაცი კი, ამისთანა გმირი კინალამ დააძაბუნა ექვმა რომ ქალზე აქცულ შთაბეჭდილებას ახდენს... ისე ჩაიძირნენ ამ მოგონებაში, რომ შევატყვე ერთმანეთს დაუწყებდნენ გადახდილი ტანჯვის დაბრალებას, ხომ იცით ახალი შეყვარებულები ერთმანეთის სიყვარულის ისტორიაში რა თავმოყვარენი არიან... და რომ ერთმანეთი არ გაემტყუნებიათ, მთელი მათი წარსულის ტანჯვა და გაუგებრობა ჩემს უგუნურებას და უნიკო მეკავშირეობას დავაბრალებ.

რა ფიელი — მერე, დაიჯერეს?

არტემი — მთლად არ დამიმოწმეს დანაშაული, მაგრამ ავით კი დამშვიდდნენ.

გურგენი — შენ, არტემ, ყველას ამშვიდებ, მხოლოდ ჩემი გალიზიანება გიყვარს ხანდახან.

არტემი — ახლა კი ერთი პატარა საქმე მაქვს, რომელიც არ გაგაჯავრებს.

გურგენი — ჯერ იქით შეჩქარება.

არტემი — პატარა ამბავია, არ გაგაცდენს. (გურგენი და არტემი მიდრან. შემოდის თებრონი)

რა ფიელი — რაზედ შეგიწუხებიათ თავი, დედა, რა მოგაქვს? თებრონი — ნეტავ ასე უცბათ არ წასულიყავით, მე კი თქვენი პატივისცემა გარჯად არ მიმაჩნია. (შემოდის გოდერძი)

გოდერძი — ასეთი გამგზავრების დროს ყოველთვის ჩნდება მოულოდნელი დაბრკოლებები. გულს ხომ არ გაკლია რამე?

რა ფიელი — ყველა თავმოყრილია და ახლა მარტო ეს გვეჩქარება დავიძრათ და წავიდეთ.

გოდერძი — თქვენ, თებრონი, ალბათ ღელავთ?

თებრონი — ახლა ყველაფერი მიხარია. გულზე ის მკებნდა, რომ შეუღლება დიდი ხანია გადასწყვიტეს და უღელში შებმა არ ელირსათ. (რაფიელს) დარეჯანი ოთახშია?

რა ფიელი — ჰო, ემზადება. (თებრონი მიდის რაფიელის ბინაზე)

გოდერძი — მაშ, ახლა რაუციელ, არაფერი გვაქვს ერთმანეთთან შესაჩივლი ჩვენს ძველ წყლულებზე.

რაფიელი — ის დასრულდა და იწყება ჩვენთვის, გოდერძი, ახალი ცხოვრება და ახალი ზრუნვა.

გოდერძი — ჰო, მე მგონია ადამიანისათვის ყველაზე დიდი ზღწვევა მხნობაა. (შემოდის ოთახიდან დარეჯანი)

დარეჯანი — მოვათავე ბარგის შეხვევა და ველოდები. რახე საუბრობდით, ხელს ხომ არ გიშლით?

გოდერძი — არა, დარეჯან. (განოდის თავისი ოთახიდან შუშანა)

შუშანა — დარეჯანის ხმა მომესმა და გაქრა გულში, რომ მრავალ დღეს ვერ გავიგონებ.

რაფიელი — მობრძანდი.

გოდერძი — ჰო, შენ იკითხე, დარეჯან, რაზე საუბრობდითო. ჩვენ ვამბობდით, რომ ბევრი გადაგვწყდა სასურველის მისაღწევად და ის აზრი გამოვთქვით, რომ ადამიანის ცხოვრება განუწყვეტელი ზრუნვაა და ყველაზე დიდი მიღწევა მხნობაა.

დარეჯანი — ჩვენ ბევრი გადაგვწყდა და გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს გამარჯვება მათი მონაპოვარია, ვინც ჩვენს გვერდით დაიღუპა ომში და მე ვფიქრობ დაკნინება იქნებოდა ჩვენგან, რომ უზრუნველ ბედნიერად ვთვლიდეთ თავს. ჩვენ მხნედ უნდა ვიმუშაოთ და ნაყოფი მოვუტანოთ საქმობლოს, რომელიც ქვეყანაზე მშვიდობისა და სიკეთის დამყარებაზე ზრუნავს.

შუშანა — როგორ გშენის შენ ეს სიტყვები, დარეჯან!

დარეჯანი — თუმცა, ჩემო შუშანა, სჯობს ადამიანი ამშვენებდეს სიტყვას.

შუშანა — საქმეც გემოწმება და მისთვის გიხდება. გიცნობ, დარეჯანი მე ვხედავდი შენს ნუშაობას ამ მშენებლობაზე და მსმენია, როგორ იხდიდი მოვალეობას ომში.

დარეჯანი — მეც ვიცი შენი წარსული და ისე მზარავს, რომ ჩემსას მავიწყებს.

შუშანა — საბჭოთა ქალები ვანსაკუთრებული ადამიანები ვართ. ჩვენს გასაცნობად არ კმარა მარტო გარეგნობა, ჩვე-

ნი სახე უფრო სჩანს ჩვენს თავგადასაცალში და საქმეში.
(შემოდის დათა)

დათა—ვნახე, რაფიელ, შენი ქაბუკები, სადაცაა სადგურისა-
კენ დაიძვრებიან. ზოგს ვიცნობ, მჯერა რომ იქიდან ღირ-
სეულად დაბრუნდებიან.

შუშანა—აი, ჩვენც ვპირდებით ერთმანეთს, ისინი გამოც-
დილნი დაბრუნდნენ და ჩვენც ქარხანა უფრო გაჩაღებული
დავახვედროთ. (მოისმის მანქანების გუგუნე)

რაფიელი—მაშ, გამოვემშვიდობოთ დროებით ჩვენს ბინას
და მეზობლებს დარეჯან. (ყველანი მიდიან რაფიელის ბინაში. შე-
მოდიან გურგენი, სლავა, ინეინერი, პირველი და მეორე მოსამსახურე
მოისმის მუსიკის ხმა, მისალმების ხმები. შემოდიან მივლინებული მუ-
შები)

გურგენი—აბა, გამარჯვებით, ქაბუკებო, გამარჯვებით!

ხმები—დავემშვიდობოთ ჩვენს ხელმძღვანელებს. ნახვამდის,
ნახვამდის! (გამოდიან ქარხნის მუშები, შემდეგ რაფიელი, დარეჯანი,
შუშანა, თებრონე, დათა. რაფიელს და დარეჯანს ბარგს გამოართმევენ
მუშები. რაფიელი და დარეჯანი შეუერთდებიან მიმავლებს)

სლავა—თქვენი სახელით, ამხანაგებო, გამზადებულია მიმართ-
ვა.

ხმები მუშ.—გაუმარჯოს სლავას, ჩვენს მეგობარს!

გურგენი—ჩვენი ქარხნის სახელით, ამხანაგებო, ვუგზავნით
დიდ ბელადს მიმართვას, რომ ამ ქარხნის მთავარი საამქ-
რო ამუშავებულია და პირობას ვდებთ დასახული გეგმა
გადაქარბებით შეეასრულოთ.

ხმები მუშ.—გაუმარჯოს ჩვენი გზის გამკაფავს დიდ ოქ-
ტომბერს! გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს!

რაფიელი—მშვიდობით, მეგობრებო, ნახვამდის.

დარეჯანი—მშვიდობით, შუშანა.

შუშანა—ნახვამდის.

გურგენი—ჩვენ იმედით ვშორდებით ერთმანეთს და მჯერა
შებვედრა იქნება იმედების გამართლება.

დარეჯანი—ნახვამდის, დედა, ნახვამდის, მეგობრებო!

თებრონე—მშვიდობით, ყოჩაღად, კარგად რყავით, შვილებო.

ხმები მუშ.—ნახვამდის მეგობრებო, ნახვამდის დათა!

დათა—ნახვამდის, ისწავლეთ, მშრომელი ახალგაზრდობა
სამშობლოს დიდებაა.